



რუსულიდან

თარგმნა გივი ალხაზიშვილმა

* * *

ოდეს ვუცქერდი ვარსკვლავთა ციაგს,
თვალი ამაოდ ეძებდა ნაპირს,
ფრთხილად გაება ჩვენ შორის ძაფი,
მსუბუქი თრთოლვით მომწყვდიტა წიაღს.

ღამის მუსიკა მოჰქონდა ნიაგს,
ასე მგონია, ვუსმენდი გუშინ,
ის ვარსკვლავები მას შემდეგ კრთიან,
უფალო, აღარ ქრებიან სულში.

* * *

გამოვერიდეთ ბრბოს და სინათლეს,
გადავარჩინეთ სული მკვნესარე,
ახლა ორნი ვართ, როგორც ვინატრე,
და წყნარი ღამე არის მესამე.

გამოიღვიძა გულმა მთვლემარემ,
და მოლოდინში ბრწყინავს თვალები,
ხალხს გავექეცით და დავემალეთ,
ვარსკვლავებს ვერსად დავემალებით.



მიმოეფინა ღამეს დარდიანს
მსუბუქი კვამლი მაღლა წასული,
იმას სჭვრეტს ღამე, რაც მარადია,
არ აქვს საწყისი და დასასრული.

მაისის ღამე

გადაიარეს ღრუბლებმა ზანტად,
ვიგრძენი შვება,
ბოლო ღრუბელი ცაზე რომ ჩანდა,
ახლად ამოსულ მთვარესთან ქრება.

და ვარსკვლავებით მზერა ამევსო,
თრთიან კვირტები,
ბედნიერებას, ო, უნაზესო —
ამ ცრუ სოფელში ისევ მპირდები?

ბედნიერება ეს უღმერთო ყოფა კი არა
უმსუბუქესი კვამლია ველთა,
ციური გზებით ერთად ვიაროთ,
რომ ვეზიაროთ მარადისს ერთად.

* * *

ოი, ენძელავ —
თოვლის საფარველს
შემოიცილებ და მაღლა ცისკენ
გაოცებული თვალს გააპარებ
და გაზაფხულის სიმღერას ისმენ.

ზეციურ სხივის გშვენის ნათელი,
სიზმარეული ბურუსი გათრობს,
ფერად ზმანებით და ჟრუანტელით
გაზაფხულის მზეს მიჰყვები მარტოდ.

და ისე ფეთქავ, როგორც ქალწული,
გაბრუებული ვნებიან წამით,
არ გახსოვს დარდი და გარდასული
და აგრერიგად მუხთალი ჟამი.

* * *

უგუმბათოა მონასტერი, ეზო ვერანი,
 გუმბათის ნაცვლად ზეცის თავანი,
 მიხვდება ვინმე? ალბათ ვერავინ,
 თუ აქ ოდესმე იყო სავანე.

ამოღამებულ სარკმლიდან ვზვერავე,
 მონასტერო, უდაბურ მხარეს,
 შრიალებს სურო, იზიდავს მზერას
 ბებერი მთვარე.

მნათობის შუქზე გაკრთა მავანი,
 გამოჩნდა წამით,
 ნაბიჯების ხმა, მარტომავალი
 ვის ეძებს ღამით?!

რა სიჩუმეა, მეფობს უკუნი
 და ფიქრში ვბორგავ,
 თითქოს აროდეს ეგუგუნოს
 კედლებში ორღანს.

ბ უ ს ა რ თ ა ნ

მიმქრალი ცეცხლის სინათლე მკრთალი,
 ცხელი ნაცარი და ნაკვერჩხლები
 ღვივიან ბნელში,

ფარფატებს ალი —
 ყაყაჩოებზე როგორც ჰეპლები.

დაღლილი მზერა თითქოს მოელის
 ღანდს —

დამშვიდებას რომ არ მაცლიდა,
 და სახეები შეუცნობელი
 მითვალთვალებენ თითქოს ნაცრიდან.

და მეფერება სრულიად მარტოს
 წარსულის სევდა,

ღალი ზმანება,
 და თავს ვიტყუებ,
 თითქოს არ ვდარდობ
 იმ დღეებს, ახლაც რომ მენანება.

* * *

მხიარულებას მოწყურებული
 მწარე ღიმილი სახეს შორდება,
 ბედნიერების ხმები მეფური —
 ნუთუ არასდროს განმეორდება?!

რად შეფრთხილდა გული ხალისით,
 როს ვიოლინოს ხმა გავიგონე,
 ნუთუ წარსულის გალობა ისმის,
 ღმერთო,

მე ისევ წარსულს ვიგონებ.

ისე მივყავარ ნაღვლიან დღეთა
 მტანჯველ ოცნებას და შეგონებას,
 თან მევედრება,

თან ისე მთენთავს,
 რომ უნაზესად გულს ეფონება.

* * *

მივემგზავრები, სიჩუმეს ერთვის
 ჩვეულებრივი სიტყვა — მშვიდობით,
 არ ვიცი, საით წამიყვანს ბედი,
 თავის სევდით და უამინდობით.

სული სავსეა მტანჯავ კაეშნით,
 შენი სიმკაცრით ვიყავ დაღლილი,
 თუმცა ო, იქნებ უცხო მხარეში
 კვლავ გავიგონო შენი ძახილი.

ასე ყარიბი უკაცურ ველზე,
 ოდეს გასცდება მორიგ მოსახვევს,
 მიმოიხედავს, ამაოდ ეძებს
 და მაინც ეძებს მგზავრს ან მოსახლეს.

უკვე დაბინდდა და შავ კედელთან
 მოიწევს ნისლი მძიმედ დახრილი,
 შორს, მთის ბილიკით მწირი შეჩერდა,
 გამოსალმების ესმა ძახილი.



* * *

ვიცი, რად მიმზერ

ავადმყოფი ბავშვი ნიადაგ
და მოგონებებს თავს რად ევლები,
რად გამომხედავ ჩაფიქრებით და სევდიანად,
გაბრწყინებული ალალ ცრემლებით.

სულშემხუთველი, საშინელი სიცხეა თქვენთან
და გენატრებათ გრილი ჰაერი,
გაფიქრებს შავი წრეები დღეთა
შიშისმომგვრელი,
უსხეულო და სხვანაირი.

მხოლოდ ამ ბაღში ჰყვავის უცვლელი
სულის სიმშვიდე
და ირწევს ხალიჩა ჩრდილის
და ახლად გაშლილ ვარდის ფურცლებზე
ბრწყინავს უმანკო ცრემლები ჩვილის.

ციური ქალაქი

მიდის ღრუბლების თეთრი ქალაქი,
ჩემი ქალაქი — მსუბუქ ღრუბლების,
ციხის კედლებით, ძვალთშესალაგით,
ეკლესიებით, წყნარი უბნებით.

ვარდისფერ ცაზე თეთრი ქალაქი,
ქვევით მიწაა მთვლემარე, ბნელი,
მიდის ღრუბლების თეთრი ქალაქი,
რა უმწეოა გაწვდილი ხელი.

უკვე ახლოა დასალიერი,
მიცურავს თეთრი ქალაქის ლანდი;
ღმერთო, არ მომეც ფრთები ძლიერი
და რად მიღვივებ გაფრენის წადილს.

□



გერმანულიდან

თარგმნა ბიბლა სარიშვილმა

ბალახი

მწვანე ბალახო, შენს წინაშე მოვიდრეკ მუხლთა,
ვილოცებ შენდა, ავთრთოლდები, ვით ჩრდილი ვერხვის
და მომიტევე, თუ ოდესმე დაგადგი ფეხი,
და მომიტევე, თუ ოდესმე დაგაგდე მუხთლად.

მწვანე ბალახო, შენ წინაშე მოვიდრეკ მუხლთა,
ჩვენ რომ ვიზრდებით, გვაავიწყდები, თავს მალლა ავწევთ.
ბოლოს კი მოვალთ, რათა მშვიდად შენ ქვემოთ დავწვეთ...

წამოვიხურავთ ბოლოს ტანზე ბალახთა უხვთა,
დაათმიანებს მიწას ჩვენსას მწვანე ბალახი...
მწვანე ბალახო, შენ წინაშე მოვიდრეკ მუხლთა.

უცხო მხარეში

სხვის სამშობლოში გზები ბევრჯერ შემოვითოვე,
ბევრ გზას შევადექ, ბევრიც უკან შემოვიტოვე,
მაგრამ სამშობლო საგზალივით მე თან დამქონდა,
რადგან სამშობლოს მაგიერი ვერსად ვიპოვე.

ბედნიერება

ბედნიერება რაა ნეტა, განა ის წუთი,
როცა შეჩერდა საათებში დრო და ისარი?
ბედნიერება არის, როცა ფიქრი სათუთი
წარსულ დღეებში დაგვაბრუნებს? — ანდა ის არის
ბედნიერება? — როცა გული მიჰყვება მაყრად
სამყაროს ქორწილს, ერთურთს ჰკოცნის როს ზღვა და ხმელი.
ბედნიერება არის? — როცა ხელს გართმევ მაგრად.
ბედნიერება არის? — როცა გული და ხელი
დაგვეკრიფება, დავისვენებთ მარადი ძილით...
მაგრამ ვინ გვეტყვის, რომ ეს იყო ბედნიერება, —
იმ უდაბნოდან ვის უნახავს მოსული მწირი?
მე მაინც ვფიქრობ: ის თუ არის ბედნიერება —
ბედნიერების გულისათვის ქვეყნის ყაყანში
იდგე და ხმალი არ ჩააგო მშიერ ქარქაშში.

მკვლარი ხეები

მათ დააწვიმდა ყუმბარები ბრმა გახელებით,
ტანში ცახცახი შეეპარათ... გაფითრდნენ მთანი...
და სიკვდილ-სიკვდილ ჩაესვენნენ რიგში ხეები,
ტანზე დაეცათ დედამიწის ნაგლეჯი ტანი.

მოკვდნენ ხეები გაზაფხულს ერთ დილას მზიანს,
მწვანე სიცოცხლე ტოტებიდან გამოიწურეს.
მოკვდნენ ხეები... არც ცრემლები, არც პროცესია...
თითქოს საკუთარ საფლავზედაც თვითონ იზრუნეს.

მაგრამ ნედლ ტანზე კვლავ გაცოცხლდა ლორთქო ღერები.
საფლავებიდან გამოეყოთ ხეებს ხელები,
და ფრინველთ გუნდი შემოგარენს შემოჰხაროდა.
წაქცეულ ხეთა მიცოცავდნენ მზისკენ რტოები...
და ხის კენწერო გზის ნაპირას განმარტოებით
იწვა მიწაზე, იწვა, მაგრამ მაინც ჰყვარდა...

ეჰ, რა გულქვანი ბავხდით ყველა

ეჰ, რა გულქვანი ბავხდით ყველა, ეჰ, რა გულქვანი!
ყველა ჩვენგანი ბავშვი იყო... ბავშვის სუნთქვა,
ბავშვის ლამაზი ცრემლები გვქონდა.

მერე გულქვანი გავხდით ყველა... იყო იმხელა
 მკვლელობა, სისხლი... ვერაფერმა ვეღარ გვიშველა.
 უგულო გავხდით ყველა, რადგან ჩვენც გული გვქონდა.

ო, მიწავ, ანუ სახევ ჩემო!

ო, მიწავ, ანუ სახევ ჩემო, შენ ხარ დახნული,
 ხარ გატეხილი მწუხარების ჩემის ყამირი.
 დრო ისე გხაზავს ბნელ სახნისით, დრო უსახური,
 თითქოს და სახევ, შენ ხაზებით იყო ღარიბი.

ო, მიწავ, ანუ სახევ ჩემო, რას სთესავს სევდა,
 ო, სევდა მხვნელი... ჰა, ბარემდა დამფარე ხნულით
 შენგან დახნულით... უხილავო შენ გუთნის დედავ,
 თვით — მოტყუება, თვით — კმაყოფა წარმხოცე სრული.

და თუ რამ დარჩა, დაჰხან ისიც დაუზარებლად,
 გადახნულ სახეს კვლავ დაეცეს ტკივილის თესლი.
 ო, მიწავ, ანუ სახევ ჩემო, დასკდი ბზარებად,

ვიდრე ამოვა შენს წიაღში მაგიერ გესლის —
 ყანა სინათლის, შუქთა თავთავს აიწევს ზემოთ...
 ო, მიწავ, ანუ სახევ ჩემო... ო, სახევ ჩემო!

ხნიერი ლექსი

ჩემი ჭაღარა ხნიერი ლექსი
 განსხვავდება
 ჩემი ქორორა სიჭაბუკის
 ლექსებისაგან —
 ლექსებისაგან, რომელიც ეძღვნა ეჭვსა და სევდას,
 ეკალს და ნაღველს.

ჩემი ქორორა სიჭაბუკის ლექსებისაგან
 განსხვავდება ჭაღარა ლექსი,
 რომელსაც ვუძღვნი: სიჭაბუკეს,
 სინათლეს, ძალას
 და ღვაწლსა მაღალს,

და მშვიდობას
 და ახალ დღეებს.



თოვს

თოვს და თოვს, მიწას, ვით ბუმბული აცვივა თოვლი.
 თოვს და თოვს... ხეებს, შიშველ ხეებს აცვივა თოვლი.
 თოვს და თოვს... უხვი ფანტელები ფანტელებს ერთვის.
 დაბლა ძევს თოვლი, როგორც რბილი სინათლე თეთრი.
 სახლებს, ეზოებს თეთრი ბამბა აცვივა თოვლის,
 გულს არვის ატკენს ნაზი თოვლი პირველად ყოვლის.
 მე კი ეგ თოვლი თეთრ სიცივეს შიგ გულში მაცრის.
 თოვს და თოვს... ბარემ ვყოფილიყავ მეც თოვლის კაცი...
 თოვს და თოვს... თოვლმა გზა და მიწა გადამიჯეგა,
 გზას უკუსავალს მიქრობს თოვლი, მივდივარ შენგან...
 თოვს და თოვს... თეთრი საფლავეების გამეფდა ფორმა...
 არსაით ექო. შიმშილის ხმაც მოგუდა თოვლმა...
 თოვს და თოვს...

წვიმა

წვიმა შხუის გარეთ, ეხეთქება კარებს
 და ვილაცა თვალებს ძილს აღარ აკარებს...

ვილაც ფიქრობს, ფიქრობს... წვიმა არ აძინებს...
 და წვიმა პაექრობს, ელეწება მინებს.

ვილაცა დაშანთა ღამემ იმოდენამ
 და აშინებს ჟამთა ძნელი მიმოდენა...

მაგრამ ღამეს ფიქრშავს წვიმა ეუბნება: —
 ღამე იმას ნიშნავს, რომ დღე კვლავ იქნება.

ქარში გალეწილი თავთავივით სცვივა
 და ვილაცას ძილი დაუღეწა წვიმამ...

და ვილაცა თვალებს ძილს აღარ აკარებს...
 წვიმა შხუის გარეთ, ეხეთქება კარებს.



უილიამ შექსპირი

ტიმონ ათენელი



პიესა

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

IV მოქმედება

სცენა I

ათენის გალავანთან

შემოდის ტიმონი.

ტიმონი.

ჰოი, კედელო, მოდი, ერთხელ კიდევ მოგხედო, მგლებს რომ გარშემო შემორტყმიხარ, გიჯობს მიწასთან გასწორდე, ვიდრე იფარვიდე ათინას ქალაქს! ქალნი მრუშობდეთ და ბავშვები მიწყვი ურჩობდეთ, მასხარებო და მათხოვრებო, დაამხეთ ტახტი ამ გადამღრძვალთა სენატორთა და თვით გამეფდით! მიესადაგე, სიქალწულე, ქვეყნის სიბილწეს, და ავხორცობა დაანახვო მამაშენს ვინძლო. დანა დააძვრეთ, მევახშენო, ყველა გლახაკთა დასაღადრავად. მსახურებო, ქურდავდეთ ბატონთ, — მათ ხომ ქვეყანა გაატყავეს კანონის ძალით! მოახლე, ჩქარა სარეცელზე ეახლე ბატონს, საროსკიპოში გდია მისი თანამეცხედრე. შენ კი, ყმაწვილო, გამოჰგლიჯე ხეიბარ მამას ყავარჯენი და ჭადარაში უზილე ტვინი! რელიგიაჲ და მოკრძალებავ, წინაშე ღმერთთა კაცთა სიმართლევ, სამართალო ამა ქვეყნისა, სიმშვიდე, ტკბილო მოგონებავ, კაცთმოყვარებავ, ზნეო და ნირო, სწავლულეზავ და ოსტატობავ,

მისტერიებო, კანონებო, აღმოჩენებო, —
 გაუჯიშოვდით, გადაგვარდით, გადაჯილაგდით!
 წარწყმდით, ქაოსმა რომ იცოცხლოს! ადამის ზვედრო —
 უამო და ჭირო, მოევლინეთ ციებ-ცხელებად
 განწირულ ათენს! გაუმრუდე, წელკავო, გვამიც
 ჩვენს სენატორებს, მრუდე ზნის და ნიშატის პატრონთ.
 ავხორცობით და თავნებობით ახალგაზრდობამ
 სიწმინდის წყარო წაბილწოს და წუმპეში მოკვდეს.
 წყლულო და ჩირქო, მოგეთესოთ ათენელთ მკერდი
 და მერე ჭირი მოგეწიოთ მოსავალივით.
 დე, როგორც მათი მეგობრობა, მათი ბუნაგიც
 შხამით მოიშთოს. — დაწყევლილო ათენო, შენგან
 რა დამრჩა ყარიბს სიღარიბის, სიშიშვლის გარდა, —
 სუღარად იქცეს იგი შენთვის ამიერიდან.
 ტყეს მივაშურებ და უსიერ ტყეს შეკედლილი
 მხეცი იქნება ჩემთვის კაცზე უფრო კეთილი,
 მალლა ღმერთებმა (შეისმინონ ვედრება ღმერთთა!)
 მუსრი გაგავლოთ შინ და გარეთ, ორთავ მხრივ ერთად,
 და ზიზღმა, გულში რომ გამიდგა ფესვები ბასრი,
 მოგინუსხოთ და შეგიბოჭოთ გრძნობა და აზრი!
 ამინ!

სცენა II

ათენი, ოთახი ტიმონის სახლში.

I მსახური.

გვითხარით, ნეტავ სად წავიდა ბატონი ჩვენი?
 მაშ მშრალზე დავრჩით? ყოველივე ნუთუ დამთავრდა?
 აბა, რა გითხრათ, ყმაწვილებო, მეც თქვენს დღეში ვარ,
 მეც არ-რა შემრჩა — მოწამეა ყოვლად მართალი
 ღმერთები!

I მსახური.

ნუთუ უნდა გასწყდეს ასეთი სახლი?!
 სულმნათი კაცი დაიღუპა? ყველამ გასწირა,
 და არვინ შერჩა მეგობარი, რომ ბედი მისი
 გაინაწილოს მასთან ერთად!

II მსახური.

და ჩვენც ხომ მისგან
 მაშინ ვიბრუნეთ პირი, როცა საფლავში ჩავდეთ.
 ასე გაექცნენ მეგობრებიც, როცა სიმდიდრის
 მზე ჩაესვენა, შეატოვეს ხელებში ფიცი,
 ვით ცარიელი ფულის ქისა. ხოლო თვითონ კი
 მათხოვარვით შერჩა ჰაერს, ბედისგან კრული,
 ზიზღივით მარტოდ მოარული ამ სოფლად! აგერ,
 დანარჩენებიც!

(შემოდინან სხვა მსახურებიც.)

ფლავიუსი.
III მსახური.

ნამსხვრევები დანგრეულ სახლის!
ვგონებ, არავის გაგვიხდია ძველი ლივრეი,
როგორც გვეტყობა, ამ ურვაშიც ერთად ვმსახურებთ,
ჩვენს ხომალდს წყალი შეეპარა, და ერთად ვდგავართ
მეზღვაურები დაფერდებულ გემბანზე, გვესმის
ბედის მუქარაც, მალე ერთურთს უნდა დავცილდეთ
ცხოვრების ზღვაში.

ფლავიუსი.

მეგობრებო, მსურს თქვენთან
ერთად
გავინაწილო, რაც შემომრჩა და როს შეგხვდებით,
დავრჩეთ პატრონის მოგონებად კვლავ მეგობრები,
ვუთხრათ ერთმანეთს ამოოხვრით და ოხვრა იგი
იყოს გოდება დაკარგული ავლა-დიდების,
რომ „უკეთესი დღეც გვინახავს“. ყველას შეგხვდება,

(არიგებს ფულს)

ჰა, გამომართვით, ერთი სიტყვაც არ გამაგონოთ!
ერთურთს ვცილდებით ღარიბები, ჭმუნვით მდიდრები,

(გადიან მსახურები)

ო, მწუხარებავ, დიდებას რომ მოჰყვები უკან!
ნუთუ სიმდიდრეს კაცი თვისგან ვერ განარიდებს,
რაკი სიმდიდრეს მოაქვს ზიზღი და სიღარიბე?
ანუ ვის უნდა დასაციინი იყოს დიდების,
ან იქ იცხოვროს, მეგობრობა სად სიზმარია?
რად უნდა ფუჭი განდიდება, ან ფუფუნება
მოჩვენებითი ისეთივე, ვით მეგობრობა?
ბატონი ჩემი გულმართალი გულმა დაღუპა,
ბოლო მოუღო თვით სიკეთემ! უცნაურია —
კაცი ზედმეტად კეთილი რომ განწირულია! —
მაშინ მცირედი სიკეთეც კი ვიღამ გაბედოს!
სიუხვე, ღმერთს რომ განადიდებს, ვნებს თურმე მოკვდავს!
ბატონო ჩემო, შენ დაგლოცეს, რომ დაეწყევლეთ,
და გაგამდიდრეს, რომ ბოგანოდ მიქცეულიყავ,
გულისტკივილი მოგიტანა ოდენ სიმდიდრემ,
გველნაკბენივით განერიდე ამ უმადურებს
და არც იმდენი აღარ შეგრჩა, როგორმე სული
რომ მოიბრუნო, და ეშველოს ცხოვრებას შენსას...
ჩემს ბატონს ყველგან მოვიკითხავ, მის კვალს გავყვები
და მოვევლინო ვინძლო შემწედ მის სულს ამჯერად,
მოვემსახურო, ვიდრე მცირე ოქრო დამრჩება.

(გადის)

III სცენა

ტყე.

შემოდის ტიმონი



ტიმონი.

მცხუნვარე მზეო, ამოსუტე მიწის გულიდან
დამპალი სითხე და მოწამლე ჰაერი ირგვლივ,
სად დაი შენი, მთვარე, ბრუნავს; ორთავ ისინი
ერთი საშოდან დაიბადა, ვერც განასხვავებ
იმათ ჩასახვას და გაჩენას, მაგრამ მათ ბედი
სხვადასხვა ერგოთ და ჰა, უძლურს ძლიერი ჩაგრაფს.
თვალეზი კაცის, ვისაც ბედმა ტანჯვა არგუნა,
ზიზლით შეჰყურებს მუდამ სხვათა ბედნიერებას. —
მათხოვარი რომ დიდებულად გადიქცეს, ხოლო
დიდებული კი უპოვარად, მაშინ სენატორს
შური დაახრჩობს, გააბრუებს ღარიბს სახელი.
საქონელს გავას რომ უსქელებს, მწვანე მდელოა,
იქით კი მისი ძმა მჭლევედება ხრიოკ მინდორზე;
რომელმა კაცმა, წმინდა სულმა, ვითარ შეჰბედოს
და რქვას მეორეს: „ესე კაცი პირმოთნე არის!“
სხვაც პირმოთნეა, რაკი ერთიც არის ამგვარი,
რადგან ერთ მაღალს. სხვა დაბალი ელაქუცება,
სწავლული ჰმონებს ოქროს სულელს... ყველა გამრუდდა
და პირდაპირი ქვეყნად მხოლოდ დარჩა თაღლითი;
მაშინ კრულ იყოს კაცთა თემი თუ თავყრილობა,
ნადიმი ანდა წვეულება, — ყოველისფერი
კაცის მსგავსი და თავი თვისიც ზიზლსა ჰგვრის ტიმონს.
დაე, ამოწყდეს მათი მოდგმა!

(მიწას თხრის)

ო, ფესვი რამე
მაჭამე, მიწავ! ვინც საჭმელზე უმეტესს ეძებს
შენში, დაუწვი უხამით სასა! ამას რას ვხედავ —
ოქრო? ყვითელი, მოციმციმე, ძვირფასი ოქრო?
არა, ღმერთებო, მე გულწრფელად ფესვები გთხოვეთ,
ეს ხომ შავს თეთრად მომაჩვენებს, მახინჯს — ლამაზად,
ტყუილს — სიმართლედ, მდაბალს — მაღლად, მოხუცს —
ჭაბუკად,
მხდალს — გმირად. რატომ მომივლინეთ, ღმერთებო,
რატომ?
ეს ხომ თქვენს მლოცველთ განარიდებს თქვენგანვე,
საპყართ
თავქვეშ გამოჰგლეჯს თავსასთუმალს, ეს ყვითელი ყმა
დაშლის და შეჰკრებს რელიგიებს. ზეცით დაწყევლილს

ისევ აკუთხებს, კეთრსა და ბუგრს შეამკობს, მორთავს, დალოცავს ქურდებს, დააჩოქებს მათ წინ ათასებს, მერე ადგილსაც დაუშვებდრებს სენატორთ გვერდით, მიხრწნილ ქვრივ ქალებს საქალწულო ქორწილებს უხდის. წყლული ყოველი, ქსენონიც რომ უფრთხის და დევნის, ვინძლო აპრილსაც დაამსგავსოს ტკბილსა და ამოს. წყეულო მიწავ, მთელი ქვეყნის მეძავო, ხალხთა შუღლის და მტრობის მომთესვარო, მე ჭეშმარიტად საკადრის ადგილს მოგინიშნავ. (სამხედრო მარშის ხმა ისმის)

დაფდაფის ხმაა!

რა ჩინჩხლებს მაყრი, შავ მიწაში დაგმარხავ, თუმცა შენ კიდევ ივლი, როცა ფეხზე ვერ დადგებიან შენი მფლობელნიც... — მოდი, ნაწილს მძევლად დავტოვებ. (აიღებს რამდენიმე ოქროს. შემოდის იარაღსხმული ალკიბიადე. მოსდევენ ფრინია და ტიმანდრა.)

ალკიბიადე.
ტიმონი.

მანდ რომელი ხარ? მიპასუხე!
შენებრ ცხოველი.
კირჩხიბმა ღვიძლი გამოგიხრას, რომ კაცის სახე კვლავ დამანახე.

ალკიბიადე.
ტიმონი.

რას უწოდებ ნეტავი შენს თავს, კაცი ასე რომ მოიძულე, შენც ხომ კაცი ხარ? მე მიზანთროპად ვიწოდები, მძულს კაცთა მოდგმა. მიჯობდა ძალლი დამენახა შენს ნაცვლად, ვინძლო შემყვარებოდა ოდნავ მაინც.

ალკიბიადე.
ტიმონი.

მე კარგად გიცნობ, მაგრამ არ ვიცი, თუ რა ბედი გწევია ეხლა. მეც კარგად გიცნობ, მაგრამ მეტი არც მსურს ვიცოდე, მიდი და მიჰყე შენს ბუკის ხმას და კაცის სისხლით სულ წითლად, წითლად მორწყვი მიწა. რა სასტიკია რელიგიათა კანონები და წესი კაცთა! რის მაქნისია აბა ომი? შენი მეძავიც, თუმც ქერუბინს ჰგავს, მაგრამ შიგნით უმეტეს ნგრევას ინახავს, ვიდრე შენი ხმალი.

ფრინია.
ტიმონი.


გაგიხმეს პირი!
მე არ გაკოცებ არასოდეს. მაშინ გახმოზა შენს ბაგეებზე უნდა დარჩეს.

ალკიბიადე.
ტიმონი.

უცნაურია, კეთილშობილი მამრი ასე ვით შეიცვალა? ისე, ვით მთვარე, მცხრალს რომ შუქი შემოაკლდება, მაგრამ მთვარისებრ ველარ შევძელ გავსება კაცმა, მზე აღარ იყო, რომ მესესხა.

ალკიბიადე.
ტიმონი.

კეთილო ტიმონ, რით შემიძლია დაგეხმარო?
არაფრით, გარნა თუ ჩემი აზრის დასტურ იყო...



ალკიზიადე.
ტიმონი.

რომელი აზრის?

შემფიცე, იყო მეგობარი, თანაც მიმუხთლე, თუ არ შემფიცავ, ღმერთი დაგსჯის, რადგან კაცი ხარ, თუ მიმეგობრებ, ცა გაგწირავს, რადგან კაცი ხარ. მეც რაღაც ვიცი, მგონი, შენი უბედურების.

ალკიზიადე.
ტიმონი.

შენ გინახია იგი, როცა მდიდარი ვიყავ.

ალკიზიადე.
ტიმონი.

მე ეხლა ვხედავ, მაშინ შვეების დრო უფრო იყო. როგორც შენ გიდგას დრო შვეებისა ამ შეძავებთან.

ტიმანდრა.

ნუთუ ეს არის ათენელთა მშვენება, ვისაც დღესაც პატივით იხსენებენ?

ტიმონი.

შენ ტიმანდრა ხარ?

ტიმანდრა.

დიახ.

ტიმონი.

მეძავად დარჩი მუღამ! შენ არ უყვარხარ

იმას, ვინც გხმარობს. მაშ, გაეცი ეგ შენი სენი, სამაგიეროდ ვნება შთანთქე. მიდი, იმარჯვე, ვინძლო ქსენონში გადარეკო შენი მონები და დიეტები დაუნიშნო ქორთა ჭაბუკებს.

ტიმანდრა.

აქამდე უნდა ჩამოეხრჩოთ ეს მოჩვენება!

ალკიზიადე.

გთხოვ, მიუტევეო, საყვარელო ტიმანდრა, საწყალს უბედურებამ აურიო ჭკუა-გონება. —

ალარც მე შემრჩა თითქმის ოქრო, კეთილო ტიმონ, —

აი, მიზეზი დღენიადაგ რომ წუწუნებენ

ჩემი ბოგანო მეგობრები. გული მომიკვდა,

როცა გავიგე, ვით გაგწირეს მაგ წყეულებმა,

რა უმადურად დაივიწყეს შენი სიკეთე —

ალბათ აქამდეც გათფლავდა ათენელთ მტერი,

შენ მათ ფულით და მახვილით რომ არ შეწეოდი.

დასცხე მაგ დაფდაფს და შენი გზით წადი!

ტიმონი.

ალკიზიადე.

ძვირფასო,

ტიმონი.

შენ მეცოდები, მე ხომ შენი მეგობარი ვარ?

ვინც გეცოდება, იმას თავად რაღას აწუხებ,

მე მარტო ყოფნა მინდა.

ალკიზიადე.

კარგი, გემშვიდობები,

აი, ცოტა რამ ოქროც.

ტიმონი.

არა, ოქროს არა ვჭამ.

ალკიზიადე.

როს ამაყ ათენს ნანგრევებზე წამოვაჩოქებ...

ტიმონი.

ათენი გინდა რომ დალაშქრო?

ალკიზიადე.

დიახ, ათენი.

მიზეზიც არის სამაგისო.

ტიმონი.

მალღობით ღმერთებმა

მოსპონ ისინი ამ ამბოხით, მერე შენც მოგსპონ.

ალკიზიადე.

მე რაღას მერჩი.

ტიმონი.

იმას გერჩი, რომ უსაქმურთა

ხოცვით მოგინდა დაამარცხო ჩემი ქვეყანა.

წადი, წაიღე შენი ოქრო და წადი! ათენს

შავი ჭირვით თავს დაატყდი, ისე ვით ზევსი,
 შხამით რომ აშთობს ხოლმე მისგან განწირულ ქალაქს.
 არ ააცდინო ხმალი არც ერთს. ნუ შეიცოდებ
 ნურც მოხუცს თეთრი წვერის გამო, — ის მევახშეა.
 მოჰკალ ბინძური დედაკაციც, რომელსაც სუფთა
 მხოლოდ სამოსი შერჩენია. ქალწულთა დაწვმა
 არ გაგირბილოს რკინის ხმალი. — მაგათი ძუძუ,
 კაცს თვალს რომ სტაცებს ყველა ფანჯრის რიკულებიდან,
 არ იწერება სიბრალულის წიგნში. გახსოვდეს
 ღალატი მათი საშინელი. ნურც ჩხვილთ დაინდობ,
 სულელებს ღამით სიბრალულს რომ სტყუებენ ხოლმე.
 ბუშად ჩათვალე თვითეული, რომელიც ერთ დროს
 ყელს გამოგლადრავს, როგორც ამას ორაკულები
 გვიქადაგებენ ორჭოფულად — მაშ, უმოწყალოდ
 მოსრე ყოველი ჩხვილი ბავშვიც. თვითონ სიბრალულს
 სახეში ურცხვად მიაფურთხე, თვალი და ყური
 ჯავშნით მოზღუდე, რომ როგორმე არ შეგეპაროს
 სულში კივილი ქალიშვილთა, დედათა, ჩხვილთა
 და არ შეძრწუნდე სიხლში მოსვრილ ქურუმის ნახვით.
 აჰა, ეს ოქრო შენს მეომრებს გამოადგება,
 ააწიოკე თვითეული, ხოლო როდესაც
 რისხვას დაიცხრობ, შენც გათავდი! ეხლა კი წადი!
 შენ კიდევ შეგრჩა ოქრო? კარგი, ოქროს მივიღებ,
 მაგრამ შენს რჩევას კი არაფრით.

ალკიზიადე.

ტიმონი.

ეც სულ ერთია,

მაინც დაგამხობს ცათა რისხვა.

ფრინიბ და

კეთილო ტიმონ,

ტიმანდრა.

ჩვენც დაგვირიგე რაღაც ოქრო, ხომ კიდევ დაგრჩა?

ტიმონი.

კიდევ მეყოფა დავავიწყო მეძავს ხელობა

და საროსკიპოს დიასახლისს — ქალების გარყვნა.

მაშ, აიწიეთ წინსაფრები, ფიცი არ მინდა,

თუმც ვიცი, ისე დაიფიცებთ, რომ უკვდავ ღმერთებს

ააკანკალებთ და ცას შეყრით ციებცხელებას,

არ მინდა ფიცი, თქვენს სიბილწეს უფრო ვენდობი,

მეძავად დარჩით სიკვდილამდე! თუ კაცი ვინმე

კეთილი იგულით შეეცდება თქვენს მორჯულებას,

უფრო იმრუშეთ, მოიტყუეთ ის კაციც, — დასწვით,

დე, კვამლი იგი შთანთქმას მერე ხანძარმა თქვენმა.

არ უღალატოთ თქვენს ხელობას, თუმცა სხვა სახის


გიხდებათ ჯაფაც წელიწადში ექვსი თვით მაინც —

როცა მკვდრის ბალნებს წაიმატებთ გაცვენილ თმაში,

არც ჩამოხრჩობილს არ იწუნებთ, ასეთი თმითაც

ყველას ატყუებთ, მეძავებო, საღებავებსაც

იმდენს იგოზებთ ნაოჭებზე, ცხენსაც ეყოფა.



ტიმანდრა და ფრინია. ტიმონი.

მოდი, შენ ოქრო გაიმეტე, ოქროს გულისთვის ყველაფერს ვიზამთ.

ამოართვით ქანცი და სიქა კაცებს ძვლებიდან, კვირისტავნი დაუდამბლავეთ. საპყრად აქციეთ. ჩაუხრინწეთ ხმა მოსამართლეს, რომ თაღლითობა და სიმრუდე არ გაამართლოს ორაზროვანი კალამბურით. შეჰყარეთ სენი ქურუმს, გვამს და ხორცს რომ აგინებს მუღამ და მაინც საკუთარ თავის რომ არ სჯერა, — პირდაპირ ბაყვზე დააკვრევიანეთ თხელი ცხვირი. გზა აუბნიეთ მას, ვინც პირადულ სარგებლობას მოელის ყველგან და მით სახალხოს ველარ ამჩნევს. გაამელოტეთ ხუჭუჭთმიანი ბანდიტები, ხოლო ბაქიებს, ომებს თავი რომ დააღწიეს ასე უვნებლად, დააწყევლიანეთ დაბადება, მოსრეთ ყოველი; დე, იავარჰყოს ძალგამ თქვენმა და მონდომებამ ცხოველმყოფელი სითხე მამრთა შემოქმედების. — მიიღეთ ოქრო, თქვენ სხვას სპობთ და ამან თქვენ

მოგსპობთ,

ჩაგნთქათ უძირო ორმოებმა!

ფრინია და ტიმანდრა. ტიმონი.

გულუხვო ტიმონ, რაც შეიძლება მეტი რჩევა და მეტი ოქრო! თქვენც უფრო მეტად იმრუშეთ და დასვარეთ ხალხი. ბე ხომ მოგეცით?

ალკიზიადე.

ათენისკენ! დაჰკარით დაფდაფს! მშვიდობით, ტიმონ, კიდევ გნახავ, თუ გამიმართლა! მეც თუ იმედმა არ მიმტყუნა, ვერასდროს გნახავ. შენდამი ცუდი არ მიმიძღვის!

ტიმონი. ალკიზიადე. ტიმონი.

შენ ხომ მაქებდი?!

ალკიზიადე. ტიმონი.

ცუდია ქება?

ალკიზიადე.

ცუდადა აქვთ კაცებს დაცდილი, წადი... ძაღლებიც თან წაასხი! მას მხოლოდ ზიზღს ვგვრით!

(ისმის დაფდაფების ხმა. გადიან ალკიზიადე, ფრინია და ტიმანდრა.)

ტიმონი.

კაცთა სიავით ძლეული ყმა, ბუნებავ, ნუთუ შიმშილმაც უნდა შეაწუხოს? დედაო ყოვლის,

(თხრის მიწას)

ვისი უძირო წიალი და ურიცხვი ძუძუ ჰბადებს და ჰკვებავს მირიადებს, ვისი ნიშატი წარმოაჩინებს ამათა და ამაყ კაცთა. ასევე შავ-შავ გომბეშოებს და ცისფერ ძლოკვებს, ოქროსფერ ხვლიკებს, უსინათლო მატლებს და ჭიებს,

გონჯსა და ბედითს ცის ქვეშ, სადაც ჰიპერიონის
 ბრუნავს ბორბალი, შვილნი შენნი ვინც მოიძულა,
 დედაო, მისთვის გაიმეტე ფესვი რამ მცირე!
 დაუსაბამოდ ხვავრიელმა მაგ შენმა საშომ
 ნულარ დაბადოს უმადური კაცი, არამედ
 ამრავლოს ვეფხვი, დათვი, მგელი და გველეშაპი,
 ზღვა ურჩხულების, აქამომდე რომ არ უნახავთ
 მაღალთა ცათა მარმარილოს სრა-სასახლეებს!
 და აი ფესვიც, დიდად გმადლობ! — მოახრიოკე
 ვენახები და მოთესილი ხოდაბუნები,
 რომელთა უხვი მონაგარით გამტყვრალი კაცი
 მსუყე ლუკმით და ქონით ზღუდავს გონებას თვისას,
 რათა დაჰკარგოს შიდა არსი, სიმაღლე, სიღრმე...


(შემოდის აპემანტუსი)

აპემანტუსი.

აქეთ სხვათა გამომავზავნეს,
 მითხრეს, რომ ჩემს გზას დასდგომიხარ და ჩემებრ ცხოვრობ.
ტიმონი. რამეთუ ბედკრულს არ გყავს ძალდი, რომ მას ძალღური
 მოეცა ჩემთვის მაგალითი, გაგიხმეს თავი!

აპემანტუსი.

გეტყობა, უცხო ბზიკმა რამემ გიკბინა გულზე,
 ბედმა გიმუხთლა — სულ ეს არის თურმე მიზეზი
 მაგ უჩვეულო მწუხარების. აქ ბარს რა უნდა?
 რამ გადმოგაგდო ამ მხარეში, ეს რა ჩაგიცვამს?
 რად შეფოთავ? ისევ ფარჩა ჰმოსავთ შენს მათმებელთ,
 კვლავ მხარეთეძოზე ღვინოს სმენ და არკი ახსოვხართ,
 თუ არსებობდი ქვეყანაზე. ნუ არცხვენ ტყეებს
 ლანძღვა-გინებით. გიჯობს თავად პირმოთნე გახდე
 და იმით ისევ ფეხზე დადგე, რამაც დაგლუბა.
ტიმონი. მოდრიკე მუხლი; მისმა ფშვინვამ, ვისაც დღეიდან
 მიულაქუცებ, დე, მოგხადოს თავიდან ქუდიც.
აპემანტუსი. ამ უგვანობას მასთან ქებაც უნდა შეასხა,
 ღირსებად უნდა ჩაუთვალო. შენც ხომ გაქებდნენ.
 და, ვით სასტუმროს მეპატრონე, შენც ხომ იწვევდი
 ყველა თაღლითს და მაწანწალას. თუ სიმართლე გსურს,
 ეხლა შენც უნდა ითაღლითო. და თუ გამდიდრდი,
 ისიც თაღლითებს დაურიგე. მე ნუ მედრები.
 თავს გავექცევი, მე რომ მართლა შენ დაგედარო.
ტიმონი. საკუთარ თავს ხომ უკვე ერთხელ გამოექეცი,
აპემანტუსი. გიჟი იყავი დღემდე, მაგრამ დღეს სულელი ხარ,
 მსახვრალი ქარი შენ მსახური ხომ არ გგონია,
 სველი ხალათი რომ გაგიშროს, ან ეს ხეები,
 არწივებიც რომ მოიჭამეს, იქნება გინდა
 შენს ბრძანებებზე მიწას მოწყდნენ, თუ ცივმა წყარომ
 გამხმარი ყელი ყოველ დილით უნდა დაგიღბოს,
 ანდა სიზანტე ჩამოგრეცხოს? იმიდი, მოუხმე



შიშველ არსებებს, ცათა ჯიბრზე რომ აზიდულან,
სეტყვისთვის თავი წაუხრიათ, გრიგალს უძლებენ
და მსაინც ბედს არ ემდურებიან; მიიდი, მოუხმე,
მოგელაქუცონ, მაშინ ნახავ...

ტიზონი.

რომ სულელი ხარ.

მომწყდი!

აკვანთუსი.

მიყვარხარ უფრო მეტად, ვიდრე მიყვარდი.

ტიზონი.

მე უფრო მეტად მეზიზღები.

აკვანთუსი.

რატომ, ნეტავი?

ტიზონი.

ელაქუცები სიღარიბეს.

აკვანთუსი.

მე არ ვლაქუცობ,

მე მხოლოდ იმას გეტუბნები, რომ მშიშარა ხარ.

ტიზონი.

რად წამოხვედი ჩემს საძებრად?

აკვანთუსი.

მსურს გაგაბრაზო.

ტიზონი.

ეს ხომ სულელთა და თაღლითთა საქმეა მხოლოდ.
შენც გსიამოვნებს, როგორც გატყობ?

აკვანთუსი.

აუცილებლად!

ტიზონი.

მაშინ შენც კარგი არამზადა ყოფილხარ!

აკვანთუსი.

შენ კი

მართალი მაშინ იქნებოდი, ეს ცივი ძონძი
რომ სიამაყის დასათრგუნად ჩაგეცვა მხოლოდ.
მაგრამ თავს ძალას ატან, რადგან, ესეც რომ არა,
ისევ მფლანგველი იქნებოდი. ნამდვილ გლახას კი
სულ არ იტაცებს წარმავალი დიდება. იგი
ნიადაგ იღებს სიკვდილამდე და არ ივსება.
ხოლო მდიდარი შვებისა და ლხენის გარეშე
უმწეოა და იტანჯება უფრო უმეტეს,
ვიდრე გლახაკი კმაყოფილი. გიჯობს შენც მოკვდე,
ვიდრე ცოცხლობდე ასე საწყლად და სავალალოდ.
ამას შენ ამბობ, ჩემზე უფრო საწყალი, ვისაც
ბედის ღიმილი არასოდეს არ გღირსებია,
რაც თავი მახსოვს, ძალად ცხოვრობ; შენც რომ თავიდან
მიგელო შვება, რასაც ჩვენი ხანმოკლე ყოფა
ანიჭებს მოკვდავს, ან ნებისად რომ მოგეწოვა
მისი ფუმფულა ძუძუები, ამ გარყვნილებას
ვერ დააღწევდი თავს ველარც შენ და სიყრმე შენი
გაგიდნებოდა სარეცლებზე და ვერასოდეს
ვერ მიაგნებდი მაგ გაყინულ კანონს, არამედ
ილტვოდი ძებნად ისევ ტკბობის. ჩემთვის ცხოვრება
საშაქარლამოს უფრო ჰგავდა, — ათასი პირი,
თვალი თუ ენა და გულიც კი შემომცქეროდა
და მეც ვცდილობდი სამუშაო მეძებნა მათთვის,
მე, როგორც მუხას, ფოთლებივით მესხა ისინი,
მაგრამ ზამთარმა პირველსავემ ძირს ჩამოყარა
და ასე შევრჩი ტანშიშველი და გაძარცვული

ტიზონი.

ყველა ქარიშხალს. რაკი კარგი მახსოვს მარტოდენ,
 ასეთი ყოფა ცოტა მიჭირს, შენ კი თავიდან
 ტანჯვით დაიწყე ეს ცხოვრება და გამოგაწრთო
 ეგოდენ ურვამ. ჰოდა, მიკვირს, რად მოიძულე
 ძე-კაცი, როცა არც კი იცი მისი ლაქუცი?
 არ მიგიცია მისთვის გროში! თუ წყევლა გინდა,
 პირველად შენი მაწანწალა მამა დაწყევლე, —
 მათხოვარ ქალთან რომ იცხოვრა და გაგაკეთა
 ქვეყნის მასხარა! აბა, ჩქარა, თავიდან მომწყდი!
 თუ რომ ყველაზე ნაძირალა კაცი არ იყო,
 შენც იქნებოდი პირმოთნე და თაღლითი ალბათ.
 დღემდე ამაყოფ?

აპემანტუსი.

ტიმონი.

აპემანტუსი.

ტიმონი.

ჰო, ვამაყოფ, შენ რომ არ გგავარ.
 მე კი ვამაყოფ, ბედოვლათი რომ არ ვყოფილვარ.
 მე კი, პირიქით, დღემდე მიყვარს ბედოვლათობა,
 მაგრამ გვამში რომ ჩაგემალა ჩემი სიმდიდრე,
 ჩამოსახრჩობად მე შენ მაინც გაგიმეტებდი.

(ფესვს ამოიღებს)

მთელი ათენი აქ რომ იყოს გამომწყვდეული,
 გადავსანსლავდი აი ასე! (ჭამს ფესვს.)

აპემანტუსი.

მოდი, გიშველი

მაგ ღრეობაში.

ტიმონი.

(ფესვს გაუწვდის.)

ჯერ იმაში უნდა მიშველო,
 რომ ტყიდან მალე წაეთრიო.

აპემანტუსი.

ჩემს თავს ვუშველი,
 შენ თუ მოგშორდი.

ტიმონი.

ჰაი, ჰაი, რომ ვერ უშველი,
 მხოლოდ დაღუპავ, თორემ ეგ ხომ მეც გავიფიქრე.

აპემანტუსი.

ტიმონი.

შენ ის მითხარი, ათენელებს რას უსურვებდი?
 გადაუარე დამყაყებულ ქალაქს ქარიშხლად,
 ისიც უთხარი, რომ ოქრო მაქვს. აი... ხომ ხედავ?
 ფასი არა აქვს ტყეში ოქროს.

აპემანტუსი.

ტიმონი.

მით უკეთესი,
 აქ კარგად ძინავს, ბოროტებას არვის უქადის.
 თვითონ სად გძინავს ღამით, ტიმონ?

აპემანტუსი.

ტიმონი.

მალალი ცის ქვეშ,
 შენ სად პოულობ, აპემანტუსს, ლუკმაპურს დღისით?
 სადაც ხორცს შევჭამ.

აპემანტუსი.

ტიმონი.

რა კარგი იქნება, მხამნა რომ დამიჯეროს, ანდა გულისთქმას
 მაინც მიმიხვდეს.

აპემანტუსი.

ტიმონი.

საინტერესოა, ვისკენ წარმართავდი.
 საწებლად გამოგიგზავნიდი სადილზე.

აკვანთუსი.

ცხოვრებაში საშუალოს ვერ გრძნობდი: მხოლოდ მის უკიდურესობებს იცნობდი, როცა ყელამდე ოქროში იჯექი და ნელსაცხებლებით სული გეხუთებოდა, ყველა შენს უცნაურობას დასცინოდა. ხოლო ამ ძონძებში თავიც კი დაგავიწყდა და ეხლა შენს სიგიჟეს დასცინის ხალხი. აი, ზღმარტლი, ზღმარტლი მაინც ჭამე.

ტიმონი.

რაც მეზიზღება, იმას არ ვჭამ.

აკვანთუსი.

ზღმარტლი გეზიზღება?

ტიმონი.

ჰო, თუმცა შენ ჩამოგგავს.

აკვანთუსი.

შენ რომ აქამდე შეგზიზღებოდა მლიქვნელების ენის სხმარტალი, დღეს საკუთარი თავი უფრო გეყვარებოდა. სად გინახია, ბედოვლათი მერე უყვარდეთ, როცა მთელ სიმდიდრეს დაანიავებს?

ტიმონი.

შენ კი გინახია, რომ კაცი ყველა იმ სიმდიდრის გარეშე უყვარდეთ, რაზედაც ეხლა შენ ლაპარაკობ?

აკვანთუსი.

თვითონ ვარ ასეთი კაცი.

ტიმონი.

აჰა, გასაგებია: შენ იმდენი გაქვს, რომ ძალის შენახვა შეგიძლია.

აკვანთუსი.

საინტერესოა, შენს მლიქვნელებს ქვეყანაზე ვის მიაღარებდი. ყველაზე უფრო ქალებს. ხოლო კაცები, კაცები ხომ თვითონ არიან მლიქვნელები. რას უზამდი ქვეყანას, აკემანტუსს, ყოველივე რომ ხელგეწიფებოდეს?

ტიმონი.

მხეცებს დავუთმობდი, რათა კაცთაგან გამეთავისუფლებინა. ადამიანებთან ერთად შენც გინდა მოკვდე და მხეცთა შორის მხეცად დარჩე?

აკვანთუსი.

ჰო, ტიმონ.

ტიმონი.

აი, მხეცის პატივმოყვარეობა! გისმინონ ღმერთებმა! შენ რომ ლომი იყო, მეღია მშრალზე დაგსვამდა აუცილებლად. ბატკნობას თუ მოისურვებდი, მგელი შეგჭამდა. მგელი რომ ყოფილიყავი, ლომი ეჭვის თვალით დაგიწყებდა ყურებას, თუ, დავუშვათ და ვირს შემოეტანა შენზე საჩივარი. ვირად რომ ქცეულიყავი, შენივე სიჩლუნგე დაგტანჯავდა და ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ იცხოვრებდი, რომ მგლის კერძი გამხდარიყავი. ხოლო მეღია რომ ყოფილიყავი, სიხარბე არ მოგასვენებდა და ლუკმისათვის თავს წააგებდი. მარტორქობას თუ მოინდომებდი, სიამაყე და სიბრაზე დაგლუპავდა და შენივე ბოროტების მსხვერპლი გახდებოდი. დათვი რომ ყოფილიყავი, ცხენი მოგკლავდა. ცხენი რომ ყოფილიყავი, ავაზა დაგიჭერდა. ავაზა რომ ყოფილიყავი, ვეფხის ახლობელიც იქნებოდი. ხოლო ეგ ნათესაური კავშირი კი კისერს მოგატეხინებდა ერთ მშვენიერ დღეს და ხსნას მხოლოდ ნიადაგ ლტოლვაში იპოვიდი, ანუ იმით დაიცავდი თავს, რომ აღარ იქნებოდი. ისეთი რა მხეცი უნდა გახდე, რომ ისევ მხეცს არ ემორჩილებოდე? ან ეხლაც როგორი მხეცი უნდა იყო, რაკი არ გესმის, რას ნიშნავს ასეთი გარდაქმნა?

აკვამანტუსი. აი, ეხლა კი მომწონს შენი ლაპარაკი. ათენი მართლაც ტყეს ჰგავს, მხეცებით სავსეს.

ტიმონი. მაშინ ერთ ვირს გამოუმტვრევია ქალაქის კედელი. შენ ხომ აქა ხარ ეხლა?

აკვამანტუსი. აქეთ მხატვარი და პოეტი მოდიან. შავი ჭირივით გეტაკოს მათი სტუმრობა. მიეშინია, მეც არ გადამედოს და იმიტომაც მივდივარ. როცა საქმე რამ აღარ მექნება, ისევ მოგაკითხავ.

ტიმონი. თუკი ცოცხლებიდან მარტო შენლა გადარჩები, მაშინ კეთილი იყოს შენი მოსვლა. მათხოვრის ძაღლობა მირჩევნია აპემანტუსობას.

აკვამანტუსი. სულელთა შორის უმთავრესი შენ ხარ ნამდვილად.

ტიმონი. იმდენად სუფთა მაინც იყო, რომ შეგაფურთხო.

აკვამანტუსი. შენ ისე ყარხარ, რომ აღარც ღირს შენი დაწყევლა.

ტიმონი. შენთან ყოველი გაიძვერაც კი წმინდანია.

აკვამანტუსი. ამქვეყნად კეთრი შენს ლაპარაკს მოჰყვება თურმე!

ტიმონი. მაშინ, როდესაც შენ გახსენებ. გცემდი კიდევაც, მაგრამ ხელები დამილპება.

აკვამანტუსი. ბარემ ენითაც დაგიწყევლიდი ხელებს!

ტიმონი. წადი, შე ძაღლისშვილო! სიბრაზე მახრჩობს, ამ მიწაზე შენც რომ დადიხარ, გული მერევა, შენ რომ გხედავ!

აკვამანტუსი. გასკდი მუცელზე!

ტიმონი. ქვა მენანება, რომ გესროლო! მომწყდი, ტუტუცო!
(ესგრის ქვას.)

აკვამანტუსი. მხეცო!

ტიმონი. მასხარავ!

აკვამანტუსი. ფუ! გომბეშო!


ტიმონი. უ, შე რეგვენო!

(აკვამანტუსი უკან-უკან იხევს.)

ტიმონი. დამასნეულა ამ სოფელმა. აღარ ვესწრაფი მისგან არაფერს გარნა მხოლოდ არსობის ლუკმას, მაშ, სამარესაც, ტიმონ, ეხლავ ამოითხრიდე იქ, სადაც მუდამ ზღვა მოგახლის ქაფქაფა ტალღებს. ეპიტაფიაც განიმზადე, სიკვდილი შენი დე, დასცინოდეს ყველა ცოცხალს, მიწაზე შთენილს.

(უყურებს ოქროს.)

ჰა, სანუკვარი მეფის მკვლელი. ჰოი, ძვირფასო, გამყრელო შვილთა და მამათა. წმინდა სარეცლის უბრწყინვალესო შემბლალველო! მამაცო მარსო! მიწყვიე მოხუცო და ჭაბუკო, ტკბილო არშიყო, უმანკო თოვლს რომ ჩამოუდნობ დიანას მუხლზე ამ სუსტი ბზინვით, ჭეშმარიტად ხილულო ღმერთო,



ერთმანეთში რომ ანაწევრებ შეურიგებელს,
ვინც ყველაფრისთვის ლაპარაკობ ყველა ენაზე,
ვინც გულებს რეკავ! ვთქვათ და, შენი მონა-ყმა ხალხი
აჯანყდეს, რადგან ძალმა შენმა უხვად მოთესა
მტრობა და შუღლი კაცთა შორის, და მაშინ გინძლო
დაეპატრონონ ამ ქვეყანას მხეცები!

აკემანტუსი.

დაე,

აგიხდეს სიტყვა, ოღონდ როცა გარდაიცვლები!
მე ყველას ვეტყვი, ოქრო რომ გაქვს და მოგაწყდება
მალე ზღვა ხალხი!

ტიმონი.

მომაწყდება მალე ზღვა ხალხი?

აკემანტუსი.

დიახ!

ტიმონი.

გაბრუნდი, გევედრები!

აკემანტუსი.

მიდი, იცხოვრე,

მუდამ გიყვარდეს სიღარიბე!

ტიმონი.

შენც შენით მოკვდი!

ბარი ბარში ვართ! (აკემანტუსი გადის.)

ტიმონი.

აჰა, ისევ კაცთა სახება!

ჭამე, ტიმონ, და მოიძულე. (შემოდის ქურდები.)

I ჭურდი.

საიდან უნდა ჰქონდეს მაგას ოქრო? ალბათ ძველი ქონებიდან
რალაც ნაწილი და ორიოდე ცროში თუ შემორჩა, იმიტომ
არის ასე დამწუხრებული — მეგობრები სულ ჩამოშორდნენ
და აღარც ოქრო შერჩა.

II ჭურდი.

რა ვიცი, განგაში ატეხეს, მთელი განძი აქვსო.

III ჭურდი.

ეხლავ შევამოწმებთ. თუ მართლა აღარაფრად აგდებს ოქროს,
უთქმელადაც მოგვცემს. მაგრამ თუ იძუნწა, მაშინ რას
შვრები?

II ჭურდი.

თან არ უნდა ატარებდეს ოქროს, სადღაც ექნება დამალული.

I ჭურდი.

ალბათ ეს უნდა იყოს.

ჰველანი ერთად.

სად არის?

II ჭურდი.

გარეგნობით მართლაც ჩამოჰგავს.

III ჭურდი.

ის არის, ის. ვიცნობ.

ჰველანი ერთად.

გამარჯობა, ტიმონ.

ტიმონი.

რაო, ქურდებო?

ჰველანი ერთად.

ქურდები კი არა, ჯარისკაცები ვართ.

ტიმონი.

ერთნიც და მეორენიც. და კიდევ ქალების ნაშიერებიც ხართ.

ჰველანი ერთად.

ქურდი კი არა, სულს ძლივს ვითქვამთ გაჭირვებისგან.

ტიმონი.

თქვენი ნამდვილი გაჭირვება შიმშილი არის.

თავს რად იჭირვებთ, ბლომად ყრია მიწაში ფესვი,

აქ ახლომახლო ასი წყარო მაინც გადმოჩქეფს,

ხეს რკო მოუსხამს, ძეძვს ასხია წითლად ასკილი.

ბუჩქებზე სუფრა გაუშლია გულუხვ მასპინძელს —

დედაბუნებას. რად იჭირვებთ? რამ გაგიჭირვათ?

I ჭურდი.

ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ წყლით და კენკრით, ანდა ბალახით,

როგორც ჩიტები, მხეცები და თევზები ცხოვრობს.

ტიმონი.

თქვენ ვერც მხეცებით, ჩიტებით და თევზებით გასძლებთ, კაცებიც თუ არ მიატანეთ. მე მაინც გმადლობთ, რადგან აშკარად მოღვაწეობთ და საქურდავად წმინდანის სახე არ გჭირდებათ — დანარჩენ ქურდებს თვით კანონები მთარველობენ — აჰა, ქურდებო, ოქრო! წადით და ვაზის ლერწი იქამდე წუწნეთ, ვიდრემდის სისხლს არ აიქაფებთ, ვინძლო სიგიჟით სახრჩობელებსაც გადაურჩეთ! ექიმთ არ ენდოთ, მოიწამლებით მათი წამლით. ისინი ჰკლავენ უფრო მეტს, ვიდრე თქვენ იპარავთ: წაგლიჯეთ ყველას სული და ფული! ყველაფერი შრომა და გარჯა, ანუ ხელსაქმე იყოს მხოლოდ ძალმომრეობა, უამრავია მაგალითი ყვლეფა და გლეჯვის: მზეც ხომ ქურდია — უზარმაზარ ოკეანეებს ძარცვავს თავისი მხურვალეებით, მთვარეც უტიფრად იპარავს მზისგან მიმქრალ სხივებს და ოკეანეც მთვარეს ტალღებში მარილიან ცრემლებად აღნობს. იმათ არც მიწა ჩამორჩება, იგი ხომ ნაყოფს გვაძლევს მოპარულ კურკლიდან და სკინტილიდან მხოლოდ. ყველა ქურდია: აღვირად რომ ქცეულან თქვენთვის, თვით კანონებიც უმოწყალოდ ქურდობენ; გასწით, ერთად იქურდეთ, ერთმანეთსაც ნულარ დაინდობთ! აჰა, ეს ოქროც! გამოჭერით ყელი თვითეულს, ესტუმრეთ ათენს, გზაზე მხოლოდ ქურდებს შეხვდებით, გატეხავთ დუქნებს და გაზიდავთ ქურდის ნაქურდალს. არ იზარმაცოთ, რაკი ოქროს უშრომლად გაძლევთ და ბოლოს მაინც ისევ ოქრომ გაგანადგუროთ! ამინ!

(შედის გამოქვაბულში.)

III ქურდი.

I ქურდი.

II ქურდი.


I ქურდი.

ამ წაქეზებით მაგან ჩემს ხელობას მარიფათი დაუკარგა. ტიმონს ადამიანების სიძულვილი უფრო ალაპარაკებს; აბა, მართლა ჩვენი იღბალი კი არ აინტერესებს. გინდა მაგისტვის გიგდია ყური და გინდა მტრისათვის. მაგრამ მაინც დავუჯერებ და ქურდობას თავს დავანებებ. მოდი, ჯერ იმას დაველოდოთ, სანამ ათენში ყველაფერი არ მიწყნარდება. არასოდეს არ დგება ისეთი უმწეო დრო, რომ კაცს არ შეეძლოს პატიოსანი იყოს.

(გადიან ქურდები. შემოდის ფლავიუსი.)

ფლავიუსი.

ჰოი, ღმერთებო, ასე მწირი და უბადრუკი ნუთუ ეს ჩემი ბატონია? როგორ შეცვლილა! ვით დაცემულა ძეგლი იგი, ქველმოქმედება ბოროტებად რომ მიუთვალეს?! რარიგ გამკრთალა ის დიდებული ბრწყინვალება სილატაკეში.



რა უმსგავსოა, მეგობრებმა ასე გაგწირონ და ერთ დროს ყოვლად ღირსეული გყონ სამარცხვინო. უცნაურია, დრო უკულმა დაბრუნებულა: უნდა გიყვარდეს მტერი თურმე შენ უნებურად. მე მტერს და ასპიტს ავირჩევდი, მზაკვარს და ბოროტს, ვიდრე მას, ცალყბად სიყვარული რომ ძალუძს მხოლოდ. მან თვალი მომკრა! ჩემს მბრძანებელს ჩემს გულისწუხილს მივალ და ვეტყვი, სიკვდილამდე მისი მსახური ვიქნები ისევ... საყვარელო ჩემო ბატონო!

(ტიმონი გამოდის გამოქვაბულიდან.)

ტიმონი.

შორს ჩემგან! ანდა ვინა გდიხარ?

ფლავიუსი.

მაშ, დამივიწყეთ?

ტიმონი.

მაგას რად მკითხავ? დამავიწყდა ყოველი კაცი, შენ თუ კაცი ხარ, არც შენ გიცნობ.

ფლავიუსი.

შენი ერთგული

პატიოსანი მსახური ვარ.

ტიმონი.

ჰოდა, არ გიცნობ.

მე არც მყოლია კაცი — ვინმე პატიოსანი, მე გაიძვერებს ვინახავდი, რომ ნადიმებზე თაღლითებისთვის ემსახურათ.

ფლავიუსი.

ცაა მოწამე —

თავის ბატონის უბედობით ჯერ არცერთ მსახურს არ დასწყვეტია, ვიცი, გული, ვით მე ესოდენ.

ტიმონი.

რაო, ტირიხარ? — ახლო მოდი, მე შენ მიყვარხარ, რაკი ქალი ხარ და არ გავხარ გულქვა მამაკაცს, — მათ ხომ ხარხარში ან უზომო ვნებაში მხოლოდ მოცვივათ ცრემლი, — არა, მართლაც გასაკვირია, ლხინში ცრემლს ღვრიან და წუხილში რომ არ სტირიან!

ფლავიუსი.

უმორჩილესად გევედრები, ბატონო ჩემო, ჩემი წუხილი ყურად იღო და სანამ ფული გამწვდება, მანამ გემსახურო კვლავინდებურად.

ტიმონი.

ჩემი ერთგული ნუთუ მართლა მყავდა მსახური? თან მანუგეშებს?! ჩემი ავი ზნე და ნიშატი ლამის კეთილად მოაქციოს. ახლო მოიწი, კარგად შეგხედო! — ჭეშმარიტად შენც ქალს უშვიხარ — თქვენ მომიტევეთ, ნირუცვლელო ღმერთებო, ჩემი გულის სიფიცხე, უსაზღვრო და დაუცხრომელი. პატიოსანი კაცი ქვეყნად თურმე ყოფილა, თუმც მხოლოდ ერთი! მერე ისიც ჩემი მეურვე! რარიგ მწყუროდა მომეძულა მთელი ქვეყანა და ჰა, მან ერთმა თავი თვისი გამოისყიდა, მაგრამ დანარჩენთ არ მოვაკლებ წყევლას და კრულვას, პატიოსანი უფრო ჩანხარ, ასე მგონია, ვიდრე ჭკვიანი. ლალატით და გაიძვერობით

ფლავიუსი.

სხვა სამსახურსაც იშოვნო. მეორე ბატონს
პირველის ქედზე დასკუბული ბევრი ხლებია;
შენ ის მითხარი, თუმც ცხადია, მე მაინც ვეჭვობ,
მზაკვრობაც ხომ არ ურევია სიკეთეს შენსას,
სიხარბემ ხომ არ დაგაბრმავა იმ მდიდარივით,
რამეს რომ გასცემს და ოცმაგად რომ გამოელის.
რას ბრძანებთ, ჩემო ღირსეულო ბატონო! ანდა
იჭვს თქვენი გული ეს რა გვიან მოჰგონებია!
თქვენ ორგულობა უნდა გეგრძნოთ ნადიმების დროს,
იჭვმა კი აჰა, ღარიბსა და ლატაკს მოგისწროთ.
ცაა მოწამე, სიყვარული მალაპარაკებს,
თქვენს უმწიკვლო სულს მსურს ნიადაგ რომ ვუერთგულო
და დღიურ თქვენთვის საარსებო პურზე ვიზრუნო.
მერწმუნეთ, ჩემო ღირსეულო ბატონო, ჩემს ბედს
და იღბალს, რაც მე გამაჩნია, რაც შემეტება,
იმ ერთ სურვილში გადავცვლიდი, რომ კვლავ გამდიდრდეთ
და გაძლიერდეთ, ვინძლო ჩემი ერთგულებისთვის
მე საკადრისი საზღაური მომაგოთ მაშინ.

ტიმონი.

კმარა, გეყოფა, — ერთადერთი ერთგული კაცი,
აჰა, წაიღე — ამ განძს ჩემი სილატაკიდან
დიდი ღმერთები გიგზავნიან! წადი, იცხოვრე,
ოლონდ ყოველმხრივ განერიდე ადამიანებს
და წყევლა-კრულვას ნუ მოაკლებ, ნუ შეიბრალებ,
ვიდრე ხორცში არ გამოჩნდება ძვლების სიმკრთალები,
მანამდე ნურვის განიკითხავ. — ძაღლებს მიუგდე,
რასაც მათხოვრებს დაუკავებ, ციხეში გაწყდნენ,
ვალებში ჩაკვდნენ, დაემსგავსონ გაძარცვულ ტყეთა,
მერე ჭირმა ჰყოს მათი სისხლის ნიადაგ ღვეთა!
იყავ მშვიდობით, გამარჯვებით გევლოს!

ფლავიუსი.

ბატონო,

ტიმონი.

ნება მომეცით დავრჩე თქვენთან თქვენდა ნუგეშად.
შენს თავს უშველე, ნუ დარჩები, წყევლა თუ გაკრთობს,
ნულარ შენახო, შენც გეცხოვროს ამქვეყნად მარტოს!

(სხვადასხვა მხარეს გადიან.)

მოქმედება V


სცენა I

ტიმონის გამოქვაბულთან

შემოდინ პოეტი და მხატვარი. ტიმონი მათ გამოქვაბულიდან უთვალთვალეს.

მხატვარი.

როგორც გადმომცეს, მგონი, შორს აღარ უნდა იყოს აქედან
მისი ბინა.



პოეტი. სიმართლე მაინც ვერ გავიგეთ. ხალხის მითქმა-მოთქმას თუ დავუჭერებთ, ტიმონი ოქროში უნდა ცურავდეს.

მხატვარი. ეჭვიც არ უნდა შეგეპაროს. განა თვითონ ალკიბიადემ არა თქვა? ფრინიამ და ტიმანდრამ მისგან პირადად მიიღეს ოქრო. მაწანწალა ჯარისკაცებსაც იგივე ებოძათ. ამბობენ, თავის მნესაც აურაცხელი სიმდიდრე გადასცაო.

პოეტი. მაშინ თავის გალატაკება ტიმონს მეგობრების გამოსაცდელად მოუგონებია მხოლოდ.

მხატვარი. რასაკვირველია. აი, ნახეთ, თუ ისევ ათენში არ დაბრუნდეს, ისევ პალმასავით გაიშლება და აყვავდება. სწორედ ამიტომ, მართლაც რომ კარგად მოვიქცევით, თუ აქედანვე, გაჭირვებაშივე დავუმტკიცებთ ტიმონს ჩვენს ერთგულებას. მაშინ ჩვენს პატიოსნებას წყალი არ გაუვა და ჩვენი ქისაც იმით ამოივსება, რისთვისაც ასე იღწვიან დანარჩენები, თუ, რა თქმა უნდა, ეს მითქმა-მოთქმა სიმართლეს შეეფერება.

პოეტი. ამჯერად რა უნდა მიართვათ ტიმონს?

მხატვარი. დღეს მხოლოდ კეთილად მოვიკითხავ, ისე კი მშვენიერ სურათს შევპირდები.

პოეტი. მეც ასე უნდა მოვიქცე, ვეტყვი, დიდ ნაწარმოებს ვწერ-მეთქი თქვენზე.

მხატვარი. მშვენიერია! დღეს ხომ ყველა დაპირებებით ცხოვრობს, დაპირება თვალს უხელს მოლოდინს. აღსრულებას კი, მე თუ მკითხავ, გემო არა აქვს. მას მხოლოდ მდაბიო ხალხში აქვს გასავალი. დაპირებას დიდებულების ელფერი მოსავს, აღსრულება კი ალექსის უხეირო დასტურია, რომელიც აღმთქმელის გონებაჩლუნგობაზე მეტყველებს.

ტიმონი. დიდებულო მხატვარო! შენზე უარეს კაცს შენ ვერ დახატავ!

პოეტი. მე ის მაფიქრებს, რა ვუთხრა, როგორ ნაწარმოებს ვწერ-მეთქი. იგი აუცილებლად თვითონ მასვე უნდა გამოხატავდეს და სატირას უნდა წარმოადგენდეს ზედმეტი ფუფუნებისა. ამასთანავე კარგად უნდა ჩანდეს ის ფარისევლობა და პირ-მოთნეობა, რაც ახალგაზრდობასა და სიმდიდრეს სჩვევია.

ტიმონი. თურმე შენივე თაღლითური ზნის გამომზეურება მოგდომებია. შენი მანკიერება სხვა ადამიანებში გინდა გაამატრახო. კეთილი, როგორც გენებოს, საამისო ოქროც მაქვს.

პოეტი. მაშ, რაღას ვუცდით, მოდით, ჩქარა შევუდგეთ ძებნას, ჩვენი ბედის და ჩვენი იღბლის წინაშე ვცოდავთ ყოველთვის, როცა ვიგვიანებთ ბევრად თუ ცოტად.

მხატვარი. შენ მართალი ხარ, დღის წყალობა რაკი გვეძლევა, მზეში ვეძებოთ, მალე ბინდი წამოგვეწევა.

ტიმონი. გზის მოსახვევში შემოგხვდებით. ღმერთი ყოფილხარ, ოქროვ, რომელსაც თაყვანს გცემენ ისეთ ტაძარშიც, სადაც ღორები ნაყრდებიან. ეს მხოლოდ შენ ხარ, გემს რომ ამგზავრებ და ვრცელ ზღვებში ხნულებს რომ ავლებ.

კრძალვით და რიდით რომ განმსჭვალავ უმწეო მონას.
დე, მუდამ ასე გაღმერთებდნენ! ხოლო შენს მსახურთ,
მათ, ვინც ნიადაგ თაყვანს გცემენ, ჭირი მუსრავდეს,
ეხლა კი დროა დავენახვო. (გამოდის.)

პოეტი.

სალამი, ტიმონ!

მხატვარი.

შენ, ჩვენო ძველო მწყალობელო, პატრონო ჩვენო!
ნუთუ ამი დღესაც მოვესწარი წუთისოფელში,
ორი სპეტაკი კაცი ვნახო?

ტიმონი.

პოეტი.

ო, ძალზე ხშირად

თქვენი წყალობა გვიგემნია, და როს გავიგეთ,
ვით განერიდეთ კაცთა მოდგმას, როგორ დაგშორდნენ
მით უმადური მეგობრებიც — უგვანო კაცნი!...

ცის ყველა რისხვა თქვენ ჯერ კიდევ არ მოგწვდენიათ!
დაგშორდნენ! შენი სათნოება მნათობთა დარად
მათ ხომ ცხოვრებას ანიჭებდა? სიბრაზე მახრჩობს,
რომ ამ საოცრად უსაშველო უმადურობას
ვერც ერთი სიტყვა ვერ ჩავაცვი.

ტიმონი.

დე, შიშვლად დარჩეს,

მით უფრო მკვეთრად შეიგრძნობენ; პატიოსანო,
შენ იმად დარჩი, რაც ხარ, რათა შენგნით იხილონ
ჭეშმარიტება და სიმართლე.

მხატვარი.

მეც მასთან ერთად

შენი წყალობის ნიაღვარში ამოვლუმპულვარ.

ტიმონი.

პატიოსნები უნდა ჩანდეთ.

მხატვარი.

გვსურს გემსახუროთ.

ტიმონი.

პატიოსანნო! საზღაურად მე რა მოგაგოთ!

ჩემებრ თქვენც ფესვებს ხომ ვერ დახრავთ, ცივ წყალს ვერ
დალევთ?

ორივენი.

ყველაფერს ვიზამთ, რაც კი ძალგვიძს, რომ გემსახუროთ.

ტიმონი.

პატიოსანო კაცნო! ალბათ თქვენც გაგიგიათ,

მე რომ ოქრო მაქვს, აღიარეთ, პატიოსანნო.

მხატვარი.

დიახ, ამბობენ, მაგრამ მამრო კეთილშობილო,
ოქროს გულისთვის არ გხლებივართ.

ტიმონი.

პატიოსანნო!

(მხატვარს) საუკეთესო მხატვართ შორის შენ ხარ ათენში!
ო, ჭეშმარიტად შენ ხარ! შენ ხომ ყველაზე ცოცხლად
ხატავ!

მხატვარი.

ისე რა, არა უშავს.

ტიმონი.

შენ ხატავ-მეთქი,

(პოეტს) ხოლო შენს ლექსზე თუ რამ ითქმის, იგი ესოდენ
ლამაზია და ნატიფია, რომ ლექსში უფრო
ბუნებრივი და მართალი ხარ; მაგრამ ორივეს
ამ სიკეთესთან ერთად, ძმანო, გამოგიტყდებით,
ერთი ნაკლიც გაქვთ, თუმც საშიში არ არის იგი
და არც მე მინდა, თქვენ რომ ამად თავი მოიკლათ.



ოკრივენი.

ო, ჩვენც გვაუწყეთ, გევედრებით ორთავ მუხლმოყრით. ვინძლო აუგად მიმითვალთ?

ტიმონი.

მადლს მოგახსენებთ.

ოკრივენი.

მართლა?

ტიმონი.

ორთავე სიტყვას გაძლევთ.

ოკრივენი.

ჰოდა, ორთავე

ტიმონი.

ერთ სალაზანას მინდობიხართ, ვინც დღენიადაგ უღმრთოდ გატყუებთ.

ოკრთავე.

ნუთუ მართლა?

ტიმონი.

ორთავე ერთად

იმის ცთუნებებს აყოლიხართ, მის უგვანობას უყურებთ, უმზერთ მის სიტლანქეს და მაინც გიყვართ, სისხლით აპურებთ და საკუთარ გულით ატარებთ, ის კი პირწმინდა თაღლითია!

მხატვარი.

მე ასეთს არვის

არ ვიცნობ.

პოეტი.

არც მე.

ტიმონი.

მეგობრებო, მე თქვენ მიყვარხართ, ოქროსაც მოგცემთ, განერიდეთ ოღონდ თაღლითებს, მოსპეთ ისინი, ჩამოახრჩვეთ, მოაშთვეთ ხრამში, რაღაც იღონეთ, ხოლო მერე მოდით და ოქროს თავსაყრად მოგცემთ.

ოკრივენი.

გვარქვი მათი სახელი მაინც.

ტიმონი.

შენ იმ გზით წადი, შენ კი — ამ გზით, თუმცა ცალცალკეც ორი იქნებით, თითო-თითოდ განმარტოებულთ მეგობრად მაინც შემოგრჩებათ არქი-თაღლითი.

(მხატვარს პოეტზე მიუთითებს.)

ნუ მიხვალ მასთან, თუ გინდა, რომ ერთუროს არ შეხვდეს ორი თაღლითი.

(პოეტს მხატვარზე მიუთითებს.)

ხოლო შენ თუ ერთი თაღლითი ორს გირჩევნია, ნურც შენ მიხვალ, ეხლა კი გასწით.

(სცემს ორივეს.)

მიიღეთ ოქრო, თქვენ ხომ მისთვის მოხვედით მხოლოდ, თქვენ ხომ ეგოდენ გაისარჯეთ, ჰა, საზღაურიც! ალქიმიკოსნო, ამ მუშტებშიც ჰპოვებდეთ ოქროს! გასწით, ბინძურო ქოფაკებო!

(გადის.)

იგივე. შემოდის ფლავიუსი და ორი სენატორი.

ფლავიუსი.

ტიმონთან ყველა ლაპარაკი დღეს ამაოა, იგი იმდენად განმარტოვდა საკუთარ თავში, რომ საკუთარი თავის გარდა ყოველი კაცი მტრად მიაჩნია.

I სენატორი.

მიგვიყვანე მღვიმესთან მხოლოდ, აუცილებლად უნდა ვნახოთ, — ჩვენ ათენელებს სიტყვა მივეციოთ.

II სენატორი.

ვერ იქნება ძე-ხორციელი მუდამ იგივე, დრომ კვიმატმა და მწუხარებამ იგი ამ დღეში მოაქცია. და კვლავ დრო აქცევს ძველებურ კაცად თვისის ხელით ულამაზესით, როცა მიაგებს მას ძველებურ დიდებას ისევ. შენ მიგვიყვანე. მოსახდენი მოხდეს.

ფლავიუსი.

ჰა, მღვიმეც — აქა მშვიდობა, ტიმონ! ტიმონ, ერთი მოგვხედე შენს ძველ მეგობრებს. ღირსეულთა სენატორთ პირით მოგესალმებით ათენელნი. კეთილშობილო, ელაპარაკე სენატორებს.

(შემოდის ტიმონი.)

ტიმონი.

მზეო მაღალო, კაცთა რომ ალხენ, ეხლა დაგვწვი. — მითხარით, რა გსურთ? —

და ჯანდაბამდის გზა გქონიათ! მართალმა სიტყვამ ენა სხვირპლებით მოგიტესოთ, ხოლო სიცრუემ ამოგიძირკვოთ ენა ძირში, რა აღმოიტყვიოთ.

I სენატორი.

ო, ღირსეულო მამრო.

ტიმონი.

თქვენგნით, ვით ჩემგნით თქვენ ხართ.

II სენატორი.

მოგესალმებით ათენელი სენატორები.

ტიმონი.

მადლობას ვუთვლი და ვუგზავნი ჭირს ყველას ერთად, უკეთუ ოდენ მოვიხელთე.


I სენატორი.

გთხოვთ დაივიწყო.

ყველა შენდამი სიყვარულით შთაგონებულნი გვედრიან ათენს დაუბრუნდე. დარბაისელნი ამაოდ დაშთენ ყოვლად ურგნი და უსაქმურნი — შენ მოგელიან ეპატრონო და იმსახურო.

II სენატორი.

მათ აღიარეს, თუ რაოდენ უხეშად შეცდნენ, რა ხელაღებით მიგივიწყეს და თვითონ ხალხმა, ვისაც აროდეს სიტყვა უკან არ წაუღია, იჭირვა შენი დახმარება, ურომლისოდაც შეიგრძნო მხოლოდ გარდუვალი დაღუპვა თვისი



და წარმოგვგზავნა, რომ წუხილი მისი გაუწყობთ ერთად ამ ძვირფას საზღაურთან, რაიც უთუოდ გადაიწონის ყველა აუგს, შენ რომ მოგაგეს. — ისე დიდია ეს სიმდიდრე და სიყვარული, რომ ჩამოგრეცხავს მათ სიავეს და ნაცვლად გულში მათი შენდამი სიყვარულის რიცხვებს დააჭედებს, რომ ყველას შენად მიითვლიდეს.

ტიმონი.

თითქმის მომნუსხეთ

და განცვიფრებამ ჩემმა ლამის ცრემლად იდინოს — სულელის გულიც მომაწველეთ და ქალის თვალნიც და მე ვიტირებ მოტყინარი, ო სენატორნო.

I სენატორი.

მაშ, წამობრძანდი, მივაშუროთ კვლავ ათენს ერთად. შენს და ჩვენს ათენს, და მის მდგმურთა უწინამძღვრებდე, იქ მადლიერი ხალხი გელის. დაე, ათენში ძალშემოსილი კვლავ ისმოდეს სახელი შენი, როცა დავამხობთ იმ ცოფიან ალკიბიადეს, ძირშივე რომ ჰგლეჯს სიმყუდროვის რტომრავალ ხეებს თავის ქალაქში, მართ ვითარცა ტახტი ველური. და სისხლიან ხმალს რომ უღერებს ათენის კედლებს. ამიტომ, ტიმონ...

II სენატორი.

I სენატორი.

ტიმონი.

მაშინ მზად ვარ, რა გაეწყობა?!...

ამიტომ უნდა მეც მივაგო მისაგებელი: როცა ათენელთ უმოწყალოდ ჩეხვას დაუწყებს, არქვით, რომ ტიმონს არ ადარდებს აღარაფერი. ხოლო როდესაც ლამაზ ქალაქს უდაბნოდ აქცევს, თეთრი წვერებით რომ დაითრევს ღირსეულ მხცოვანთ, გამხეცებულ და გახელებულ გულქვა მეომრებს გადასათქერად რომ მიუგდებს უმანკო ქალწულთ, — ჩემი სახელით მოახსენეთ, ვითარმედ ტიმონს ესმის გულისთქმა ყველა ყრმის და ყველა მხცოვანის და მათი ბედი აწ არაფრად ეპიტნავენა. სიავე თვისი მხედრიონმა კვლავ განამრავლოს! თქვენ მათ დანებზე თავს ოდნავად ნუ შეიწუხებთ, ვიდრემდის ჭია შურისგების გულს კიდევ გიღრღნით, მე კი შტრის ხელში მომცრო ჯაყვას უფრო პატივს ვღებ, ვიდრე ყანყრატოს პატივდებულ ათენელისა, ამიერიდან თქვენ თავს მარად უკუნისამდე კეთილმოსურნე და მოწყალე ღმერთებს ვავედრებ, ვით მეციხოვნეთ გაიძვერებს და ავაზაკებს. ახლა ხომ ხედავთ, ხომ დარწმუნდით, რომ ყოველივე აწ ამაოა.

ფლავიუსი.

ტიმონი.

თქვენს მოსვლამდე ჩემი სამარის ეპიტაფიას ვწერდი — იმას ხვალ მოიხილავთ. შეუმცდარად გვრძნობ, უკვე ჩემი ამქვეყნიური უნდა დამთავრდეს მწუხარება — დრო მოიწია,

ფუფუნებას და სიჯანსაღეს რომ უწოდებენ, —
 არარაობით მემუქრება აქ ყველაფერი,
 წადით, გამშორდით! ეცადეთ, რომ მაინც იცხოვროთ,
 ალკიბიადე ჭირად გექცეთ, თქვენ იმას — უამად
 და თუ გადურჩით ერთურთს, კიდევ იცხოვრეთ... წადით!
 ჩანს, სულ ამასოდ გავისარჯეთ.

I სენატორი.
 ბიონი.

და მაინც, რა ვქნა,
 ჩემი ქვეყანა ისევ მიყვარს, არ მიხარია
 მისი მოსრა და აოხრება, როგორც ამბობენ
 ათენელები ჩემზე.

I სენატორი.
 ბიონი.

ეს სხვა ლაპარაკია.
 ჩემი სალამი უსაყვარლეს თანამოქმედებს!
 ბაგეთაც ჰშვენით ეს სიტყვები.

I სენატორი.
 II სენატორი.

და სასმენელში
 შემოდის ისე, ვით მეუფე ძალშემოსილი.
 და თავიც მდაბლად დაუკარით მათ ჩემ მაგიერ,
 არქვით, რომ მინდა განვარიდო ისინი ურვას,
 ჭირს, სინაკლულეს, აოხრებას, შიშს მტრის წინაშე,
 ტრფობით მონაგებ მწუხარებას, ფათერაკს, რაიც
 სუსტ ნავს ნიადაგ ემუქრება ამ უსაშველო
 გზაზე — მე მათი დახმარება დასტურ მწყურია,
 ვასწავლი, როგორ გადაურჩნენ ალკიბიადეს
 რისხვას და წყრომას.

II სენატორი.

ბატონებო, ეს უკვე მომწონს, —
 ეჭვიც არ არის, უცილობლად დაგვიბრუნდება.
 ჩემი ქვების წინ ერთი ხე დგას — კარგა ხანია
 მოჭრას ვუპირებ, ჰოდა, ჩქარა ყველას აცნობეთ,
 ჩემთა მეგობართ, ყველა ჯურის, ყველა წოდების
 ათენელს, ყველას — ვისაც ტანჯვას სურს განერიდოს,
 სასწრაფოდ ამ ხეს მოაშუროს და მის ტოტებზე
 დაუჩივლებლივ ჩამოიხრჩოს თავი, ვიდრემდის
 არ მომიჭრია იგი ძირში. აბა, თქვენ იცით,

ბიონი.

და თავიც მდაბლად დაუკარით ძვირფას მეგობრებს!
 ნუღარ აწვალებთ, ბატონებო, იგი, რაც იყო,
 იგივედ რჩება — ვერაფერი მას ველარ შეცვლის,
 აწ ნუღარ მოხვალთ. გადაეცით ათენის მდგმურებს,
 რომ მარადისი დავიმკვიდრე მე სამყოფელი
 ნაპირზე, რასაც მოქცევისას ქაფმორეული
 მარლიანი ზღვა დაჰფარავს ზათქით ნიადაგ,
 ორაკულივით დგეს სამარის ქვა მათ წინაშე, —
 ბაგე რა ურვას აღმოიტყვის, რჩება მდუმრიად.
 დე, ბორბოტება გაასწოროს ჭირმა! დე, ხალხი
 მთელი ცხოვრება მარტოოდენ კუბოებს თლიდეს
 და სიკვდილს, ჯილდოს ვით უდიდესს, ისე ელოდოს.

ფლავიუსი.

ბიონი.



ნულარ ანათებ, ჩაქრი, მზეო! სულის საყუდარს
ჩრდილი ეცემა, აღსასრულის დრო თუ დაუდგა.

(მღვიმეში შედის.)

I სენატორი.

განუშორებლად შეეზარდა იმის სულს წყენა
და მრისხანება.

II სენატორი.

ღვთის ანაბრად დაშთა ათენი,
უკანასკნელიც წარიკვეთა სასო, წავიდეთ,
რამე ვიღონოთ, ვნახოთ აბა, დაღუპვისაგან
რა გვიხსნის.

I სენატორი.

დროა, დაყოვნება აწ სიკვდილს უდრის.

(გადიან.)

სცენა II

ათენის კედლებთან.

შემოდის ორი სენატორი და შიკრიკი.

I სენატორი.

დასტურ ეს ცუდი ნიშანია! მაშ, უთვალავი
ჯარი მოდისო ათენისკენ შეუსვენებლივ —
ასე არა თქვი?

შიკრიკი.

ბორცვიდანაც თვალს ვერ მიუწვდენ,
თანაც მგლებივით ისე სწრაფად მოძუნძულებენ,
საცაა კიდევ დავინახავთ.

II სენატორი.

დავიღუპებით,

ტიმონი დროზე თუ ათენში არ დააბრუნეს.

შიკრიკი.

ალკიბიადეს შიკრიკს გზაზე გადავეყარე,
აწ თუმცა ორთავ ერთურთს მტრებად მოგვიღებოვართ,
მაგრამ შულს ძველმა მეგობრობამ მაინც დასძლია
და გზად კარგა ხანს ვისაუბრეთ — ალკიბიადეს
გრძელი უსტარით წარეგზავნა იგი ტიმონთან,
მოდო და ერთად დავლაშქროთო ათენის ბჭენი! —
მოგეხსენებათ, ამ ამბოხში თვითონ ტიმონსაც
მიუძღვის ბრალი, მგონი, არცთუ მცირეოდენი.

(შემოდიან ტიმონთან წარგზავნილი სენატორები.)

I სენატორი.

აჰა, მოძმენიც!

III სენატორი.

ყოველივე იქმნა იავარ, —

ტიმონზე ალბათ ზედმეტია აწ ლაპარაკიც,
მტრის დაფდაფების ყრუ გუგუნი უკვე მოისმის,
ზვავი მოიწევს სწრაფად და მტერის კორიანტელი

ზეცას სვეტებად შესდგომია, უკვე დრო არის
ძალას ჩვენც ძალა დავახვედროთ, მაგრამ ვაი რომ
მიგვდევნის ბედი შავ სიკვდილთან სამუშაითოდ.

(გადის.)

სცენა III

ტყე, ტიმონის მღვიმე. შორით მოჩანს სამარის ქვა.

შემოდის მეომარი.

მეომარი.

მე მეონი, როგორც ამიწერეს, ეს უნდა იყოს
ტიმონის მღვიმე — ეჭვი, მანდ ვინ არის? უუ!..
ხმა რომ არ ისმის? ხომ არ მოკვდა? ეს რაღა არის?
მხეცი დაჭგლეჯდა, აბა, ავკაცს აქ რა უნდოდა? —
არა, მკვდარია, რა თქმა უნდა, — აი, სამარეც,
წარწერაც არის, მაგრამ მე რომ კითხვა არ ვიცი?!
ცვილზე გადვიტან მის ანაბეჭდს, ჩვენს მხედართმთავარს
ყველა წერილის ამოკითხვა ადვილად ძალუძს,
ბევრი რამ იცის, თუმცა შორსაა ჯერ სიბერისგან.
უკვე დალაშქრა ალბათ კიდევ ჩვენი ათენი
და დასდის ქალაქს წვეთ-წვეთ სისხლი გამოსადენი.

(გადის.)

სცენა IV

ათენის კედლებთან.


საყვირების ხმა. ალკიბიადე შემოდის ჯარით.

ალკიბიადე.

დასცხეთ, გაიგოს მშიშარა და გარყვნილმა ხალხმა
ჩვენი შემოსვლა!

ქალაქიდანც ისმის საყვირების ხმა, მოსალაპარაკებლად
გადმოდგებიან სენატორები.

დღემდე ათენს თქვენ წარმართავდით,
როგორც გენებათ, სამართალი თქვენს ნება-სურვილს
ვერ აღემატა ვერასოდეს. დღემდე ყველანი,
და მეც მათ შორის, თქვენი ძალის და მეუფების
მძიმე ჩარდახქვეშ ბურანში რომ ერთიან ვთვლემდით,
დავბანდალობდით შავ წყვდიადში ხელდაკრეფილი
და გულმსტკივილს სულ ამოოდ შემოგჩიოდით.
შებრუნდა ჩარხი, გაიღვიძა მათხოვრის ძალამ,
ყველა ბურჯების შემსმუსვრელმა, და გამოიჭრა



გარეთ უგონოს ზარგანმხდელი ღრიალით: „კმარა“!
და დადგა ჟამი, ქედღადრეკილ ტანჯვა-წამებას
თქვენს რბილ ნოხზე და სავარძლებში რომ მოასვენებს,
თან გაქსუებულ უტიფრობას და თავხედობას
შიშით რომ ზაფრავს და კუდიტ ქვას რომ ასროლინებს.

I სენატორი.

ო, ღირსეულო მეუფეო, მაინც კვლავ ყრმაო,
შენ შურისგების ნარგავს ჯერეთ ფიქრებში ზრდიდი
და გაკლდა ძალა, მართ ვითარცა სენატს მიზეზი
შენდამი შიშის, — რაოდენჯერ გეახლეთ, გმირო,
მაგ სიშმაგეზე ბალზამი რომ გადაგვესხურა,
რათა როგორმე წარგვეხოცა უმადურობა
მის უმეტესი პატივითა და წარჩინებით.

II სენატორი.

ჩვენ ისიც ვცადეთ, თუმცა ბოლოს ვერაფერს გავხდით,
შემოგვეერიგა კვლავ ტიმონი თავის ათენთან,
ხალხიც წარგვზავნეთ ჩვენი ცოდვის მისატევებლად
და ძველებური სახელი და უნჯიც აღვუთქვიტ.
ყველანი არ ვართ უმადურნი, საშინელ დარტყმას
ათენში ყველა ერთად მაინც არ იმსახურებს.

I სენატორი.

შენდამი ბრალი იმათ მაინც სულ არ მიუძღვით,
ვინც ეს კედლები აღაშენა, ანუ ისეთი
რა უსაშველო უნდა იყოს რისხვა და წყრომა,
რომ ეს კედლებიც და სკოლებიც მილეწ-მოლეწოს?!

II სენატორი.

შენი მოკვეთის მოსურნენიც აღარ არიან, —
იმ სამარცხვინო საქციელმა თვითონვე იმათ
გაუპო გული! ღირსეულო დიდო მეუფევ,
ღროშების ჩრდილქვეშ შემობრძანდი ქალაქ ათენში
და მოაკვდინე მის მდგმურთაგან ყველა მეათე,
უკეთუ მძორი შურისგებას სწყურია შენსას,
თვისგან რომ ზიზღით განაჩიდე მუდამ ბუნება, —
დე მეათედით დაიურვე რისხვა სასტიკი:
ვისაც მეათე ქვა შეხვდება წილყრაში, იმას
დასტურ სიცოცხლე მოესწრაფოს!

I სენატორი.

ყველამ არ გიმტრო,
დამნაშავის წილ უცოდველი პასუხს არ აგებს
და არც უგვანო საქციელი, მოგეხსენება,
მემკვიდრეობით არ გადადის კაციდან კაცში.
ჰოდა, სულგრძელო თვისტომო და სისხლ-ხორცო ჩვენო,
შემოიყვანე შენი ჯარი და კედლებს მიღმა
დასტოვე შენი უღმობელი ცოფი და ბრაზი,
დაინდე კერა და აკვანი შენი — ათენი,
და ყველა იგი, ვისაც მოსრავ შენს მტრებთან ერთად!
ვითარცა მწყემსი დაუბრუნდი შენს კუთვნილ სამწყსოს
და ჯანსაღს ოდენ ავადმყოფი გამოაჩიდე,
ჭირიანი და დაფეხვილი, კრული და მრუდი,
ყველას ნუ იგასწყვეტ!

II სენატორი.

ხოლო იმას, რასაც ვესწრაფვი, უმაღლესი დიმილით დაიუფლებ, ვიდრე მახვილით და მარწუხებით.

I სენატორი.

კურთხეულო, სამარისია შეეხო რკინის კარიბჭეებს, რომ შეყსეულად განიხვნეს ყველა შენ წინაშე, უკეთუ თვისტომთ გვამცნობ, რომ ათენს მობრძანდები ძმად და მეგობრად, და არა მტრად და მომშობელად.

II სენატორი.

ან ხელთათმანი, ან რაღაც ნივთი გადმოგვიგდე იმის საწინდრად, რომ ხმაღს სანაცვლოს მისაგებად აღმართავ ოდენ და არა შენთა მიუსაფარ თანამოძმეთა მოწყვლად და მოსრად. დაე, ჯარი ხმაღშემართული მანამდე იდგეს სენატის წინ, ვიდრე ერთიან ყველა ვნებას და აღტყინებას არ დაიურვებ.

ალკიზიადე.

დე, ასე იყოს! ჰა, საწინდრად ეს ხელთათმანიც, კეთილინებეთ და დახსენით ჭიშკრები უმაღლ, ტიმონისა და ჩემს მტერთაგან ოდენ ისინი წარწყმდნენ, რომელთაც თავად თვითონ თქვენ გაიმეტებთ — სხვას იმათ გარდა საფრთხე არვის არ ემუქრება, ხოლო, რომ უფრო დაგარწმუნოთ, ვბრძანებ: არც ერთი გინდ მხედართაგან, გინდ ფეხოსან მეომართაგან არ მიატოვებს თავის ადგილს და არვინ ხელჰყოფს ჩვენი ქალაქის სიმშვიდესა და სიმყუდროვეს.

ორივე სენატორი.

რა დიდებული სიტყვებია!

ალკიზიადე.

თქვენც აღასრულეთ თქვენი აღთქმა და დაპირება, გახსენით კარი.

შემოდის მეომარი.

მეომარი.


ჩემო მამაცო და სულგრძელო მხედართმთავარო! ტიმონი უკვე მიიცივალა, დაე სამარის წარწერამ, აი, ამ ცვილზე რომ გადმოვიტანე, პასუხი აგოს ახლა ჩემი უმეცრების წილ.

ალკიზიადე

(გითხულობს).

„აქ განისვენებს უმწეო გვამი, განშორებული უმწეო სულთან, განა სულერთი არ არის შენთვის, რას ვესწრაფოდი, რა ჭირი მსურდა? აქ დაიმარხა თავი ტიმონმა, სიზმრად მიიქცა ყოველი ცხადი, გვერდს რომ ჩაუვლი, დასწყევლე, მგზავრო, ეს საფლავი და შენი გზით წადი“.

ახლა ცხადია ჩემთვის, ტიმონ, თუ რას ფიქრობდი პირისპირ მდგარი სიკვდილის წინ, კაცის ჭირ-ვარამს თუმც მიიჩნევდი არარად და აუგად რაცხდი ჩვენს ყველა ფიქრს და გულისტკივილს, თუმც სამარცხვინოდ მიგაჩნდა კაცის ძუნწი ცრემლი, მაგრამ ძლიერმა გონებამ შენმა გამცნო, როგორ გამოგეტყუა



თვითონ ნებტუნი დღენიადაგ შენს სამარეზე
მიტევებული ცოდვის შენის დასატირებლად,
შენ მიიცივალე, ადამის ძევ კეთილშობილო,
მაგრამ მრავალგზის მოგიგონებთ ათენელები. —
გახსენით კარი, შემიყვანეთ და მახვილს ჩემსას
ზეთისხილის ტოტს დავუსართებ, დაე მშვიდობა
დაჰბადოს ომმა, დაიურგოს მშვიდობამ იგი
და იზეიმოს სიხარულმა მისმა ურვამდე
და ორივენი მარადისად ერთურთს ჰკურნავდნენ.
დასცხეთ დაფდაფებს!

(გადიან.)





რომანი

თარგმნეს **მეღვა კახიძემ** და **ზაქარია მამისაშვილმა**

ავსტრიელები ნელ-ნელა ახლოვდებოდნენ. მათმა მოწინავე რაზმმა მდინარის გაღმა ნაპირიდან ქარვასლასთან დაგდებული ორი ზარბაზანი დალანდა, მაშინვე შეჩერდნენ და ქვემეხების მოსვლას დაელოდნენ. ნაშუადღევს მეზობელ ტყეში შეფარებულმა ავსტრიელებმა მიტოვებულ ქარვასლას რამდენიმე ჭურვი ესროლეს. ისედაც დანგრეული ნაგებობა უფრო მეტად დაზიანდა, დაიძვრა ფანჯრების გისოსები, ხელოვნების ეს იშვიათი ქმნილებანი. მას შემდეგ, რაც ჭურვებმა თურქების ორივე ზარბაზანი გადააკოტრიალა და ავსტრიელები მიხვდნენ, ზარბაზნები მიუტოვებიათო, ავსტრიელებმა სროლა შეწყვიტეს და ხიდს ფრთხილად მიუახლოვდნენ. კაპიაზე ნელი ნაბიჯით თოფმომარჯვებული უნგრეთის ქვეითი ჯარი შემოვიდა და გაოცებული შედგნენ ხოჯასთან, ზედ თავზე გამსკდარი ჭურვებისაგან ყურის ტკივილი რომ დავიწყებოდა. როცა მტრის საძულველი ჯარი დაინახა, გაბმით დაიწყო საწყალობელი ოხვრა. ალბათ ის თუ იფიქრა, ეს ენა ყველასთვის გასაგები იქნებაო. მართლაც ამან გადაარჩინა ხოჯა. უნგრელები გარს შემოეხვივნენ, ვერასგზით ვერ მიმხვდარიყვნენ, რა მომხდარიყო. ბოლოს სანიტარმა გაზით ძელიდან ფრთხილად ამოაძრო ლურსმანი. ხოჯა ისე იყო ნატანჯი და ძალაგამოლეული, სისუსტისაგან ერთი ამოიგმინა და ქვის საფეხურებზე დაეცა. დაშავებულ ყურზე სანიტარმა რაღაც სითხე წასცხო. თითქოს სიზმარშიაო, ხოჯა ცრემლმორეული თვალებით დააშტერდა სანიტრის თეთრ სამკლაურს, რომელზეც წითელი ქსოვილით დიდი სწორკუთხა ჯვარი იყო გამოსახული. მხოლოდ ბოდვის დროს შეიძლება მოელანდოს კაცს ასეთი საზიზღრობა. ალი-ხოჯას ჩაბინდული თვალების წინ ჯვარი ხან მალლა აღიმართებოდა, ხან დაბლა ეშვებოდა და ისე ეჩვენებოდა, თითქოს ვეებერთელა აჩრდილი ჩადგაო ჩემსა და ქვეყნიერებას შორის. მერე ჯარისკაცმა ჭრილობა შეუხვია და თავზე ისევ ჩალმა დაახურა. ხოჯა გაჭირვებით წამოდგა, წელის ტკივილი დაძლია, შეხვეული თავი ხიდის მოაჯირს მიაყ-

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ 3, 4.

რდნო და ერთ ადგილას გაქვავდა. რის ვაივავლახით მოეგო ბოლოს გონს. მის წინ, ქვაზე გამოკვეთილი თურქული წარწერის ქვევით, ჯარისკაცი დიდ თეთრ განცხადებას აკრავდა. თუმცა ტკივილებისაგან თავი უსკდებოდა, ხოჯამ ვერ დასძლია სისხლში გამჯდარი ცნობისმოყვარეობა და ჯარისკაცს მიუახლოვდა. ეს იყო ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მცხოვრებლებისადმი გენერალ ფილიპოვიჩის¹ მოწოდება ავსტრიის ჯარების ბოსნიაში შემოსვლის თაობაზე. ალი-ხოჯამ მარჯვენა თვალი მოჭუტა და დამარცვლით შეუდგა თურქული ტექსტის კითხვას:

„ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მცხოვრებლებო!

ავსტრიის იმპერატორისა და უნგრეთის მეფის ჯარმა თქვენი ქვეყნის საზღვრები გადმოლახეს. ისინი მოვიდნენ არა როგორც მტრები, რათა ძალით წაგგლიჯონ მიწა-წყალი, არამედ როგორც მეგობრები, რომ ბოლო მოუღონ იმ უწესრიგობას, რაც უკვე მრავალი წლის მანძილზე ხდება არა მარტო ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, არამედ ავსტრია-უნგრეთის სასაზღვრო ოლქებშიც.

იმპერატორსა და მეფეს აღარ ძალუძთ გულგრილად უცქირონ იმ ძალადობასა და არეულობას, რაც საზღვრების მახლობლად ხდება. უცქირონ, თუ როგორ გაძვალტყავდა და გამათხოვრების პირზე მივიდა მის საზღვართან მცხოვრები ხალხი.

მან ევროპის სახელმწიფოთა ყურადღება მოაპყრო თქვენკენ და კონგრესზე ერთსულოვნად გადაწყდა, რომ ავსტრია-უნგრეთი დაგიბრუნებთ დიდი ხნის წინათ დაკარგულ მშვიდობასა და კეთილდღეობას.

მისმა უდიდებულესობა სულთანმა, ვისი გულიც თქვენს ბედნიერებაზე ზრუნვით არის აღსავსე, გადაწყვიტა, რომ თქვენ ძლევამოსილი მეგობრის, იმპერატორისა და მეფის მფარველობის კალთას შეეფაროთ.

იმპერატორი და მეფე აკანონებს, რომ ამ ქვეყნის ყველა ქვეშევრდომი ერთნაირი უფლებებით ისარგებლებს, რომ სიცოცხლე, რჯული და საკუთრება კანონით იქნება დაცული.

ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მცხოვრებლებო!

უშიშრად დადექით ავსტრო-უნგრეთის ძლევამოსილი დროშების ქვეშ, მეგობრულად მიიღეთ ჩვენი ჯარისკაცები, დაემორჩილეთ ხელისუფალთ, დაუბრუნდით თქვენს საქმიანობას, ამიერიდან თქვენს ნაშრომს ვერავინ ხელჰყოფს.“

ხოჯა თვითეულ სიტყვას დამარცვლით კითხულობდა, ზოგი წინადადების შინაარსი კარგად არ ესმოდა, მაგრამ ყოველი სიტყვა უჩვეულო ტკივილს აყენებდა, რაც სრულებითაც არა ჰგავდა ნაიარევი ყურის, წელისა და თავის ტკივილს. მხოლოდ ახლა იაზრა, რომ მისთვისა და ყველამისი მახლობლისთვის ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ გათავდა. უცხო ხელმწიფემ დაიმონა ისინი, უცხო რჯულმა დაიპყრო მათი ქვეყანა, ეს აშკარად გამოსჭვივოდა ამ მაღალფარდოვანი, ბუნდოვანი დაპირებებიდან, უფრო ნათლად კი ამას მკერდში მწვავე ტკივილი აგრძნობინებდა, ყველა ტკივილზე მტანჯველი და ძლიერი. ყარამანლისნაირი ტუტრუცანებიც კი ვერაფერს ველარ გიშველიან, ვერაფერს ველარ შეცვლიან. ხოჯა ფიქრში ისევ ყარამანლის ედავებოდა: „ყველანი თავს გავწირავთ! ყველანი შევაკვდებით!“ ან რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამ ფაცი-

¹ გენერალ ფერენც ფილიპოვიჩი — ავსტრიის მთავარსარდალი.

ფუცსა და ალიაქოთს, როცა დგება უამი ადამიანის დაღუპვისა, როცა არც სიკვდილი შეგიძლია და არც სიცოცხლე, როცა მიწაში ჩარჭობილი ჯობივითა ლბები და საკუთარ მეობას ჰკარგავ? ეს ყველაზე დიდი უბედურებაა, სხვადასხვა ყარაქანლები რომ ვერა ხედავენ, არ ესმით და საკუთარი უფიცობითა უბედურებას უფრო მძიმესა და სამარცხვინოს ხდიან.

ამ ფიქრებით შეპყრობილი ხოჯა მძიმე-მძიმედ ჩამოდიოდა ხილიდან და ვერ ამჩნევდა, რომ უკან ისევ ის ჯარისკაცი სანიტარი მოსდევდა. ყურის ტკივილი ისე აღარ სტანჯავდა, როგორც მოწოდების წაკითხვის შემდეგ ტყვიასავით გულზე შემოწოლილი სიმძიმე. ხოჯა ნელა მიდიოდა, ასე ეგონა, გაღმა ნაპირამდე ვერასდროს მივალწევო, ასე ეგონა, ხილი, ქალაქის სილამაზე და სიამაყე, ასე მჭიდროდ რომ იყო დაკავშირებული მის გვართან, ოჯახსა და ბავშვობასთან, უეცრად ზედ შუაგულში, კაპიასთან ჩაინგრა. ასე ეგონა, რომ დიდმა თეთრმა ქალაქმა, რაზეც ავსტრიელების მოწოდება იყო დაბეჭდილი, ხილი შუაზე გაჰკვეთა იდუმალი ზათქით და ახლა ამ ადგილას უფსკრული გაჩნდა. და თუმცა უფსკრულის მარცხნივ და მარჯვნივ ისევ ქვის ბურჯები დგას, ერთი ნაპირიდან მეორემდე გადასასვლელი აღარ არსებობს, რომ თვითელი სამარადისოდ დარჩება იმ ადგილას, სადაც უხმო აფეთქებამ მოუსწრო.

მღელვარე ფიქრებით დამძიმებული ხოჯა ნელიად მიდიოდა. თვალები განუწყვეტლივ ცრემლით ევსებოდა, მძიმედ დაჭრილივით ძლივს მიათრევდა წელს და იმ სნეულ მათხოვარს ჰგავდა, პირველად რომ მოხვდა ხილზე და წინ უცხო და უცნობი ქალაქი გადაეშალა. უეცრად მისი ყურადღება გვერდზე მიმავალმა ჯარისკაცების ხმამ მიიპყრო. მათ შორის ხელახლა გაიელვა სახელოზე წითელჯვრიანი ნაცნობი სანიტრის კეთილმა და დამცინავმა პირისახემ. იგი იცინოდა, ალი-ხოჯას შეხვეულ ყურზე ანიშნებდა და გაუგებარ ენაზე რაღაცას ეკითხებოდა. ხოჯამ იფიქრა, დახმარებას მთავაზობსო, მაშინვე შუბლი შეიკრა და მოიღუშა.

— არა, არა. არაფერი არ მინდა.

და მტკიცე, გაბედული ნაბიჯით შინისაკენ გასწია.

ქალაქში ავსტრიის ჯარის შემოსვლის აღსანიშნავად ზეიმი მხოლოდ მეორე დღეს შესდგა.

ქალაქში ასეთი სიწყნარე ჯერ არასდროს ჩამოვარდნილა. დუქნები დაკეტილი იყო. თუმცა აგვისტოს მიწურული იდგა და მზიანი, თბილი დღე იყო, კარ-ფანჯრები მაინც დაგმანული ჩანდა. ქუჩებში კაცის ჰაჭანებას ვერ ნახავდით. ეზოები და ბაღები გაუკაცრიელებულიყო. თურქთა ოჯახებში მოქურუხებულნი და შეშფოთებულნი იყვნენ, ქრისტიანებიც დაძაბული დადიოდნენ და უნდობი თვალთ იყურებოდნენ. ყველგან შიში გამეფებულიყო. ქალაქში შემოსულ ავსტრიელებს ჩასაფრებული მტრისა ეშინოდათ, თურქებს ავსტრიელების შიში ჰქონდათ, სერბიელებს ავსტრიელებისაც და თურქებისაც ერთნაირად ეშინოდათ, ხოლო ებრაელებს კი ყველასი ერთად, რადგან ყველა მათზე მძლავრობდა, განსაკუთრებით ომიანობისას. ყურებში ყველას ზარბაზნების გრიალი ედგა, წინა დღით მთელი ქალაქი რომ შეაზანზარა. ხალხი მარტო შიშის გრძნობას რომ დამორჩილებოდა, იმ დღეს გარეთ ცხვირსაც არავინ გამოჰყოფდა, მაგრამ ადამიანს სხვა სურვილებიც ამოქმედებს. წინა დღეს ქალაქში შემოსულმა ავსტრიელთა რაზმმა ყარაულისთავი და ჩაფრები მოძებნა. რაზმის ოფიცერმა ყარაულისთავს ხმალი დაუტოვა და უბრძანა უწინდებურად

შეესრულებინა მოვალეობა და ქალაქში წესრიგი დაეცვა. ოფიცერმა ისიც დაუმატა, რომ ხვალ ნაშუადღევამდე ერთი საათით ადრე ვიშეგრადში პოლკოვნიკი, ჯარის სარდალი შემოვიდოდა და მას სამივე სარწმუნოების წარჩინებული მოქალაქეები უნდა შეხვედროდნენ. ჭაღარა, მორჩილმა ყარაულისთავმა მანვე გამოიძახა მოლა იბრაჰიმი, უმაღლესი სასულიერო სკოლის მუდერისი¹ ჰუსეინ-აღა, მღვდელი ნიკოლა და რაბინი დავით ლევი და ოთხივეს ამცნო, რომ, როგორც „სულიერი მოძღვრები და ქალაქის თავკაცები“, ხვალ, ნაშუადღევს, ავსტრიელ სარდალს უნდა შეეგებოთ, ქალაქის მცხოვრებთა სახელით მიესალმით და ბაზრის მოედნამდე გააცილოთ.

დათქმულ ვადამდე დიდი ხნით ადრე ოთხივე სულიერი მოძღვარი დაცარიელებულ მოედანზე გამოცხადდა და ნელი ნაბიჯით კაპიას მიაშურა. იქ, ჩაფრის დახმარებით, ყარაულის თანაშემწე სალკო ჰედო ავსტრიელი სარდალის პატივსაცემად უკვე აფენდა გრძელ თურქულ ხალიჩას. მოსულები ხმას არ იღებდნენ, მაგრამ რა დაინახეს, რომ ოკოლიშტედან მომავალ თეთრ გზაზე პოლკოვნიკის მოახლოების ნიშანწყალიც არ იყო, ერთმანეთს გადახედეს და შეთანხმებულებივით ქვის იმ სკამზე ჩამოსხდნენ, სადაც ხალიჩა არ ეფარა.

ნიკოლა მღვდელმა ჯიბიდან მოზრდილი თუთუნის ქისა ამოაცოცა და სამივეს შესთავაზა. ახლაც ისე ისხდნენ ქვის სკამზე, როგორც იმ დროს, როცა ჯერ კიდევ უღარდელი ჭაბუკები იყვნენ და ქალაქელი ახალგაზრდების ჩვეულების კვალობაზე თავისუფალ დროს კაპიაზე ატარებდნენ. მას აქეთ კარგა ხანი გავიდა, ისინი უკვე ხანდაზმულები იყვნენ. სადღესასწაულოდ მორთულები, შეშფოთებით ფიქრობდნენ საკუთარ ბედზე და ზაფხულის კაშკაშა მზის შუქზე ეჩვენებოდათ, ჩვენს ასაკზე უფრო ხნოვანად და შეფერთხილად გამოვიყურებითო. თვითეული მათგანი იგონებდა, როგორი იყო ბავშვობაში, სიჭაბუკეში, როგორ იზრდებოდნენ ნორჩი ნაყარივით თავიანთ კბილა ბავშვებთან ერთად და არ იცოდნენ, ვის რა ელოდა მომავალში.

ასე ისხდნენ, თამბაქოს ეწეოდნენ და მასლაათობდნენ, ფიქრით კი სულ სხვაგან ქროდნენ, წარამარა ოკოლიშტესაკენ ეჭირათ თვალი, საიდანაც სარდალი უნდა გამოჩენილიყო. ამიერიდან ეს კაცი იქნება მათი ბედ-იღბლის განმკარგულებელი და შეუძლია, როგორც მათ, ისე მთელ ქალაქს სიკეთე ან ბოროტება, სიმშვიდე ან ახალი მწუხარება მოუტანოს.

ამ ოთხეულში გარეგნულად მაინც ყველაზე მშვიდი და თავდაჭერილი ნიკოლა მღვდელი იყო. სამოცდაათ წელს გადაღწეული, ყველაზე ჭარმაგად და მხნედ გამოიყურებოდა. სახელგანთქმული მღვდლის შვილმა, ვის მამასაც თურქებმა ამ ხიდზე თავი მოკვეთეს, ძალზე შფოთიანი ახალგაზრდობა გაატარა, დაუოკებელი ბუნებისა და გამომწვევი საქციელის გამო თურქების სიძულვილი და შურისძიება ბევრჯერ დაიმსახურა და რამდენიმეჯერ სერბიასაც შეაფარა თავი. მაგრამ მშფოთვარე დრომ განვლო და ნიკოლაც მოჭკვიანდა, ცოლი შეირთო და მამის სამრევლოს დაუბრუნდა. ეს ყველაფერი გარდასულ დღეთა მივიწყებული ამბები იყო. „დიდი ხანია მოვჭკვიანდი და თურქებიც აღმაცერად აღარ მიყურებენო“, — ხუმრობით ამბობდა ნიკოლა მღვდელი. ლამის უკვე ორმოცდაათი. წელიწადი იქნებოდა, რაც ნიკოლა მღვდელი დიდსა და დაქუცმაცებულ ზღვისპირა მრევლს მშვიდად და ბრძნულად მწყემსავდა. თავი

¹ მუდერისი — მუსულმანური სასულიერო სკოლის მმართველი-დირექტორი.

ღირსეულად ეჭირა, საქმესაც თავგამოდებით ემსახურებოდა, თურქებს, უბრალო ხალხსა თუ ადგილობრივ მესვეურებს, ყველას ერთნაირად და სამართლიანად ექცეოდა.

ყველა სარწმუნოების და ასაკის თანამოქალაქეთა შორის არც ერთი მოლა თუ რაბინი. არც მანამდე და არც მას შემდეგ, მასავით პატივითა და ყურადღებით არ სარგებლობდა, ძველთაგანვე ყველა „პაპას“ ეძახდა. ქალაქისა და ვიშეგრადის მაზრის მცხოვრებთათვის ნიკოლა მღვდელი სერბიული ეკლესიისა და ქრისტიანობის განსახიერება იყო. უფრო მეტიც, ხალხის თვალში იგი იმ უწმინდესი მოძღვრისა და უხუცესის ცოცხალი ხატი იყო, ვიშეგრადის სინამდვილეში რომ შეიძლებოდა ხალხს წარმოედგინა.

ის გახლდათ ტანმაღალი, უჩვეულო ძალ-ღონის პატრონი. მართალია, დიდი განათლება არ მიეღო, მაგრამ სიკეთით სავსე გული, ნათელი გონება და თავისუფლებისმოყვარე სული ჰქონდა. მისი კეთილშობილი, მომაჯადოებელი ღიმილი ყველას ფარხმალს აყრევინებდა, აშოშმინებდა და მხნეობას მატებდა. როცა იღინებოდა, მოჭუტული დიდრონი მწვანე თვლებიდან ოქროსფერი ნაპერწკლები სცვიოდა. ასე მოიყარა ნიკოლა მღვდელი სიბერემდე. მუდამ მელიის ტყავით გაწყობილი გრძელი ანაფორა ეცვა, ხშირი წითურა წვერი, წლებს რომ ოდნავ გაეჭადარავებინა, მკერდზე სცემდა, უკან დაწნულ გრუზა თმაზე ვეებერთელა კუნკულა ეხურა. ის რომ ბაზრის მოედანზე გაივლიდა, გეგონებოდა, ეს ორმოცდაათი წელი კი არაა, უხსოვარი დროიდან მოყოლებული მწყემსავსო ხალხს, როცა ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ დაყოფილნი სხვადასხვა რწმენისა და ეკლესიების მიხედვით. ქუჩის ორსავე მხარეს ჩამწკრივებული დუქნებიდან ყველა ეროვნების ვაჭრები ესალმებოდნენ, ქალები განზე მიდგებოდნენ და თვალეზღარბილი ჩერდებოდნენ, ვიდრე „პაპა“ არ ჩაივლიდა. ბავშვები (მათ შორის ებრაელი ბავშვებიც კი) თამაშს წყვეტდნენ და ჩუმდებოდნენ. მოზრდილი ყმაწვილები კი „პაპასთან“ მიდიოდნენ, რათა ვეებერთელა ტლანქ ხელზე ეკოცნათ და გაეგონათ მისი მგრგვინავი, მხიარული ხმა:

— გამარჯობა, გამარჯობა, შვილო ჩემო!

მამა ნიკოლას დიდი დარდი ჰქონდა ცხოვრებაში, შვილი არ ჰყავდა, მაგრამ არავის ახსოვს, ან თვითონ ან მის ფოფოდიას ამაზე დაეჩივლოთ. მათ ოჯახში მუდამ იზრდებოდნენ სოფლელი ნათესავების ბავშვები, ვიდრე გათხოვდებოდნენ ან ცოლს მოიყვანდნენ, მერე კი მათ ადგილს ისევ სხვა ბავშვები იჭერდნენ.

ნიკოლა მღვდლის გვერდით მოლა იბრაჰიმი იჯდა. მაღალ, წელში მოხრილსა და ხმელ-ხმელ იბრაჰიმს მეჩხერი წვერი და ჩამოშვებული ულვაშები ჰქონდა. ნიკოლაზე ცოტათი ახალგაზრდა, დიდი ოჯახისა და კარგი შეძლების მქონე იყო. მამისაგან დიდძალი ქონება დარჩა, მაგრამ ჩია, გალეული და ძალზე მფრთხალი იყო. მისი ცისფერი თვლები ბავშვური შიშით შესცქეროდნენ ყველას, ამიტომაც განდეგილსა და ღვთისმოსავ მწირს უფრო ჰგავდა, ვიდრე დიდებულ ოჯახშივილსა და ვიშეგრადელ ხოჯას. მოლა იბრაჰიმს ერთი ნაკლი ჰქონდა. ლაპარაკის დროს ენას ძალიან უკიდებდა. „მოლა იბრაჰიმს რომ ელაპარაკო, უნდა მოცლილი იყო“, მასხრობდნენ ქალაქელები. მაგრამ მოლა იბრაჰიმის გულკეთილობა და ღმობიერება საქვეყნოდ იყო განთქმული. მის პირისახეს მუდამ სიკეთისა და სიმშვიდის იერი გადაკრავდა, პირველივე შეხ-

ვედრის შემდეგ ველარავინ ამჩნევდა მის ჩია გარეგნობასა და ენაბლუობას. საცა ვინმე ავადმყოფი, ობოლი თუ უბედური იყო, ყველა მისკენ ისწრაფოდა რჩევა-დარიგების მისაღებად. მოლა იბრაჰიმთან ყველაზე შორი სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ, სახლის წინ ყოველთვის ხალხი ელოდებოდა, ხშირად აჩერებდა ქუჩაში კაცი თუ ქალი და რჩევა-დარიგებას სთხოვდა. სხვა ხოჯებივით ძვირადღირებულ ავგაროზებსა და თილისმებს კი არ მიაჩნებდა, უმალ გზისპირა ჩრდილში ქვაზე გვერდით ჩამოუჯდებოდა და ყურადღებითა და თანაგრძნობით უსმენდა სხვის გაჭირვებას და ჭირ-ვარამს, მერე ტკბილი სიტყვით გულს მოუფონებდა, რჩევას მისცემდა ან გამხდარ ხელს ღრმა ჯიბეში ჩაიყოფდა, მიიხედ-მოიხედავდა, არავინ დამინახოსო, და მთხოვნელს ხელში ფულს ჩაუკუჭავდა. თუ მუსულმანის შველა იყო საჭირო, მისთვის შეუძლებელი, სამძიმო და უსიამოვნო არა არსებობდა რა. მოლა იბრაჰიმი საამისოდ ღროსა და საშუალებას ყოველთვის პოულობდა, მასზე მინდობილ კაცთან საუბრისას აღარც ენა ებორკებოდა. მისგან თუ მთლად არა, ცოტათი მაინც დანუგეშებულნი მიდიოდნენ, რაკილა ვილაცამ მათი დარდი საკუთარი დარდივით გაიზიარა. და თუმცა მუდამ სხვებზე ზრუნავდა და საკუთარი თავი თითქმის აღარ ახსოვდა, მოლამ მთელი ცხოვრება მაინც ჯანმრთელად, ბედნიერად და დალხენით გაატარა.

ვიშეგრადელი მუდერისი ჰუსეინ-ეფენდი ტანმორჩილი, სქელ-სქელი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, კარგად მოვლილი და ფრიად ზრდილი ადამიანი იყო. მოგრძო შავი თვალები ჰქონდა. შავი მოკლე წვერი, მრგვალად და კობტად შეკრეჭილი, მის ღაჟღაჟა პირისახეს არშიასავით შემოვლებოდა. ნაკითხსა და განათლებულ ჰუსეინ-ეფენდის დიდი მეცნიერის სახელი გავარდნოდა, თუმცაღა თავის თავზე კიდევ უფრო დიდი წარმოდგენისა გახლდათ. იგი ენაწყლიანი კაცი იყო და ლაპარაკი უყვარდა, სჯეროდა, მიმზიდველი საუბარი ვიცო, და თუ ლაპარაკის გუდას თავს მოხსნიდა, გაჩერება აღარ შეეძლო. ნაფიქრს თავისუფლად და შეუფერხებლად წარმოთქვამდა, ლაპარაკისას ხშირი შავი ბაღნით დაფარულ თეთრ, ნაპატივებ ვარდისფერფრჩხილებიან ხელებს ისე მოზომილად ამოძრავებდა, თითქოს სარკის წინ დგასო. ქალაქში ყველაზე ბევრი წიგნი მას ჰქონდა. წიგნები რკინის სალტიან სკივრში ეწყო და მაგრად იყო ჩაკეტილი. ეს წიგნები სიკვდილის წინ მისმა მასწავლებელმა, ცნობილმა არაბ-ხოჯამ უანდერდა; ჰუსეინ-ეფენდი გულმოდგინედ იცავდა წიგნებს მტვრისაგან და თვითონაც იშვიათად და დიდი სიფრთხილით თუ აიღებდა ხელში. ცნობილი იყო, რომ ჰუსეინ-ეფენდი ქალაქის მატთანეს წერდა. ამან ქალაქელების თვალში უფრო დიდი მეცნიერისა და არაჩვეულებრივი ნიჭის ადამიანის სახელი მოუხვეჭა. რამეთუ, ქალაქელთა აზრით, მატთანეს დაწერისას ქალაქისა და ქალაქელების კეთილი სახელი მის ხელთ იყო. სინამდვილეში, ეს ჩანაწერები არც ისე ვრცელი და სახიფათო გახლდათ. იმ ხუთ-ექვს წელიწადში, რაც მისი წერა დაიწყო, პატარარვეულის ოთხოდე გვერდი თუ შეავსო. ქალაქის მოვლენათა უმეტესობას რვეულში შეტანის ღირსად არა სთვლიდა, ამის გამოც მისი ჩანაწერები წუნია ქალიშვილივით მშრალი, მჭლე და უნაყოფო იყო.

მეოთხე, ყველაზე უფრო ახალგაზრდა „სულიერი მოძღვარი“ ვიშეგრადელი რაბინი დავით ლევი იყო — სახელგანთქმული რაბინ ხოჯა ლიაჩოს შვილიშვილი, ვისგანაც მემკვიდრეობად სახელი, მდგომარეობა და ქონება ერგო, მაგრამ პაპის შეუპოვარი სულისა და ნათელი ჭკუის ნატამალიც არ ეცხო.

ამ პატარა, ფერმკრთალ კაცუნას შავი ხავერდოვანი თვალები და დაღვრე-
მილი გამოხედვა ჰქონდა, თან უჩვეულოდ მორცხვი და ენადვირი იყო. დავით
ლევნი სულ ახლახან გახდა რაბინი და ცოლიც ახლახან შეირთო. უფრო დარბა-
ისელი და მედიდური შესახედაობა რომ მისცემოდა, მძიმე მაუდის ტანსაც-
მელს ატარებდა. პირისახეზე ულვაშები და წვერი მოუშვა, მაგრამ მაინც მიხვ-
დებოდა, რომ ანაფორის ქვეშ სუსტი, უძლური სხეული იმალებოდა. შავი
მეჩხერი წვერი ავადმყოფურ პირისახეს ვაჟკაცურ იერს ვერა მატებდა. შიში-
საგან აციებდა, როცა იძულებული ხდებოდა ხალხში გამოსულიყო და ამა თუ
იმ საკითხზე აზრი გამოეთქვა.

ახლა ოთხივენი თაკარა მზეზე ისხდნენ, სადღესასწაულოდ გამოპრანჭუ-
ლები, და თავისდაუნებურად იმაზე მეტად შეწუხებული და აღელვებული
ჩანდნენ, ვიდრე თვითონ ეწადათ ყოფილიყვნენ.

— მოდი, თითოც მოვწიოთ, მოვასწრებთ! ჰირმა წაიღოს მისი თავი. ჩიტი
ხომ არ არის, უცბად შემოფრინდეს ხიდზე! — თქვა ნიკოლა მღვდელმა, რომე-
ლიც ჩვეული იყო მღვდვარება და წუხილი ოხუნჯობით მიეჩქმალა.

ყველამ ოკოლიშტეს გზას გახედა და მერე ჩიბუხებს წაატანა ხელი. ისინი
დინჯად, აუჩქარებლად მსჯელობდნენ და ლაპარაკობდნენ სარდლის მოსვლაზე.
ყველა იმ აზრისა იყო, მისასალმებელი სიტყვა ნიკოლა მღვდელს წარმოეთ-
ქვა და სარდლისათვის კეთილად მობრძანება მიელოცნა. ნიკოლა მღვდელმა
თვალები მოჭუტა, წარბები შეიკმუხნა და სამ თანაქალაქელს ყურადღებით
დააცქერდა.

რაბინს შიშისაგან ლამის სული გაპარვოდა და იმის თავიც აღარ ჰქონდა,
თუთუნის კვამლი გამოეშვა, წვერ-ულვაშში რომ დაეგროვებოდა. არც მუდე-
რისი იყო ნაკლებად შეშინებული. ამ დილით ჩვეულებრივმა მჭევრმეტყვე-
ლებამ და მედიდურობამ უღალატა. განსწავლულ მუდერისს წარმოდგენა არ
ჰქონდა, რა შეშინებული და დაბნეული გამოიყურებოდა, თავს ძალას ატანდა,
ოდესღაც წარმოთქმული მჭევრმეტყველური სიტყვათაგანი გაეხსენებინა და
ხელებიც მოეშველებინა, მაგრამ ლამაზი ხელები თავისით უვარდებოდა ძირს,
სიტყვა ერეოდა და უწყდებოდა. თვითონაც ვერ გაეგო, სად დაკარგოდა ჩვეუ-
ლი რიხი.

მოლა იბრაჰიმს ჩვეულებრივზე მეტად გაფითრებოდა პირისახე, მაგრამ
უფრო მშვიდი და ჩაფიქრებული ჩანდა. ისა და ნიკოლა მღვდელი ხამუშ-ხა-
მუშ გადახედავდნენ ერთმანეთს, თითქოს რაღაცაზე უხმოდ შეთანხმებულანო.
ჯერ კიდევ სიჭაბუკიდან კარგი ნაცნობ-მეგობრობა ჰქონდათ, რამდენადაც იმ-
ხანად შეიძლებოდა მეგობრობა თურქსა და სერბიელს შორის. სიჭაბუკისას,
როცა ვიშეგრადის თურქებთან შეხლა-შემოხლა მოუვიდა კოლა მღვდელს
და გაქცევით უშველა თავს, მოლა იბრაჰიმმა, ვისი მამაც ქალაქში
ფრიად გავლენიანი კაცი იყო, დიდი დახმარება გაუწია. უფრო გვიან,
როცა მშვიდობა ჩამოვარდა და ორ სარწმუნოებათა შორის შედარებით უკეთე-
სი ურთიერთობა დამყარდა, უკვე დავაჟკაცებული ნიკოლა მღვდელი და მოლა
იბრაჰიმი დამეგობრდნენ და ერთმანეთს ხუმრობით „მეზობელოს“ ეძახდნენ,
თუმცა სახლები ქალაქის თავსა და ბოლოში ედგათ.

გვალვა იყო, წყალდიდობა, მოარული სენი თუ სხვა უბედურება, თვითე-
ული მათგანი თავის მრევლში ერთსა და იმავე საქმეს იქმოდა. როცა მეიდანზე
ან ოკოლიშტეში ერთმანეთს ხვდებოდნენ, ისე ესალმებოდნენ, როგორც არც

ერთი მოლა და მღვდელი არ მისაღმებია ერთმანეთს. ასეთი შეხვედრისას ნიკოლა მღვდელი მდინარისკენ დაქანებული ქალაქის მხარეს ჩიბუხს გაიშვერდა და ხუმრობაგარევიტ ეტყოდა:

— რაც კი დედამიწაზე სუნთქავს, მოძრაობს და ადამიანის ენით მოუბარია, ყველას პასუხს ჩვენ მოგვთხოვენ და მოგვკითხავენ.

— ვფიცავ, მართალს ამბობ, მეზობელო, — ენის ბორძიკით დაეთანხმებოდა მოლა. ქალაქელები, ყველაფრის სასაცილოდ აღება და გაქილიკება რომ უყვარდათ, თუ დაინახავდნენ, ადამიანები ერთმანეთთან მეგობრულად არიანო, იტყოდნენ ხოლმე: „როგორც მღვდელს ხოჯა, ისე უყვართო ერთმანეთი“. ეს ნათქვამი ვიშვერადში ანდაზად იქცა.

ახლაც, თუმცა კრინტს არა სძრავდნენ, მაინც კარგად ესმოდათ ერთმანეთისა. იცოდა ნიკოლა მღვდელმა, რა ცუდ დღეში იყო მოლა იბრაჰიმი. მოლასაც კარგად ესმოდა, რომ არც მღვდელს ეყარა ხეირი. ორივენი ერთმანეთს ისე ელაპარაკებოდნენ თვალებით, როგორც ბევრჯერ ულაპარაკნიათ თავიანთი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. ორივეს კისერზე ედო ქალაქის მცხოვრებთა ბედ-იღბალი. ერთი პასუხს აგებდა იმათზე, ვინც პირჯვარს იწერდა, მეორეს კი ალაჰის მლოცველთა ბედი ებარა.

უეცრად ცხენების თქარათქური გაისმა. ჩაფარი ტანდაბალ ცხენს მოაჭენებდა და შიშისგან სულშეგუბებული შორიდანვე ყვიროდა:

— მოდის, თეთრი ცხენით მოდის!

მუდამ მშვიდი და ჩუმი ყარაულის უფროსიც უმაღ იქ გაჩნდა.

ოკოლიშტეს მხრიდან მტვრის კორიანტელი ავარდა. კაპიაზე მყოფთ, ვინც თურქეთის იმ მიყრუებულ მხარეს დაიბადა, XIX საუკუნემდე რომ იბოგინა, რასაკვირველია, მსოფლიოს კარგად გაწვრთნილ ჯარზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. აქამდე მხოლოდ სულთნის დაქუცმაცებული, ღარიბულად აღჭურვილი და უბადრუკი ჯარი ენახათ, საცოდავ ხელფასს რომ უხდიდნენ. ან კიდევ ხელმიშვებულ და ზარმაც ბოსნიელებს უყურებდნენ, მოთარეშე რაზმებში რომ ძალით გაერეკათ. ახლა პირველად დაინახეს საკუთარ ძალებში დაჯერებული დიდი სახელმწიფოს ძლევაგამოსილი ბრწყინვალე ლაშქარი. ამ ლაშქარს მათთვის უეჭველად თვალი უნდა მოეჭრა და ენა დაებორკა. საკმარისი იყო ერთხელ შეგეხებათ ნაპატივები ცხენებისა და ჯარისკაცების მუნდირებზე მოელვარე ღილებისათვის, რომ ამ საზეიმოდ გამოწყობილი ეგერებისა და ჰუსარების მიღმა ძლიერი ზურგი და სრულიად ახალი სამყაროს წესრიგი და კეთილდღეობა გეგრძნოთ.

წინ ლეგა ნასუქ ცხენებზე ამხედრებული ორი მებუკე მოდიოდა, უკან ყორნისფერ ბედაურებზე შემჯდარი ჰუსარების რაზმი მოჰყვებოდა. ცხენები საგანგებოდ ბზინავდნენ და გასათხოვარი ქალებივით მოგოგმანებდნენ. ჰუსარებს უსაჩიხო წითელი ქუდები ეხურათ, მკერდი ყვითელი ყაითნით ჰქონდათ მოქარგული. ყველანი ერთნაირად ღაჟღაჟა და გარუჯულები იყვნენ, ყველას ზევით აეგრიხა პატარა ულვაშები. ისეთი გამოძინებული და ცოცხალი გამოხედვა ჰქონდათ, გეგონება, ყაზარმებიდან ეს-ეს არის გამოსულანო. მათ მოჰყვებოდათ ექვსი ოფიცერი, რომელთაც პოლკის მეთაური მოუძლოდა. ყველას მზერა მისკენ იყო მიპყრობილი. მისი თეთრფეხება ცხენი ყველაზე მაღალი იყო და ყარყარა, მოქნილი კისერი ჰქონდა. ოფიცრებს ქვეითთა რაზმი მოსდევდა. ეგერებს მწვანე ფორმა ეცვათ, ტყავის ქუდებზე ბუმბულები უფრიალებ-

დათ, გულმკერდზე კი თეთრი ფერის აქსელბანდები უბრწყინავდათ. ისე და-
ფარეს თვალსაწიერი, თითქოს ცოცხალი ტყე დაიძრაო.

მებუკეებმა და ჰუსარებმა სასულიერო პირებსა და ყარაულის უფროსს
ჩაუარეს და მოედანზე დაეწყვნენ. მღელვარებისაგან გაფითრებული ქალაქის
თავაკები კაპიაზე იდგნენ და მოახლოებულ ოფიცრებს მიჩერებოდნენ. ერთ-
ერთი ოფიცერი პოლკის მეთაურს მიეახლა და რაღაცა უთხრა. მეთაურმა ცხენი
შეაჩერა და სულიერი მამებისაგან რამდენიმე ნაბიჯზე ჩამოქვეითდა. თითქოს
ნიშანი მისცესო, ოფიცრებმაც მას მიბაძეს. მაშინვე ჯარისკაცებმა მოიბრინეს,
ცხენები ჩამოართვეს და უკან წაიყვანეს.

მიწაზე ფეხი ჩამოდგა თუ არა, პოლკის მეთაური მაშინვე გამოიცვალა.
ტანდაბალი და შეუხედავი გამოდგა, მისი გარეგნობა კარგს არაფერს მოასწა-
ვებდა. ისეთი დაღლილი ჩანდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს ყველას ნაცვლად
მას უომნიაო.

მხოლოდ ახლა გახდა საჩინო, რა დაუდევრად ეცვა და წელში გამოკვალთულ
ნაპატივებ ოფიცრებთან შედარებით რა ულაზათოდ გამოიყურებოდა. პოლკის
მეთაური იმ კაცსა ჰგავდა, ვისაც ნაღველი და ბოღმა გულს უჭამდა. გარუჯუ-
ლი პირისახე წვერით გაბანჯგვლოდა, მოუსვენარი და ამღვრეული თვალები
ჰქონდა, მაღალი კივერი ღრიჯოდ ეხურა, დაჭმუჭვნილი და გამხდარი ტანისათ-
ვის შეუფერებელი ფართო მუნდირი და მოკლეპაჭიჭებიანი კავალერისტის
ჩექმები ეცვა, პეწი რომ დაკარგოდა. პოლკის მეთაური ფართო ნაბიჯებითა
და მათრახის ქნევით მოვიდა ახლოს. ერთ-ერთმა ოფიცერთაგანმა უპატაკა და
მათ წინ მდგომ ხალხზე მიუთითა. პოლკოვნიკმა ბოროტი შავი თვალებით
სწრაფი და განმგმირავი მზერა ესროლა მათ. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, თით-
ქოს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია და ფათერაკს მუდამყამს თვალებში
უყურებსო. მაშინვე იტყოდით, ამ კაცს სხვანაირი ყურება არც ეხერხებაო.

პირველად ნიკოლა მღვდელი ალაპარაკდა დინჯად და წყნარად. პოლკოვ-
ნიკმა თავი ასწია და ამ წარმოსადეგ კაცს შეხედა, შავი ანაფორა რომ ეცვა. ამ
ბიბლიური პატრიარქის კეთილშობილმა და ამაყმა პირისახემ წუთით მიიპყრო
პოლკოვნიკის ყურადღება. ნიკოლა მღვდელი თავაზიანად, ლაღად ლაპარაკობდა
და ჭაბუკ ოფიცერს შეჰყურებდა, მის სიტყვას რომ თარგმნიდა. ყველა სარწმუ-
ნოების სასულიერო პირის სახელით ნიკოლა მღვდელი პოლკოვნიკს არწმუ-
ნებდა, რომ ისინი თავის მრევლთან ერთად ნებაყოფლობით ემორჩილებიან
ახალ ხელისუფლებას და ყოველ ღონეს იხმარენ ისეთი სიმშვიდე და წეს-
რიგი დაამყარონ, რასაც მათგან ხელისუფლება მოითხოვს. თავის მხრივ ისი-
ნი ითხოვენ ჯარმა დაიცვას მათი ოჯახები და მშვიდი ცხოვრებისა და პატი-
ოსანი შრომის საშუალება მისცეთ.

ნიკოლა მღვდელი მოკლედ ლაპარაკობდა და მალე დაამთავრა, ისე რომ
ბრაზიან პოლკოვნიკს მოთმინება არ დაკარგვია. სამაგიეროდ, მან ჭაბუკი
ოფიცრის ნათარგმანებს ბოლომდე არც მოუსმინა, მათრახი აიქნია და უკმე-
ხად შეაწყვეტინა:

— კარგი, კარგი! ყველას შევივრდომებთ, ვინც დაიმსახურებს. წეს-
რიგი და სიმშვიდე კი ყველამ უნდა დაიცვას. სხვანაირად არც შეიძ-
ლება.

მერე თავი დააქნია და ისე გააგრძელა გზა, არც არავისთვის შეუხედავს
და არც არავის გამომშვიდობებია. ოფიცრები და ცხენოსანი ჯარისკაცები უკან

მიჰყვნენ. სულიერი მამებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია, და ისინიც მარტო დარჩნენ კაპიაზე.

ოთხივე იმედგაცრუებული იყო. მთელი წუხანდელი უძილო ღამე და მთელი ეს დილა თვითეული სულ იმ წუთზე ფიქრობდა, როცა იმპერატორის ჯარების პოლკოვნიკს შეხვდებოდნენ. თვითეული თავისებურად, თავისი გუნება-განწყობისა და ჭკუის მიხედვით სჯიდა ამ ამბავს და უარესისათვის ემზადებოდა. ერთი უკვე ხედავდა, როგორ აშორებდნენ მშობლიურ ოჯახსა და ქალაქს და შორს, გერმანიაში ასახლებდნენ, მეორე ჰაირუდინს იხსენებდა ოდესღაც ხალხს სწორედ ამ ადგილზე რომ აჭრიდა თავებს. მოკლედ ეს შეხვედრა ყველას სხვადასხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი, ოღონდაც არა ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა. იდგნენ „სულიერი მოძღვარნი“, აქეთ-იქით იყურებოდნენ და მათი მზერა თითქოს უსიტყვოდ კითხულობდა: „ცოცხლები კი დავრჩებით? ან მომავალში კიდევ რა მოგველის?“

პირველად ყარაულის უფროსი და ნიკოლა მღვდელი მოეგნენ გონს. ორივემ გადაწყვიტა, რომ თავიანთი მოვალეობა უკვე შეასრულეს და ახლა აღარაფერი დარჩენოდათ იმის მეტი, წინ წასულიყვნენ და ხალხისთვის ჩაეგონებიათ, შიში არაფრისა გქონდეთ, გაქცევაზე არ იფიქროთ და მშვიდად განაგრძეთ თქვენი საქმე. დანარჩენებმაც, გაფითრებულებმა და გაოგნებულებმა, ანგარიშმიუცემლად გაიზიარეს მათი გადაწყვეტილება, ვინაიდან თვითონ ფიქრის თავი არ ჰქონდათ.

ყარაულის უფროსი, ვინც სიმშვიდეს არც როდის ჰკარგავდა, თავისი საქმეების მოსაგვარებლად წავიდა. ჩაფარი გრძელ, ჭრელ ხალიჩასა ჰკეცავდა, პოლკოვნიკის ფეხის დაკარება რომ არ ეწერა, გვერდით კი მშვიდი და ბედისწერასავით აღუშფოთებელი სალკო ჰედო ედგა. „სულიერ მოძღვართაც“ სხვადასხვა გზით გასწიეს. რაბინს შინ დედასა და ცოლთან მიეჩქარებოდა, სადაც მშობლიური ჭერის სითბო და სიმყუდროვე ელოდა. მუდერისი ნელი ნაბიჯით, ღრმად ჩაფიქრებული მიდიოდა. ახლა, როცა ყველაფერი ასე მოულოდნელად, ასე იოლად და კეთილად დამთავრდა, თუმცაღა საკმაოდ უხეშად და უსიამოვნოდ, მიხვდა, რომ საშიში თურმე არაფერი ჰქონდა. ისეც კი მოეჩვენა, რომ არც შინებია არაფრის. ახლა იმაზე ფიქრობდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა ეს მოვლენა მისი ქრონიკისათვის და რამხელა ადგილს დაიჭერდა, ეყოფოდა თუ არა თხუთმეტი-ოცი სტრიქონი, თუ ამაზე ნაკლებიც იკმარებდა.

მეიდანამდე ნიკოლა მღვდელი და მოლა იბრაჰიმი ერთად მიდიოდნენ. ორივე საოცრად გააკვირვა ავსტრიელი პოლკოვნიკის გარეგნობამ და ქცევამ. ორივეს შინ მისვლა და თავისიანების ნახვა ეჩქარებოდა. გზაგასაყარზე ერთ წუთს შეჩერდნენ და მდუმარედ მიაჩერდნენ ერთმანეთს. მოლა იბრაჰიმი ტუჩებს აცმაცუნებდა და თვალებს ახამხამებდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებს და ვერ ახერხებსო. ნიკოლა მღვდელს კი ისევ გაუცისკროვნა ღიმილმა პირისახე და ბოლოს ორივეს ნაფიქრალი გამოთქვა:

— ეს ჯარი კარგა ბლომა სისხლს გამოგვწოვს.

— მართალს ლაპარაკობ, ს-ს-სი-სისხლის სუნი უდის! — ენა დაება მოლას, მე რე ორივე ხელი მალა ასწია და თავის კანტურით გამოეთხოვა.

ნიკოლა მღვდელი ნელი, მძიმე ნაბიჯით გაუყვა შინისაკენ, მისი სახლი ეკლესიის გვერდით იდგა. ცოლი გამოეგება, მაგრამ არაფერი უკითხავს. მღვდელმა იმწუთსავე გაიხადა ჩექმები და ანაფორა, გადაიძრო კუნკულაც,

პატარა აივანზე დაჯდა, წყალი დალია, თამბაქო მოსწია და ქანცმილეულმა თვალები მილულა; მაგრამ თვალწინ მაინც ბრაზიანი პოლკოვნიკი ედგა და ელვით დაბრმავებულის დარად სხვა ვერაფერს ვეღარ არჩევდა.

მღვდელმა ამოიოხრა, გააბოლა და თავისთვის წყნარად ჩაიბურტყუნა:

— ჰოი, რა საძაგელი ახირებული ვიღაცაა, ეშმაკსაც წაუღია მაგისი თავი...

ქალაქიდან დოლის ბრაზუნი გაისმა, რასაც ეგერების ბუკის ყურის წამლები ჰანგი შეუერთდა.

ამგვარად, თუ ალი-ხოჯას ყურის გახვრეტას სათვალავში არ ჩავაჩვენებთ უდიდესი გადატრიალება ხიდთან მდებარე ქალაქის ცხოვრებაში უმსხვერპლოდ მოხდა. გავიდა რამდენიმე დღე და ცხოვრება ისევ თავისი გზით წავიდა, თითქოს არაფერიც არ შეცვლილა. თვითონ ალი-ხოჯამ, ისევე როგორც სხვა ვაჭრებმა, ხელახლა გააღო თავისი დუქანი ხიდის ახლოს. მხოლოდ ჩალმა ოდნავ ჩაშრიწია მარჯვენა ყურზე, რათა ნაიარევი არ გამოსჩენოდა.

ტყვიასავით მძიმე ნალველს, გულზე რომ დააწვა, როცა ავსტრიელი სანიტრის მკლავზე წითელი ჯვარი დალანდა და ცრემლიანი თვალებით იმპერატორის მოწოდება წაიკითხა, უკვალოდ არ ჩაუვლია. ხოჯასთვის მაგრამ ის ნალველიც თანდათან დაპატარავდა, კრალოსნის მარცვლის ოდენა გახდა და არც მაინცდამაინც უშლიდა ცხოვრებაში ხელს, მით უმეტეს, რომ მარტო ალი-ხოჯა არ გრძნობდა მის სიმძიმეს.

ასე დაიწყო ახალი დროება, უცხოური ბატონობის ხანა. ხალხი, ვისაც მასთან ბრძოლის არც თავი ჰქონდა და არც ძალა, გულის სიღრმეში ამ ბატონობას დროებითად რაცხდა.

ბატონობის პირველ წლებში ხიდზე რაღა არ გადაჰქონდათ! გაუთავებელ მწკრივებად მოგრილებდა ყვითელი სამხედრო ოთხთვალეები და ქალაქში სურსათი, ტანსაცმელი, ავეჯი, რაღაც საოცარი მანქანები და იარაღი მოჰქონდა.

პირველ ხანებში ირგვლივ მხოლოდ ჯარს თუ დაინახავდით. ყოველი კუთხიდან თუ ბუჩქიდან, როგორც მიწიდან სოკოები, ისე წამოყოფდნენ ხოლმე თავს ჯარისკაცები. ისინი ბაზარზე იყრიდნენ თავს და ქალაქის სხვა უბნებსაც არ ივიწყებდნენ. აქა თუ იქ, ეზოებსა და ბალებიდან მოისმოდა უეცრად ჯარისკაცებს შეფეთებული ქალების შეშინებული კივილი. დღისით, რა დროსაც გინდოდათ, იმ დროს დაინახავდით ხიდზე ჯარისკაცებს. სამაგიეროდ ქალაქელები იშვიათადღა მიდიოდნენ იქ და კაპია ყოველთვის ავსტრიელებით იყო სავსე. ისხდნენ აქ, გასძახოდნენ სიმღერებს სხვადასხვა ენაზე, ოხუნჯობდნენ და ნაყიდ ხილს შეექცეოდნენ.

შემოდგომის პირზე ქალაქიდან ნელ-ნელა იწყო ჯარმა გასვლა. ბოლოს ჟანდარმერიის რაზმებიღა დარჩა. სამაგიეროდ ქალაქში ჩამოვიდნენ პატარა თუ დიდი თანამდებობის მოხელეები ოჯახებითა და შინამოსამსახურეებით. მათ ისეთი ხელობის ოსტატები მოჰყვნენ, ვისზედაც მანამდე ქალაქში არაფერი გაეგონათ. ესენი იყვნენ სხვადასხვა ეროვნების ხალხი — ჩეხები, პოლონელები, ხორვატები, უნგრელები და გერმანელები.

თავიდან ეგონათ, რომ ისინი შემთხვევით გამოჩნდნენ, თითქოს ჯარმა გადმოტყორცნაო, რომ დროებით ჩამოვიდნენ და ისე იცხოვრებდნენ, ვიმეგრადელების ოდითგან მომავალ ადათ-წესებს ნირს არ შეუცვლიდნენ. ამასობაში ჩამოსულთა რიცხვი ყოველთვიურად იზრდებოდა. მაგრამ ქალაქელებს ყველაზე უფრო აკვირვებდა და უნდობლობის გრძნობას უღვივებდა არა ჩამოსულთა

სიმრავლე, არამედ მათი გაურკვეველი დიდი გეგმები და მისწრაფებანი, დაულაღვი საქმიანობა და ის მიდევანობა, საქმეში რომ იჩენდნენ. მოსულები თვითონაც დაუდგრომლად ფუსფუსებდნენ და სხვებსაც არ ასვენებდნენ. ეტყობოდათ, გადაწყვეტილი ჰქონდათ ადამიანთა ყოფა-ცხოვრება, მათი ავლადიდება და საქონელი თავიანთი საკუთარი კანონების, განკარგულებისა და ბრძანების უხილავ ქსელში გაეხლართათ, სურდათ, როგორც ქალაქის გარეგანი იერი, ისე ქალაქელების ზნე-ჩვეულებები ძირფესვიანად შეეცვალათ. ყველაფერი მშვიდად, საქმიანად, ძალდაუტანებლად კეთდებოდა; თუკი რაიმე დაბრკოლებას ან გაუგებრობას წააწყდებოდნენ, მაშინვე უკან დაიხევდნენ, ფარულად მოილაპარაკებდნენ, სულ სხვა ხერხს მიმართავდნენ და თავიანთ ჩანაფიქრს მაინც აასრულებდნენ. ყოველი ახალი საქმე ხან თითქოსდა უწყინარი, ხან სრულიად უაზრო ჩანდა. აგერ ისინი რომელიღაც ხოდაბუნებს ზომავდნენ ან ტყეში ხეებს ნაჭდევეებს უკეთებენ, სანაგვე ორმოებსა და არხებს ათვალთქობენ, ცხენებსა და ძროხებს კბილებს უსინჯავენ, სასწორებსა და საწონებს ამოწმებენ, ხალხს სნეულებების, ხილის, ცხვრისა და ფრინველის ჯიშის ამბებზე ეკითხებოდნენ. ყველაფერს, რაც ასეთი გულმოდგინებით და გატაცებით კეთდებოდა, თითქოს შედეგი არაფერი ჰქონდა, თითქოს სამუდამოდ უკვალოდ ქრებოდა. მაგრამ რამდენიმე თვის ან შეიძლება ერთი წლის შემდეგ ეს ახირებული და დიდი ხნის გადავიწყებული წამოწყებები უეცრად ამოტივტივდებოდა. ქალაქის სამმართველოში—ყუნახში ცალკეული უბნის მამასახლისს დაიბარებდნენ და ახალ განკარგულებას აძლევდნენ, აქ ტყე გაეჩეხათ, იქ ტიფთან გაეჩაღებინათ ბრძოლა, ხილი თუ ტკბილეული ამ წესით გაეყიდათ, საქონელი ამა და ამ რიგზე აღეწერათ. დღე არ გათენდებოდა, ახალი განკარგულება არ გამოსულიყო. ყოველი ასეთი განკარგულება არათუ ზღუდავდა მოქალაქეთა უფლებებს და ახალ მოვალეობას აკისრებდა, ამავე დროს იერს უცვლიდა და ამდიდრებდა ქალაქისა თუ სოფლის ცხოვრებას.

თუმცაღა თურქთა და სერბიელთა ოჯახებში დიდად არაფერი შეცვლილა, ხალხი ძველებურად ცხოვრობდა, შრომობდა და ერთობოდა. პურს ვარცლში ზელდნენ, ყავას ადულებდნენ, თეთრეთლს ხის გობებში მღუღრავენ და მერე ნაცარტუტაში რეცხავდნენ, რისგანაც ქალებს ხელები ამოჭმული ჰქონდათ. დაზგებზე ქსოვდნენ, საქარგავებზე ქარგავდნენ, საოჯახო დღესასწაულებზე უქმეებსა და ქორწილებზე ძველ ადათებს მკაცრად იცავდნენ; მოკლედ რომ ვთქვათ, ხალხი ისეთნაირად ცხოვრობდა და მუშაობდა, როგორც ოდითგანვე იყო მიჩვეული და როგორც ოჯახების უმრავლესობა იცხოვრებს ოკუპაციის დღიდან ათი და ოცი წლის შემდეგაც.

სამაგიეროდ, ქალაქმა გარეგნულად უფრო სწრაფად და შესამჩნევად იცვალა იერი. იგივე ადამიანები, რომლებიც ოჯახებში ძველ წესებს მისდევდნენ და ამ წესების შელევას არც აპირებდნენ, ქალაქის სახეცვლილებას ადვილად ეგუებოდნენ, გაიკვირვებდნენ, ცოტა ხანს იზუზღუნებდნენ და ბოლოს ყველაფერს ეჩვეოდნენ, როგორც ყველგან და ყოველთვის ხდება ასეთ გარემოებაში. ახალი ცხოვრება ძველს უპირისპირდებოდა. ძველი ცნებები და ფასეულობანი ახალს ეჯახებოდა, ერთმანეთში ითქვიფებოდა ან ერთიმეორის მხარდამხარ განაგრძობდა არსებობას, იმის მოლოდინში, რომელი რომელს აჯობებსო. ადამიანი თავისი ბუნებით მტრულადაა განწყობილი ყოველი ახლისადმი, მაგრამ ეს ათვალწუნება ხანგრძლივი არ არის, რადგან უმეტესობისა-

თვის თვითონ ცხოვრებას მეტი ფასი და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმ ფორმას, რა ფორმითაც ეს ცხოვრება გვევლინება. მხოლოდ თითო-ორი ადამიანი-სათვის წარმოადგენს დიდ, ჭეშმარიტ უბედურებას ბრძოლა ძველსა და ახალს შორის.

ერთ-ერთი ასეთი ადამიანთაგანი გახლდათ ცრნიჩელი შემსი-ბეგ ბრანკოვიჩი, ვიშეგრადის ყველაზე უფრო მდიდარი და დაფასებული ბეგი. ექვსი ვაჟიშვილიდან ოთხი უკვე დაოჯახებული ჰყავდა. მინდვრებით, ბაღებითა და წარაფებით შემორაგულმა მათმა სახლებმა პატარა სოფელი შექმნა. ოჯახის მამამთავარი, მაღალი, სიბერისაგან ბეჭებში მოხრილი, სიტყვაძვირი, მკაცრი შემსი-ბეგი ოქროს სირმებით მოქარგულ ვეებერთელა თეთრ ჩალმას ატარებდა და მხოლოდ პარასკეობით ჩამოდებდა მეჩეთში სალოცავად. უცხოელთა ბატონობის პირველი დღიდანვე ისე ჩაივლიდა ქალაქში, ხმას არავის სცემდა და ზედაც არავის უყურებდა. ბრანკოვიჩების სახლში აკრძალული იყო ახალი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტარება, არც ახალი ხელსაწყო-იარაღები და სიტყვები გაჭაჭანებულა იქ. შვილებს აკრძალული ჰქონდათ ურთიერთობა ახალ ხელისუფლებასთან, ბავშვებს სკოლაში არ უშვებდნენ, ვაჟიშვილები მამის ჯიუტობით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ არავის შეეძლო სიტყვითა თუ გამოხედვით მოხუცის სურვილს წინ აღსდგომოდა.

ვიშეგრადის ყველაზე დიდგვაროვანი და პატივცემული თურქები ხშირად მოდიოდნენ ცრნიჩში, ვითარცა წმინდა ადგილას, რათა შემსი-ბეგთან დამსახდარიყვნენ და ემუსაიფათ. ბეგის სახლში ისეთი ხალხი იკრიბებოდა, ვინც სინამდვილეს ვერ შერიგებოდა და ძველ ადათებს ვერ დალატობდა. ისინი ხოლმე დიდხნობით მდუმარედ და ერთმანეთისა უსიტყვოდაც კარგად ესმოდათ.

ზამთარ-ზაფხულ სულ ერთნაირად დიღებშეკრული, შეფუთული შემსი-ბეგი წითელ ხალიჩაზე ზის, ხელში ჩიბუხი უჭირავს; ირგვლივ სტუმრები შემოსხდომიან. ლაპარაკობენ მუდამ ავსტრიელების რომელიმე ახალ, უცნაურ და მიუღებელ კანონზე ან იმ თურქებზე, სულ უფრო და უფრო რომ ეგუებიან ახალ წეს-წყობილებას. საუბარი მუდამ ერთი და იგივე შეკითხვებით მთავრდება: რას უქადით ეს ყველაფერი და რა მოვლით, ვინ არიან ეს უცხოელები, არც დასვენება, არც სიმშვიდე, არც არაფრის ზომა და საზღვარი რომ არ იციან? რა სწადიათ? რა განზრახვით მოსულან?

შემსი-ბეგი შეჰყურებს მათ და თითქმის ერთთავად დუმს. პირისახეზე მიწისფერი ადევს, მიმქრალი თვალებით ბებერი არწივის დარად ჯიქურ იცქირება და თუმცა თითქოს ვერაფერს ამჩნევს და გონებითაც სხვაგან არის, ადამიანები მისგან მაინც შვებამონიჭებულნი ბრუნდებიან. მისი ვაჟკაცური ქედმოუდრეკელობა გულს უჩუყებთ და აღტაცებას ჰგვრით.

და როცა მომდევნო პარასკევს შემსი-ბეგი ბაზრის მოედანზე გამოჩნდება, მას ისეთი ცვლილებანი ხვდება, რაც გასულ პარასკევს არ ყოფილა. შემსი-ბეგს ამის დანახვა არ უნდა, თვალებს ძირს ხრის და მიწას აშტერდება. მაგრამ აქაც, ქუჩის შემხმარ ტალახშიც, თურქული მრგვალი ნალის ნაკვალევს გვერდზე სულ უფრო ხშირად ამჩნევს წვეტებიანი ავსტრიული ნალების ანაბეჭდს. ასე რომ გზის მტვერშიაც კი მისი მზერა იმავე მკაცრ განაჩენს კითხულობდა, დროის განაჩენს, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია.

შემსი-ბეგმა ბოლო-ბოლო სულ აიკრძალა ქალაქში გამოსვლა და შინიდან ფეხს აღარ იცვლიდა; უცხოელთა ბატონობის მესამე წელს შემსი-ბეგი მოკ-

ვდა. მოკვდა ისე, რომ ფრჩხილიც არ წამოსტკენია და ერთხელაც არ დასცდენია ის მწარე სამსალით სავსე სიტყვა, ყოველ წამს იწინის წვერზე რომ ეყრდა. მოკვდა ისე, რომ ფეხი აღარ დაუბიჯებია ბაზარში, სადაც ახლა ყველაფერი ახლებურად წარიმართა.

ქალაქი მართლაც სწრაფად იცვლიდა ელფერს: უცხოელები ხეებსა სჭრიდნენ, ზოგან ნერგებს რგავდნენ, ახალი გზები გაჰყავდათ და ძველის შეკეთებაც არ ავიწყდებოდათ, არხებსა სთხრიდნენ და ადმინისტრაციულ შენობებს აშენებდნენ. ავსტრიელთა მოსვლის პირველ წელსვე მწკრივად ჩაყოლებული, წინ გამოჩრილი ბაზრის დუქნები აიღეს, რომლებიც, სიმართლე რომ ითქვას, არავის არაფერს უშლიდა. ამ ძველებური ყავრით გადახურული დუქნების ადგილზე კრამიტით ან თუნუქით გადახურული ახალი მკვიდრი შენობები ააშენეს. ალი-ხოჯას დუქნის ადებასაც აპირებდნენ, მაგრამ ხოჯა მაგრად დაუდგა, დავა ატეხა, საქმე სასამართლომდე მიიყვანა და იმდენი ქნა, ვიდრე თავისი არ გაიტანა.

მოედანი გაათავოვეს და მოასწორეს. სასამართლოსა და საოლქო მმართველობისათვის ახალი მაღალი ყუნახი ააშენეს. სამხედროები სამოქალაქო ხელისუფლებაზე უფრო სწრაფად და გაბედულად მოქმედებდნენ — აშენებდნენ ბარაკებს, ხეებს გლეჯდნენ და იმათ ადგილზე ახლებსა რგავდნენ. ვიშეგრადის გორაკები აღარ იცნობოდა.

მოხუცების გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა. გასაოცარი კი მართლაც ბევრი რამ იყო. როცა მოხუცები იფიქრებდნენ, ამ უაზრო გულმოდგინების დასასრული დადგაო, უცხოელები ახალ, კიდევ უფრო გაუგებარ საქმეს იწყებდნენ. ქალაქელებიც დადგებოდნენ და შეჰყურებდნენ ხოლმე მათ მუშაობას, ოღონდ არა ისე, როგორც ბავშვებს უყვართ მოზრდილების მუშაობის ცქერა, არამედ პირიქით, როგორც მოზრდილები შეჩერდებიან ხოლმე, რათა ბავშვების თავშესაქცევარს წამიერად შეხედონ. არავის ესმოდა, რა საჭირო იყო გამუდმებული ნგრევა და შენება. არავის ესმოდა, რად ისწრაფოდნენ უცხოელები გამოეცნოთ ბუნების ძალების მოქმედება, საკუთარი მიზნებისათვის დაემოჩილებინათ იგი ან ებრძოლათ მის წინააღმდეგ. პირიქით. ყველა ქალაქელი და განსაკუთრებით კი მოხუცები ამაში უბედურების ნიშანს ჰვრეტდნენ. მათი ნება რომ ყოფილიყო, ვიშეგრადიც ისეთნაირად იქნებოდა, როგორც ყველა დანარჩენი აღმოსავლური ქალაქი. ისინი გაამაგრებდნენ ყველაფერს, რაც კი დანგრევის პირზე იქნებოდა, გადალრეცილ ნაგებობებს ბიჯებს შეუყენებდნენ, ოღონდ არავის მოუვიდოდა აზრად ამ აუცილებელი საქმის გარდა რაღაც სხვა სამუშაო გამოეძებნა და მით უმეტეს რაღაც მომავლის გეგმებით ეხელმძღვანელა, ხელსაც არავინ ახლებდა შენობათა საძირკველს და ღვთისაგან ნაბოძებ იერს ქალაქს არ დაუკარგავდა.

მაგრამ, მათდა გასაკვირად, უცხოელები სწრაფად და თანმიმდევრულად მუშაობდნენ და რაღაც უცნობი, საგულდაგულოდ დამუშავებული გეგმით ხელმძღვანელობდნენ. ასე მიდგა ჯერი გაუქმებულ, უპატრონოდ მიგდებულ ქარვასლაზე. იგი ისევე, როგორც ამ სამასი წლის წინათ, თავისი დღევანდელი შესახედაობითაც ხიდის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა კი რასაც „ქვის სასტუმრო“ ერქვა, დიდი ხანია ნანგრევებად ქცეულიყო. ქარვასლა ქალაქის მცხოვრებთ ხიდის დამატებად, ქალაქის სისხლ-ხორცად მიიჩნდათ; სიზმრადაც კი არავის მოეგონებოდა, რომ ქარვასლას ვინმე ხელს ახლებდა

და რაიმეს შეცვლიდა, გარდა იმისა, რაც დროსა და ბუნებას თავისით შეცვალა. მაგრამ მოსულეებმა ქარვასლასაც უწიეს. მის შორიანლო ნაკვეთს ჯერ ინჟინრები ზომავდნენ დიდხანს, მერე დღიური მუშები მოვიდნენ, კედლებიდან ერთიმეორის მიყოლებით ქვეები ჩამოყარეს და ნაპრალებში შებუდე-ბული ფრინველები და პატარა მხეცები დააფრთხეს. მალე ბაზარსა და ხიდს შუა მოედანი დაცარიელდა და სასტუმროსაგან მხოლოდ თეთრი ქვის მწკრი-ვებილა დარჩა. ორი წელიც არ იყო გასული, რომ ზედ ორსართულიანი ყაზარ-მა დააშენეს, ღია ცისფრად შეღებეს და რუხი თუნუქით გადახურეს. ფართო მოედანზე მთელი დღე გაჰკიოდა კაპრალი და ჯარისკაცებს ავარჯიშებდა, მწუ-ხრისას კი ამ უხეირო ფანჯრებიდან გარმონისა და უცხო სიმღერების ხმა გამო-დიოდა, შემდეგ სამხედრო საყვირის სევდიანი ჰანგი ისმოდა, ქალაქის ძაღლე-ბი რომ მყის ყმუილით აძლევენდნენ ბანს.

ასე აღიგავა ვეზირის წმიდათაწმიდა საჩუქარი, ასე გაჩნდა ხიდის მეზო-ბლად გარემოსთან სრულიად შეუხამებელი ყაზარმა, ხალხი ძველი ჩვეულები-სამებრ ისევ „ქვითკირის სასტუმროს“ რომ ეძახდა.

ამიერიდან ხიდი მარტოდმარტო, განცალკევებულად დარჩა. კაპიაზე ცხოვ-რება ისევ ძველებურად მიდიოდა, ოღონდ აშკარად შეიმჩნეოდა, რომ ახლა სერბიელებმაც და ებრაელებმაც უფრო თავისუფლად და მრავლად დაიწყეს იქ სიარული. თურქულ ადათებსა და ზნე-ჩვეულებებს უკვე ანგარიშს აღარ უწევდნენ. ძველებურად დილიდან საღამომდე ისხდნენ გადამყიდველები და ვაჭრები. აქვე დაყილობდნენ ყველა ჯურის ცრუქაქუნები, ვინც მიჩვეულები იყვნენ შზის ამოსვლისთანავე ქალაქში უქმად ხეტიალს. საღამომობით კი სხვა ჯურის ხალხი იყრიდა თავს. მამვრალი ხალხი სამუსაიფოდ ან ისე, კაპიაზე დასაჯდომად მოდიოდა, რათა დაბალი, წნორის ჭალებით დაფარული ნაპირე-ბისა და ქვიშიანი მეჩეჩების ჩარჩოში ჩასმული მწვანე მდინარისათვის ეყურე-ბინათ. ღამე კი ახალგაზრდებისა და მოქეიფეებისა იყო. თუმცაღა პირველ ხანებში ღამის ეს წესიც შეიცვალა.

ახალმა ხელისუფლებმა ქალაქის განათება გადაწყვიტეს და მთავარი ქუ-ჩებისა და გზაჯვარედინების მწვანე ბოძებზე ნავთის ფარნები ჩამოჰკიდეს. ფარნებს სწმენდდა, შიგ ნავთს ასხამდა და ანათებდა აყლაყულა ფერხატი, ვინც მთლად ღატლაკინა იყო და შვილების მთელი ჯგრო ეხვია გარს. რამდენიმე ადგილას ხიდიც გააშუქეს. ერთი ფარანი კაპიაზე დადგეს. ფარნის საბჯენი ოდესღაც ამ ადგილას მდგარი საღარაჯო კოშკისაგან გადარჩენილ მუხის ძელ-ზე იყო მიმაგრებული. კაპიაზე დადგმულ ფარანს ხანგრძლივი ჭიდილი დას-ჭირდა იმ ხალხთან, ვისაც სიმღერა, ლაპარაკი თუ თუთუნის გაბოლება სიბნე-ლეში უყვარდა. ფარანს არც ისინი აყრიდნენ ხეირს, ვისაც ნგრევის სურვილს უღვიძებდა მოწყენილობა, არაყი თუ სიყვარული. გამთენიისას ფარანი რამ-დენჯერმე გატეხილიც ნახეს. ფარნის გამო სასამართლომ მრავალჯერ გამოიტა-ნა განაჩენი და ფულადი ჯარიმაც ბევრმა გადაიშვლია. ქალაქის ხელისუფ-ლებმა ერთხანს ფარანს ღამის დარაჯიც მიუჩინეს და კაპიის ღამეული სტუმ-რებისათვის ცოცხალი მოწმე ფარანზე უფრო საძულველი გახადეს. მაგრამ დროს თავისი გაჰქონდა და ახალი თაობაც თანდათანობით ფარნის მკრთალ მუქზე მიეჩვია ღამდამობით საუბარს.

მაგრამ წელიწადში ერთხელ ხიდს საზეიმოდ აჩახჩახებდნენ. აგვისტოს დამდეგს — იმპერატორის დაბადების დღეს ხელისუფალნი ხიდს ყოველწლი-

ურად ფოთლების გვირგვინებითა და ნაძვის ტოტებით რთავდნენ, სტეარინითა და ქონით სავსე ასობით კონსერვის ქილა მოაჯირების გასწვრივ გრძელ რიგებად კაშკაშებდა. ისინი მხოლოდ ხიდის მთავარ ნაწილს ანათებდა, მისი თავი, ბოლო და ბურჯები წყვდიადში იყო ჩაფლული და ისე მოჩანდა, თითქოს განათებული ნაწილი სივრცეშიაო გამოკიდული. მაგრამ ყველა ცეცხლი იფერფლება და ყოველ დღესასწაულს თავისი დასასრული აქვს, — ხიდს მეორე დღესვე უწინდებური იერი ედო.

ფარნებთან ერთად ახალმა ხელისუფლებმა ხიდზე სისუფთავეც დაამყარეს: ვაშლის ნაფცქვენიები, საზამთროს თესლები და თხილის ნაჭუჭები ამიერიდან აღარ ეყარა ფილებზე მანამ, სანამ მათ წვიმა და ქარი არ წარხოცავდა. ხიდს დილდობით ჰგვიდა და ასუფთავებდა მეფხოვე. ბოლოს და ბოლოს ქალაქელები ამასაც მიეჩვივნენ — ადამიანები ხომ ეჩვევიან სისუფთავეს მაშინაც კი, როცა ეს არ ესადაგება მათ მოთხოვნილებებსა და ჩვევებს, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ თვითონ არ იქნებიან ვალდებულნი წესრიგი დაიცვან.

იყო კიდევ უცხოელების მიერ შემოღებული ერთი სიახლე: ხიდის არსებობის დღიდან კაპიაზე პირველად გამოჩნდნენ ქალები — მოხელეთა ცოლები და ქალიშვილები, მოახლეები და გადიები. ისინი სასაუბროდ ჩერდებოდნენ ან დღესასწაულების დღეებში თავიანთ თანამგზავრებთან ერთად მოდიოდნენ და ხიდზე ისხდნენ....

რასაკვირველია, ქალაქელ ქალებსა და კაპიას შორის ყოველთვის იყო კავშირი. მაგალითად, ხიდზე გამვლელ ქალებს მამაკაცები ხანდახან ქათინაურს ესროდნენ. აქ უსაუბრობათ და უოცნებობათ მათ ქალებსა და სიყვარულზე, აქ დამიცხრალა ახალგაზრდა რაყიფთა ქიშპი, აქ ჩასახულა და გამქრალა მრავალი გატაცება და გზნება. მაგრამ არც ქრისტიანი და არც მუსულმანი ქალები ხიდზე არასოდეს გაჩერებულან და არც კაპიაზე ჩამომსხდარან.

სადღესასწაულო დღეებში თუ კვირაობით კაპიაზე ახლა ხშირად ნახავდით ლოყებლაჟღაჟა მზარეულ ქალებს, ისე რომ იყვნენ კაბებში გამოკვალთულნი, ძლივსდა სუნთქავდნენ. მათ ბრჭყვიალა ღილებიან მუნდირებში გამოწყობილი თაყვანისმცემლები მოსდევდათ, მკერდზე მსროლელი ნაწილების განმასხვავებელი ნიშნები რომ ეკეთათ. სამუშაო დღეებში კი სადამოობით მოხელეები და ოფიცრები დასეირნობდნენ ცოლებთან ერთად, კაპიაზე ჩერდებოდნენ, თავიანთ გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდნენ, ხმამაღლა იცინოდნენ და ფრიალდ თამამად და თავისუფლად ეჭირათ თავი.

მაგრამ ხიდზე მომხდარი ეს ცვლილებანი მაინც ზერელე, უმნიშვნელო და ხანმოკლე იყო. გეგონებოდა, ძველთაძველი თეთრი ხიდი, რომლის თავზეც სამმა საუკუნემ ისე გადაიქროლა, მისთვის არც არაფერი უვნია და არც რაიმე კვალი დაუტოვებია, ახალი ხელმწიფის დროსაც არ შეიცვლიდა ნირს, ისევე გაუძლებდა ყოველ სიახლესა და ცვლილებას, როგორც ოდითგანვე უძლებდა ამღვრეული წყლის გაშმაგებულ შემოტევას და დიდი წყალდიდობის ჟამსაც ისეთივე თეთრი და ლამაზი ჩანდა, თითქოს ეს-ესაა ხელახლა დაბადებულაო.

ოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ყვითლად შეღებილმა ავსტრიულმა სამხედრო საზიდრებმა ხიდზე გადაიგრიხინეს. ოკუპაციის ორი ათწლეული დღეებისა და თვეების გრძელი რიგია. ყოველი ასეთი დღე და თვე, თითქოს წუთიერი მოლანდებია, მაგრამ ყველა ერთად აღებული შედარებით ხანგრძლივ


ხანად ითვლება. ეს იყო მოჩვენებითი კეთილდღეობის და უზრუნველყოფის ხანა, თუმცა ხალხს დიდი ვერაფერი საშოვარი ჰქონდა. ეს ის წლები იყო, როცა დედები შვილებზე იტყოდნენ: „იცოცხლოს და იღღეგრძელოს და ღმერთმა ლუკმაპურის იმედი ნუ მოუშალოს“, როცა ქუჩებში ლიტლიფების ამნები აყლაყუდა და ღარიბ-ღატაკი ფერხატის ცოლიც კი, ვისი ქმარიც თვეში ოც ფორინტს იღებდა, ამაყად ამბობდა: „მადლობა ღმერთს, ჩემს ფერხატს მუდმივი ხელფასი აქვსო“. ასე და ამგვარად ყოველგვარი მღელვარებისა და მნიშვნელოვან მოვლენათა გარეშე მიედინებოდა XIX საუკუნის უკანასკნელი წლები, ისევე როგორც ფართო მდინარე მიედინება, ვიდრე შესართავს მიატანდეს.

მაგრამ ზაფხულის ერთ დღეს, დიდი ხნის შესვენების შემდეგ კაპიაზე ისევ გამოაკრეს ოფიციალური, ამჯერად მოკლე ცნობა. ის იტყობინებოდა, რომ მისი უდიდებულესობა იმპერატორის მეუღლე ელისაბედი ჟენევაში იტალიელი ანარქისტი ლუკენის ვერაგული თავდასხმის მსხვერპლი გამხდარიყო. ხალხი ამ ცნობას ერთგვარი მღელვარებით კითხულობდა, თუმცა კარგად არც კი ესმოდა მომხდარი ამბის შინაარსი და არცთუ განსაკუთრებულ თანაგრძნობას გამოხატავდა.

ხელისუფლებამ რამდენიმე დღით აკრძალა კაპიაზე სიმღერა, ცეკვა-თამაში და მხიარულება. ამ ამბებშია ქალაქში მხოლოდ ერთი კაცი შეაწუხა ძლიერ. ეს იყო ვიშეგრადის ერთადერთი იტალიელი მცხოვრები პერო სოლა—მოიჯარადრე და მშენებელი, ქვისმთლეელი და მხატვარი. მოკლედ რომ ვთქვათ, ოქრო ხელის პატრონი. ოსტატი პერო, როგორც ქალაქში ეძახდნენ, ჯერ კიდევ ოკუპაციის პირველ წლებში ჩამოვიდა, ცოლად შეირთო ვინმე სტანე, ობოლი გოგო, ვისაც არცთუ მაინცდამაინც პატიოსანი ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი. იგი მწითურა იყო, ჯანიანი და ოსტატ პეროზე თითქმის ორჯერ მაღალიც. ამბობდნენ, ენაგრძელია და მუშტიც მაგარი აქვსო. ერთი სიტყვით, ისეთი ქალი იყო, რომლისგანაც თავი შორს უნდა გჭეროდა. ოსტატი პერო ტანდაბალი, წელში მოხრილი, კეთილი ადამიანი იყო, ცისფერი თვინიერი თვალები და ჩამოფხატული უღვაშები ჰქონდა. როგორც კარგ ოსტატს, შემოსავალი გვარიანი გააჩნდა. თანდათანობით ნამდვილ ვიშეგრადელად გადაიქცა, ოღონდ ლაპარაკსა და იქაურ კილოს ვერაფრის დიდებით ვერ დაეუფლა. ოქროს მარჯვენისა და კეთილი გუნების გამო ქალაქში ყველას უყვარდა.

როცა საშუალოდან მომავალმა, ქვის მტვერში ამოგანგლულმა და საღებავებით მოთხვრილმა ოსტატმა პერომ ცნობა წაიკითხა, თვალებზე ქუდი ჩამოიფხატა და ჩიბუხის თხელ ტარს, მუდამ პირში რომ ჰქონდა გაჩრილი, კბილები უფრო მაგრად მოუჭირა. საცა კი დარბაისელი ვიშეგრადელი შეხვდებოდა, თავს იმართლებდა, მართალია, მცეც იტალიელი ვარ, მაგრამ საერთო არაფერი მაქვსო ლუკენისთან და მის საზიზღარ დანაშაულთან. ქალაქელები დასცინოდნენ პეროს ასეთ სიცხარეს, მღელვარებასა და გაუთავებელ თავის მართლებას. ქალაქელმა ბავშვებმა კი მაშინვე სეირად აქციეს ეს ამბავი: რომელიმე ღობის უკან ჩაიყუნცებოდნენ და ოსტატ პეროს მისძახოდნენ: „ლუკენი! ლუკენიო!“ საბრალო კაცი ამ შეძახილებს ისე გაურბოდა, როგორც კრაზანების გუნდს, თვალებზე ქუდს ჩამოიფხატავდა და სახლისაკენ მიიჩქაროდა, რათა მეუღლისათვის შეეჩივლა და მის ფართო მკერდზე წაეტირა.

კაპიაზე მსხდომი მოხუცები იმ დღეებში თავდახრილი, გაყინული სახით



უსმენდნენ გაზეთებში გამოქვეყნებულ ავსტრიელი დედოფლის მკვლელობის დაწვრილებით ცნობებს. ეს ცნობები მხოლოდ იმის საბაზი გამხდარიყო, რათა გვირგვინოსანებისა და დიდი ადამიანების ბედზე ჩამოეგდოთ ლაპარაკი. ამ დარბაისელ, ცნობისმოყვარე, მაგრამ ნაკლებად მცოდნე ხალხში ჩამდგარი სკოლის მუდერისი ჰუსეინ-ეფენდი კი უხსნიდა მათ, ვინ იყვნენ ანარქისტები.

მუდარისს თავი კვლავ მედიდურად და ზვიადად ეჭირა, როგორც ოცი წლის წინათ, როცა ამავე კაპიაზე იბრაჰიმ მოლასა და ნიკოლა მღვდელთან ერთად ელოდა ავსტრიელების მოსვლას. ერთიცა და მეორეც დიდი ხანია თავთავიანთ წილხვდომილ სასაფლაოებზე განისვენებდა. ჰუსეინ-ეფენდის გაჭალარავებული წვერი ძველებურად ისევ ისე კოხტად ჰქონდა შეკრეჭილი; მშვიდპირისახეზე ნაოჭები ოდნავ დასჩენოდა, ვინაიდან გულცივი და მედიდური ადამიანები გვიან ბერდებიან. ამ ოც წელში საკუთარ თავზე უფრო მეტი წარმოდგენისა გამხდარიყო. სხვათა შორის მოვიხსენიებთ, რომ წიგნებით გატენილი სკივრი, მუდერისს მეცნიერის სახელი რომ გაუთქვა, ისევ დაკეტილ-დაგმანული იდგა სხვებისათვის და ქალაქის ქრონიკა ამ ხანში მხოლოდ ოთხი გვერდით გაზრდილიყო, რადგან განსწავლული კაცი, რაც ხანში შედიოდა, მით უფრო მეტად აფასებდა თავსაც და თავის ქონებასაც და უფრო ნაკლებ მნიშვნელოვნად თვლიდა იმ ამბებს, რაც მის გარშემო ხდებოდა. ახლა მუდერისი, თითქოს გაურკვეველ ხელნაწერს კითხულობსო, ნელა და დაბალ ხმაზე გამოთქვამდა თავის აზრს უცხო რჯულის დედოფლის ბედზე, რომლის მიხედვითაც (სიმართლე რომ ითქვას, ეს აზრი მას არ ეკუთვნოდა: მუდერისმა ის თავისი ყოფილი მასწავლებლის არაპ-ხოჯისაგან მიემკვიდრეობით მიღებულ ზოგიერთ კარგ წიგნში ამოიკითხა) ისინი, ვისაც ახლა ანარქისტებს ეძახიან, დასაბამიდანვე არსებობდნენ და მანამდე იარსებებენ, სანამ დედამიწაზე ადამიანები იქნებიან. ასეთია ადამიანის ცხოვრება. თვით ერთმა ღმერთმა ისურვა, რომ ერთ დრაჰმა სიკეთეზე ორი დრაჰმა ბოროტება მოდიოდეს; დედამიწაზე არც სიკეთე არსებობს ბოროტების გარეშე და არც დიდება შურის გარეშე. ეს უმთავრესად ყველაზე დიდ, ღვთისმოსავ და სახელოვან ადამიანებს ეხება. თვითელი მათგანის დიდების ჩრდილში იზრდება მკვლელიც, ვინც დროს უცდის, რათა ადრე თუ გვიან განზრახული აღასრულოს.

— აი, თუნდაც ჩვენი თანამემამულე მიეჭმედ-ფაშა ავიღოთ, დიდი ხანია სამოთხეში რომ დაიმკვიდრა სასუფეველი, — თქვა მუდერისმა, და ცნობის ზემოთ მოთავსებულ მარმარილოს დაფაზე მიუთითა. — სამ სულთანს ემსახურებოდა და იოსებზე ბრძენი იყო; თავისი ძლიერებითა და ღვთისმოსაობით აგვიშენა ხიდი, სადაც ახლა ვსხედვართ. მაგრამ თვითონაც დანამ იმსხვერპლა. ძლიერებისა და სიბრძნის მიუხედავად, მაინც ვერ შესძლო საბედისწერო წუთები თავიდან აეცილებინა. ვისაც დიდი ვეზირი საკუთარი ზრახვების აღსრულებაში ხელს უშლიდა, ძლიერი და დიდი პარტია იყო. მათ შესძლეს ჭკუაზე გადამცდარი დერვიში შეეიარაღებინათ და მოსაკლავად მიეგზავნათ ვეზირთან, როცა იგი მეჩეთში სალოცავად შედიოდა.

ხალხი უსმენდა, თამბაქოს კვამლს ხელით ფანტავდნენ და ხან წარწერიან დაფას, ხან კი შავ ჩარჩოში ჩასმულ ცნობას შესცქეროდნენ. თუმცა მუდერისის მსჯელობის არსი ყველას არ ესმოდა, მაგრამ გუმანით გრძნობდნენ სულ სხვა, მათთვის უცხო ცხოვრების არსებობას, სადაც აღზევებას დანარცხება მოსდევს, სადაც ბედნიერება უბედურებასთანაა წილნაყარი და ეს ყვე-

ლაფერი რაღაცნაირად აწონასწორებს კაპიაზე მათ წყნარსა და ერთფეროვან ყოფას.

ჩაიარა ამ დღეებმაც. ხიდსა და კაპიაზე ისევ გაცოცხლდა უწინდებური საუბარი, ოხუნჯობა და სიმღერები, შეწყდა ანარქისტებზე ლაპარაკი. აქაურის ხალხისათვის თითქმის უცნობი დედოფლის გარდაცვალების ცნობა მზემ, წვიმამ და მტვერმა ჩამორეცხა, ბოლოს ქარმა ჩამოგლიჯა და ნაგლეჯები წყალში და მდინარის ნაპირზე მიმოფანტა.

უცხოური მმართველობის მსუღმივმა და მოუღალავმა საქმიანობამ ოც წელიწადში როგორც ქალაქის გარეგანი იერი, ისე მის მკვიდრთა სამოსი და ჩვევები ბევრნაირად შეცვალა. თავისთავად ცხადი იყო, ამ ცვლილებას ვერ გადარჩებოდა ძველთაძველი ხიდიც, ვისაც თავისი იერი აქამდე, ნირუცვლელად მოეტანა.

დადგა 1900 წელი, დამთავრდა ძველი, ბედნიერი ასწლეული და ახალი საუკუნე დაიწყო; ბევრი ელოდა, რომ ეს საუკუნე მის წინამორბედზე უფრო ბედნიერი გამოდგებოდა. საუკუნის პირველ წელსვე მოვიდნენ ინჟინრები და ხიდის თვალყურება დაიწყეს. ხალხი ისე მიეჩვია ამისთანა ამბებს, რომ ბავშვებმაც კი იცოდნენ, თუ ტყავისპალტოიანი ადამიანები, გარეთა ჯიბე რომ ფერადი ფანქრებითა ჰქონდათ გამოტენილი, სანაპიროზე ან რომელიმე შენობის ახლოს ფუსფუსს დაიწყებდნენ, ეს უშედეგოდ არ ჩაივლიდა. აუცილებლად რაღაცას დაანგრევდნენ, ააშენებდნენ, ამოთხრიდნენ ან გადააკეთებდნენ. მაგრამ ვერავინ მიმხვდარიყო, ცა და დედამიწასავით მარადიული და უცვლელი ხიდისათვის რა შეიძლებოდა ექნათ. ინჟინრებმა ყველაფერს გარშემო შემოუარეს, გადაზომეს, ჩაიწერეს და წავიდნენ. როცა მათი ამბავი ყველას დაავიწყდა, შუაგულ ზაფხულში, წყლის დონემ რომ ყველაზე დაბლა დაიწია, უეცრად გამოჩნდნენ მოიჯარეები და მუშები და ხიდის გვერდზე იარაღების შესანახავად დროებითი ფარდულების მშენებლობა დაიწყეს. ის იყო ხმა გავარდა, ხიდის შეკეთებას აპირებენო, რომ ბურჯები უკვე ხარაჩოებში იყო ჩასმული და ხიდზე ამწე-ოწინარები და ჭოჭონაქები იდგა. მუშები ოწინარებზე ჩამოკიდებულ ვიწრო ხის ყუთის მაგვარ ფიცარნაგებში ისხდნენ, ადიოდ-ჩამოდრიოდნენ და ბურჯებთან, სადაც ნაპრალები იყო ან ქვებში შუა დარჩენილ ღრიტოებში ბალახი იზრდებოდა, ცოტა ხანს ყოვნდებოდნენ. მალე ხვრელები ამოავსეს, ბალახი ამოგლიჯეს, ფრინველთა ბუდეები მოშალეს. როცა ყველაფერს მოჩინენ, წყლისაგან გამოჭმული ხიდის საძირკვლის შეკეთება დაიწყეს, მდინარე შეაგუბეს, გვერდზე გადააგდეს, ისე რომ გამოჩნდა ჩაშავებული გალესილი ქვები და შეჭმული თუ წყალში გაქვავებული მუხის ძელები, აქ სამას ოცდაათი წელი რომ გაატარეს. დაუღალავ ოწინარებს ცემენტი და ხრეში ერთიმეორეზე ამოჰქონდათ და სამი შუათანა ბურჯი, სწრაფი დინებისაგან სხვებზე მეტად რომ იყო დაზიანებული, საძირკვლიდანვე დულაბით გაამაგრეს.

იმ ზაფხულს კაპიაზე აღარავინ მჯდარა, ხიდის სიახლოვეს ცხოვრების ჩვეულებრივი განრიგიც დაირღვა. ირგვლივ ყველაფერი საზიდრებით იყო ჩახინცული, თვითონ კაპიაზე ხის საწყობი ააშენეს.

ქალაქელები დიდ ხიდზე მუშაობას გაკვირვებული და შეცბუნებულები უცქერდნენ. ერთნი რაღაცას ოხუნჯობდნენ, მეორენი ხელს ჩაიქნევდნენ და გზას აგრძელებდნენ. მაგრამ ყველას ეჩვენებოდა, რომ უცხოელები სხვა ყვე-

ლაფერით ხიდის შეკეთებასაც იმად არ ივიწყებდნენ, რომ მიჩვეული იყვნენ აუცილებლად რაიმე ეკეთებინათ, რადგან უამისოდ ცხოვრება არ შეეძლოთ. ასეთი იყო საერთო აზრი, თუმცა ხმამაღლა არაფერს ამბობდნენ.

კაპიაზე დროს ტარებას მიჩვეული ხალხი ახლა ლოტიკას სასტუმროს, ზარიას სამიკიტნოს წინ ან ხიდის ახლოს დუქნებთან ჩამომსხდარიყვნენ, ყავას სვამდნენ, საუბრობდნენ და ხიდზე, იერიშის დამთავრებასა და კაპიის განთავისუფლებას ისე ნატრობდნენ, როგორც კოკისპირული წვიმის გადაღებასა და გამოდარებას.

ქვითკირის სასტუმროსა და ზარიას სამიკიტნოს შუა გაჩხირულ ალი-ხოჯას დუქანთან, საიდანაც ხიდი ირიბად მოჩანდა, დილაადრიან ბაზრის ორი უქნარა თურქი იჯდა და ამ მთისა თუ იმ მთისაზე მიეთ-მოეთობდნენ, უფრო მეტად კი ხიდზე ბაასობდნენ.

ალი-ხოჯა მდუმარედ და მოლუმწვით უსმენდა მათ და ხიდისაკენ იყურებოდა, სადაც მუშები ჭიანჭველებივით ფუსფუსებდნენ.

ამ ოც წელიწადში ალი-ხოჯა სამჯერ გაბედნიერდა. მესამე ცოლი მასზე გაცილებით ჯეელი იყო და ავი ენები ლაპარაკობდნენ, ამის გამო, ხოჯა შუადღემდე გონზე ვერ მოსულაო. სამი ცოლისაგან თოთხმეტი ბავშვი შეჩა. სახლში მთელი დღე ხმაური და ღრინაცელი იდგა. ბაზარში ოხუნჯობდნენ, ხოჯამ ყველა ბავშვის სახელი არც იცისო. ასეთ ამბავიც კი შეთხზეს, თითქოს ხოჯას ერთ-ერთი ვაჟი ქუჩაში შეხვდა და ხელზე საკოცნელად მისწვდა, ხოჯამ კი თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა: „გამარჯობა! შენ ვისი ხარ?“

გარეგნულად ხოჯა დიდად არ გამოცვლილა, ოღონდ გასუქდა და პირისახეც ცოტა წამოუწითლდა, ძველებური სიმკვირცხლე დაკარგა და, როცა მოედნიდან შინ ბრუნდებოდა, გორაზე ნელ-ნელა ადიოდა, რადგან ბოლო ხანებში გული ძილშიც კი აწუხებდა.

ალი-ხოჯა ქალაქელ თურქთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, ვინც ყოველგვარ სიახლეს და უცხოელებისაგან შემოღებულ ცვლილებებს უარყოფდა, — არც მოდაზე ჩაცმა სწამდა, არც ახლებურად გათვითცნობიერება, არც ვაჭრობა და საქმის წარმოება. ყოველივე უცხოურს, რაც ჯიუტად ინერგებოდა ცხოვრებაში და რაც კი ავსტრიელებისგან მოდიოდა, ხოჯა ისევე წინ აღუდგებოდა ხოლმე, როგორც ოდესღაც მათთან უნაყოფო ბრძოლის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამის გამო ხოჯას ბევრჯერ მოსდიოდა ადამიანებთან შეხლა-შემოხლა და პოლიციისაში ჯარიმის გადახდაც.

რაც წლები გადიოდა, ხოჯა უფრო და უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა. ყველანი — ბაზრის უსაქმური ავყიები, მუშტრები, ახალგაზრდა მეუღლეთუ ბავშვების ჯგრო, ვისგანაც ოჯახში ყურთასმენა იყო წადებული — ხოჯას ძალზე ქანცავდა. ამიტომ ჯერ კიდევ იმის ამოსვლამდე გადიოდა სახლიდან და დუქანს სხვა ვაჭრებზე ადრე ადებდა. აქვე ასრულებდა დილის პირველ ლოცვას, აქვე მოჰქონდათ სადილიც. როცა მთელი დღის მანძილზე ლაპარაკი, მუშტრები და საქმეები თავს მოაბეზრებდნენ, დარაბებს ხურავდა და დუქნის უკანა პატარა ოთახში გადიოდა, თვითონ რომ კუბოს ეძახდა. ეს იყო ვიწრო, ჭერდაბალი და ბნელი საკუჭნაო, სადაც ხოჯა თითქმის ძლივს ეტეოდა. ამ ვიწრო საკუჭნაოში ხოჯას ეჩვენებოდა, რომ ფიქრები დაიცავდა ყველაფრისაგან,

რაც კი ამ უკუღმართ ცხოვრებას მოჰქონდა. აქ ხოჯა საკუთარ თავს პოულობდა, სამყაროს ბედზე, საკაცობრიო საქმეებზე ფიქრობდა და სხვა დანარჩენი — ბაზარი, ვალები, მევალები, ნორჩი ცოლი თუ შვილები ავიწყლებოდა.

როგორც კი ხოჯა გონს მოვიდოდა და სულს მოითქვამდა, დარაბებს ისევ გახსნიდა და ვაჭრობას აგრძელებდა.

აი, ახლაც ხოჯა ორი მეზობლის ფუჭ ლაყობას უსმენდა.

— ხედავ, რას ნიშნავს დრო და ღვთის დავიწყება. ქვაც მთლად შექმნილია, ღმერთმანი! მაგრამ სულ ერთია, რაც გაფუჭებულია, ავსტრიელს მისი შეკეთება აღარ შეუძლია, — ფილოსოფოსობდა ბაზრის ცნობილი ერთი უქნარა და თან ალი-ხოჯას შეთავაზებულ ყავას შეექცეოდა.

— არა, მეგობარო, ვიდრე დრინა დრინად დარჩება, ხიდიც ხიდობას გასწევს; აი, ხელი რომ არ ეხლოთ, იმდენ ხანს იარსებებოდა, რამდენიც საჭიროა. ახლა კი მარტო წვალობენ და ამოდ ეწევიან ხარჯსაც, — იძახდა მეორე უქნარა სტუმარი.

ალბათ დიდხანს გაჭიანურდებოდა ეს ფუჭი კამათი, ალი-ხოჯა რომ არ ჩარეულიყო:

— იცით, რას გეტყვით: ხიდის ხელის ხლება არ შეიძლება, ეს მისდა სასიკეთოდ არ იქნება, აი ნახავთ თუ არა. ის, რასაც დღეს განაახლებენ, ხვალ უცილობლად დაინგრევა. ამას ჯერ კიდევ განსვენებული მოლა იბრაჰიმი მეუბნებოდა, — იმას წიგნებში ჰქონდა ამოკითხული, — იმდინარეს რომ ხელი ახლონ, სხვა მხარეს გადაადგონ ან თუნდაც მხოლოდ ერთი დღით ან ერთი საათითაც კი დინება შეუცვალონ, უდიდესი ცოდვაო. ავსტრიელმა რა იცის, რომ ხიდი მხოლოდ მანამდე ცოცხლობს, ვიდრე ხელშეუხებელია. ისინი კი კაპიასაც შეეხნენ. რომ შეეძლოთ, ალბათ დედამიწასაც გადააბრუნებენ.

პირველი უქნარა არ ეთანხმებოდა და ამბობდა, ბოლოს და ბოლოს რით არის ცუდი, თუ ავსტრიელები ხიდს შეაკეთებენო. სიცოცხლეს თუ არ გაუხანგრძლივებენ, ყოველ შემთხვევაში ცუდს მაინც არაფერს უზამენო.

— ვინ გითხრა, რომ ცუდს არ უზამენ? — განაგრობდა გაგულსებული ხოჯა. — არ იცი? ერთ სიტყვასაც შეუძლია მთელი ქალაქის დანგრევა, მით უმეტეს ამისთანა ხმაურსა და დანდგარს. სიტყვამ შექმნა თვით სამყარო. შენ რომ ნასწავლი და განათლებული იყო, გეცოდინებოდა, რომ ამ ნაგებობის ბადალი არსად მოიპოვება. ეს ხიდი ერთი იმ ხიდთაგანია, ღვთისადმი სიყვარულით და თვით ღვთის ნებით რომ არის შექმნილი. ადამიანთა ერთი თაობა აშენებს, მეორე თაობა კი ანგრევს სხვის აშენებულს. მოხუცების გადმოცემით მთელ სახელმწიფოში ვერ მონახავდით ისეთ ნაგებობას, როგორც ქვითკირის სასტუმრო იყო. თუ ქვის წყობისა და ხუროთმოძღვრის ოსტატობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ათასი წელიც იარსებებდა, მაგრამ ისე გაქრა, თითქოს სანთლისაგან ყოფილიყო ჩამოქნილი, ახლა კი ნასასტუმროალში ღორები დაღრუტუნებენ.

— მე კი მგონია... — თავს იმართლებდა პირველი.

— ტყუილად გგონია, — გააწყვეტინა ხოჯამ, — შენებურად რომ ყოფილიყო, მაშინ არც არაფერი აშენდებოდა და არც დაინგროდა. მე გეტყვი და კარგად დაიმახსოვრე — ამას სასიკეთო პირი არ უჩანს და კარგს არაფერს

მოასწავებს არც ხიდის, არც ქალაქისა და არც ჩვენთვის, ვინც ამ ამბის მომსწრენი ვართ.

— ასეა, ასე. ხოჯამ უკეთესად იცის ხიდის ყადრი, — თქვა მეორემ ვესლიანად, იგულისხმა რა ის ამბავი, რაც ალი-ხოჯამ თავის დროზე კაპიაზე იწვინია.

— ნამდვილად ასეა, — დინჯად მიუგო ხოჯამ და როცა დაწყნარდა, თავის საყვარელ ლეგენდას მოჰყვა, რაზეც ხალხი, მართალია, ამასხარავებდა, მაგრამ მაინც მუდამ სიამოვნებით უსმენდა.

— განსვენებულ მამაჩემს შეიხ დედისგან სმენია ჯერ კიდევ პატარაობაში, თუ როგორ გაჩნდა და როგორ ააგეს ქვეყანაზე პირველი ხიდი. როცა ყოვლისშემძლე ალაჰმა სამყარო შექმნა, დედამიწა მომინანქრებული ლანგარივით სწორი და გლუვი იყო. შაითანს ეს ჭკუაში არ დაუჯდა. ჰოდა, ვიდრე დედამიწა თიხის გამოუწვავ ფიალასავით ნედლი და რბილი იყო, ისეთივე, როგორც ღვთის ხელმა შექმნა — მიეპარა და, სადაც კი შეეძლო, ბრჭყალებით მაგრად და ღრმად დაჩხაპნა. ასე გადმოგვცემს ლეგენდა იმ ღრმა მდინარეების და ნაპრალების გაჩენის ამბავს, ერთ მხარეს მეორე მხარისგან და ერთი ქვეყნის ადამიანებს მეორე ქვეყნის ადამიანებისაგან რომ აშორიშორებს. ღმერთს უნდოდა დედამიწა ბაღნარად ექცია, რომ ადამიანს არსებობა და თავის გამოკვება შეეძლებოდა. ამიტომ ძალზე დაენანა, როცა ეშმაკმა წაახდინა მისი ქმნილება და ადამიანს თავისუფლად სიარულის საშუალება მოუსპო. მაგრამ ალაჰს აღარ ძალუძდა საკუთარი ხელით შეხებოდა ეშმაკისაგან წაბილწულ დედამიწას და ადამიანებს დასახმარებლად ანგელოზები გამოუგზავნა. როცა ანგელოზებმა დაინახეს, რომ საბრალო ადამიანები მდინარეებსა და უფსკრულებზე ვერ გადიოდნენ, იტანჯებოდნენ და ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე ერთმანეთს ამაოდ შეჰყურებდნენ, ანგელოზებმა მდინარეებზე ფრთები გაშალეს და ხალხმაც ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა შეძლო. ასე ისწავლეს ადამიანებმა ანგელოზებისაგან ხიდების აშენება. ამიტომაც, რომ ყველაზე დიდ სიკეთედ ხიდის აშენება ითვლება, ხოლო უდიდეს ცოდვად — ხიდის დანგრევა, რადგან ყველა ხიდს, მთის ნაკადულზე გადებული ძელი იქნება თუ მეჰმედ-ფაშას ნაგებობა, თავისი ანგელოზი ჰყავს და მანამდე იცავს ხიდს, ვიდრე ღვთის ნებით იქ დგომა უწყდება.

ასე საუბარში ჰკლავდნენ დროს, ვიდრე დღე არ მიიწურებოდა და ხიდზე საზიდრების ჭრიჭინი და კირის ასარევი მანქანების ხრიგინი არ მიწყდებოდა.

ასე ელაპარაკებოდა ალი-ხოჯა ყველას, ვინც მასთან საქმეზე ან შემთხვევით გამოვივლიდა. ყველანი გარეგნულად დინჯი, მაგრამ დამცინავი ცნობისმოყვარეობით უსმენდნენ. ქალაქში არავინ იზიარებდა არც მის უიმედობასა და არც მის ცუდ წინათგრძნობას. დიდი ხანია ალი-ხოჯა ჯიუტი და ახირებულ კაცად მიაჩნდათ, წლებით, სხვადასხვა გარემოებისა თუ ახალგაზრდა ცოლზე ზრუნვით დამძიმებულს ყველაფერი რომ შავად ეჩვენებოდა და ყველაფერს ავის მომასწავებლად თვლიდა.

ქალაქელთა უმეტესობა ხიდის შეკეთებას ისევე გულგრილად ეკიდებოდა, როგორც სხვა ყველაფერს, რასაც უცხოელები ქალაქსა და მის შემოგარენში წლების განმავლობაში იქმოდნენ. ბევრი მათგანი ქვიშის, ხე-ტყისა თუ მუშების სურსათის გადმოზიდვაში ფულსაც შოულობდა. მარტო ბავშ-

ვებს გაუცრუვდათ იმედი, როცა დაინახეს, შუათანა ბურჯზე მიშენებული ხარაჩოებიდან როგორ გადაძვრნენ მუშები ჩაშავებულ ხვრელში, სადაც, მათი რწმენით, ზანგს დაედო ბინა. მუშებმა იქიდან უთვალავი კალათით ფრინველის სკლინტი გამოიტანეს და მდინარეში გადაუძახეს. ბიჭუნები სკოლაში წასვლაზე ფეხს ითრევდნენ, ამაოდ იდგნენ ნაპირზე საათობით და ელოდნენ, როდის გამოვიდოდა ზანგი იმ ბნელი ხვრელიდან, როგორ ჰკრავდა ხელს პირველსავე შემხვდურს, ხარაჩოებიდან ჩამოაგორებდა და მდინარეში ტყაპანს მოადენინებდა, მაგრამ მოლოდინმა არ გაუმართლათ.

როგორც კი ხიდის შეკეთება დამთავრდა, წყალსადენის გამოყვანა დაიწყო. აქამდე ქალაქი ხის ჭებით სარგებლობდა. მეიდანზე ორ ჭაში ამოდიოდა სუფთა წყაროს წყალი, დაბლობის ჭები კი ასე თუ ისე დრინასა და რზავას წყლით მარავდებოდა. ინჟინრებმა აღმოაჩინეს, რომ ქალაქის წყალი თურმე ჯამრთელობისათვის მავნე იყო. ახალი წყალი დრინას მეორე მხრიდან — კაბერნიკის შორეული მთიანი პლატოდან უნდა გამოეყვანათ და წყალსადენიც ხიდზე გადაეტარებინათ.

ისევ ატყდა ხიდზე ფაციფუცი და ალიაქოთი. ფილებს იღებდნენ, წყალსადენის მილების ჩასაწყობად ადგილს ასუფთავებდნენ, კოცონებზე შემოდგმულ ქვაბებში ფისს ხარშავდნენ და კალას ადნობდნენ; ქერელისაგან შემოსახვევ ძენძს ამზადებდნენ.

ხალხი მათ საქმიანობას წინანდებურად უნდობლად და ცნობისმოყვარედ უთვალთვალებდა. კვამლი მოედანს ეფინებოდა და ალი-ხოჯას დუქნამდე აღწევდა. ხოჯა შუბლს იჭმუხნიდა, ზიზლით ლაპარაკობდა ახალ „უწმინდურ“ წყალზე, რკინის მილებში რომ უნდა გამოეტარებინათ. ეს წყალი არც სასმელად ივარგებდა და არც რელიგიური განბანისათვის. ამ წყალს არც ცხენები დალევდნენ, თუკი ისინიც არ გადაჯიშებულნიყვნენ.

ამასობაში, მომდევნო წლის ზაფხულში, წყალსადენის მშენებლობა წარმატებით დამთავრდა. ლალად მოჩხრიალებდა ყოველგვარი გვალვისა და წყალდიდობისაგან დამოუკიდებლად წმინდა წყალი ახლადაშენებულ ბეტონის ჭებში. წყალი ბევრმა ეზოში, ზოგიერთმა კი სახლებშიც გადაიყვანეს.

იმავე შემოდგომაზე რკინიგზის მშენებლობა დაიწყო. ეს უკვე შედარებით მნიშვნელოვანი და უფრო ხანგრძლივი სამუშაო იყო. ამას თითქოსდა არაფერი ჰქონდა ხიდთან საერთო, მაგრამ ასე მხოლოდ ერთი შეხედვით გეჩვენებოდათ.

რკინიგზის ხაზის მშენებლობა ოთხ წელიწადს გაგრძელდა. აშენდა ასამდე ხიდი, ას ოცდაათი გვირაბი. გზის შენება სახელმწიფოს სამოცდაათოთხმეტი მილიონი კრონი დაუჯდა. ამ მილიონიან ციფრებს რომ ასახელებდნენ, ადამიანები სადღაც შორეთში იცქირებოდნენ, თითქოს იქ ხედავენო ფულის გორას, რომლის არც გადათვლა შეიძლებოდა და არც თვალის გადავლება. ბევრი ქალაქელი ისე მრავლისმეტყველად და საკუთარი ღირსების შეგრძნებით იმეორებდა ამ ციფრს, თითქოს მთელი ფული საკუთარი ხელით გადაუთვლიათ. ამ მიკარგულ ქალაქშიც კი, სადაც ცხოვრება უპირატესად აღმოსავლურ ყაიდაზე მიედინებოდა, ხალხმა ქედი მოიხარა ციფრების წინაშე და სტატისტიკა ირწმუნა. მეოთხე წელს, ზაფხულში ქალაქში დროშებითა და მწვანით მორთულმა პირველმა მატარებელმა ჩაიარა. დიდი სახალხო ზეიმი გაიმართა, მუშებს სადილით გაუმასპინძლდნენ და ლუდით სავსე კასრები

დაუხსნეს. ინჟინრებმა პირველ ორთქლმავალთან ფოტოსურათები გადაიღეს. ამ დღეს მგზავრობა უფასო იყო. „ერთ დღეს მადლობის საფასურით იმგზავრებ და მთელი საუკუნე კი ფულით“, გესლით იძახდა ალი-ხოჯა იმათთან, ვისაც ამ მატარებლით ემგზავრა.

მხოლოდ ახლა, რკინიგზის გაყვანის შემდეგ მიხვდებოდით, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მას ხიდისათვის. თავდაპირველად რკინიგზა დრინას გასწვრივ მიემართებოდა, შემდეგ სანაპირო მთებში გამოკვეთილ ფერდობს გაივლიდა, მეიდანთან ქალაქს გარშემო უვლიდა და ვაკეზე, მდინარე რზავის ნაპირზე ქალაქის უკანასკნელ სახლებთან ჩამოდიოდა. აქ იყო სადგური. სარაევოსთან და სარაევოზე გავლით დასავლეთთან კავშირი, ხალხის გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა — ყველაფერი ახლა დრინას მარჯვენა მხარეს ხდებოდა. მარცხენა ნაპირი სრულიად ჩაკვდა. ხიდზე მხოლოდ დრინას მარცხენა მხარის მცხოვრებლები გადადიოდნენ; გლეხებს ტანმორჩილი დაბარგული ცხენები მოჰყავდათ, ჯორებშებმული საზიდრები მოჭრიალებდა, შორი ტყეებიდან რკინიგზის სადგურისაკენ შეშით დატვირთული ალალი მიიზღაზნებოდა.

გზა, ხიდიდან ლიესკისა და სემუჩისაკენ რომ გადადიოდა, შემდეგ გლასინაციისა და რომანიას გავლით სარაევოში მიემართებოდა, გზა, საიდანაც ოდესღაც ლაპარაკი, მგზავრობა სიმღერები, ექვნების ჟღარუნი და თვლების რახრახი ისმოდა, ახლა თანდათან ბალახითა და მწვანე ხავსით იფარებოდა, მიტოვებულ შენობათა და გზათა ნელიად ჩაკვდომის მუდმივი თანამგზავრი რომაა. აღარც მოგზაურები ჩანდნენ ამ გზაზე და აღარც გამცილებლები იდგნენ ხიდზე, ერთმანეთს აღარ ეთხოვებოდნენ კაპიაზე და განშორებისას ცხენებზე ამხედრებულები აღარ გადაჰკრავდნენ ჭიქა რაყიას „გზის დასალოცად“.

ცხენები, საზიდრები, პატარა, ძველი ყაიდის ეტლები, ოდესღაც სარაევოში რომ მიემგზავრებოდნენ, გაუქმდა, ახლა აღარავის სჭირდებოდა. აღრინდელი ორნახევარი დღისა და როგატიცეში ღამის თევის ნაცვლად ახლა მგზავრობას ოთხი საათი უნდებოდა. ხალხი აღგზნებით ითვლიდა ასეთი სწრაფი მგზავრობით მიღებულ მოგებასა და დანაზოგს და აღფრთოვანებით უყურებდა იმ პირველ ქალაქელებს, ვინც ერთ დღეში ჩავიდა სარაევოში, მოისაქმა და საღამოს შინ დაბრუნდა.

მარტო ალი-ხოჯა იდგა თავისაზე. ჯიუტი და უნდობელი, ყველგან და ყოველთვის ყველაფერს სულ სხვა თვალთ უყურებდა, ვიდრე ხალხი. რკინიგზით აღფრთოვანებულთ ხოჯა დაცინვით ეუბნებოდა, ფასი აქვს არა იმ დროს, რაიც დაზოგე, არამედ იმას, რა ჰქენი ამ დანაზოგ დროშიო. თუ კაცმა ბოროტად გამოიყენა, მაშინ აჯობებდა ეს დრო სულ არ ჰქონოდა. ალი-ხოჯა ამტკიცებდა, მთავარი ის კი არ არის, სწრაფად მიდის თუ არა ადამიანი, არამედ ის, თუ საით და რისთვის მიდისო, გარდა ამისა არც სისწრაფეა მუდამ სახარბიელოო.

— თუ ჯოჯოხეთში მიდიხარ, უმჯობესია ნელა იარო, — ეუბნებოდა ხოჯა ერთ ახალგაზრდა ვაჭარს. — სულელი ყოფილხარ, თუ იმასა ფიქრობ, ავსტრიელებმა ფული იმისათვის დახარჯეს და გზა იმიტომ გაიყვანეს, რომ სწრაფად იმოგზაურო და შენი საქმე აკეთო. შენ მარტო შენსას ხედავ და იმას არა კითხულობ, შენისთანების გარდა რა მიაქვს და მოაქვს მატარებელს. კი,

ბატონო, იმგზავრე, გზა დამილოცნია, ოღონდ ვშიშობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს მგზავრობა კეთილს არ დაგაყრის. დადგება დრო, როცა ავსტრიელები იქ წაგაბრძანებენ, სადაც ცუდი დღე დაგადგება და სადაც ნებაყოფლობით გამგზავრებას შენ თვითონ არ ისურვებდი.

და როცა ქვითკირის სასტუმროს ზემოთ ხრამზე გადაშავალი ორთქლმავლის კივილი შემოესმოდა, ალი-ხოჯა შუბლს იჭმუხნიდა და რაღაცას გაუგებარს ბუტბუტებდა, კარებიდან ხიდს გაჰყურებდა და თავის უწინდელ საფიქრალს ფიქრობდა: შეიძლება ყველაზე დიდი ნაგებობა ერთი სიტყვით აშენდეს, ხოლო ქალაქელებისა და ქალაქების მშვიდი ყოფა ორთქლმავლის ერთი დასტვენიით დაინგრეს. ყოველ შემთხვევაში ასე ეჩვენებოდა ავადმყოფ კაცს, ვისაც ბევრი ენახა, ბევრი განეცადა და ადრე დაბერებულყო.

აქაც, როგორც სხვა ყველაფერში, ახირებულსა და ჯიუტ ალი-ხოჯას არავინ არა ჰყავდა მხარდამჭერი. გლეხებიც კი მიეჩვივნენ რკინიგზას. თუმცა ვერ იქნა და მის ავანჩავანსა და წესებს ვერ შეეგუენ. დილაადრიან ჩამოდიოდნენ მთებიდან, მზის ამოსვლასთან ერთად შემოდდიოდნენ ქალაქში და პირველსავე მალაზიასთან შემხვედრს აღელვებულები ეკითხებოდნენ:

— ჩაიარა მატარებელმა?

— ახლა მოგაგონდა? რამდენი ხანია ჩაიარა, — ატყუებდნენ უქნარა მეღუქნეები.

— რას ამბობ!

— იხუ გეშინია, ხვალ მეორე ჩამოივლის!

ასე კითხვა-კითხვით მიირბენდნენ ხოლმე საწყლები სადგურამდე. იქ რომელიმე მოსამსახურეთაგანი დაამშვიდებდათ და ეტყოდათ, მოტყუებულხართ, მატარებლის მოსვლამდე ჯერ კიდევ სამი საათიაო. ყველანი სადგურის კედელთან ჩამოსხდებოდნენ, ფუთებს გახსნიდნენ, საუზმეს შეექცეოდნენ, ლაპარაკობდნენ ან სთვლემდნენ, მაგრამ სულ ერთთავად ყურდაცქვეტილები იყვნენ. როგორც კი საბარგო მატარებლის ხმას გაიგონებდნენ, წამოცვივდებოდნენ, ფაციფუცით წამოკრეფდნენ მიმოფანტულ ბარგი-ბარხანას და გაყვიროდნენ:

— ადექით, მატარებელი მოდის!

სადგურის თანამშრომელი ბრაზობდა და ბაქნიდან მოერეკებოდა მათ:

— აკი გითხრეს, მატარებლის გასვლამდის ჯერ კიდევ სამ საათზე მეტი დროა დარჩენილიო, სად ეტენებით? ხომ არ გაგიჟდით!

გლეხები თავიანთ ადგილებზე ბრუნდებოდნენ, ისევ დასხდებოდნენ, მაგრამ მაინც უნდობლად და ეჭვის თვალით იყურებოდნენ, პირველსავე სასტვენის ხმაზე თუ საეჭვო ხმაურზევე ბაქანზე გაცვივდებოდნენ, რათა ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ და მოთმინებით ეცადათ მატარებლის გასვლამდე.

რამდენიც არ უნდა დაგესაბუთებინა და გელაპარაკნა, ისინი „მანქანას“ ისე უყურებდნენ, როგორც ავსტრიელების გამოგონილ ჩქარ, იდუმალ და მზაკვარ რაღაცას, უბირი კაცის თვალთაგან წამსვე რომ მიეფარება და მხოლოდ იმას ცდილობს, გლეხკაცი მოატყუოს და უიმისოდ გაგრილდეს.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი — გლეხების მოუთმენლობაცა და ალი-ხოჯას ბუზღუნიც უმნიშვნელო იყო. ხალხს ეცინებოდა და, როგორც სხვა ყველაფერ ახალს, იაფსა და ხელსაყრელს, რკინიგზასაც სწრაფად ეჩვეოდა.

მაგრამ ხიდს ვერც ახლა შეელოდნენ — კაპიაზე ძველებურად სხდებოდნენ, საქმეებსაც ძველებურად იქვე არიგებდნენ, თუმცა მგზავრობით კი იმით მგზავრობდნენ, რაც ახალმა ხანამ მოიტანა. ყველა სწრაფად შეურიგდა იმ აზრს, რომ ხიდზე გამავალი გზა აღარ მიდოდა დიდი სამყაროსაკენ, რომ იგი უკვე აღარ წარმოადგენდა ძველებურად აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელ რგოლს. უფრო სწორად, უმრავლესობა არც დაფიქრებულა ამაზე.

ხიდი კი ისევე იდგა, როგორც ყოველთვის, მარად ახალი და სრულყოფილი. ქმნილება, სიბერე რომ არ ეკარება და ამა ქვეყნის წარმავალ მოვლენათა ხვედრს არ იზიარებს.

მაგრამ ქალაქში, რომლის ბედიც ხიდთან მჭიდროდ იყო გადანასკვული, ახალმა დროებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. დადგა შფოთიანი 1908 წელი. ამ დროიდან მოყოლებული რაღაც ავბედითი საფრთხე ავდრის ღრუბელივით ჩამოწვა ქალაქის თავზე.

ქალაქელები აქამდე მხოლოდ იმით ცხოვრობდნენ, რაც გულთან ახლომისატანი და მათთვის გასაგები იყო. აინტერესებდათ თავიანთი ხელფასი და სამუშაო, თავიანთი ოჯახის, მეზობლების, ქალაქისა თუ სასულიერო თემის საქმეები. ახლა კი სულ უფრო ხშირად და ხშირად საუბრობდნენ ისეთ საკითხებზე, რაც მათი წრის ფარგლებს საკმაოდ სცილდებოდა. სარაევოში სერბიელი და მუსულმანური ეროვნული პარტიები, რელიგიური საზოგადოებები და ორგანიზაციები ჩამოყალიბდა; ერთდროულად მათი განყოფილებები ვიშეგრადშიც გაიხსნა. ვიშეგრადში სარაევოდან ახალი გაზეთები მოჰქონდათ. შეიქმნა ჯერ სერბიული, შემდეგ მუსულმანური და ბოლოს ებრაული სამკითხველოები და მგალობელთა საზოგადოებები.

არდადეგებზე ჩამოსულ გიმნაზიელებს თუ ვენისა და პრადის უნივერსიტეტის სტუდენტებს თან ახალი წიგნები და ბროშურები ჩამოჰქონდათ, აზრებსაც ახლებურად გამოთქვამდნენ და ახალგაზრდა ქალაქელებს მაგალითს უჩვენებდნენ, რომ ენაზე კბილის დაჭერა ყოველთვის არ იყო საჭირო, როგორც ამას ფიქრობენ და ჩაგვიჩიჩინებენო უფროსები.

როცა ქალაქში პირველად გაისმა სიტყვა „გაფიცვა“, ახალგაზრდა ხელოსან-ოსტატები ჩაფიქრდნენ, კაპიაზე სხვისთვის გაუგებარი მუსაიფი დაიწყეს და ერთმანეთს ქალაქისუდიან პატარა-პატარა ბროშურებს აძლევდნენ. ესენი იყო: „რას წარმოადგენს სოციალიზმი?“ „რვა საათი შრომა, რვა — დასვენება, რვა — განათლება!“ „მსოფლიო პროლეტარიატის მიზნები და გზები“.

გლეხებს ისინი აგრარულ საკითხებს უმარტავდნენ, ელაპარაკებოდნენ საიჯარო ურთიერთობისა და მეზატონეთა მიწების შესახებ.

გლეხები უსმენდნენ, განზე იყურებოდნენ, უღვაშებს აცმაცუნებდნენ და შუბლს იჭმუხნიდნენ, თითქოს ცდილობდნენ ყველაფერი დაიხსომონ, რათა შემდეგ დაფიქრდნენ და შინაურებთან აწონ-დაწონონო.

მართალია, კიდევ ბლომად იყვნენ ისეთები, ვინც ენაზე კბილის დაჭერას ამჯობინებდა ან ამრეზით უყურებდა ყოველივე ახალ აზრსა და სიტყვას, მაგრამ ახალგაზრდობისა, ღარიბთა და უმუშევართა უმრავლესობისათვის კი ეს ყველაფერი დროის ახალი და სასიხარულო ქროლვა იყო. რელიგიური და პარტიული ორგანიზაციების მიმართვების, პროტესტების, სიტყვებისა თუ

წერილების კითხვის დროს თვითეული მათგანი გრძნობდა, თუ როგორ იღვიძებდა მის ცულში ახალი გრძნობანი, როგორ მიჰქროდა თავისუფალი აზრები ფართო თვალსაწიერისკენ, თითქოს მასა და შორეულ ადამიანებს შორის მყარდებოდა მეგობრული კავშირი, რაზეც ადრე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

არსებითად ადამიანებს ახალი რამ არც ამყამად შეუძენიათ. მოქალაქეთა ჩვევები არ შეცვლილა, ცხოვრების ყაიდა იგივე დარჩა, მაგრამ მამაპაპურად უქმად ჯდომის, ყავა-არაყის სმისა თუ ჩიბუხის წევისას ახლა უკვე ხშირად დაობდნენ იდეურ საკითხებზეც, ხმარობდნენ გაბედულ სიტყვებს. ასე გასინჯეთ, ლაპარაკის კილოც კი შეიცვალა. ადამიანები ჯგუფებად დაიყვნენ, ყველაფერს ახალი თვალითა და საზომით უდგებოდნენ, თუმცაღა კამათში კვლავაც ადრინდელ ყინსა და გრძნობებს აქსოვდნენ.

ახლა საგარეო ამბებს ქალაქიც ეხმაურებოდა. აქამდე მოაღწია 1903 წელს სერბიაში სამეფო კარის გადატრიალების ამბავმა¹ და თურქეთში არსებული რეჟიმის შეცვლის ცნობამ². ზედ სერბიის საზღვართან მდებარე ქალაქს უხილავი, მაგრამ მტკიცე ძაფები აკავშირებდა თავის მეზობლებთან და ამიტომ არ შეეძლო არ განეცადა ეს უცვლილებები და მათთვის ახსნა არ მოეძებნა, თუმცაღა ამაზე აშკარად არაფერს ამბობდნენ და თავინთი ნაფიქრისა და ნაგრძნობის გულახდილად თქმას ერიდებოდნენ.

ქალაქში შესამჩნევად გააძლიერა საქმიანობა და თვალყური ჯერ სამოქალაქო, მერე კი სამხედრო ხელისუფლებამ. ადრე მხოლოდ იმას უთვალთვალდებდნენ, თუ ვინ რას აკეთებდა და თავი როგორ ეჭირა, ახლა კი ცდილობდნენ გაეგოთ, თუ ვინ როგორ აზროვნებს და როგორ გამოსთქვამს თავის აზრებს. პოლიცია დაუკვირვებელი სიტყვებისა და აკრძალული სერბიული სიმღერებისათვის ახალგაზრდობას აპატიმრებდა და აჯარიმებდა, საეჭვო უცხოელებს ქალაქიდან ასახლებდა. ქალაქელებსაც ერთმანეთში სხვადასხვა შეხედულებების გამო ჩხუბი და აურზაური მოსდიოდათ.

სარკინიგზო მიმოსვლამ არა მარტო მგზავრობის დრო შეამცირა და ტვირთის გადაზიდვა გააადვილა, თვით მოვლენათა განვითარებაც დააჩქარა. ხალხი მიეჩვია მოუსვენარ ცხოვრებას. გასაოცარი ამბები იშვიათობასა და გამონაკლისს კი აღარ წარმოადგენდა, არამედ ნამდვილ მოთხოვნილებად, ადამიანის არსებობის პურად იქცა.

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვიშეგრადში პირველი მატარებელი მოვიდა. და აი, ერთხელ ოქტომბერში ნაშუადღევს, კაპიაზე თურქული წარწერის ქვეშ ქალაქელებმა დიდი თეთრი განცხადება დაინახეს. განცხადება სამაზრო მმართველობის თანამშრომელმა დრაგომ გააკრა. ჯერ აქ ბავშვები და უსაქმურები შეიყარნენ, შემდეგ სხვებიც მოვიდნენ. წერა-კითხვის მცოდნენი ხმამაღლა კითხულობდნენ, უცხოურ და უჩვეულო სიტყვებზე ბორძიკობდნენ და ენა ებმოდათ. დანარჩენები ღუმდნენ, თავდახრილი ბოლომდე უსმენდნენ, ერთხანს კიდევ იდგნენ იქ, მერე თავაუღებლივ მიდიოდნენ და თან წვერულვაშზე ისვამდნენ ხელს, თითქოს იმ სიტყვის წაშლას ლამობენ, ის-ის იყო კინაღამ რომ წამოსცდათ.

¹ 1903 წ. 23 მაისს შეთქმულმა ოფიცრებმა მოკლეს სერბიის მეფე ალექსანდრე ობრენოვიჩი და დედოფალი დრაგა და მეფედ პეტრე ყარა-გიორგევიჩი გამოაცხადეს.

² 1908 წლის თურქეთის რევოლუცია.

როცა მოშუადღევდა, ალი-ხოჯამ დუქანი დაკეტა, ანუ კარებს ჯობი და-
უბიჯა და კაპიაზე წავიდა. მაგრამ ამჯერად განცხადება თურქულ ენაზე არ
იყო დაწერილი და ხოჯამ წაკითხვა ვერ შესძლო. ამიტომაც მიუგდო ყური ვი-
დაც ბიჭს, ამ განცხადებას მოწაფესავით დამარცვლით და გამოუთქმელად რომ
კითხულობდა.

მ ო წ ო დ ე ბ ა

ბ ო ს ნ ი ი ს ა დ ა ჰ ე რ ც ო გ ო ვ ი ნ ი ს ხ ა ლ ხ ი ბ ი ს ა დ მ ი

„ჩვენ, ფრანც-იოსებ 1, იმ-იმპერატორი ავსტრიისა, მეფე ჩეხეთისა და
ასე შე-შემდეგ მო-მოგმართავთ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მცხო-მცხოვ-
რებლებს:

ერთი თაობა უკვე წა-წავიდა იმ დღიდან, რაც ჩვენმა ჯა-ჯარებმა თქვენი
ქვეყნის საზღვარი გა-გადმოლახა...“

ალი-ხოჯას თეთრი ჩალმისქვეშ მარჯვენა ყურის მტკივნეული ქავილი
აუტყდა. თითქოს გუშინ იყო, მეხსიერებაში გაუცოცხლდა ყარამანლისთან
დავა, მაშინდელი ძალადობა, ცრემლით სავსე თვალთა წინაშე მოცურავე წი-
თელი ჯვარი, როცა ავსტრიელმა ჯარისკაცმა ხიდის ძელზე მიჭედებული ყუ-
რიდან ფრთხილად ამოაძრო ლურსმანი, და მაშინდელი თეთრი განცხადებაც,
ხალხისადმი მოწოდება.

ბიჭი ისევ კითხულობდა:

„... ი-ისინი ი-ირ-რწმუნებოდნენ, რომ მტრებად კი არა, მოკეთებლად
მოვიდნენ და მტკი...მტკიცედა აქვთ გადაწყვეტილი აგაცილონ ის გაჭირვება,
ამდენი წელი რომ ტა-ტანჯავდა თქვენს ქვეყანას.

იმ ის-ისტორიულ, იმ პასუხსაგებო ხა-ხანს მოცემული პი-პირობა...“

აქ ყველამ ერთხმად დაუცაცხანა უხეირო მწიგნობარს. შერცხვენილი და
გაწითლებული ბიჭი ხალხში მიიმალა. თითქოს ამას ელოდაო, მისი ადგი-
ლი ტყავისპალტოიანმა უცნობმა კაცმა დაიკავა და ზეპირად, ლოცვასავით
სხაპასხუპით ჩაიკითხა განცხადება:

„იმ ისტორიულ ხანს მოცემული პირობა პატიოსნად შესრულდა. ჩვენი
მთავრობა ყოველთვის დაჟინებით ისწრაფვოდა, რომ მშვიდობიანობისა და
კანონიერების პირობებში თქვენს ქვეყანას ბედნიერი მომავალი ჰქონოდა.
ჩვენდა სასიხარულოდ, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ნახნაუში ჩაგ-
დებულმა თესლმა იხარა. ალბათ თვითონ იგრძნეთ სასიკეთო ცვლილებები.
როცა წესრიგმა და მშვიდობამ ძალადობა და ტირანია შეცვალა, ცხოვრება
გაუმჯობესდა, განათლებამ გამაკეთილშობილებელი გავლენა მოახდინა და
სათანადო ხელისუფალთა მფარველობით ყველას შეუძლია საკუთარი შრომის
ნაყოფით დატკბობა.

ჩვენი საერთო მოვალეობაა — მომავალშიაც განუხრელად ამ გზით ვი-
აროთ, რაკი ასეთი მიზანი გვაქვს დასახული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დადგა დრო,
ორივე ქვეყანას მათი პოლიტიკური სიმწიფის ახალი დამამტკიცებელი საბუ-
თი მივცეთ. იმისათვის, რომ ბოსნია და ჰერცოგოვინა პოლიტიკური ცხოვრე-
ბის უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ, გადავწყვიტეთ ორივე ქვეყანას

კონსტიტუციური მმართველობა მივანიჭოთ, რაც მათი ცხოვრების პირობებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს უპასუხებს და შექმნის მათი მოთხოვნილებების და ინტერესების წარმომადგენლობის აუცილებელ კანონიერ საფუძველს.

დაე, თქვენი ხმაც ისმოდეს მომავალში თქვენი სამშობლოს საქმეების გადაწყვეტისას, რომელიც დღევანდელივით განცალკევებულ ადმინისტრაციას შეინარჩუნებს.

ამ სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად პირველ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ორივე ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობის მკაფიო განსაზღვრა. ამიტომ ვიხსენებთ რა იმ ურთიერთობას, რომელიც ოდიტ-განვე არსებობდა უნგრეთის ტახტსა და ამ ქვეყნებს შორის, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაზეც ვავრცელებთ ჩვენს სუვერენულ ხელისუფლებას და ტახტის მემკვიდრეობის იმ წესს, ჩვენთვის რომ არის მიღებული.

ამგვარად, ორივე ქვეყნის მცხოვრებლები ყველა სიკეთით ისარგებლებენ, რაც აქამდე არსებული ძველთაძველი ურთიერთობის საბოლოო განმტკიცების შედეგი იქნება. ახალი წესწყობილება გახდება იმის თავდები, რომ განათლება და კეთილდღეობა მტკიცედ დამკვიდრდეს თქვენს სამშობლოში.

ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მცხოვრებნო!

იმ უამრავ საზრუნავს შორის, ჩვენს ქვეყანას რომ აკისრია, თქვენს ნივთიერსა და სულიერ კეთილდღეობაზე ზრუნვას არც მომავალში დაივიწყებს ჩვენი სამეფო ტახტი. დიადი აზრი კანონის წინაშე ყველას თანასწორობის შესახებ: მონაწილეობა საკანონმდებლო ხელისუფლებასა და ქვეყნის მართვაში, ყველა სახის სარწმუნოების, ენისა და ეროვნულ თავისებურებათა ერთნაირი დაცვა — გვასულდგმულებს ჩვენ და თქვენც მოგიტანთ დიდ სიკეთესა და ბედნიერებას.

პიროვნების თავისუფლება და საზოგადოების კეთილდღეობა — აი რა იქნება ორივე ქვეყანაში ჩვენი მმართველობის გზის მანათობელი ვარსკვლავი...“

ალი-ხოჯა მეტწილად უცნაურსა და მისთვის უცნობ სიტყვებს თავჩაქინდრული და პირდაღებული უსმენდა. ნაცნობი სიტყვებიც კი ამ უცნაური სიტყვების გვერდით რაღაც უცნაურად და ბუნდოვნად ჟღერდა. ხოჯა გუმანით ხვდებოდა, ეს უცხოურად ნათქვამი „თესლი“, „ვარსკვლავი“, „ტახტის საზრუნავი“ თუ სხვა სიტყვები რასაც ნიშნავდა და გამოხატავდა. აგერ უკვე ოცდაათი წელია მეფეები ამგვარი მოწოდებებით მიმართავენ ქვეყნებს, ქალაქებსა და საკუთარ ხალხს. მაგრამ ხელმწიფეთა ყოველი მოწოდების თვითეული სიტყვა ძვირად უჯდება ხალხებს, ქვეყნები ქუცმაცდებიან, მოკვეთილი თავები კი მიწაზე ცვივა.

მოწოდებაში „თესლსა“, „ვარსკვლავსა“ და „ტახტის საზრუნავზე“ მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობენ, რომ მიჩქმალონ ის, რაც სინამდვილეში ხდება, არა თქვან, რომ ქვეყნები, ოლქები და მათთან ერთად ცოცხალი ადამიანები, ქალაქები, სოფლები ხურდა ფულივით იცვლება და ხელიდან ხელში გადადის, რომ მართლმორწმუნე და წესიერ ადამიანს ვერ უპოვნია ქვეყანაზე ის მყუდროება, რაც ასე საჭიროა ამ ხანმოკლე წუთისოფელში, რომ მისი მდგომარეობა და კეთილდღეობა მისი სურვილებისა და ზრახვების დამოუკიდებლად იცვლება.

უსმენდა ალი-ხოჯა და იგონებდა, რომ ზუსტად ოცდაათი წლის წინათაც

ასეთივე ტყვიასავით სიმძიმე აწვა გულზე, როცა კითხულობდა ასეთსავე დაპირებებსა და მტკიცებას. ეტყობა. საჭიროა, ადამიანებს ეს სიტყვები მსლიმალ გაუმეორო, რამეთუ არავის არ უნდა სიმართლე დაინახოს და ამიტომაც ბრიყვად მოაქვს თავი.

. . . უეჭველია, რომ ყველა იმ ნდობის ღირსი აღმოჩნდებათ, რასაც თქვენდამი იჩენენ. ხალხისა და ხელმწიფის კეთილშობილური შეთანხმება კი სახელმწიფოებრივი პროგრესის ყველაზე ძვირფასი საწინდარი და ჩვენი ერთობლივი ღონისძიებების მუდმივი თანამგზავრი იქნება.

შედგენილია სამეფო სატახტო ქალაქ ბუდაპეშტში.
ფრანც იოსები.“

როცა კითხვას მორჩა, ტყავისპალტოიანმა კაცმა მოულოდნელად დაიყვირა.

— გაუმარჯოს უდიდებულესობას, ჩვენს იმპერატორს!

— ვაშაა-ა-ა-ა! — თითქოს ბრძანება მისცესო, ისე წამოიყვირა ფარნების ამნთებმა აყლაყულა ფერხატმა.

დანარჩენები სწრაფად და უსიტყვოდ დაიშალნენ.

კარგად დაღამებული არც იყო, რომ დიდი თეთრი მოწოდება ჩამოგლიჯეს და მდინარეში გადაუძახხეს. მეორე დღეს რამდენიმე ეჭვიმიტანილი სერბიელი ახალგაზრდა დააპატიმრეს, კაპიაზე კი ხელახლა გააკრეს მანიფესტი და დარაჯი მიუჩინეს.

როცა ხელისუფლება იძულებულია თავის მოქალაქეებს მშვიდობას და კეთილდღეობას პლაკატებით დაჰპირდეს, კაცმა უნდა იფხიზლოს და საწინააღმდეგოს ელოდოს. უკვე ოქტომბრის ბოლოს ჯარიც გამოჩნდა ქალაქში. იგი როგორც მატარებლებით, ისე ძველი, მივიწყებული გზით ჩამოიყვანეს, განუწყვეტლივ მოედინებოდა ჯარის ახალ-ახალი ნაწილები, რამდენიმე დღე რჩებოდნენ ქალაქში და მერე სერბიის საზღვრის გაყოლებით სოფლებში იკალათებდნენ. ბაზარზე ფასებმა აიწია. თივისა და შვრიის გასაგისი გაქრა. ახლომახლო სიმაგრეებს აშენებდნენ, თვით ხიდზე კი საკვირველი სამუშაო წამოიწყეს. შუაგულ ხიდზე, კაპიის ახლოს, ერთ-ერთ საყრდენში საგანგებოდ ჩამოსულმა მუშებმა კვადრატული მეტრის ღრმული ამოკვეთეს. მართალია, ამ ადგილს მწვანე კარავი ფარავდა, მაგრამ შიგნიდან განუწყვეტელი კაკუნის ხმა გამოდიოდა. იქიდან გამოღებულ ქვებს მაშინვე პირდაპირ მდინარეში ჰყრიდნენ. თუმცა ამას საიდუმლოდ აკეთებდნენ, ქალაქში მაინც ყველამ გაიგო. ხიდს ნაღმავენო, რა არის აეფეთქებინათ, თუკი ომი დაიწყებოდა და ეს საჭირო იქნებოდა. როცა ყველაფერი მზად იყო, ხვრელს ზემოდან რკინის ფილა დაათარეს. რამდენიმე დღის შემდეგ ფილის ირგვლივ მოკირწყლული გზა მოასწორეს და ზედ კვლავ მშვიდად დაიწყო სიარული საზიდრებმა და ეტლებმა, კვლავ აჩქარებით დააბიჯებდნენ საქმიანი მგზავრები. ხიდის დანადგრის ამბავი უკვე აღარავის აღარ ახსოვდა. მოზრდილებიდან ერთადერთი ალი-ხოჯა უფლიდა ხოლმე მუშებს შორიახლო, პირქუშად და ეჭვის თვალით უცქერდა მწვანე კარავს, ვიდრე მუშაობა მიდიოდა, მერე კი ამ ადგილზე დარჩენილ რკინის ფილას დაჰყურებდა და ისმენდა ხალხის მითქმა-მოთქმას — იმ. საყრდენში ჭასავით ხვრელია გაჭრილი, შიგ ასაფეთქებელი ნივთიერებაა ჩადებული და იგი ელექტროდენით ნაპირთან არის შეერთებულიო; ისე რომ სარ-

დალს შეუძლია, როცა მოგპრიანება, მაშინ დაანგრიოსო ხიდი, თითქოს ის ქვითკირისა კი არა, შაქრისა ყოფილიყოს.

ისმენდა ხოჯა ამ ნალაპარაკეებს, თავს იქნევდა და განუწყვეტლივ ამაზე ფიქრობდა. ხან სჯეროდა ამ ნათქვამისა, ხან უაზროდ და უღვთოდ მიაჩნდა. მაგრამ ამაზე ისე ბევრს ფიქრობდა, რომ ოდესღაც მეჰმედ-ფაშის ვაკუფის მმართველ თავის წინაპრებს სიზმარშიაც ხედავდა. ისინი ალი-ხოჯას მკაცრად ეკითხებოდნენ, რა ამბავიაო ხიდის თავს. მაგრამ თავის ფიქრებს ალი-ხოჯა არავის უზიარებდა, რადგან ხედავდა, რომ რა ხანია ამ ქალაქში ჭკუადამჯდარი კაცი ვერც რჩევას ჰკითხავდა ვისმე და ვერც გულს გაუხსნიდა. ადამიანებმა ან გონება და ნამუსი დაკარგეს, ან ხოჯასავით აღშფოთებული და იმედგაცრუებული იყვნენ. მაგრამ ერთხელ შემთხვევა მიეცა ზოგიერთი რამე მაინც გაეგო. ერთი ცრნიჩელი ბეგი მუჰამედ ბრანკოვიჩი ჯარში მსახურობდა, მერე ვენაში დარჩა და ფელდფებელის ჩინამდეც მიაღწია. იგი სწორედ იმ შემსი-ბეგის შვილიშვილი იყო, ვინც ავსტრიელთა შემოსვლის შემდეგ თავის სოფელში ჩაკეტა და ჯავრს კიდევ გადაჰყვა. სწორედ იმ წელიწადს ჩამოვიდა მუჰამედ-ბეგი შვებულეებით. მაღალი, სქელი, მწითური კაცი იყო. ყვითელი ყაითნითა და წითელი ფოჩებით გაწყობილი ცისფერი ფორმა ეცვა, საყელოზე ვერცხლისფერი ვარსკვლავები ეკეთა, თეთრი ტყავის ხელთათმანები ეცვა და წითელი ფესი ეხურა. მომღიმარე, სალუქად გამოწყობილი მუჰამედ-ბეგი ბაზარში დადიოდა, გრძელ ხმალს დააწკარუნებდა და ყველასთან თავაზიანი და მშვიდი იყო, როგორც კაცი, ხელმწიფის კმაყოფაზე რომ არის, საკუთარ თავში დარწმუნებულია და სხვებისა არ ეშინია.

ალი-ხოჯამ ისარგებლა მუჰამედ-ბეგის დუქანში შემოსვლით, მიესალმა და როცა ბეგი ყავის დასალევად ჩამოჯდა, როგორც სახელმწიფოს სამსახურში მყოფ კაცს, ჰკითხა, ამიხსენი, რას აკეთებდნენო ხიდზე. თვითონვე უამბო, რასაც ლაპარაკობდნენ ქალაქში ამის თაობაზე და ჰკითხა, შეიძლებოდა თუ არა აქამდე არნახული ამბავი მომხდარიყო — შეგნებულად გაეწირათ ისეთი საყოველთაო სიკეთისათვის აგებული წმიდათაწმიდა ნაგებობა, როგორიც ხიდი იყო.

როგორც კი ფელდფებელი მიხვდა, რაზე მელაპარაკებიანო, ყურები დაცქვიტა, ლალი ღიმილი გაუქრა და მზეზე გარუჯული და სუფთად გაპარსული პირისახე გაუხვედა.

ბეგმა ერთხანს იყუჩა და მერე ოდნავ ყრუ ხმით მიუგო:

— ეს ყველაფერი სულ მთლად ჭორი არაა, მაგრამ გულახდილად გირჩევ: სჯობს ამაზე ნურაფერს იკითხავ და ნურც ილაპარაკებ, რადგან ეს სამხედრო სამზადისს, სახელმწიფოებრივ საიდუმლოსა თუ სხვა მისთანა ამბებს შეეხება.

ხოჯას ამგვარი სიტყვები ჭირივით ეჯავრებოდა, მარტო იმიტომ კი არა, რომ ისინი კაცს ყურსა სჭრიდა, არამედ იმიტომაც, რომ იცოდა, უცხოელები ამ სიტყვებს მაშინა ხმარობდნენ, როცა სიმართლის დაფარვა ეწადათ.

— ღვთის გულისათვის, ნუ დამიწყებ ახლა ასეთ ლაპარაკს. თუ შეგიძლია ამიხსენი, რა ხდება ხიდზე. ეს არ უნდა იყოს საიდუმლო, რაკი მოსწავლეებმაც იციან ყველაფერი, — გაცხარებული უტევდა ხოჯა, — რა კავშირი აქვს ხიდს ომთან?

— აქვს, ალი-ხოჯა, აქვს და მერე როგორი, — უპასუხა ბრანკოვიჩმა და ოდნავ ქედმაღლურად, ისე როგორც ბავშვებს უხსნიან, განუმარტა, რომ ეს

ყველაფერი წესდებითაა გათვალისწინებული, რომ იმპერატორის ჯარში ყველამ მხოლოდ თავისი საქმე იცის და სხვის საქმეში არავინ ერევა.

დიდხანს უსმინა ხოჯამ, უსმინა, ვერაფერი გაიგო და ბოლოს იფეთქა:

— დაე ასე იყოს, მაგრამ იციან კი, ჩემო კარგო, იქ, რომ ეს ვეზირას წმიდათაწმიდა ნაბოძვარია? რომ ხიდი მისი სულის მოსახსენებლად და ღვთის სადიდებლად არის აშენებული და იქიდან ერთი ქვის გადაგდებაც კი ცოდვად ითვლება?

ფელდფებელმა მხოლოდ ხელები გაშალა, ტუჩები მოკუმა, თვალები მოწკურა, მერე ლაპარაკის საგანი შეცვალა. ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით სიხარული გამოთქვა, რომ ხოჯა ასე კარგად, ასე ახალგაზრდულად გამოიყურება და თავაზიანად დაემშვიდობა.

გუნებაწამხდარი და შეცბუნებული ხოჯა მარტო დარჩა. მისი გულის წუხილი ოდნავადაც არ შენელებულა. მძიმე ფიქრებით დათრგუნვილი დუქნის კარიდან გაჰყურებდა მარტის პირველ ბრწყინვალე დღეს, მარადიულსა და მარად უცვლელ ხიდს; მის თაღთა შუა მწვანედ მოლივლივე დრინას ზედაპირი მოჩანდა, მზეზე ფერადი ყელსაბამივით რომ ბრწყინავდა.

ეს დაძაბული მდგომარეობა, ხიდსაც და ქალაქსაც ავბედითი ჩრდილი რომ გადააფარა, სწრაფად განელდა. სადღაც შორს, მოლაპარაკების და მიმოწერის გზით, დაინტერესებულ სახელმწიფოთა მეთაურებმა შეთანხმებას მიაღწიეს.

აჯანყების ცეცხლი, ასე ადვილად რომ ჩაღებოდა საზღვარზე, ამჯერად არ აგიზგიზებულა. ქალაქში და ზღვისპირა სოფლებში ჩამდგარმა ჯარმა გაზაფხულის პირველ დღეებშივე აიკრა გუდა-ნაბადი. მაგრამ როგორც ყოველთვის ხდება, ამ მდგომარეობით გამოწვეული ცვლილებები ჯარის შემცირებასთან ერთად არ გამქრალა. ადრინდელთან შედარებით ქალაქში მყოფი მუდმივი გარნიზონი გაიზარდა. ხიდიც ისევე დანაღმული იყო, თუმცაღა ალი-ხოჯას გარდა ეს ამბავი სხვას არავის ადარდებდა.

გასულ შემოდგომაზე ქალაქში ჯარის დაბანაკების გამო აწეული ფასები აღარ დაცემულა, პირიქით, სულ განუხრელად და განუხრელად იზრდებოდა. იმ წლებში ორი სერბიელი და მუსულმანური ბანკი გაიხსნა. ხალხი, როგორც წამალს, ისე მიეტანა ვექსილებს. ახლა ვალს ყველა იღებდა. მაგრამ რაც უფრო ბევრი ფული აქვს კაცს, იმდენად მეტი ესაჭიროება. ვინც უანგარიშოდ ფლანგავდა და იმაზე მეტს ხარჯავდა, ვიდრე შოულობდა, ცხოვრება კიდევ ასატანი ეჩვენებოდა, მაგრამ ვაჭრები და საქმოსნები შეწუხებულები იყვნენ. საქონლის გამოსყიდვის საკრედიტო ვადები მცირდებოდა. სასურველი და საიმედო მყიდველი სულ უფრო იშვიათად ხვდებოდათ.

საერთოდ, ქალაქი არც მხიარული იყო და არც დამშვიდებული. დაძაბულობის სწრაფმა შენელებამ ნამდვილი სიმშვიდე არც სერბიელებს მიანიჭა და არც მუსულმანებს. ზოგს იმედგაცრუება, ზოგს უნდობლობის გრძნობა და მომავლის შიში დაუტოვა გულში. თუმცა არც საბაბი და არც მიზეზი ჰქონდათ ამისა, მაინც დიდმნიშვნელოვანი დღეების დადგომას ელოდნენ. ხალხმა სიმშვიდე დაკარგა. უბრალო ხალხსაც კი, განსაკუთრებით ახალგაზრდებს ერთფეროვანი ცხოვრება აღარ აკმაყოფილებდა, ყველას უკეთესი უნდოდა. დიდს ელტვოდა და უარესისა ეშინოდა.

მარტო დროული ხალხი მისტიროდა თურქების ბატონობის „ნეტარ სიმ-
შვიდეს“, მაგრამ ასეთები ცოტანი იყვნენ. სხვანი დაუცხრომელი და მოუსვენ-
ნარი ცხოვრებისაკენ ისწრაფოდნენ. სურდათ ეგრძნოთ განცდათა მოზღვავე-
ბა, მრავალფეროვნება, ხმაური, აღგზნება. ეს არა მარტო საერთო განწყობი-
ლებას, ქალაქის გარეგნულ იერსაც ცვლიდა. კაპის დატბორებულმა ცხოვ-
რებამაც კი უკვე ცვლილება იწყო.

ყავახანის მეპატრონემ უშნო ხის ყუთში ჩადებული თუნუქის დიდი
ღია ცისფერი გრამაფონი იყიდა. მისი შვილი ფირფიტებსა და ნემ-
სებს უცვლიდა და წარამარა ქოქავდა ამ მყვირალა მანქანას. მისი ოდოყვირა
ხმები კაპიას ავსებდა და მდინარის ორივე მხარეზე ხმიანდებოდა. მეპატრო-
ნე იძულებული იყო ეყიდა გრამაფონი, რომ სხვებს არ ჩამორჩენოდა. ახლა
ყველგან გრამაფონები გაჰკიოდა და იხრინწებოდა, მსმენელებს თურქული
მარშებით, სერბიული პატრიოტული სიმღერებითა და ვენის ოპერეტების
არიებით უმასპინძლდებოდა. ახლა ხალხი აღარ ეტანებოდა ისეთ ადგილებს,
სადაც ხმაური და ზედახორა ნაკლებად იყო, რადგან იქ ვაჭრობასაც არ ადგა
კარგი დღე.

ბევრი ხარბად დაეწაფა გაზეთის კითხვას, თუმცაღა ზერელედ და ერთი
თვალის გადავლებით. ყველანი მხოლოდ პირველ გვერდზე მსხვილი სათა-
ურებით მოთავსებულ ცინცხალ ამბებს ეტანებოდნენ. წვრილი ასოებით დაწე-
რილ წერილებს ზედაც არ უყურებდნენ. ახალგაზრდობას ისეთი დღე დღედ
არ მიაჩნდა, თუ დაწოლის წინ ნანახისა და გაგონილისაგან ყურები არ უშხუ-
ოდა და თვალები არ უჭრელდებოდა.

მედიდური და ერთი შეხედვით გულგრილი ქალაქელი ალები და ეფენ-
დები კაპიაზე მოდიოდნენ, რათა ტრიპოლში იტალია-თურქეთის ომის ახალი
ამბები გაეგოთ; ხარბად უსმენდნენ, რაც კი გაზეთებში ეწერა ახალგაზრდა
თურქ გმირ მათორ ენვერ-ბეგზე, ვინც სულთნის მიწა-წყლისათვის ისეთ შავ
დღეს აყრიდა იტალიელებს, როგორც სოკოლოვიჩებისა თუ ჩუპრილიჩების
ნამდვილ შთამომავალს შეჰფეროდა, შუბლს იჭმუხნიდნენ გრამაფონის ხმამა-
ღალ რახრახზე, აზრს რომ უბნევდათ, და მართალია, ფარულად, მაგრამ ღრმად
და გულწრფელად განიცდიდნენ თურქეთის განაპირა პროვინციების ბედს
აფრიკაში.

ხანდახან ამ დროს ხიდზე სამუშაოდან დაბრუნებული იტალიელი პერო
გამოივლიდა ხოლმე. მხდალსა და მშიშარა ოსტატ პეროს ქვის მტვრისაგან
გათეთრებული, საღებავებითა და სკიპიდრით გათხუპნული ტილოს ტანსაცმე-
ლი ეცვა. პერო მისდა უნებურად თითქოს დამნაშავე იყო იმაში, რასაც შორს
მისი მოძმე იტალიელები სჩადიოდნენ, ვისთანაც დიდი ზანია საერთო არა ჰქონ-
და რა. აი, ახლაც რომელიღაც თურქის პატარა ბიჭმა მიაძახა:

— ტრიპოლი გინდა, არამზადავ? ესეც შენ! — და ბრანწი უჩვენა. მისმა
ამფსონებმაც უწმაწური სიტყვები ჰკადრეს პეროს.

დადლილმა, წელში მოხრილმა ოსტატმა პერომ უფრო ჩამოიფხატა ქუდი
თვალეებზე, უფრო მაგრად ჩაუჭირა კბილები ჩიბუხს და მეიდნის მხარეს თა-
ვისი სახლისაკენ გაძუნძულდა.

შინ მისი ცოლი სტანა ელოდებოდა. თუმცა დაბერდა და უწინდელი ძალა
დაკარგა სტანამ, მაგრამ მაინც ენამწარე და მყვირალა იყო. პერომ შესჩივლა,
რა წყევლა-კრულვით გამოეკიდნენ თურქი ბავშვები და მოსძახოდნენ, ტრიპო-

ლი, ტრიპოლიო, თუმცა ეს სახელი აქამდე არც გაეგონა. მაგრამ სტანამ არ თანაუგრძნო და არც შეიბრალა, ის კი არადა, დაუტატანა:

— ჩვარი კი არა, ვაჟკაცი უნდა იყო! გეთხლიშა თავში სატენი ან ჩაქური იმ საძაგლებისათვის და შენი მასხარად აგდების ხალისი დაეკარგებოდათ.

— ეჰ, სტანა, სტანა, — უწყინრად შეედავა პეტო, — როგორ შეიძლება კაცმა კაცს თავში ჩაქური ჩაარტყას?

ასე მიდიოდა პატარ-პატარა თუ დიდ-დიდი მღელვარებით აღსავსე წლები. დადგა 1912 წლის შემოდგომა. მას მოჰყვა 1913 წელი, სერბიელთა ბალკანური ლაშქრობებითა და გამარჯვებებით რომ აღინიშნა. და როგორც გამონაკლისი, უჩუმრად და თითქმის შეუმჩნეველად შემოეპარათ ის, რამაც ხიდზე, ქალაქზე და ყველა მცხოვრებზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა.

მზიანი, ოქროსფერი ოქტომბრის დღეები იდგა. მზის ამოსვლისას და ჩასვლისას ცა მეწამულად იღებებოდა. მისთანა დღეებში კაპიაზე ჯდომას არაფერი სჯობდა, გეგონებოდა, დროის სრბოლა ქალაქის თავზე შეჩერდყო. სწორედ მაშინ მოხდა ყველაფერი.

ვიდრე წერა-კითხვის მცოდნე ხალხი ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებში გაერკვეოდა, გაზეთებში რომ იბეჭდებოდა, თურქეთსა და ბალკანეთის ოთხ სახელმწიფოს შორის ომი დაიწყო. ვიდრე ხალხი ომის აზრსა და მნიშვნელობას ჩასწვდებოდა, ომი სერბიელთა და ქრისტიანთა გამარჯვებით დამთავრდა. ყველაფერი საზღვარზე მძინვარე შეტაკების, ზარბაზნების გრილისა და კაპიაზე გამოკიდებული მოკვეთილი თავების გარეშე მოხდა. ეს უდიდესი მოვლენები შორსა და საოცრად სწრაფად გადაწყდა. სადღაც იქ, ქვეყნის დასალიერს რეკავდა ზარი და წყდებოდა თვითეული კაცის ბედიც.

მაგრამ თუკი გარეგნულად ქალაქი უცვლელად და მშვიდად გამოიყურებოდა, ამ მოვლენებმა ადამიანთა სულში ერთდროულად უდიდესი აღფრთოვანება და უღრმესი გულდამძიმებულობა გამოიწვია, რადგან ომის ამბებს, ისევე როგორც ყველაფერს, რაც კი უკანასკნელ ხანს ქვეყნად ხდებოდა, ვიშეგრაღელი სერბიელები და მუსულმანები სხვადასხვანაირად აღიქვამდნენ. მომხდარმა ამბებმა ზოგის მოლოდინს გადააჭარბა და ზოგის შიში გაამართლა. ახლა უკვე აღარაფერს შეეძლო ადამიანის ოცნების ფანტასტიკური ფრენის შეჩერება, უამისოდაც რომ მთელი ასი წლით გაასწრო ზოზინა ისტორიას.

ყველაფერი, რაც ამ საბედისწერო ომში ქალაქს შეეძლო დაენახა და უშუალოდ განეცადა, გატყორცნილი ისარივით სწრაფად და ძალზე უბრალოდ გათამაშდა.

უვიცაში, სადაც ავსტრია-უნგრეთის საზღვარი თურქეთთან პატარა მდინარე უვიცას გაუყვება, სადაც თურქების სადარაჯო ავსტრიელ ჟანდარმთა ყაზარმისაგან ხის ხიდით არის დაშორებული, ავსტრიელთა მხარეზე თურქი ოფიცერი მცირერიცხოვანი გარნიზონის თანხლებით გადავიდა. აქ მან დიდი ზეიმით გადატეხა ხმალი ხიდის მოაჯირზე და ავსტრიელ ჟანდარმებს ტყვედ ჩაბარდა. იმავე წუთში მთებიდან სერბიელთა ქვეითი ჯარის მოწინავე რაზმი დაეშვა და ბოსნიასა და სანჯაკს შორის მთელი საზღვრის გაყოლებაზე თურქი ასკერები შეცვალა. იმ ადგილმა, სადაც ავსტრიის, თურქეთისა და სერბიის საზღვრები იყო, მნიშვნელობა დაკარგა. თურქეთის საზღვარი, ჯერ კიდევ გუშინ მხოლოდ თხუთმეტი კილომეტრით რომ იყო დაშორებული, ახლა უცბად

გადაადგილეს ათასზე უფრო მეტი კილომეტრით, სადღაც ადრიანოპოლის იქით.

დრინის ხიდისათვის ეს იყო სასიკვდილო განაჩენი. სარაევოს რკინიგზის ხაზმა მანამდე ყველანაირი კავშირი მოსპო დასავლეთთან, ახლა კი უეცრად აღმოსავლეთთანაც შეწყდა კავშირი.

სოკოლოვიჩელი ვეზირის ჩანაფიქრით აგებული ქვის დიდ ხიდს სახელმწიფოს ორი ნაწილი უნდა შეეერთებინა და „ღვთის სადიდებლად“ დასავლეთ-აღმოსავლეთსა ანდა აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის მგზავრობა გაეადვილებინა. ახლა კი სინამდვილეში ერთისაგანაც და მეორესაგანაც მოწყვეტილი იყო და მეჩხეჩხე გახირული გემისა თუ მიტოვებული ტაძრის დარად საკუთარ თავზე მინაბრებული. სამი საუკუნე ხიდი ერთგულად ემსახურებოდა ადამიანებს. მისი სიდიდის, სიმკვრივისა და სილამაზის წყალობით კიდევ შეიძლებოდა მასზე ასეული წლობის მანძილზე ჯარებსა და ქარავნებს ევლო, მაგრამ ისტორიისა და ადამიანთა ახირების წყალობით ვეზირის წმინდა ნაბოძვარმა ადრინდელი დანიშნულება უცბად დაკარგა და რაღაც ჯადოსნური ძალით ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდა. ყველაფერი, რაც ადამიანთა სულის სიღრმეში იყო მიძინებული და ასეული წლობით ამ ხიდივით გარინდებული, ახლა უეცრად გამოცოცხლდა და ყოველდღიურ ცხოვრებას, საერთო სულისკვეთებას თუ თვითეულ ადამიანს თავისი დალი დაასწავა.

დადგა 1913 წლის ზაფხულის წვიმიანი და თბილი დღეები. დღისით კაპიაზე გუნებადამძიმებული ქალაქელი მუსულმანები სხედან. ვიღაც ჭაბუკი გაზეთს უკითხავს მათ, უცხოურ გამოთქმებსა და გეოგრაფიულ სახელებს უხსნის რუკაზე. ყველანი დინჯად ეწევიან და ჯიქურ იცქირებიან პირდაპირ, თუმცა ვერ ახერხებენ თავიანთი წუხილისა და ფიქრის დაფარვას. შერე რა, რომ რუკაზე გავლებული გველივით დაკლაკნილი ხაზები ბევრს არაფერს ეუბნებათ, მაინც ყველაფერი იციან და მსოფლიოს რუკას გუმანით შეიგრძნობენ.

— ვის დარჩა ახლა უშიშუპი? — მოჩვენებითი გულგრილობით ეკითხება ჭაბუკს ერთ-ერთი მოხუცი.

— სერბიას.

— ოჰო!

— სალონიკი კი ვიღასია?

— საბერძნეთისა.

— ოჰო-ჰო!

— ადრიანოპოლი? — ჩუმად ეკითხება მესამე.

— ბულგარეთისა.

— ოჰო-ჰო-ჰო!

მოხუცთა უმრავლესობას სამოცდაათი წლისთვის გადაუბიჯებია. მათ ბავშვობაში თურქეთის სამფლობელო ლიკიდან და კორდუნადას სტამბულამდე და სტამბულიდან შორეული არაბეთის უდაბნოს განაპირა საზღვრებამდე იყო გადაჭიმული. ახლა კი იმასაც მოესწრნენ, რომ თურქეთის ძლიერება, როგორც ზღვა მიქცევის დროს, ისე უკუიქცა და სადღაც ცხრა მთას იქით გადაიკარგა. თვითონ კი დარჩნენ აქ, ზღვის ბალახივით საკუთარი თავისა და მუხთალი ბედის ანაბარა.

ლამლამობით იმავე კაპიაზე გვიანობამდე ისხდნენ სერბიელი ჭაბუკები და ხმამაღლა, უშიშრად მღეროდნენ სერბიულ ზარბაზნებზე. მათ არავინ აჯარიმებდა. მათთან ხშირად იყვნენ სტუდენტები და გიმნაზიელები, სასწავლო წლის დაწყების მიუხედავად ამ შემოდგომით მაინც ხშირ-ხშირად რომ ნახავდით აქ. სარაევოდან რკინიგზით ჩამოდოდნენ წინასწარ დათქმულ შეხვედრის ადგილზე, საღამოთი მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ კაპიაზე და დილით უკვე ქალაქში აღარ იყვნენ, — ვიშეგრადის ახალგაზრდობას საიდუმლო გზებით გადაჰყავდა ისინი სერბიაში.

გაზაფხულის თვეებში, როცა ვიშეგრადელი სტუდენტები და გიმნაზიელები საზაფხულო არდადეგებზე ჩამოვიდოდნენ, ქალაქიცა და კაპიაც ცოცხლდებოდა. ჩამოსული ახალგაზრდობის გავლენა მთელ ქალაქში იგრძნობოდა. მათი მეტყველება, სამოსი და მიხრა-მოხრა საგრძნობლად გამოირჩეოდა აქაურთა ქცევებისა და ძველყაიდური ჩაცმულობისგან.

ახლა მოდასთან ერთად სტუდენტებს ახალი სიტყვები, ახალი სიმღერები, ახალი ცეკვები და, რაც მთავარია, სერბიულ, ჩეხურ და გერმანულ ენებზე დაბეჭდილი წიგნები და ბროშურები შემოჰქონდათ.

ადრეც, ავსტრიის ბატონობის პირველი ოცი წლის განმავლობაში, მიდიოდნენ ქალაქელი ახალგაზრდები სასწავლებლად. მაგრამ ახლა, ამ რამდენიმე ხნის წინათ ეროვნულ-განმანათლებელი ორგანიზაციების დახმარებით, სასწავლებლად გლეხებისა და წვრილ-წვრილი ხელოსნების შვილებსაც აგზავნიდნენ. ესენი ოკუპაციის პირველი დღეების გულუბრყვილო და თვინიერი, სწავლისათვის თავგადაკლული სტუდენტები კი აღარ იყვნენ, არც ჩვეულებრივი ქალაქელი ლოთიფოტები და კოხტაპრუშები — მომავალი ვაჭრები და ხელოსნები, თავიანთი ასაკისთვის დამახასიათებელი ცეცხლისა და ძაღლის მეტ წილს კაპიაზე რომ ზარჯავდნენ და ვისზედაც მახლობლები ამბობდნენ: „ცოლი შევრთოთ, ჭკუაში რომ ჩავარდესო!“ ისინი სულ სხვა ხალხი იყო, სხვადასხვა სახელმწიფოებსა და ქალაქებში სხვადასხვა სულისკვეთებით აღზრდილები.

დიდი ქალაქებიდან, უნივერსიტეტებიდან და გიმნაზიებიდან ახალგაზრდები ისეთი შეუპოვარი სიამაყით აღვსილები ბრუნდებოდნენ, მუდამ რომ ეუფლებათ მეცნიერებას პირველად ნაზიარებ ჭაბუკებს. ისინი ჩამოდოდნენ ხალხთა და ადამიანთა თავისუფლების იდეებით გაჟღენთილნი, ეროვნული გრძნობით გამსჭვალულნი.

ახალგაზრდობის თავშეყრის მთავარი ადგილი კაპია იყო. ისინი აქ ნავახშმევს იკრიბებოდნენ და სიბუნელეში, ვარსკვლავებისა თუ მთვარის შუქზე, აბობოქრებული მდინარის თავზე შორს გაისმოდა მათი სიმღერა, ოხუნჯობა, ხმამაღალი ლაპარაკი და გაუთავებელი კამათი. სტუდენტებთან ერთად მათი ბავშვობის მეგობრებიც იყვნენ, ვისთანაც ოდესღაც სკოლაში უსწავლიათ, მაგრამ შემდეგ ისინი ქალაქში დარჩნენ შეგირდებად, ნოქრებად, კანტორის მუშაკებად ან გადამწერლებად რომელიმე დაწესებულებაში. ამათგან ერთნი კმაყოფილნი იყვნენ საკუთარი ბედით იმ ქალაქში, სადაც მთელი სიცოცხლე უნდა გაეტარებინათ, გაკვირვებით, ცნობისწადილითა და სიყვარულით უყურებდნენ თავიანთ ნასწავლ ამხანაგებს, მაგრამ არასდროს უცდიათ მათი გატოლება და ყოველგვარი შურის გარეშე უხაროდათ მათი განათლება და წარმატებები. მეორენი, პირიქით, ვერ შეერიგებოდნენ თავიანთ ხვედრს, რაღაც

უფრო დიდს ესწრაფებოდნენ, მაგრამ მათი იმედები დღითი დღე იწურებოდა და უფრო და უფრო ხელმიუწვდომი ხდებოდა.

იყო და მომავალშიც იქნება ქალაქის ცაზე ზაფხულის ღამეები, მოციმციმე ვარსკვლავები და მთვარე. მაგრამ დღემდე არა ყოფილა და, ღმერთმა იცის, შემდეგშიც იქნება კია ისეთი ახალგაზრდობა, ვინც ასეთი აზრებითა და გრძობებით ავსილი, ასეთ საუბარში გაატარებს ღამეებს კაპიაზე? ეს აჯანყებულ ანგელოზთა თაობა იყო, ვისაც იმ ხანებში ანგელოზთა ძალითა და გზნებით ჯერ კიდევ არ დაეკარგა აჯანყებულთათვის ჩვეული მზვაობა და სიამაყე. ბედმა ბოსნიის ამ მივიწყებული ქალაქის გლეხთა, ხელოსანთა და ვაჭართა შვილებს იოლად გაუხსნა სამყაროსაკენ მიმავალი გზა და თავისუფლების უდიდეს ოცნებათ აზიარა. ბევრ მათგანს არ ესმოდა და არ შეეძლო ჩასწვდომოდა მათ წინ გადაშლილ მრავალფეროვანი სიკეთის არსს, მაგრამ მათ შორის ერთი არ იყო, ვისაც არ სცოდნოდა, რომ რასაც კი მოისურვებდა, ყველაფრის მიღწევა შეეძლო, რომ რაც მის გარშემო არსებობდა, მას ეკუთვნოდა.

მათ წინაშე უსაზღვრო შორეთისაკენ მიმავალი ყველა გზა ხსნილი იყო და თუმცა ბევრ მათგანს არც არასდროს მოუწევდა ამ გზებზე ფეხის შედგმა, მაინც სიცოცხლის დამატრობელ ძალას ანიჭებდა იმის შეგნება, რომ მათ შეუძლიათ, ყოველ შემთხვევაში თეორიულად მაინც, თავისუფლად და საკუთარი სურვილით აირჩიონ ცხოვრების გზა და თამამად გადაუხვიონ ერთი გზიდან მეორეზე.

ის, რის მოპოვებაც სხვადასხვა ერის, სხვადასხვა ქვეყნისა და ხანის ხალხმა მხოლოდ რამდენიმე თაობის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით შეიძლო სიცოცხლისა და უდიდესი მსხვერპლის ფასად, ამ თაობისათვის შემთხვევითი მემკვიდრეობით ნარგუნები და ბედის სახიფათო საჩუქარი იყო. მათ შეეძლოთ, როგორც სურდათ, ისე ესარგებლათ თავიანთი სიჭაბუკით, რადგან იმ საზოგადოებაში ცხოვრობდნენ, სადაც სოციალურმა თუ ზნეობის კანონებმა და თვით სისხლის სამართლის დანაშაულებათა ცნებამაც კი დიდი კრიზისი განიცადა. ისინი ამ კანონებს თავისუფლად აკრიტიკებდნენ, რაზეც ეწადათ, ყველაფერზე ლაპარაკობდნენ. ბევრ მათგანს სიტყვა ჭეშმარიტ საქმედ ეჩვენებოდა და გმირობისა, დიდებისა, ძალადობისა და ნგრევისაკენ მათ ატავისტურ მისწრაფებებს აკმაყოფილებდა, მაგრამ აქტიურ მოქმედებას არ სხთოვდათ და ამიტომ არც რაიმე პასუხისმგებლობას აკისრებდათ.

ამ ჭაბუკებიდან ყველაზე უფრო ნიჭიერთ ეზიზღებოდათ ის, რისი სწავლაც საჭირო იყო, გადაჭარბებით აფასებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს, რაც არ იცოდნენ, იმით ამაყოფდნენ და იმით იყვნენ გატაცებულნი, რაც მათ ძალღონეს აღემატებოდა. ძნელია მოიფიქროს კაცმა ამაზე უფრო სახიფათო მიდგომა ცხოვრებისადმი და ამაზე სწორი გზა საყოველთაო გმირობისა ან სრული განადგურებისაკენ. ამათგან მხოლოდ ყველაზე ჯიუტნი და ძლიერნი სწირავდნენ თავს, ნამდვილად ეძლეოდნენ მშფოთვარე საქმიანობას და, როგორც ქინქლები, ისე იწვოდნენ, რათა მომავალში მათ ტოლებს წამებულებად შეერაცხათ. რადგან არ არსებობს თაობა, საკუთარი წმინდანები რომ არ ჰყავდეს და დიდების მიუწვდომელ კვარცხლბეკზე არ აიყვანოს ისინი.

ადამიანთა ყველა თაობას საკუთარი ილუზიები აქვს ცივილიზაციის მიმართ! ზოგს სჯერა, რომ ხელს უწყობს მის წინსვლას, ზოგს ჰგონია, რომ მისი დაღუპვის ცოცხალი მოწმეა. სინამდვილეში კი ცივილიზაცია ყოველთვის ანთია. იფერ-

ფლება და ქრება კიდევ იმის მიხედვით, რომელი კუთხიდან შევხედავთ მას. ეს თაობა, კაპიაზე, ვარსკვლავების შუქზე ფილოსოფიურ-სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე რომ მსჯელობდა, მხოლოდ ილუზიებით იყო მდიდარი; ამ თაობასაც ეჩვენებოდა, რომ ახალი ცივილიზაციის ჩირაღდანს ანთებდა და ძველ, უკვე მიფერფლილ ჩირაღდნებს აქრობდა. მასზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ დიდი ხანია არა ყოფილა ისეთი თაობა, ვისაც ამაზე მძლავრად და მამაცურად ეოცნება და ელაპარაკა სიამოვნებასა და თავისუფლებაზე და ასე ცოტა რამ მიელო ცხოვრებისაგან, ასე ბევრი ეტანჯა, ასე მძიმე ტვირთი ეტვირთა და ამდენი მსხვერპლი გაეღო. მაგრამ 1913 წლის ზაფხულის დღეებში ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ გაბედული, მაგრამ ბუნდოვანი ოცნებები იყო. ყველაფერი ამაღელვებელ ახალ თამაშსა ჰგავდა ივლისის ღამის მთვარის შუქით განათებულ ამ ძველისძველ ხიდზე, ასეთი ღამაში, ფაქიზი, უცვლელი, მარადახალგაზრდული და მკვიდრი რომ იყო, ყველაზე მკვიდრი, რაც შეუძლია გაიღოს დრო-ჟამმა, ხოლო ადამიანებმა—ჩაიფიქრონ და განახორციელონ.



ღამით ცას ღრუბელი გადაეკრა და ქალაქის თავზე მძიმედ ჩამოწვა. აგსტ-რიელებმა ბნელი ღამით ისარგებლეს და უკანასკნელი რაზმები გადაიყვანეს. გათენებამდე მარტო ხიდს გაღმა კი არა, კარგა შორს, ლიეშტანის მთათა მწვერვალების მიღმაც გადააღწიეს და სერბთა თვალთაგან მოშორებული და ქვემეხებისაგან მიუწვდომელი გახდნენ.

ალიონზე ჟინჯღვლა დაიწყო. წვიმაში ყარაულმა უკანასკნელად ჩამოუარა ხიდის ახლომახლო მაღაზიებსა და სახლებს, ხომ არავინ დაყოვნდაო სადმე. ყველაფერი ჩამკვდარიყო — ოფიცერთა საკრებულო, ლოტიკას სასტუმროც. დანგრეული ყაზარმაც და ბაზრის შესასვლელთან მდგარი ორი-სამი სახლიც. მხოლოდ ალი-ხოჯას შეასწრეს თვალი თავისი დუქნის წინ, კარს რომ აღებდა. რაკი ხოჯა ახირებულ კაცად მიაჩნდათ, ჟანდარმებმა ძალზე მკაცრად შეახსენეს. დაუყოვნებლივ დაეკეტა დუქანი და მოედანს გასცლოდა, რადგან ხიდთან ყოველგვარი შეფერხება მკაცრად იყო აკრძალული და სიცოცხლეს საფრთხეს უქადდა.

ალი-ხოჯამ ისე ახედ-დახედა მათ, როგორც მთვრალეებს, ვისაც თვითონაც არ გაეგება, რას ლაპარაკობს. კიდევ დააპირა ეთქვა, აქ უკვე დიდი ხანია სიცოცხლისათვის საშიში გარემოაო, მაგრამ უკანასკნელი დღეების მწარე გამოცდილებით ჭკუანასწავლმა გადაიფიქრა და წყნარად უპასუხა, რომ რაღაცის ასაღებად იყო მოსული დუქანში და ახლავე დაბრუნდებოდა შინ.

ალი-ხოჯა გასცქეროდა, რა სწრაფად, უხმაუროდ მიაბიჯებდნენ ჟანდარმები, მერე შეძვრა დუქანში და ისე მიიხურა კარი, რათა გარედან დუქანი დაკეტილსა ჰგვანებოდა. ამ ბნელ საკუჭნაოში ბევრჯერ დამალვია იგი ოჯახსა და ხალხის მომაბეზრებელ ლაპარაკს. ეს კუბოსავით ვიწრო კუთხე სწრაფად აავსო მისი სუნთქვის სითბომ. ხოჯამ მალე შეიგრძნო განმარტოების, სიმშვიდისა და თავდავიწყების ის სიტკბოება, რაიც ამ ბნელ და მტვრიან პატარა ოთახს მწვანედ აბიბინებულ, ნელიად მოჩუხჩუხე ნაკადულებით სავსე სამოთხის ბაღად აქცევდა ხოლმე.

წვიმიანი დილის რაღაც განსაკუთრებული სიგრილე ამ პატარა სადგომის სიბნელესა და სივიწროვეშიაც კი აღწევდა. დუქნის კედლების მიღმა არაჩვეულებრივ სიწყნარეს არც ლაპარაკისა და არც ნაბიჯების ხმა არ არღვევდა. თურმე რამდენიმე ფიცარიც საკმაოა ღვთის შეწევნით, რომ, როგორც ჯადოსნურ ნავში, ისე დაიცვა და გადაარჩინო მართლმორწმუნე კაცი ყოველგვარ გასაჭირსა და თავდასხმას, გაუთავებელ ზრუნვასა თუ ცეცხლისმფრქვეველ ქვემეხებს, ერთნაირად საძულველი ურწმუნოთა ორი ჯარი რომ ერთმანეთს ესვრის. რაც ომი დაიწყო, მას მერე არც როდის ყოფილა ასეთი სიწყნარე. სიმშვიდე თუმც წამიერად, მაგრამ მაინც გიბრუნებს ნამდვილ ადამიანურ ყოფას, რაც უკვე დიდი ხანია უფრო და უფრო გმორდება, ახლა კი ამ ურწმუნოთა ზარბაზნების გრიალმა მთლიანად გააქრო. სიწყნარე აუცილებელია ლოცვისათვის, უფრო მეტიც, სიწყნარე თვით ლოცვაა.

და უცებ ხოჯამ იგრძნო, როგორ ავარდა მისი სკამი მაღლა, როგორ აიტაცა სათამაშოსავით თვითონაც რაღაცამ. ირგვლივ ყველაფერი გრიალსა და გამაყრუებელ ხმაურში ჩაინთქა. მოპირდაპირე კედლის თაროებმა გაიჭრიალეს და ზედ დაწყობილი საგნები და ხოჯა ერთმანეთისაკენ გაბზრიალდნენ.

„ვაი“, დაიკვნესა ხოჯამ. სინამდვილეში კი მხოლოდ ფიქრში დაიკვნესა, რადგან თვითონ ხოჯას აღარც სმენა და აღარც ხმა ჰქონდა. იქაურობა ხმაურმა გააყრუა, ყველაფერი ადგილიდან დაიძრა და ხოჯასთან ერთად ახანხალდა, თითქოს ორი მდინარის შუა მდებარე ხიდი ქალაქთან ერთად მიწიდან ააგლიჯეს, სივრცეში გადაისროლეს და ახლა საშინელი ღრიალით მიექანებოდა სადღაც, თითქოს ორივე მდინარემ თავთავიანთი კალაპოტი მიატოვა, რაღაც ძალამ ჰაერში ატყორცნა და სიცარიელეში ჩანჩქერივით გადმოუშვა.

იქნებ დადგა საშინელი განკითხვის დღე? ის დღე, როს წიგნებში დაწერილით თუ მეცნიერების ნათქვამით ეს ცრუ წუთისოფელი თვალის დახამხამებაში ნაპერწკალივით უნდა გაქრეს და დაიწვას? მაგრამ ღმერთს, ვისაც ერთი თვალის შევლებით შეუძლია მნათობი ანთოს და ჩააქროს, რისთვის სჭირდება ასეთი გამაყრუებელი ხმაური? ალი-ხოჯამ არ იცის, რა ძალა დაატყდა თავს, საით მიფრინავს და სად შეჩერდება, მაგრამ ერთი რამ კი კარგად ახსოვს, რომ ყოველთვის და ყველაფერში მუდამ მართალი იყო.

„ვაი“, ისევ დაიგმინა ახლა კი ტკივილებისაგან შეწუხებულმა ხოჯამ, რადგან იმავე ძალამ, ეს-ეს იყო ჰაერში რომ ააგდო, ისევე უხეშად და ულმობლად ხის კედელსა და გადაბრუნებულ სკამებშუა გადაისროლა. საერთო დგანდგარში რაღაც განსაკუთრებული ხმა გამოირჩეოდა; მერე რაღაც მძიმედ დაეცა დუქნის სახურავზე და ქვაფენილს დაასკდა. მაგრამ ალი-ხოჯამ უკვე გრძნობდა დაკარგა და თავის „კუბოში“ გაუნძრევლად იწვა.

ქუჩა ერთიანად განათებულიყო.

გულწასული ალი-ხოჯა სინათლემ და ვიდაცეების ხმამ გამოარკვია, ძლივს მოვიდა გონს. მის ოთახში, სადაც ადრე სრულ სიბნელეში იჯდა, ახლა ვიწრო გასასვლელიდან შუქი შემოდიოდა. თუ აქამდე ქვეყანაზე ხმაური და გამაყრუებელი აურზაური იდგა, ახლა ირგვლივ სიწყნარე ჩამოწოლილიყო.

რაკი თავი ცოცხალი დაიგულა და მიხვდა, რომ ისევ თავის „კუბოში“ წევს, ხოჯა გამოძვრა იქიდან და კარის დაბალი ჭრილით დუქანში გავიდა. შუა მაღაზიაში, ნამსხვრევების გროვასა და მიმოფანტულ საქონელს შუა ადამიანის თავის ოდენა მძიმე ქვა ეგდო. ხოჯამ ჭერს ახედა. ზემოდან დღის სინათლე ჩამო-

დიოდა. ეტყობა, ქვას თხელი სახურავი და ხის ნივნივები გაეხვრიტა და დუქანში ჩამოვარდნილიყო.

— ჰო, მართლა, ხიდი! — გაიფიქრა ხოჯამ, მაგრამ მისი ყურადღება ხმაურმა მიიპყრო. ქუჩიდან ვიღაცა ხმამაღლა ეძახდა.

ხოჯა ტკივილებისაგან იმანჭებოდა და გონზე ჯერ კარგად ვერც მოსულიყო, რომ ხუთი-ექვსი კაცი თავზე წამოადგა — ისინი ახალგაზრდები იყვნენ, წვერულვაში მოეშვათ და პირსახეზე მტვერი დასდებოდათ. ყველანი იარაღში ისხდნენ და წელზე ბრჭყვიალა ვაზნებით დატენილი ფალასკა ჰქონდათ შემორტყმული. მათთან იყო ზეინკალი ვლადო მარიჩიცი, ოლონდ ზეინკლის კეპის ნაცვლად ტყავის ქუდი ეხურა და მასაც მხარზე ფალასკა ჰქონდა გადაკიდებული. ერთ-ერთი ახალგაზრდა, აღგზნებული თვალები რომ ჰქონდა და, ეტყობოდა, მეთაური იყო, ხოჯასკენ გაემართა. თოფი მონადირისებურად ჰქონდა გადაკიდებული, მარჯვენა ხელში თხილის წვრილი ჯოხი ეჭირა, ღვარძლიანად ილანძლებოდა და მაშინვე ხოჯას მივარდა:

— შენ აქა ხარ? დუქანი ღია რად დაგიტოვებია? მერე, როცა რამეს დაკარგავ, ჩემს ჯარისკაცებს დააბრალებ? მე უნდა ვუდარაჯო შენს საქონელს?

ამ კაცს პირისახე წყნარი, თითქმის მთლად უსიცოცხლო ჰქონდა, მაგრამ მრისხანედ გაჰყვიროდა და ჯოხს მუქარით იქნევდა.

ამ დროს მასთან მივიდა ვლადო მარიჩი და ყურში ხმადაბლა რაღაცა უთხრა.

— კარგი, კარგი, იყოს კეთილი და პატივსაცემი კაცი, მაგრამ იცოდეს, დუქანს თუ კიდევ გააღებს და უპატრონოდ დატოვებს, ასე იოლად ვეღარ გადარჩება.

და შეიარაღებულმა ხალხმა გზა განაგრძო.

„აი ესენიც, — თავისთვის ჩაილაპარაკა ხოჯამ და თვალი გააყოლა, — მოვიდნენ თუ არა, მე შემეჩვენენ! ამ ქალაქში ისე არაფერი ჩაივლის, მე რომ არ მომხვდეს“.

ასე ღრმად ჩაფიქრებული იდგა ხოჯა თავის დანგრეულ დუქანთან. თავი დამძიმებული ჰქონდა და დაბეგვილი სხეული სტეხდა. თვალწინ გადაშლილი მოედანი, ქვებით, კრამიტისა და ხეების ნამტვრევებით დაფარული, დილის მზის პირველ სხივებში ბრძოლის ველსა ჰგავდა. ალი-ხოჯამ მზერა ხიდზე გადაიტანა. კაპია თავის ადგილას იყო, მაგრამ მის გასწვრივ ხიდი გაწყვეტილიყო, მეშვიდე ბურჯი გამქრალიყო. მეექვსე და მერვე ბურჯებს შორის პირი დაეღო სიცარიელეს და დრინას მწვანე ტალღები მოჩანდა. მერვე ბურჯიდან დაუზიანებლად გადარჩენილი ხიდი მეორე ნაპირამდე ისევე გლუვი, სწორი და თეთრი იყო, როგორც ყოველთვის.

ხოჯამ თვალები აახამხამა, ვერ დაიჯერა და თვალები მოჭუტა. მაშინვე გაახსენდა, ხუთი-ექვსი წლის წინ როგორ ხვრეტდნენ მწვანე კარავს ამოფარებული ჯარისკაცები ხვრელს სწორედ ამ ბურჯში. მეხსიერებაში ამ ხვრელის რკინის სახურავიც გაუცოცხლდა და ფელდფებელი ბრანკოვიჩის ყრუ და უტყვი პირისახეც მოაგონდა. შეკრთა, ისევ გაახილა თვალი, მაგრამ მის თვალწინ კვლავ მსხვილი და წვრილი ქვებით მოფენილი მოედანი, საყრდენმონგრეული ხიდი და ორ თაღს შორის ხახადაღებული სიცარიელე მოჩანდა.

ასეთი რამ მხოლოდ სიზმარში შეიძლება ნახოს და განიცადოს ადამიანმა. ხოჯამ ზურგი აქცია ამ შემაძრწუნებელ სანახაობას და ხელახლა დაინახა თავი-

სი ღუქანი და მეშვიდე ბურჯის მონატეხი დიდი ქვა, მომოფანტულ საქონელს შუა რომ ეგდო.

ბაზრიდან ბრძანების ხმები და ჩქარი ნაბიჯების ხმა გაისმა. ალი-ხოჯამ სასწრაფოდ მიხურა კარები, ზედ დიდი კლიტე ჩამოჰკიდა და თავისი სახლისაკენ გაუდგა გზას.

ხოჯას ადრეც შეჰკვრია სუნთქვა და გულისცემაც აჩქარებია, მაგრამ სიარული არასდროს ისე არ გასჭირებია, როგორც ახლა, როცა ესოდენ ეჩქარებოდა შინ დაბრუნება. გული უთანაბროდ უცემდა, სუნთქვა უწყდებოდა და იძულებული იყო წამდაუწუმ შეჩერებულიყო.

იქ, ქვევით, ნგონი, მღერძან. იქ დანგრეული და ასე უღვთოთ გაგლეჯილი ხიდი დგას. ალი-ხოჯას შეუძლია უკან მიუხედავადაც წარმოიდგინოს მთელი სურათი: სწორად გადაჭრილი ხიდის ბურჯი, ათასობით ნატეხებად მიმოფანტული ქვა, დაზიანებული თაღები, მათ შორის კი ხახადაღებული თხუთმეტმეტრიანი უფსკრული.

არა, ხოჯა არაფრის გულისათვის უკან არ მიტრიალდება! მაგრამ მთაზეც ძალზე უჭირს ასვლა, რადგან გული სულ უფრო მეტად აწუხებს და ფეხები აღარ ემორჩილება. ალი-ხოჯა შეჩერდა, რომ უფრო ღრმად ჩაესუნთქა. ეს ადრე ყოველთვის შეელოდა, ახლაც უნდა ეშველა. მართლაც, გულზე ცოტა მოეშვა და ძალაც დაუბრუნდა. ისევ დაიძრა და, სახლზე და ლოგინზე ფიქრით გამხნევებული, აჩქარებით გაუდგა გზას.

მაგრამ გონებიდან არ სცილდებოდა დანგრეული ხიდი. თუგინდ მარტო ზურგი კი არ ექცია, თვალებიც დაეხუჭა, ხიდი მაინც თვალიდან არ უქრებოდა.

— ახლა, — ფიქრობდა ხოჯა, როგორც კი ცოტა სული მოითქვა, — გასაგებია, ვინ იყვნენ და სადამდე მიგვიყვანა მათმა წესრიგმა და მზადებამ, დიდმა ფუსფუსმა და საქმიანობამ (ის ყველაფერში და ყველასთან ყოველთვის მართალია, მაგრამ ახლა არც ეს აკმაყოფილებს. სიცოცხლეში პირველად ხდება, რომ საამისოდ აღარ სცალია). — წლების მანძილზე თავაუღებლივ ზრუნავდნენ ხიდზე: ასუფთავებდნენ, არემონტებდნენ, საძირკველს უმაგრებდნენ, მერე წყალსადენიც გაიყვანეს და ელექტრონით გაანათეს, ყველაფერი კი ერთ წუთში ააფეთქეს.

მაგრამ, განაგრძობდა ფიქრს ხოჯა, აქ თუ ანგრევენ, დაე, სხვა ადგილას მაინც ააშენონ. ალბათ კიდევ არსებობენ მშვიდობიანი ქვეყნები და გონიერი ადამიანები, ღმერთი რომ სწამთ. თუ ღმერთმა ხელი აიღო დრინაზე გაშენებულ უბედურ ქალაქზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნიერება და დედამიწა დაივიწყა.

ვინც ანგრევს, იმათი აღსასრულიც დადგება! თუმცა ვინ იცის? (ოჰ! ოდნავ ღრმად რომ შეეძლოს ჩასუნთქვა, ცოტა მეტი ჰაერი რომ იყოს) იქნებ ეს წყეული სჯული, ყველაფერი რომ წესრიგში მოჰყავს, აახლებს, ყოველგვარ საქმეს ასრულებს და აგვირგვინებს, რათა შემდეგ ყველაფერი გადასანსლოს და დაანგრიოს, მთელ დედამიწაზე გავრცელდეს? იქნებ ურწმუნოებმა მთელი ეს ქვეყანა საკუთარი უაზრო მშენებლობებისა და სისხლიანი ნგრევებისათვის ერთ მთლიან ცარიელ მინდვრად აქციონ, რომ იქ მოიკლან დაუოკებელი შიმშილი და უცნაური მადა? ყველაფერი შესაძლებელია.

მაგრამ ერთი რამ კი შეუძლებელი იქნება, — არ შეიძლება ყველგან და სამუდამოდ გაქრნენ დიდი, ბრძენი და ღვთისმოშიში ადამიანები, ღვთის



ივო ანდრიჩი

სიყვარულით მარადიულ ნაგებობებს რომ აგებენ, დედამიწას ალამაზებენ და ადამიანის ცხოვრებას უფრო ასატანსა და ბედნიერს ხდიან. ასეთები რომ აღარ იყვნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ღვთის წყალობა და მაღლი გაქრა ამ სამყაროდან, ეს კი შეუძლებელია. ხოჯას ნაბიჯები უფრო და უფრო დაუმძიმდა და დაუნეღავდა.

ახლა გარკვევით ესმოდა, რომ ბაზარში მღეროდნენ. უფრო მეტი ჰაერის ჩასუნთქვა რომ შეეძლოს, გზაც რომ სწორი იყოს, როგორმე სახლამდე მიაღწიოს, თავის ლოგინში ჩაწვეს, გაიგონოს თავისი შინაურების ხმა, აი, რა იყო ახლა ხოჯას ერთადერთი ნატვრა. გულსა და სუნთქვას შორის კავშირი დაირღვა. გული გაჩერდა და სუნთქვაც შეწყდა, როგორც ხანდახან სიზმარში ხდება ხოლმე. ხოჯამ პირი გააღო, თვალები ლამის ბუდიდან გადმოუცვივდა. ყალყზე შემდგარი ციცაბო კლდე პირსახეზე აეფარა, ყველაფერი ჩამოუბნე-ლა და წყვდიაღში ჩაითრია.

მეიდნისაკენ მიმავალ აღმართზე სიკვდილს ებრძოდა ალი-ხოჯა.

□

24

მოთხრობა

ფრანგულიდან თარგმნა ნინო ფანჯავიძემ

მჭედელი ყველაზე მაღალი კაცი იყო მთელ იმ მხარეში, ყველაზე ფართო მხარბეჭი ჰქონდა, — ყველაზე მაგარი კუნთები; სამჭედლოს მტვრითა და ჭვარტლით ერთთავად გამურულ თავს გრუნა თმა უფარავდა, პირისახეს კი ფოლადივით ალაპლაპებული, დიდრონი, ბავშვური თვალები უსხივოსნებდა. თუ გაიცინებდა — პირი უსათუოდ ყურებამდე უნდა გახეოდა და ამ სიცილსაც უფრო როხროხი ეთქმოდა; ძლიერი სუნთქვა სამჭედლოს საბერველიდან მხიარული შიშინით ამოვარდნილ ჰაერის ნაკადს ედრებოდა და ამ დროს ხელებსაც თუ მაღლა აისვრიდა, იმ ჩვეულებების ძალით, გრდემლთან ჭიდილმა რომ გამოუმუშავა, იმასაც იოლად წარმოიდგენთ, თუ როგორ თამაშ-თამაშით უნდა დაუფლებოდა ეს ორმოცდაათი წლის კაცი „უკარებას“ — ოცდახუთგირვანქიან უროს, მთელ ოლქში ვერც ერთი მჭედელი რომ ვერ ეკარებოდა მის გარდა.

ერთი წელი გავატარე მჭედელთან. ეს იყო ჩემი გამობრუნების წელიწადი. ერთ დღეს თავგზააბნეული, გულამღვრეული და აფორიაქებული გამოვედი შინიდან და გავსწიე, საითაც თვალი მიმიწვდებოდა... მყუდრო თავშესაფარს ვეძებდი, მინდოდა სულიერი სიმშვიდე მომეპოვებინა, საქმისათვის გული დამედო და სიცოცხლის უნარი აღმედგინა. საღამო ჩანი იყო. ერთი სოფლის განაპირას, გზაჯვარედინთან, განმარტოებით მდგარი გაჩახახებული სამჭედლო დავინახე. ყურთამდე გამოღებული რკინის კარებიდან ამოვარდნილი ალი თითქოს ერთიანად შთანთქმას უპირებდა იქაურობას, გზის გასწვრივ, რუის პირზე ჩამწკრივებული ჩინარებიც კი ჩირაღდნებივით ბოლავდნენ. საღამოს ბინდ-ბუნდში შორს, ნახევარი ლიეს მანძილიდან ისმოდა უროს ცემის ხმა. კაცი იფიქრებდი, რკინის ლაშქარი დაძრულა და ჭენებით მიახლოვდებო. აი, სწორედ ამ ყურთამდე გაღებულმა რკინის კარებმა, შუქმა, იქიდან რომ გამოდიოდა, ამ ზათქმა და გრიალმა მიმიყვანა მე იქ; თითქოს კიდევ დავმშვიდდი, ანაზღად ბედნიერების შეგრძნება დამეუფლა ამ შრომის შემ-

ყურეს, ადამიანის ხელების შემყურეს, ხელებისა, გავარვარებულ რკინას რომ იმორჩილებდნენ.

პირველად მაშინ, შემოდგომის იმ მშვენიერ საღამოს ვნახე მჭედელი. საკინძეგაღედლის მძლავრი მკერდი მოუჩანდა, ყოველი ამოსუნთქვა მკერდს კიდევ უფრო უფართოებდა, ნაწრთობი ფოლადის სალტეში ჩამჯდარი გეგონებოდათ მისი მკერდი. ჯერ მთელი ტანით უკან გადაიზნიქებოდა, ერთი შეთამაშება შეათამაშებდა უროს ხელში, კარგად მოიმარჯვებდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დასცემდა გრდემლს. და ასე გაუთავებლად... მოძრაობდა მსუბუქად, კუნთებიც — თითქოსდა აქაც არაფერიაო — დაიბერებოდნენ გასკდომამდე, მერე ისევ პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდებოდნენ. უროს თვალსაც ვერ შეასწრებდით — დაჰკვესავდა ერთს და უკვე ისევ ჰაერში იყო, თან გრდემლზე ცემისაგან აყრილ ნაპერწკლებს იყოლიებდა. ეს სწორედ ის „უკარება“ გახლდათ, მის გარდა რომ ვერავინ აცეკვებდა მთელს ოლქში. მჭედლის ვაჟი, ოცი წლის ვირგლა ბიჭი ცალი ხელით გავარვარებულ რკინას ამავრებდა მარწუხით, მეორეთი კი ჩაქუჩის სცემდა გამალეებული, რათა მამამისის ხელში როკვის ჟინივით ატაცებული ვნება ოდნავ მაინც დაეცხრო. ტოკ, ტოკ, ტოკ! — ეს იმას ჰგავდა, დედა რომ ახალფეხადგმულ ბავშვს წააქეზებს და თან თვალი უჭირავს, არაფერი მოიწიოსო. „უკარება“ კი თითქოსდა არაფერიაო, ცეკვავდა, ბრწყინავდა კაბის კილიტებით და ძელაკზე ქუსლების ნაკვალევს ტოვებდა: მის თვითეულ ნახტომზე უფრო და უფრო მკაფიოდ ისახებოდა სახნისის მოხაზულობა. სისხლისფერი ალი მიწაზე იშლებოდა და ორ ჯმუხ ვაჟკაცს აშუქებდა. მათი უზარმაზარი ჩრდილები მთელ სამჭედლოს გასწვდომოდა და ბნელ კუთხეებში იკარგებოდა. დროდადრო ალი ნელდებოდა და მჭედელიც ჩერდებოდა. იგი ჩაქუჩის სახელურზე დაყრდნობილი იდგა და, ერთიანად გამურული, დანამულ შუბლსაც კი არ იწმენდა. მძიმედ სუნთქავდა. მის სუნთქვას საბურვლის შიშინი ახლევდა ბანს.

იმ ღამეს მჭედელთან დავრჩი, სხვაგან აღარ წავსულვარ. თვითონ შემომთავაზა თავისუფალი ოთახი სამჭედლოს თავზე და ნეც სიამოვნებით დავთანხმდი. დილდილობით მასპინძლის მხიარული ხარხარი მალვიძებდა, მთელ სახლს რომ აზანზარებდა, და დაღამებამდე ეს გაშმაგებული მხიარულება ასულდგმულეებდა.

უნებლიეთ მეც ჩემი მასპინძლის საქმიანობაში ვებმებოდი. ჩემს ქვემოთ ჩაქუჩები ცეკვავდა, „უკარება“ მეც წამომავდებდა ხოლმე ლოგინიდან, თითქოს ჭერში მიბრახუნებდა და სიზარმაცეში მდებდა ბრალს.

ჩემს ოთახს, რომლის ავლა-დიდებას ერთი დიდი კარადა, ხის მაგიდა და ორი სკამი შეადგენდა, — ერთთავად ჭრიალი გაუდიოდა და ესეც ადგომას მაჩქარებდა. რა გაეწყობოდა, ვდგებოდი და ქვევით ჩავდიოდი, სადაც უკვე საბურვლის კვამლის მეწამული ბოლქვებით ავარვარებული სამჭედლო მხვდებოდა.

ამასობაში მჭედელი დილის სამუშაოსათვის ემზადებოდა. იგი კუთხეში რკინებს აწყობდა, გუთნებს აბრუნებდა, ბორბლებს ამოწმებდა. როდესაც დამინახავდა, ეს ღირსეული მშრომელი ადამიანი დოინჯს შემოიყრიდა და, ყურებამდე პირგახეული, სიცილს იწყებდა. დილის ხუთ საათზე საწოლიდან რომ წამომავდებდა, მისთვის ეს სასეირო ამბავი უფრო იყო. ვფიქრობ, მჭედ-

დელი დილით განგებ ურტყამდა გრდემლზე უროს, რომ უზარმაზარი ჩაქუჩის ხმაურით ჩემთვის ადგომა ეუწყებინა. იგი მხარზე მადებდა თავის გოლიათურ ხელებს, იხრებოდა, თითქოსდა ბავშვს ელაპარაკებოდა, და მეუბნებოდა: „უკეთ ხარ და ყოჩაღად გამოიყურები მას შემდეგ, რაც ჩემს სამჭედლოში ცხოვრობო“. შუადღისას აყირავებული ძველი ურმის თვალზე ვსხდებოდით და თეთრ ღვინოს შევექცეოდით.

ზოგჯერ, განსაკუთრებით ზამთარში, წვიმიან ამინდში, მთელ დღეებს სამჭედლოში ვატარებდი... გამიტაცა სამუშაომ: მჭედლის ეს გამუდმებული ბრძოლა დაუყოლიებელ რკინასთან ძლიერი დრამის მსგავსად მიზიდავდა, თვალს ვადევნებდი ლითონის ყოველგვარ გარდაქმნას, გავარვარებულ ქურაზე მისი გამოჩენიდან დაწყებული, და ყოველთვის განცვიფრებული ვიყავი გამარჯვებული შრომის სანახაობით, მუშის ძალღონით, რკინას რომ აიძულებდა დაგრეხილიყო, გაჭიმულიყო, ცვილივით დახვეულიყო; როდესაც სამუშაო დამთავრდებოდა, მის წინაშე ცუცქით დამჯდარი, ველარა ვცნობდი წინა საღამოს უფორმო ლითონის მონაკვეთს. ვამოწმებდი ნაჭრებს, მეჩვენებოდა, რომ ყველა ნაწილმა თავისი ფორმა მიიღო, არა ცეცხლის და ჩაქუჩის საშუალებით, არამედ განსაკუთრებული სიძლიერის ხელების მეშვეობით.

და ამ წუთებში ჩემდა უნებურად ვიღიმებოდი, ერთ ახალგაზრდა ქალწულს ვიგონებდი, ოდესღაც ჩემი ფანჯრის პირდაპირ თითები თითბრის წვრილ ღეროზე აბრეშუმის ძაფით ხელოვნურ იებს რომ ამაგრებდა.

მჭედელი დაღლილობის გამო არასოდეს თავის ბედს არ უჩიოდა. მე მინახავს იგი, დღეში თოთხმეტი საათი რკინის ჭედვის შემდეგ საღამოს, კმაყოფილი იერით მოდიმარი, ხელებს რომ იფშვნეტდა. არასოდეს არ იყო მოწყენილი, არასოდეს არ იყო დაღლილი. მას შეეძლო მხრებზე გაედო სახლი, თუ საჭირო იქნებოდა. ამბობდა—ზამთრობით სამჭედლოში კარგი სამყოფიაო. ზაფხულში კი მთლიანად ადებდა კარებს და შიგ უშვებდა თივის სუნს. ზაფხული რომ დადგებოდა, შებინდებისას მის გვერდით კარის ზღურბლზე ვჯდებოდი. სამჭედლო გორაკზე იყო მოთავსებული და იქიდან მთელი ხეობა მოჩანდა. იგი ბედნიერი იყო ამ ნახნავ-ნათესი მინდვრების თვალუწვდენელი ხალიჩის ცქერით, ცის დასალიერთან კაშკაშა სოსანისფერ მწუხრში რომ იკარგებოდა.

მჭედელი ხშირად ხუმრობდა. ამბობდა: მთელი ეს მიწები მე მეკუთვნილი. სამჭედლო ორას წელზე მეტია, რაც მთელ სოფელს გუთნებით ამარაგებდა. ეს მისთვის საამაყო საქმე იყო. არც ერთი მოსავალი არ აუღიათ მის გარეშე. და თუ მაისში ყანა ხავერდოვნად ბიბინებდა, ივლისში კი ოქროსფერი აბრეშუმივით შრიალებდა, ვისი მადლიერი უნდა ყოფილიყო სოფელი, თუ არ მჭედლისა, რომელმაც ეს სასწაული მოახდინა? მას ღვიძლი შვილივით უყვარდა ჯეჯილი და მოსავალი. აღფრთოვანებული იყო, როცა მათ მზე მცხუნვარე სხივებით დაჰკაშკაშებდა და ცას მუშტებს უღერებდა, თუ სეტყვის მაუწყებელი ღრუბლები მოსავალს დაემუქრებოდა. ხშირად მიჩვენებდა შვრიისა და ჭვავის ნათესებს, შორიდან მისი კურტაკის კალთის ოდენა რომ მოჩანდა, და მიაბობდა: „ამა და ამ წელს გამოვჭედეო გუთანი ამა და ამ ყანის პატრონისთვისო“. საგაზაფხულო ალოობისას ზოგჯერ მიატოვებდა ჩაქუჩს, მიდიოდა გზის პირას, თვალს ხელის გულით მოიჩრდილავდა და შორიდან თვალს ადევნებდა, თუ როგორ ღრღნიდა ნიადაგს მისი გამოჭედილი

მრავალრიცხოვანი გუთნების ოჯახი, როგორ გაჰქონდა კვალი სახნისებს პირ-
დაპირ, მარცხნივ. მარჯვნივ. ყანა სავსე იყო გუთნებითა და ფარცხებით,
ლაშქრად მიმავალი ჯარის მსგავსად მწყობრად რომ მიიკეცდნენ წინ.
ვერცხლივით ბრწყინავდა მზეზე სახნისები და მჭედელი ამ დროს ხელებაწე-
ული მიხმობდა, შეძახდა, რომ დამენახა, თუ როგორ ყოჩაღად მუშაობდნენ
ისინი.

სამჭედლოს ხმაური სხეულში სიმტკიცეს მმატებდა, ეს ჩემთვის გაცი-
ლებით მეტი იყო, ვიდრე აფთიაქის რა გინდა რა წამალი. შევეჩვიე ამ ხმა-
ურს, მე ახლა სწორედ ეს მუსიკა მჭირდებოდა. იგი ჩემი სიცოცხლის აუცი-
ლებელ ნაწილად იქცა. საბერველების გუგუნით გამოცოცხლებულმა, ჩემს
საბრალო ოთახში დავიბრუნე სულიერი წონასწორობა და თავს მოვეგე. ტოკ-
ტოკ, ტოკ-ტოკ, — ისმოდა ქვევიდან და ეს მხიარული ქანქარა იყო, ჩემს სა-
მუშაო საათებს რომ აწესრიგებდა. განსაკუთრებით მძიმე სამუშაოს დროს
გაჯიქდებოდა მჭედელი, გააფთრებით მუშაობდა და, როდესაც გავარვარებული
რკინა ხმას გამოცემდა გაცოფებული ჩაქუჩის ცემისაგან, მაშინ მეც ხელები
მეწვოდა, მჭედლის აღმაფრენა მეუფლებოდა და მეჩვენებოდა, რომ ჩემი კა-
ლმის ერთი მოსმით მთელ დედამიწას გადავჭედავდი. საღამოს, როდესაც სამ-
ჭედლო მიწყნარდებოდა, სიჩუმე დაისადგურებდა ჩემს არსებაშიც. ქვევით
ჩავიდოდი და მრცხვენოდა ჩემი იოლი სამუშაოსი, მთელი ამ ლითონის
გროვას დამარცხებულს და ჯერ კიდევ მბოლავს რომ ვხედავდი.

ოჰ! რა საუცხოო სანახავი იყო მჭედელი, როცა ნაშუადღევს პაპანაქება-
ში წელამდე გაშიშვლებული იდგა და, დაძაბულობისაგან კუნთებამობურცუ-
ლი, მიქელანჯელოს ერთ-ერთ ქმნილებას ჰგავდა. მას რომ ვუმზერდი, ვხე-
დავდი იმ ახალ ხაზს, ჩვენი მოქანდაკენი ამაოდ რომ ეძებენ საბერძნეთის
„მკვდარ ქანდაკებებში“. მე იგი მეჩვენებოდა შრომისაგან გამობრძმედილ გმი-
რად, ჩვენი საუკუნის პირმშოდ, გრდემლზე ცეცხლისა და რკინის დამაყრუ-
ებელ ხმაურში რომ ჰედავს ხვალისდელ დღეს. იგი თითქოსდა თამაშობდა
უზარმაზარი ჩაქუჩებით, როცა თავის გართობა უნდოდა, იღებდა „უკარებას“
და ძლიერი მოქნევით გრდემლზე სცემდა. მაშინ ცხელი ქურისაგან ავარდის-
ფერებული სამჭედლო დამაყრუებელი გრგვინვით ივსებოდა. ამ დროს მეჩვე-
ნებოდა, თითქოს მთელი მშრომელი ხალხის გმინვა მესმოდა.

სწორედ აქ, ამ სამჭედლოში სამუდამოდ განვიკურნე სიზარმაცისა და
იჭვნეულობის სენისაგან.



კრიტიკა კულტურისთვის

საბჭოთა კავშირი

მუშავე ჯგუზურია

„ამალღებულისათვის“

„უნდა ვიცოდეთ, ჩემო ძვირფასო, რომ თვით ჩვენს ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაშიც კი არ შეიძლება დიდად ვთვლიდეთ იმას, რის მიმართ ზიზღიც განადიდებს ადამიანს...“

„ამალღებულისათვის“. თავი VII

ხდება ხოლმე დღე დღეს წაეწყობა, კვირა — კვირას და ასე კარგახანი არ გამოანათებს მზე, მაგრამ როცა კი გამოანათებს, აი, მაშინ უნდა ნახო კაცი! რარიგადაა შეცბუნებული ის, გახარებული და, ამავე დროს, გაკვირვებული რაღაც საოცარი და უცნაური მიზეზით. უცებ გამოსულ ბარჩხალა მზეს მოერიდება კაცი, მაშინვე კი არ მიეფიცება, არამედ თანდათან ეჩვევა მას, აჩვევს ტანს, ერწყმება ასე და ერთიანდება, ითქვიფება მასში. აწ მას აღარ აწუხებს მზის მცხუნვარება, აღარც ახალისებს, შესამჩნევი არაა ეს, — ბუნებრივად ხდება მისთვის ყველაფერი. ასეა, სანამ თვითონ არ მოისურვებს თვალი მოავლოს მანათობელს, მერე კი წამოსწევს თავს, ხელს მოიჩრდილავს და გახედავს ხოლმე, ცალი ხელით

თოხს დაბჯენილი, მცხუნვარე მნათობს. ხელი რომ არ მოიჩრდილოს, მზე თვალებს მოსჭრის და შეაწუხებს თავისი ელვარებით, დიადი სინათლე აბრმავებს თვალებს თავისი უკიდევანო ბრწყინვალებით, და ეს დიადი სინათლე დიად სიბნელედაც მოგეჩვენება ხოლმე. ამგვარად უახლოვდება დიადი სიჩუმე ხმაურს და დიადი ხმაური — სიჩუმეს, დიადი ღუმილი — მეტყველებას და დიადი მეტყველება — ღუმილს. კაცს აწუხებს ონკანიდან გამოყოფილი წვეთის წკაპუნი, მაგრამ არ თრგუნავს დიდი მდინარის შმაგი ხმაური, თითქოსდა მდინარე არც ხმაურობდეს. გრძელი უამინდობის შემდგომ მზის გამოჩენას კი, ამისაგან განსხვავებით, სხვაგვარი განწყობა ახლავს. აქ კაცი გაკვირდება ხოლმე, მაგრამ მთელი სიგრძე-სიგანით ვერ აღიქვამს



შექმნილ მდგომარეობას. ალბათ ამგვარი-
ვეა დაახლოებით ამა თუ იმ ერის კულ-
ტურაში დიდი შემოქმედის გამოჩენაც.
ამგვარი იყო ქართველთათვის რუსთაველი,
გურამიშვილი, ვაჟა და გალაკტიონი. ამგვა-
რი იყო სხვა ერთათვის ჰომეროსი, ტაო-
იუან-მინი, დანტე, სერვანტესი, შექსპირი...
უფრო აქეთ,— ვალერი, თაგორი, რილკე,
ელიოტი და კიდევ სხვანი და სხვანი, რომ-
ელთაც, ასე ვთქვათ, კრებითად მოგვცეს
ამა თუ იმ ერის მიერ დაგროვილი სული-
ერი ენერგია, მათ შემოქმედებაში გამოვ-
ლინდა მთელი თავისი სილიადით სწრაფვანი
და განძი ერისეული სულის საუნჯისა. მრავ-
ვალგვარი ხმისა და სტილის პოეტი ჰყავს
მეოცე საუკუნის საქართველომ, მაგრამ
ყველა ისინი, ერთად აღებულნი, მაინც
ვერ გამოხატავენ იმას, რასაც გამოხატავენ
ერთი გალაკტიონი, სხვათათვის — ერთი
თაგორი, ერთი ვალერი, ერთი რილკე და
ასე შემდეგ. მინდორს ათასნაირი ყვავილი
ამკობს, მაგრამ მაინც ერთი ყვავილია იმ
მინდვრის დედოფალი. ტყეში ათასგვარი
ხეა, მაგრამ მუხა მათ შორის, პოეტისავე
სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბირველი იგრ-
ძნობს ალიონს“. დავით მეფემ ათასი ომი
გადაიხადა, მაგრამ მაინც დიდგორის ომმა
გადაწყვიტა გადასაწყვეტი, იქ მოგროვდა
ერის ენერგია. ყველა ამათ, ამ მინდვრის
დედოფალს, ამ ბერმუხას და ამ დიდ ომს
ჰყავს თავისი ერთი მეკავშირე ადამიანის
სულსა და უხილავს შორის. და ასე, ამ
მეკავშირეს, ამ ცასა და კაცს შორის გად-
ბულ ხილს, იმას, ვისაც მიწის სიმართლე
აქვს მალა, — იმას, ვისაც ცის სიმარ-
თლე ჩამოაქვს დაბლა, დასაბამითვე ადამი-
ანები სახავენ შემოქმედად, ხელოვანად,
თავისი სულისა და მიწის ისტორიის მე-
ამბედ, მეხოტბედ და ხორცშემსხმელად.
საკუთრივ ამ მეხოტბეებსა და შემოქმედთ
თავისთავად აკავშირებთ და ანათესავენთ
ერთმანეთთან თავიანთი სიმაღლე, ისინი
თითქმის ერთ სივრცეზე არიან გამუდმებით,
ერთ სიმაღლეზე, მაგრამ განსხვავებულია
ენა მათი, იარაღი — რომლის მეშვეობითაც
საკუთარი გულისნაღები მიაქვთ სხვასთან
და თავიანთ მშობლიურ და ერთადერთ
ენაზე ესაუბრებიან ხალხს, თანამედროვე-
ებს და შემდგომ თაობებს, საუკუნეებს. და
ამიტომაც თავისი ენისა და ერის დიდ ვარ-
სკვლავს მეტი საერთო აქვს ამავე ენაზე
მოლაპარაკე თავისივე ერის შვილთან,
თუნდაც უბრალო მიწის მუშასთან, ვიდრე
სხვა ერის და ენის იმგვარივე დიდ ვარს-

კვლავთან და შემოქმედთან, როგორც
თვითონაა. სწორედ ამგვარმა სხვაობამ და
სხადასხვაგვარობამ განაპირობა ის ამბავი,
რომ ერთი ერის გენიოსი ვერ მიღის სხვა
ერის შვილებთან მესამე კაცის ჩაურევ-
ლად, — ეგრეთწოდებული დესპანისა, ამ-
ბის მიმტანისა და მთარგმნელისა, — და
რაოდენი სიფრთხილე, ცოდნა და სიმამაცე
უნდა მოსაგდეს იმ კაცს, ვისაც ავალეებს
ერთი ერის ენა და კულტურა დესპანობას
სხვა ერის ენასა და კულტურასთან; რა-
ოდენ სახელმორჭმული, სანდო და უანგა-
რო უნდა იყოს ამრიგი დესპანი, ვისაც ეს
დიდი მისია ეკისრება ან იკისრა თვითონ,
თავისსავე გულმაგრობასა და ჰკუას და-
დობილმა. რაოდენი გულისხმიერება და
დაკვირვება მართებს ერთი ენის მოცი-
ქულს მეორე ენასთან! აქ მე გავკადნიერ-
დები და ისევ გავიმეორებ ადრე ჩემს მიერ
მკითხველისათვის თქმულს.

ქართულ მთარგმნელობით კულტურაზე
რომ ვთქვათ რაიმე, მარტოდენ „ვისრამი-
ანის“ გახსენებაც იკმარებდა ალბათ. მაგ-
რამ ჩვენი დღევანდელი მთარგმნელობითი
მოღვაწეობა, მიუხედავად ფართო დიაპაზო-
ნისა და გაქანებისა, ყველასათვის ცხადია,
რომ მსგავსი ნიმუშით ვერ დაიკვეხნის. გა-
იზარდა ჩვენეული გულისყური, ყურადღე-
ბით ვეკიდებით მსოფლიოს უახლეს მოვ-
ლენებს, ვთარგმნით და ვთარგმნით უამრავ
წიგნს, პროზასა და პოეზიას, და მაინც, თუ-
კი დაუფარავად ვიტყვით, ამგვარი მოღვა-
წეობა უმთავრესად ინფორმაციული ხასი-
ათისაა; ჩვენ ყველამ ვიცით, რომ არსებობს
ფრანგი პოეტი, პოლ ვალერი და გარკვე-
ული წარმოდგენა რომ ჰქონდეს ქართველ
მკითხველს ამ მწერალზე, დღეისათვის თარ-
გმნილი გვაქვს მისი დიდი შემოქმედების
ორიოდე ნიმუში, რაც ჭაშნიკია მხოლოდ.
ქართველმა მკითხველმა (მე ვგულისხმობ იმ
ქართველ მკითხველს, ვინაც მხოლოდ ქარ-
თულ ენაზე ეცნობა ლიტერატურას) მიიღო
ეგრეთწოდებული ინფორმაცია, მან გაიც-
ნო კიდევ ერთი ახალი მწერალი და, საქ-
მე საქმეზე რომ მიდგეს, ამგვარად გაცნო-
ბილი რომელიმე მწერლის ავკარგიანო-
ბაზეც კი ჩამოაგდებს სიტყვას. და განა
მარტო ჩვენ, ამგვარ მდგომარეობაშია მეტ-
ნაკლებად ბევრი თანამედროვე მკითხველი,
მიუხედავად მისი ეროვნებისა და ენისა. და
რაოდენი მადლიერების ღირსნი არიან ამ
დროს ისეთი მთარგმნელები, გაწინასწინე-
ბული რომ აქვთ ამგვარი ვითარება, ბურ-
ჯად უდგანან მშობლიურ კულტურას და გა-

მუღმებულის წვით და დაგვიტ ცდილობენ შეავსონ და გაასრულონ ის ცარიელი ადგილები, ჩვენნი ერის კულტურულ საგანძურს რომ მოჰყვა აქამომდე, სხვებმა რომ უკვე გაასრულეს და ჩვენ მხოლოდ ამჟამად ვეკიდებით; უმთავრესი დამსახურება ამ მოღვაწეობისა იმაში გამოიხატება, რომ მათ მიერ შესრულებული საქმე კრებითა და მთლიანი, ამომწურავი პასუხის გამცემი ლიტერატურის ამა თუ იმ მონაკვეთზე, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაზე. თანამედროვე მთარგმნელებისათვის ამგვარი მაგალითის მოძებნი იყო დიდი ივანე მაჩაბლის მოღვაწეობა. სწორედ ის დიდი სკოლა აქვს გავლილი ბაჩანა ბრეგვაძეს, ვინაც აგერ ორი ათეული წელია თავს დაჰფუსფუსებს დიდი ბერძენი ფილოსოფოსის ქმნილებებს.

II

და, აი, ერთხელ კიდევ გაგვახარა ბაჩანა ბრეგვაძემ თავისი ახალი თარგმანით! მაგრამ განაღა მარტო თარგმანია ეს და სხვა შეტი არაფერი? ბაჩანა ბრეგვაძის ახალ თარგმანს (ფსევდო-ლონგინე, „ამაღლებულისათვის“) წინ უძღვის ასგვერდიანი წინასიტყვაობა „ფსევდო-ლონგინე და მისი ტრაქტატი“, რის შესახებაც გამოწვლილვითი მსჯელობა ჩვენს ძალ-ღონეს ჭეშმარიტად აღემატება და არ ხელგვეწიფების, მაგრამ, როგორც ერთი უბრალო მკითხველი, გულშეძრული ვარ ამ წერილის წაკითხვით და მაქვს რაღაცნაირი სიამაყე იმის გამო, რომ გვყავს ისეთი მასშტაბის კაცი, როგორიცაა ბაჩანა ბრეგვაძე, და შეგვიძლია დავტკბეთ მისეული გონიერი სიტყვითა და აზრით, — როგორი გულისხმიერებითა და საქმის ცოდნითაა აქ შეჯერებული ერთმანეთთან დრო და სივრცე, სხვადასხვა ერის კულტურა და თავისებურებანი, რა ნათლადაა გადმოცემული ამ ერების დიდ შემოქმედთა მიმართებანი სამყაროსადმი, ადამიანისადმი, კერძოდ, მშვენიერებისადმი, ამაღლებულისადმი.

„ჩვენი სულები ხარბად უნდა ეწაფებოდნენ ამაღლებულს და, ამრიგად, გამუღმებით ნაყოფიერდებოდნენ სხვისი თანდაყოლილი შთაგონებით“... (ფსევდო-ლონგინე). „ეს საქმე კეთილი, სასარგებლო და ფასეული საქმეა, ვინაიდან ზრდის და ამრავლებს კაცის სიხარულს...“ (ლ. ტოლსტოი). „როს ვუკვირდები თავისთავს და არ ვემდურბი მეტადა, მადლს დავთვლი ათა-

სობითა“ (ვაჟა). პლატონი, შილერი, კანტი, ბრუსტი, თავორი, ემერსონი... ყველა ესენი გვასწავლიან და გვმოდვრავენ ჩვენ ამაღლებულის გასაგებად, გაცნობიერებად, — წერს მთარგმნელი.

III

ამ წიგნს, როგორც ყოველ მისეულ თარგმანს, ამჯერადაც თან ახლავს ჩინებული განმარტებანი ამა თუ იმ ადგილისა, რასაც მკითხველი ძნელად აღიქვამდა მეწინავეს გარეშე. და ყველაფერი ეს შემკობილია ბრწყინვალე ქართულით, ბრწყინვალეთი თავისი მარადი სისადავითა და უბრალოებით. წმინდა წყლის გემო დაჰკრავს ამ ქართულს, დაჰკრავს გემო ხალხურობისა, ზღაპრისა და მდინარისებური ღინებისა, ძალდაუტანებელი, თავისუფალი თხრობისა, მეზობელი რომ ესაუბრება მეზობელს, იმგვარად, აუცილებელი რომაა საუბარი, — მას ან ქლიბი სჭირდება, ან ნაჯახი, და ამბობს იმას, რაც საჭიროა, არც მეტსა და არც ნაკლებს, არც გაუგებარსა და არც დიდად გასაოცარს, ამბობს ისე, როგორც გამოდის შექმნილი ვითარებიდან, გამარჯობას რომ გაგიმარჯოს მოჰყვება უცილობლად — იმგვარად; ვიტყოდი, როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი ესაუბრება თავისიანებს, ახალს, ძველსა და მომავალ თაობებს, — იმგვარად; ადრე დაბრძენებული კაცივით, სახეებისა და განსაზღვრებების, ეპითეტებისა და მოიაღების გარეშე, რაღაც ქართული გულისგულიდან, რაღაც შუაქართლიდან, ამერიისა და იმერიის შესაყარი ფეროვნებიდან გვესაუბრება თითქოს ბაჩანა ბრეგვაძე, და ქმნის მისეულ ერთადერთსა და განუმეორებელ სტილს, ანდა კილოს, ირჩევს უმოკლეს გზას კაცის გულამდე მისასვლელს, და მცირეზე უმცირეს ხილსაც კი არ აგებს თავის თავსა და მკითხველს შორის, არამედ ერთმანეთშია განზავებული ორივე, მთარგმნელი და მკითხველი, მკითხველი და მთარგმნელი. და ხანდახან ასეც გგონია, რომ თარგმანს კი არა კითხულობ თითქო, არამედ შენი ერისკაცი გესაუბრება, შენი ენის შემოქმედი და ხელოვანი:

„ჩვენს დროში, რამდენიმე იშვიათი გამოჩენისის გარდა, ძნელად თუ ჰპოვებ ჭეშმარიტად დიდბუნებოვანსა და სულიერ სიღრმეთა თუ სიმაღლეთა წვდომის ნიჭით ცნებულთ... რა ვქნათ, ხომ არ ვალი-

არათ იმ მოარული აზრის სისწორე, რომლის მიხედვითაც მხოლოდ დემოკრატია უობდა დიად შემოქმედთ. იმასაც ამბობენ, რომ მხოლოდ თავისუფლება ზრდის, ამაღლებს და სიღიადეს ანიჭებს კაცთა სულებს. ხოლო ის, ვინც ერთხელაც არ დასწაფებია სულიერი სიმალლისა და სიღიადის ამ უწმინდესსა და უცხოველყოფილეს წყაროს, ჩემი ღრმა რწმენით, შეიძლება იყოს არა შემოქმედი, დიდი მწერალი, არამედ მხოლოდ ქვემეორევი, დიდი პირმოთნე; ჩვენ ვიცით, რომ მონაც კაცია, მაგრამ მონა ვერასოდეს ვერ გახდება ორატორი ანდა მწერალი“.

„მშვიდობის დღევანდელი საყოველთაო სუფევა ხომ არ არის მალლად მხედთა აშკარად უკმარისობის მიზეზი. ან იქნებ ამის მიზეზი ჩვენი მდაბალი ვნებებია, რომლებიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვითვალთვალებენ, მახეს გვიგებენ, გვატყვევებენ და გვიმონებენ; ვერცხლის მოყვარეობამ და განცხრომისაკენ დაუოკებელმა ლტოლვამ შერყვნეს, შებილწეს ჩვენი სიწმინდე და ბიწიერების უფსკრულში გადაისროლეს იგი. ვინაიდან უზომო და უღვე სიმდიდრეს ყოველთვის თან სდევს მისი ასევე უზომო ხარჯვა, მფლანგველობა და ხელგაშლილობა. ცოტა ხნის შემდეგ ეს ღირსეული წყვილი ბუდეს იკეთებს და სულ მალე ბარტყებსაც ჩეკს. და აჰა, უბადრუკ ნაბუშრებად კი არა, მათ კანონიერ მემ-

კვიდრებად გვევლინებიან ცუდმედილობა, ქედმაღლობა და ფუფუნება; ვაი მას, ვინც თავისუფლად ზრდის ნებას მისცემს მორჩმულების ამ უძღებ შვილებს: ისინი მოწიფულობისთანავე იწყებენ გამრავლებას და კიდევ უფრო ხარბსა და სასტიკ დესპოტებს უობენ კაცის სულში — ძალმომრეობას, უტიფრობას, უკანონობას. ეს პროცესი ჭეშმარიტად გარდუვალია. კაცნი, რომელთაც შეიზიზღეს სიქველე, ველარასოდეს დაიბრუნებენ თავიანთ დაკარგულ დიდებას და კეთილ სახელს, მათი სულიერი სიღიადე თანდათან კნინდება, ჭკნება და ქრება, ხოლო მათი ბიწიერი ცხოვრების წრე საბოლოოდ შეიკვრება სიკვდილის მსახვრალი ხელით. უკუსაქცევი გზა საბოლოოდ მოჭრილია.

კიდევ ამოვიწერო? კიდევ გავაგრძელო? ასე ხომ მთელი წიგნის გადაწერა მომიწევს ვიდრე პირველი პწკარიდან უკანასკნელამდე! იმგვარი მაცთური ხიბლი ახლავს ამ დალოცვილს! მაგრამ რაკილაღვინის სიაკარგე ჭაშნიკითაც გამოიცნობა, მე თავს ვარიდებ ამ ძალზე დიდსა და შრომატევად საქმიანობას და აქვე ვწყვეტ ჩემს პატარა წერილს. თანაც ეს წიგნი ერთცალად ხომ არაა დაბეჭდილი, თუმცაღა ისიც ცხადია, რომ ვერც ეს 10 000 ცალი მიუვა ყველა მის ნატრულსა და მწყურვალე ქართველ მკითხველს. არ ეყოფა-მეთქი, ამას ვამბობ!



თელო ბეჭიშვილი

„ორმსტა“ და მისი მთარგმნელი

ბოლო წლების ქართული მთარგმნელობითი საქმის აღმავლობა ალბათ არავითარ ეჭვს არ იწვევს. არც თარგმანის კულტურული მნიშვნელობის შეხსენება სჭირდება „საუნჯის“ მკითხველს,—მის თავისთავად ღირებულებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მსოფლიო ლიტერატურული შედეგების, მოწინავე ფილოსოფიური ნააზრების ზიარების გარეშე სასურველ ნაყოფს ვერ გამოიხამს რტომრავალი ხე ჩვენი მწერლობისა. ყოველი ლიტერატურა გარდა ეროვნულისა თავისთავში მუდამ იწოვს მსოფლიოს მოწინავე აზრის მაცოცხლებელ ნექტარს.

ღღეს მით უმეტეს, როცა მიმდინარეობს მსოფლიო კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ინტენსიური პროცესი, ქართული კულტურა წარმოუდგენელია დიდი მთარგმნელობითი სკოლის გარეშე. რომ აღარაფერი ვთქვათ ძველ ტრადიციებზე, აგერ მეცხრამეტე საუკუნიდანაც ივანე მაჩაბლის მაღალი აჩრდილი დაგვყურებს თავს. მაჩაბელმა ისეთი სიმაღლეები მოუნიშა ქართველ მთარგმნელებს, რომ იმ სიმაღლეზე თუ ვერ ავალთ, აღარც ძალიან

დაბლა დაშვების უფლება გვაქვს. ამ სიტყვებში მე ვგულისხმობ არა მარტო იმას, თუ როგორ ვთარგმნით, არამედ იმასაც, თუ ვის ვთარგმნით. სწორედ არჩევანის სისწორე და აუცილებლობა განსაზღვრავს თარგმანის მნიშვნელობას. მსოფლიო კულტურის საგანძურში უამრავი თვალმარგალიტია — როგორც ნამდვილი, ასევე ყალბი. მთარგმნელის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ალღოც, იმის აუცილებლობის შეგნება, როცა იგი შეუმცდარად განსაზღვრავს სათარგმნი ლიტერატურის ღირებულებას და მნიშვნელობას მშობლიური კულტურისათვის.

ცნობილია, ანტიკური საბერძნეთი აკვანია მთელი შემდეგდროინდელი ცივილიზაციისა. აქ იღებს სათავეს ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრი. ძველმა ელინებმა ხელოვნების ხელთუქმნელი ძეგლები უანდერძეს კაცობრიობას და ამ საუნჯის დედაენაზე არქონა ჩვენი კულტურის დიდი ხარვეზი იქნებოდა. ამ სფეროში, სხვებთან ერთად, დაულალავად იღვწის ძველბერძნულიდან მთარგმნელი გიგლა სარიშვილი. მართალია, ეს საქმე რამდენიმე კაცის შესაძლებლობებს დიდად აღემატება, უზარმაზარი ლიტერატურული

მემკვიდრეობის ქართულად ასამეტყველებლად მთელი თაობების დაუღალავი შრომაა საჭირო, მაგრამ სწორედ ამიტომ უფრო მისასალმებელია გიგლა სარიშვილის მოღვაწეობა...

დღეს ჩვენს მკითხველს უკვე შეუძლია ქართულად ეზიაროს დიდი ბერძენი ტრაგიკოსის ესქილეს გიგლა სარიშვილისეულ თარგმანებს.

ესქილე ბერძნული ტრაგედიის მამამთავრად აღიარებული, მის კალამს ოთხმოცდაათამდე დრამა მიეწერება, რომელთაგან მხოლოდ შვიდია შემორჩენილი. ეს შვიდი ტრაგედიაც ნათელი დასტურია ესქილეს გენიალობისა. მან პირველმა შეიტანა თვისობრივი სიახლეები ანტიკურ ტრაგედიაში, „სცენაზე პირველმა შემოიყვანა ორი მსახიობი“ (სიმ. ყაუხჩიშვილი), რაც დრამაში მოქმედების ბუნებრივი განვითარების აუცილებელი პირობა იყო; პირველმა დაწერა ისტორიული ხასიათის ტრაგედია („სპარსელები“). მანამდე ანტიკური თეატრი მხოლოდ მითოლოგიურ დრამებს ღვამდა.

ანტიკური, კერძოდ, ესქილეს ტრაგედიები შეიცავს როგორც მონოლოგიურ რეჩიტატივს, ასევე ქორეოგრაფიისა და „ოპერის“ ელემენტებსაც. მუსიკალურ-კვანტიტური ლექსწყობის პრინციპებზე აგებული ესქილეს დრამები დიდ სიძნელებს უქმნიდა მთარგმნელს. ბერძნული სალექსო საზომების შაბლონური გადმოტანა არც ბერძნული ლექსწყობის სახეს აღადგენდა და თანამედროვე ქართული ლექსის ბუნებასაც დაარღვევდა აუცილებლად. გიგლა სარიშვილი შეეცადა ბერძნული ტექსტის დედაზრი ქართული ურითმო და თავისუფალი ლექსის სინთეზით გადმოეცა. ახლა, როცა თარგმანები დასრულებულია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელმა წარმატებით გადაჭრა ეს პრობლემა. ქორეოგრაფიკა, რასაც ესქილეს ტრაგედიებში დიდი ადგილი უჭირავს, თავისუფალი ლექსითაა გადმოცემული. ქორეოგრაფიკის თარგმნისას გიგლა სარიშვილი შემოქმედებითად იყენებს იოანე დამასკელის ძველ ქართულ თარგმანებს, ხანდახან ხალხური ნატირლებების თავისებური მელოდიკაც ისმის, რაც ნაწარმოების აღნაგობას ქართულ ელფერს აძლევს. თარგმანში ძირითადად სიძველის სურნელებაც შენარჩუნებულია და თანამედროვე, ახლებური აღქმის შესაძლებლობაც იგრძნობა.

გმირთა მონოლოგები ძირითადად თოხმეტმარცვლიანი ტრადიციული ქარ-

თული ლექსითაა გადმოცემული. ამ ფორმის სიძლიერე და ცხოველყოფილობა ივანე მაჩაბელმა წარმოაჩინა და დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში. გიგლა სარიშვილის თარგმანებით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ქართული ლექსწყობის მდიდარი მარაგი ამოუწურავ შესაძლებლობებს იძლევა. საზომთა შესაბამისი მონაცვლეობა კარგად აცოცხლებს ესქილეს ტრაგედიების მღვლვარე დინამიკას, სასიამოვნოდ, დიდი ინტერესით იკითხება ტექსტები. პოეზიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფორმის ხელოვნებას. იდეათა ცვლილებასთან ერთად ფორმათა განვითარებაცაა ხელოვნების ისტორია. უხსოვარი დროიდან მიმდინარე მარადიულ თემებზე შექმნილი ლიტერატურის ნიმუშები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა, თავისი დროის შესაფერი სამოსელით გვევლინება და ფორმის ეს მონაცვლეობა აუცილებელ მომენტად აღიქმება. ამ მომენტს დიდ ყურადღებას აქცევს მთარგმნელი, და სწორედ ესაა მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის წარმატების საწინდარი. ბერძნული ენის არცოდნა საშუალებას არ მძლევს დედანთან მიმართებაში განვიხილო გიგლა სარიშვილის თარგმანები, მაგრამ ისე ქართულად, ისე სადღეისოდ და თანამედროვედ უღერენ ისინი, რომ თავს ნება მივცვი, თუნდაც ჩემი ნათქვამი მხოლოდ ნახევარი სიმართლე იყოს, მაინც შეთქვა იგი.

როგორც აღვნიშნეთ, ესქილეს შვიდი ტრაგედიაა ჩვენამდე მოღწეული. გიგლა სარიშვილმა შვიდივე ტრაგედია გადმოაქართულა. აქედან ჯერ მხოლოდ გამოქვეყნებულია ტრილოგია „ორესტეა“, რომელიც აერთიანებს ტრაგედიებს—„აგამემნონი“, „ქოეფორები“, „ევმენიდები“ (აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ერთადერთი ძველბერძნული ტრილოგიაა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია). დანარჩენი ოთხი—„სპარსელები“, „მიჩაჭვული პრომეთე“, „შვიდთა ლაშქრობა თებზე“ და „მავედრებელი ქალები“ ჩაბარებულია გამომცემლობას და აღბათ მალე გამოვა.

„ორესტეა“ 1974 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა ხელოვნება“. წიგნი გამოსვლისთანავე გაქრა მაღაზიებიდან. ამ ფაქტით, ცხადია, თარგმანის ავკარგანობა არ განიზომება. (ბევრი მდარე ხარისხის დიდტირაჟიანი წიგნი გვინახავს, დახლს ქვემოდან რომ იყიდება). წიგნის ხელმეორედ წაკითხვისას, როცა ამ წერილის დაწერა გადაწყვიტე — ისეთი გრძნობა დამეუფლა.

ერთხელ ნანახ, მესხიერებაში სამუდამოდ შემორჩენილ ლამაზ მხარეს რომ კვლავ ესტუმრები. სსოვნაში ბუნდოვნად არსებული სინამდვილე ახალი შუქით ნათდება, ახალ საგნებს ხედავ, თვალ-გულისათვის სასიამოვნო ახალ წესრიგსა და ჰარმონიას.

ქართული პოეტური მეტყველების დიდი კულტურა, ლექსიკური მრავალფეროვნება, იდიომატურ გამოთქმათა ამოუწურავი მარაგი... ზოგჯერ გავიწყდება, რომ ეს თარგმანია და არა მშობლიურ ენაზე შექმნილი ნაწარმოები:

„ვიხილავთ ლოყებს,
ტკივილებმა მოძოვეს გული...
ნუთუ სიცოცხლეს ისე უნდა
დავკანკალებდეთ,
რომ კაცისმკვლელთა სანავარდოდ
დავაგდოთ სახლი?“

ამგვარი მაგალითები ნებისმიერ მონოლოგში, ნებისმიერ სტროფში შეგხვდებათ. სიტყვიერი ქსოვილი ტრაგედიებისა ცოცხალია, ფეთქავს ის პოეტური ნერვი, ქართველ ოსტატს რომ დაუტანებია გენიალური ესქილეს დრამების თარგმანებისათვის. იგრძნობა, რომ გიგლა სარიშვილი ყოველთვის ცდილობს ტექსტის გაცოცხლებას, გათანადროულებას, ცდილობს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ესქილეს პოეტური სიტყვა ქართულ ნიადაგზე ისე გადმორგოს, რომ მშობლიური ფესვები არ დაწყვიტოს. და ყოველთვის იგრძნობა თვით მთარგმნელის უდავო პოეტური გაქანება, შემოქმედისათვის დამახასიათებელი სიტყვაქმნადობის, სიტყვათწარმოების უნარი. კლიტემნესტრას ერთ-ერთი მონოლოგი, როცა იგი აქაველების გამარჯვებასა და აგამემნონის დაბრუნების ნიშნებს აუწყებს ქოროსს, საოცარი ექსპრესიულობითაა გადმოცემული. მოვიყვან მცირე ნაწყვეტს:

აღიძრა ცეცხლი, არა ცხრება, არცა ხანდება,
წითელი თმები ჩამოშალა და სარონიკის
სარკოვან ნაპირთ განეფინა ბოწოწოებად.
ეგრე გადაილისქარა არაქნეს ქელი
და მეზობელი ჭიუხები სათვალთვალონი...
ეს ცეცხლი გამარჯვების წინასწარდათქმული
ნიშანია. ამ ცეცხლის შუქმა ელვასავით გა-
დაუარა ღამეულ ქვეყანას და რა დინამი-
ურობა, როგორი ექსპრესია შეაქვს სურათში
სიტყვას „გადაილისქარა“. ეს არის საოც-
რად ზუსტი და ტევადი სიტყვა. სიტყვა
კი არა, მთელი მეტაფორაა, ერთი სიტყვით
გადმოცემული: ეს სიტყვა რომ დავშალოთ,
ასე გამოვა: ალის (ცეცხლის) ქარმა უცებ

გადაუარა ქვეყანას. მაგრამ ეს იქნებოდა
შედარებით მკრთალი პროზაული აღწერა
სურათისა. ამ სიტყვას ერთი ნიუანსიც ვაჩ-
ნია: ალი, გარდა ცეცხლისა, ჯადოქრული
სისწრაფით გადაქროლებს ნიუანსსაც შე-
იცავს... თუმცა პოეზიაში ბევრი რამ მო-
უხელთებელია და ყველაფერს ჩვეულებრივი
სიტყვებით ვერ ახსნი. გიგლა სარიშვილი კი
უდავოდ წარმოგვიდგება პოეტური ნიჭი-
ერებით მაღლმოსილ მთარგმნელად.

გიგლა სარიშვილის, როგორც მთარგმნე-
ლის, კრედიტს, გამუდვებულაა წიგნისადმი
დართულ წინასიტყვაობაში, სადაც ტრი-
ლოგიის ძირითადი არსია გახსნილი და გა-
ანალიზებული. აქ წერია:

„წინამდებარე თარგმანი ჯერჯერობით პირ-
ველი ცდაა „ორესტეას“ სრული მხატვრუ-
ლი თარგმანისა ქართულ ენაზე. ჩვენ შეძ-
ლების კვალობაზე ვცადეთ, მაქსიმალური
სიზუსტით გადმოგვეცა პოეტური აზრი დე-
დნისა და, ამავე დროს, ქართული ენის ბუ-
ნებასაც არ მივმძლავრებოდით. ამან კი აქა-
იქ შესაძლოა ლალი დამოკიდებულებაც გა-
მოიწვია დედანთან, რადგან ზოგჯერ სინტაქ-
სური მკვდარი სიტყვათთარგმანი უფროა და-
ლატი ცოცხალი დედნისა“...

თარგმანში არა ერთი ადგილი გამოირ-
ჩევა ფორმის სინათლითა და აზრის სიცხა-
დით. ქართული პოეტური მეტყველების
ყალიბში ჩასმული დედნისეული აზრი ახალ
სიცოცხლეს იძენს:

როს დაეცემა სისხლის ნალვენთი,
იზრდება წვეთი, ფართოვდება
უკიდევანოდ...
შურისგება კი აყოვნებს მანამ,
სანამ ბოლომდის დამწიფდება ცოდვის
ნაყოფი...

სიტყვები „დამწიფდება ცოდვის ნაყოფი“
ჩვენი დედაენის საუნჯეშია მოძებნილი.
ამგვარ მაგალითებს უხვად გვთავაზობს
„ორესტეას“ მთარგმნელი. მოვიყვან ელექ-
ტრას ერთ მცირე მონოლოგს, სადაც იგი
შურისძიების მიზნით დაბრუნებულ თავის
ძმას, ორესტეს შეხვდება:

ო, თვალის ჩინო, ხვედრის ჩემის
თანაზიარო!
მამა ხარ, ჩემი დიდებული მამის
სანაცვლოდ,

დედა ხარ დედის მაგიერი, უსაყვარლესი,
რადგან მძულს იგი, ვინც დედაა კანონიერი,
ვისგანაც ვიშვი და სასტიკი მერგო შვილობა,
ძმა ხარ უძმესი, დის იმედი და სიამაყე...

... მაგრამ არ ვიქნები მთლიანად გულ-წრფელი, თუ არ აღვნიშნე ის ხარვეზებიც, რაც, ჩემის აზრით, „ორესტეას“ სიტყვიერ ქსოვილში მაინც შეინიშნება. ზოგიერთი მათგანი აშკარად მთარგმნელის ენობრივი პოზიციიდან მომდინარეობს. ანტიკური ტრაგედია თავისთავად გიბიძგებს ძველი ქართული ენობრივი კონსტრუქციებისაკენ. ეს, ცხადია, ანგარიშგასაწევია, მაგრამ ზოგჯერ მთარგმნელს აშკარად ღალატობს ზომიერების გრძნობა და სადაც საჭირო არაა, იქ გაურევს ისეთ სიტყვას, ანდა მთელ ფრაზას, რაც მანერულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. რაკი დღევანდელი მკითხველისათვის დღევანდელი სალიტერატურო ქართულით ვთარგმნით, ვფიქრობ, მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული სწორედ ეს პრინციპი. სიძველის, არქაულობის ელფერს ეს ტრაგედიები თავიანთი აღნაგობის, მითოლოგიური პასაჟების, სიუჟეტის, აზროვნების წყალობით ისედაც შეინარჩუნებს. რაც არ უნდა ვეცადოთ მათ გათანადრობლებას, სიძველის სურნელება მაინც შერჩება და აშკარად მკვდარი ენობრივი ფორმების სიჭარბე მხოლოდ აძნელებს ტრაგედიების აღქმას, მკითხველის გონებას ბორკავს და აღიზიანებს. ჩემი მსჯელობა რომ ზოგადი არ გამოვიდეს, მოვიყვან დამახასიათებელ მაგალითებს:

დიდება შენდა, ო, ჩირალო, შენ ღამის
 დღეო,
 ნათელო, აღძრავ სახიობას ფერხისაისას
 არგოსში მრავალს, ამ ხვედრისთვის დიდება
 შენდა...

აქ სიტყვა „სახიობა ფერხისაისა“ აშკარად ხელოვნურია და ტექსტს აბუნდოვანებს. თანაც, მგონი, არც ძველი ქართულის მიხედვით არის იგი მთლად სწორად მოხმობილი.


ვფიქრობ, გაუმართლებლად ხშირად ხმარობს მთარგმნელი სიტყვას „წართქმა“. სხვადასხვა პირში (წარვსთქვი, წართქვი, წართქვა) დაყენებული ეს არცთუ პოეტური სიტყვა ხშირად მეორდება და აშკარად ქმნის ტავტოლოგიის შთაბეჭდილებას. ერთი ორგან ალბათ ასატანი იქნებოდა, მაგრამ ასეთი დაყენებული მოხმობა ამ სიტყვისა უსიამოვნო და მოსაბეზრებელია. ასევე მანერული მეჩვენება ფორმა „დედუფალი“ დედოფლის ნაცვლად. სიტყვათა ამგვარი მოდელირება პოეტურობის ნაცვლად საწინააღმდეგო შედეგს გვაძლევს.

ხანდახან (თუმცა ძალზე იშვიათად) მთარგმნელს ალღო ღალატობს და იმ დაყენებული სურვილის გამო, რომ სტრიქონი მაინცდამაინც პოეტურად გამართოს — პირიქით ემართება, სწორედ პოეტურად დაუხვეწავი სტრიქონები გამოდის: „მახე დაგიგეს ვერაგულად, მხეცებრ გაგაგრეს“ — ამბობს ორესტე ერთგან თავისი მამის შესახებ. და ეს „მხეცებრ გაგაგრეს“ ძალზე არაზუსტია ამ კონტექსტში. „გაგაგრვას“ ის ნიუანსი აქვს, რომ ირონიას შეიცავს საკმაო დოზით, ორესტეს დამოკიდებულება კი მამის მიმართ იმ ირონიას სრულიად გამორიცხავს.

ეს რამდენიმე შენიშვნა მხოლოდ იმიტომ არ გამოითქვა, ჩვეულებრივ რომ ხდება ხოლმე ნაშრომის დადებითად შეფასებისას და ზრდილობისათვის მცირეოდენ ნაკლებეც მიუთითებენ — აქაოდა, მიკერძოება არავინ დაგვწამოსო. „ორესტეა“, ჩემი აზრით, ღირსშესანიშნავი თარგმანია და სწორედ მხატვრულად დასრულებულ მთლიანობას უფრო აშკარად ეტყობა დაუსრულებელი დეტალები. ამ დეტალების, ამ წახნაგების „ჩამოსწორებას“ კი სულ ერთხელ მიბრუნება ეყოფა მთარგმნელისა. სრულყოფის პროცესი კვლავაც უნდა გაგრძელდეს...

საუბარი გამიგრძელდა. არაფერი მითქვამს „ორესტეას“ იდეურ-მხატვრული აღნაგობის შესახებ. ჭეშმარიტი ტრაგიზმით აღსავსე ეს ქმნილება უშუალო წაკითხვის გარეშე ძნელად თუ შექმნის სასურველ შთაბეჭდილებას...

მე არც გიგლა სარიშვილის, როგორც მთარგმნელის ღვაწლი აღმინიშნავს მთლიანად. მისეულ თარგმანთა ნუსხა საკმაოდ მრავლისმეტყველია: ეზოპეს იგავ-არაკების კრებული, ჰელიოდორეს რომანი „ეთიოპიკა“, დემოსტენეს „ფილიპიკები“, ანაკრეონტის, საფოს, ალკეოსის, კალინეს, ტირტეოსის, სიმონიდე ამორკოსელის, ერინას, იოჭანეს ბენერის, ანა ანმატოვას, ვალერი ბრიუსოვის ლირიკული ლექსების თარგმანები... თითოეულზე შეიძლება ცალკე წერილი დაიწეროს. ზემოთაც ვთქვი, ბერძნული ენის სპეციალისტი არ განლავართმეთქი და მხოლოდ ცალმხრივად, ისიც ძალზე ფრაგმენტულად აღვნიშნე ქართული „ორესტეას“ მნიშვნელობა და მისი მთარგმნელის უდავოდ მაღალი ოსტატობა, რის წყალობითაც მომავალში ალბათ არაერთი შემოქმედებითი გამარჯვებაა საგულელებელი.



ჯეკალ სტიფნაკი

მეთორმეტე საუკუნის შირვანელი კოეტები დემეტრე I შესახებ

მეთორმეტე საუკუნის გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწისა და ჰიმნოგრაფის დემეტრე I შესახებ ქართულ წყაროებში ცნობები მწირადაა შემონახული. ჩვენამდე არ მოუღწევია მისი მოღვაწეობის ისტორიას, რაც ფილოსოფოსმა იოანე ჭიმჭიმელმა დაწერა.

ბოლო წლებში ბევრი საგულისხმო მასალა მოიპოვეს ქართველმა მეცნიერებმა. ამ მასალების მეშვეობით გარკვეულად გავიფართოვდა წარმოდგენა დემეტრე I და მის ღრმზე. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს მეთორმეტე საუკუნის შირვანელი პოეტების — ხაკანისა და ფალაქი შირვანის ოდები.

ოდების მეცნიერული ღირებულება დიდია. მათი ავტორები შირვან-შაჰის კარის პოეტები იყვნენ და საქართველო—შირვანის შორის არსებული მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობის გამო ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ საქართველოს მეფესა და სამეფო კარის ცხოვრებას. იმდროინდელი შირვანი საქართველოს ძლიერ პოლიტიკურ გავლენას განიცდიდა. დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში დადგენილად ითვლება ის ფაქტი, რომ 1123—1130 წლებში შირვანი უშუალოდ შეერთებულიც კი იყო საქარ-

თველოსთან. მართალია, 1130 წლიდან იქ აღდილობრივი ხელისუფლება აღდგა კვლავაც, მაგრამ სამეფო ტახტზე ჯერ დავით აღმაშენებლის სიძე მენუჩიძრი იჯდა, ხოლო შემდეგ — დავითის შვილიშვილი — შირვან შაჰ მენუჩიძრისა და თამარის შვილი აღსართანი.

მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის მათ კულტურულ დაახლოებასაც უწყობდა ხელს. ასეთ ვითარებაში შირვან-შაჰთა კარზე მუდმივად მოტრიალე პოეტებს — ხაკანსა და ფალაქი შირვანს სრული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა უნდა ჰქონოდათ დემეტრესა და საერთოდ საქართველოს შესახებ.

ხაკანის ოდა ნაწყვეტების სახითაა შემორჩენილი. ჩვენამდე მოღწეული მისი ფრაგმენტი მხოლოდ თორმეტ სტრიქონს შეიცავს. იგი პირველად თეირანში გამოიცა¹, თარგმნილია რუსულადაც².

¹ ხაკანი შირვანის „დივანი“, თეირანი, 1312 წ. გვ. 661—662 (სპარსულ ენაზე).

² О. Л. Вильчевский, Ода Хакани грузинскому царю Димитрию I. «Исследование по истории культуры народов Востока». Сборник в честь академика И. А. Орбели, М.—Л., 1960, стр. 55—60.

ნაწარმოების დაწერის თარიღის გარკვევისას ერთ ადგილს უნდა მივაქციოთ ყურადღება ოღაში, მასში ხაკანის ადრესატი — მეფე დემეტრე I — შემდეგი სიტყვებითაა დახასიათებული:

„სახელმწიფოს საყრდენი დავითის შვილი, რომელსაც დიდებულ პატრიარქს კი არა, კეისარს ვუწოდებ“.

მოტანილი ადგილიდან ჩანს, რომ ოღის დაწერისას დემეტრე საერო პირია, რის გამოც ავტორი მას საერო ტიტულით — „კეისრით“ მიმართავს. თუმცა ხაკანს ისიც კარგად სცოდნია, რომ ახლო წარსულში დემეტრე საეკლესიო პირი — „პატრიარქი“ იყო (რაც ხაკანის ოღაში საეკლესიო პირის სინონიმია). ცნობილია, რომ 1154—1155 წლებში უფროსმა შვილმა დავითმა დემეტრე ტახტიდან გადააყენა და აძულა ბერად აღკვეცილიყო. მალე დავითი გარდაიცვალა, რის გამოც დემეტრე კვლავ დაუბრუნდა ტახტს, მაგრამ მალე ისიც მიიცივალა. ეს ამბები 1155—1156 წლებში მოხდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხაკანის ოღა დაახლოებით 1156 წელს დაიწერა.

ოღის მიხედვით ვგებულობთ, რომ ხაკანი შუამდგომლობას სთხოვს დემეტრეს მის სიძესთან — შირვან-შაჰ მენუჩიძრთან. სამწუხაროდ, არ ჩანს, თუ რატომ გახდა საქირო საქართველოს მეფის ჩარევა შირვან-შაჰსა და მისივე კარის პოეტს შორის. ჩვენი აზრით, სწორი უნდა იყოს ო. ვილჩევსკის მოსაზრება, რომ ხაკანის თხოვნა წმინდა ადგილებში სალოცავად წასვლის ნებართვის მიღებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.³

ხაკანს წმინდა ადგილებში სალოცავად წასვლა სურდა, შირვან-შაჰი კი ამის ნებას არ აძლევდა მას. პოეტი იძულებული იყო სხვადასხვა პირთათვის ეთხოვა პატრონის წინაშე შუამდგომლობა. მაგრამ გარკვეულ დრომდე მან საწადელი ვერ აისრულა. 1156 წელს კი იგი წმინდა ადგილებში გაემგზავრა. როგორც ჩანს, მისმა ოღამ გასჭრა. დემეტრეს ალბათ უშუამდგომლა მას შირვან-შაჰთან და ისიც დათანხმდა ხაკანის სალოცავად წასვლას.

ხაკანის ოღაში გარკვეულ ინტერესს იწვევს დემეტრეს მოხსენება „კეისრის“ ტიტულით. ო. ვილჩევსკის აზრით, „კეისარი“

ხაკანის ოღაში ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს აღნიშნავს⁴. მაგრამ ეს აზრი არ უნდა იყოს სწორი. ქართველი მეფეების მიერ კარგა ხნის წინათ უკვე უარყოფილი ბიზანტიური ტიტულით მოხსენიება, ალბათ, სასიამოვნო არ იქნებოდა დემეტრესათვის. ასეთ შეცდომას არც თვით მეფეთა ხასიათების კარგი მცოდნე ხაკანი დაუშვებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ოღაში ნახსენები ტიტული „კეისარი“ მეფეს, უმაღლესი პოლიტიკური ძალაუფლების მქონე — ხელისუფლების მფლობელ პირს აღნიშნავდა.

ხადაო არაა, რომ ხაკანის ოღასა და მასში მოცემულ ფაქტებს შეუძლია გარკვეული როლი შეასრულოს დემეტრეს პიროვნებისა და იმდროინდელი საქართველოს ისტორიის უკეთ გაშუქებაში.

საინტერესოა XII საუკუნის მეორე შირვანელი პოეტის ფალაქი შირვანის ოღაც, რომელიც დემეტრეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით უნდა იყოს დაწერილი. ოღა მეფის დის — თამარისა და სიძის შირვან-შაჰ მენუჩიძრის მიმართ გამოთქმულ სამძიმარს წარმოადგენს.

ეს ოღა აღმოაჩინა და პირველად გამოსცა ცნობილმა ირანისტმა ჰადი ჰასანმან. იგი თარგმნილია ინგლისურად⁵ და რუსულად⁶. ამ ოღას იცნობენ ქართველი ისტორიკოსებიც. თუმცა, დღემდე ქართულად არ თარგმნილია. ოღას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით შირვანის, ისე საქართველოს ისტორიისათვის. მასში გვხვდება რამდენიმე ისეთი ცნობა, სხვა წყაროში რომ არ მოიპოვება: ოღიდან ვგებულობთ, რომ დემეტრე I სამოცდასამი წლის ასაკში გარდაცვლილა. მსგავსი ცნობა სხვა წყაროებში დაცული არ არის და, ცხადია, მას

⁴ დასახ. ნაშრ. გვ. 59.

⁵ Hadi Hasan, Muhammad Falaki—I shirvani and his Unique Diwan in Madras, „Islamic Culture“ vol XXIV NO,2, 1950 გვ. 77—107; vol XXIV, NO,3. 1950. გვ. 145—196; მისივე Researihes in Persian Literature. Hyderabad 1959.

⁶ Nadi Hasan, Researihes in Persian Literature, გვ. 83—67.

⁷ З. М. Бунятов, Грузия и Ширван в первой половине XII века. კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“. თბ., 1966, გვ. 289—292.

³ О. Л. Вильчевский, დასახ. ნაშრ. გვ. 59.

შეუძლია დახმარება გაგვიწიოს დემეტრეს დაბადების თარიღის დადგენაში. საინტერესოა აგრეთვე დავით აღმაშენებლის ქალიშვილის და შირვან-შაჰ მენუჩიძრის შვილთა რაოდენობის შესახებ დაცული ცნობაც და სხვ.⁸

ფალაქი შირვანის ოდის გადმოქართულებისას ვეყრდნობოდით მის ჰადი ჰასანასეულ გამოცემას, აგრეთვე ზ. მ. ბუნია-

ტოვის მიერ ამ გამოცემიდან სპარსულადვე გადმობეჭდილი ოდის ტექსტს. მხედველობაშია აგრეთვე მიღებული ამ ოდის ინგლისური და რუსული თარგმანები.

ვფიქრობთ, საქვეყნოდ ცნობილი შირვანელი პოეტების ოდების ამეტყველება ქართულ ენაზე ხელს შეუწყობს აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობის შესწავლის საქმეს.

ხ ა კ ა ნ ი

სარწმუნოების ბეჭედი

ხელმწიფის კარი ქვეყნის ბედნიერებაა და მეც ამიტომ მის ქებას ოქროს წყლით⁹ ვწერ. სახელმწიფოს საყრდენი დავითის 10 შვილი, რომელსაც დიდებულ პატრიარქს 11 კი არა, კეისარს ვუწოდებ. დიდი წყალობა იქნება ისკანდერისათვის 12 თუკი (დემეტრეს) კეისარს კი არა, ისკანდერს ვუწოდებ. გულკეთილია, თუმცა მართლმორწმუნე 13 არ არის (ამიტომ) რკინაზე მის სახელად ლომს ვწერ. რაკი გულის სახლი მისი სიყვარულის სავანედ ვაქციე კარზე მარადიულ სიყვარულს წავაწერ. თუკი ჩემს სახელს თავის დის ქმარს 14 წაუკითხავს საკუთარ ბეგარას კეისარს დავაწერ.

ფალაქი შირვანი

(ოდა მეფე დემეტრეს დასატირებლად)

ცის თაღმა, რომელმაც თავისი ტრიალით ქვეყნად მტვრის კორიანტელი დააყენა კვლავ მოუვლინა ქვეყნიერებას ბოროტი ცთუნებით განკითხვის დღე.

⁸ ფალაქი შირვანის ოდის მონაცემები გათვალისწინებული აქვთ თავიანთ ნაშრომებში დოცენტ ნ. ასათიანს (საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. კრებული „საქართველო XII საუკუნეში“. თბილისი, 1968. გვ. 51—52). და პროფ. შ. მესხიას (იხ. ძლევაი საკვირველი, თბ., 1972, გვ. 147—150). ამ ოდის ბიბლიოგრაფიას სპეციალური სტატია მიუძღვნა ისტორიულ-მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ბერაძემ (იხ. ფალაქი შირვანის ერთი უნიკალური კასიდის შესწავლის ისტორიიდან. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია. გვ. 168—179).

⁹ ავტორი ამ ტერმინს „აბზარ“-ით აღნიშნავს. მისი თანამედროვე აბულ-ფაზელ ხობეიშ იბნ იბრაჰიმ თბილისელი, რომელსაც დაცული აქვს ოქროს წყლის დამზადების წესი, მას ოქროს მსგავს მელანს უწოდებს (იხ. ო. ვოლჩევსკის დასახ. ნაშრ. გვ. 58. შენიშვნ. 7).

¹⁰ თეირანში გამოცემულ ხაკანის „დივანში“ ამ ადგილზე „იარიათ“ არის დაბეჭდილი. ო. ვოლჩევსკი სამართლიანად აღადგენს მას დავით-ად.

¹¹ ამ ტერმინის შინაარსის შესახებ იხ. ზემოთ.

¹² იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი. ისკანდერი ალექსანდრეს აღმოსავლური ფორმაა.

¹³ ე. ი. მაჰმადიანი არ არის.

¹⁴ ტექსტშია „ბარადარე ხანუქი“, რაც სიტყვასიტყვით ძმობილს, ძმადნაფიცს ნიშნავს (იხ. Н. Я. Марр, Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой шкуре». Тексты и Розыскания по армянско-грузинской филологии, кн. XII. СПб. 1910, стр. XXV, ო. ვოლჩევსკი ამ ტერმინს «названный брат»-ად თარგმნის. ჩვენი აზრით, „დის ქმარი“ უფრო გამოხატავს ოდაში გატარებულ აზრს.

ხიწვი და მერე რანაირი ხიწვი ჩაურჭო გულში ბედისწერას,
სისხლი და რანაირი სისხლი დაღვარა სახელმწიფოს ძარღვიდან!
მიიტაცა სახელმწიფოს ტახტიდან გვირგვინოსანი,
რომლის მწუხარებისაგან ქვეყნიერების ლხინი შეწყდა.
აბხაზეთისა და შაქის მეფეთ-მეფე, სამყაროს მბრძანებელი
ვისაც ხარკი აღმოსავლეთში დასავლეთიდან მოჰქონდა¹⁵.
დემეტრე დავითიანი¹⁶, ბაგრატიის მოდგმის თავი¹⁷
ვინაც თვითნაბადი თესლით ნაყოფად სამეფო მოიწია.
მესიის მახვილი¹⁸, რომელმაც ცის სივრცე
ცის დროშათა ამაღლას წაუმიძღვარა ფარად.
ვაგლახ, რომ ასეთი მართლმსაჯული ამ ქვეყნიდან ასე სწრაფად
დასცა ძირს უგუნური ბედისწერის ხელმა.
ვაი, რომ ასეთი გვირგვინოსანი ბედის უკუღმართობამ
იმედის წერტილიდან საშიშროების ხაზისაკენ წაიყვანა.
ვაი, რომ მამა, მამისა და პაპის (სააქაო ტახტიდან
გარდავიდა და სახე მამა-პაპის (საიქიო) ტახტისაკენ ქნა.
სახელმწიფოში ისეთი იყო, როგორც ნეტარების წრეში
ძალითა „იყავნ“ ცეცხლს აგიზგიზებდა¹⁹.
მიწაში ისე განისვენა, რომ ქვეყნიერების ლომებს
ქედები მოახრევიანა, გულები დაუმწუხრა და ღვიძლები აუწვა.
ეჭვი არ არის, რომ მისი გარდაცვალების დრო მძიმე ზარალს
მიაყენებს ქვეყნიერების წესრიგს და ომარის სამართლიანობას²⁰.
მიწაში დაიმარხა ის, ვისაც ბედი მსგავსად მაცნისა
გამუდმებით უგზავნიდა გამარჯვებათა და ძლევათა უსტარს.
ვაი, რომ ფერფლზე მსუბუქი შეიქმნა ის უმძიმესი
კაცი, რომლის გულის წადილის მიხედვით მოქმედებდა ბედისწერა.
ვაი, რომ სიკვდილის მძვინვარების გამო დაუძლურდნენ
ის ხელები, რომლითაც ბედნიერების ზღვიდან მარგალიტი ამოიღო.
მან ქვეყნიერებიდან თავისი კვალი წაიღო და ჰორიზონტზე
მისი სიკვდილის გავლენამ მღელვარებისა და დაბნეულობის კვალი დატოვა.
თვით ის დრო რა (ცუდი) იყო, როცა მისი სიცოცხლისაგან გამომშვიდობების
მაცნე შირვანში მოვიდა და ის ამბავი მოიტანა.
თვით ის დღე რა უბედური იყო, რომელმაც მეოთხე ციდან
ბედის მზე მეოთხე ელემენტზე²¹ ჩამოაგდო.

15 ო. ვილჩევსკის მიაჩნია, რომ ამ აღ-
გილზე პოეტი დემეტრესდროინდელი სა-
ქართველოს მაჰმადიანურ ქვეყნებთან ვასა-
ლურ დამოკიდებულებაზე უნდა ლაპარაკობ-
დეს (იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 60). ქართულ ის-
ტორიოგრაფიაში ეს აზრი არ არის გაზიარე-
ბული (იხ. ნ. ასათიანი, საქართველო—შირ-
ვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII სა-
უკუნეში. კრ. „საქართველო XII საუკუნე-
ში.“ თბ. 1968 წ. 51—52; შ. მესხია—ძლე-
ვაი საკვირველი, თბ., 1972 წ. გვ. 149—151
და სხვ.).

16 ე. ი. დავითის ძე.


17 ე. ი. ბაგრატიონთა გვარის მეთაური.

18 იბნ ალ-აზრაკიც წერს, რომ დემეტ-
რეს ტიტულად „მესიის მახვილი“ ჰქონდაო
(იხ. В. Д. Минорский, История Ширвана
и Дербенда. М. 1963. გვ. 223—225).

19 პოეტი პარალელს აგლებს ალაჰსა და
დემეტრეს შორის. ყურანში ალაჰის შესახებ
ნათქვამია: ალაჰი „როცა რასმე დააპირებს,
იტყვის: იყავი და იქნება“. იხ. კურანი. თბ.
1906 წ. სურა XIX. მარიაში. 36. გვ.
284.

20 იგულისხმება ხალიფა ომარ I. ომარ
იბნ ალ-ხათთიბ (ცხოვრობდა დაახლ. 591—
644 წწ.), მუჰამედის ყველაზე გამოჩენილი
თანამებრძოლი.

21 შუა საუკუნეების მაჰმადიანური კოს-
მოგრაფიის მიხედვით მზე მეოთხე ცაზე
მღებარეობდა. ოთხ ელემენტში ცეცხლი,
ჰაერი, წყალი და მიწა იგულისხმებოდა
(З. Буниятов, Грузия и Ширван в пер-
вой половине XII века. კრ. „საქართვე-
ლო რუსთაველის ხანაში“. თბ. 1966 წ. გვ.
290).



სამოცდასამი წლის განმავლობაში²² თავისი ნიჭით, ცოდნითა და ვაჟკაცობით ყოველდღიურად ქვეყანაზე ახალ-ახალ ბუნებას ქმნიდა. დედობა იმან დაიკვეხნოს ვინც ცნობიერების სამყაროში მისი მსგავსი ვაჟი შვა, აღზარდა და დაავაჟკაცა. და ბოლოს მისი დროის სრულყოფამდე რომ მიიყვანა მანვე მისტაცა ვინც მისცა, მანვე წაართვა ვინც მოუვლინა. როცა გამგზავრების დრო მოახლოვდა (ამ მგზავრობის) ნიჭი მისცა. მართლაც რა კეთილი სურვილებით გაუყენა გზას! ის წავიდა ქვეყნიერებიდან და სამყარომ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა სამართლიანი მბრძანებლის ეპოქად აღიარა. შირვანშაჰი, ლაზი, ქვეყნიერების სამართლიანი მეფე ვინაც ხელმწიფობას დიდება ჩააქსოვა და ნიჭი მოიმკა. ქვეყნად ხალხის მფარველი, ხელმწიფე მენუჩიპრი²³ ვინც ცის რისხვა ხაზართა ბრბოს თავს დაატეხა. ის ლომებზე მონადირე ვინაც ზრუნვის გავლენით დედალ კატას ხვადი ლომის უნარი შესძინა. ეი, განგების თვალის სინათლევ და გულის წადილო შენი სახელით ქვეყნიერებამ დახმარება, სილამაზე და ბრწყინვალეობა რომ შეიძინა! ცის თაღმა თავისი გვირგვინის ყველაზე დიდი მარგალიტი შენი სარტყელის უმცირეს მარგალიტად აქცია. ღმერთმა შენი სფეროს კუთვნილი განსჯით სამყაროს ოკეანე მცირე ტბად აქცია. თუ უმაღლეს ტაძარში უბიწო წმინდანმა უბედურების დღის გავლენის კვალი მოიტანა ის²⁴ ქვეყნიერების ჭკუაა და შეიცნობს, რომ ხალხს დიდებული და უმაღლესი ღმერთი სასიკვდილო ჭრილობას თუ მიაყენებს. გარდა მოთმინებისა სხვა რა ღონეა თუკი ღმერთმა თვითეულს არსებობის გზაზე სასიარულოდ ეს ბილიკი დაუწესა. რაკი ამ ქვეყნიური ყოფის არსი არის მშფოთვარე ხსნილია იგი, ვინც გარდავიდა და პირი მარადიული სამყოფელისაკენ ქნა. მადლიერებაც აუცილებელი ხდება და თან მოთმინებაც მადლიერებას გვწევს. აი, ეს არის რაც სახელმწიფოს გულიდან ხიწვს აძრობს. გარდა მადლიერებისა და მოთმინებისა ვის შეუძლია წესრიგში მოიყვანოს ის არევ-დარევა, რომელიც ბედისწერამ ქვეყანას მიაყენა. აღუსრულა ღმერთმა გულისწადილი იმ უბიწოების ფარდას და მისცა ის, რითაც მბრუნავი ზეცაც იამაყებს — დიდებული, უძლეველი მეფე, დამპყრობელი. ორი ძმა რომელთაგან უამთა სვლამ თვითეულს ას კაცზე გამარჯვება არგუნა ოთხი (ისეთი) ბედნიერი ვარსკვლავი და ორი (ისეთი) ბედნიერი მარგალიტი²⁵ რომ ღმერთმა მათი არსებობით ქვეყნიერებას სილამაზე და ბრწყინვალეობა შესძინა. თუ (განგებამ) მამამისის ჩრდილის მოწყალება მის თავს მოაცილა სამაგიეროდ მას სამასი შვილის შეძენის სასიხარულო ამბავი აუწყა. თუმცა იმ უბედური შემთხვევის გამო ბედის უკუღმართობამ (იგი) სიწმინდის ფარდიდან მწუხარების ფარდასთან მიიყვანა.

²² ე. ი. დემეტრეს 63 წელი უცოცხლია. ცნობილია, რომ იგი გარდაიცვალა 1156 წელს. მაშასადამე, მას 1093—1156 წლებში უცხოვრია.

²³ შირვანშაჰ მენუჩიპრი მეფობდა 1129/1130 — 1159/1160 წლებში. ცოლად

ჰყავდა დავით აღმაშენებლის ასული და დემეტრეს და თამარი.

²⁴ იგულისხმება დედოფალი თამარი.

²⁵ იგულისხმება მენუჩიპრისა და თამარის ოთხი ვაჟი და ორი ქალი, რომლებიც მათ დემეტრეს გარდაცვალებისას ჰყავდათ. საერთოდ მათ შვიდი შვილი ჰყავდათ.

უთხარი „შეტს ნულარ დაღონდები, რადგან შენი იმედის ბაღში მოვიდა მეფე და ბედნიერების წვიმის ღრუბელი მოიტანა. გამხიარულდი, რადგანაც ზეცა შენი ძველი დღეების სურვილებს (შეასრულებს) (და) მწუხარების საღამოს შენი სიკეთის დილად გაათენებს. იგი წავიდა ამ ქვეყნიდან და მსოფლიომ მისი მმართველობის ხანგრძლიობა შენსა და მართლმსაჯული შაჰის სიცოცხლეს მიუმატა“.

მკვდრეთით აღდგომამდე იარსებე, მეფეო, შენს დიდებულებთან ერთად, რომ ღმერთმა თავისი ძლიერება შენ გიბოძოს 26.

26 ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს კ. ტაბატაძეს სპარსულიდან ქარ-

თულად თარგმნილი ტექსტის სტილისტურად და აზრობრივად დახვეწისას აღმოჩენილი დახმარებისათვის.

ლევან ბრეგვაძე

შეცდომა? — სტირმოტიკი!

მ დიდი ყურადღების შედეგად, რაც ჩვენში მთარგმნელობას ექცევა, ჩვენი ლიტერატურის ეს უბანი დღესდღეობით საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. ქართულმა კულტურამ შეისისხლხორცა მსოფლიო ლიტერატურის შედეგთა მრავალი საუცხოო თარგმანი, რომლებიც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ ჩვენს ორიგინალურ მწერლობაზეც, წარმოადგენენ მისი განვითარების მძლავრ სტიმულს. ვითარდება თვით მთარგმნელობითი კულტურაც, უფრო სრულყოფილი ხდება მისი მეთოდები, ერთ ენაზე შექმნილი მხატვრული სინამდვილის სხვა ენაზე გარდათქმის ხერხები და საშუალებები. სწორედ ამიტომაც, რომ ბევრი რამ, რაც ამ სფეროში ცოტა ხნის წინათ შესაძლოა არც კი აღქმულიყო ნაკლად, დღეს აშკარად აღარ გვაკმაყოფილებს. გაიზარდა მკითხველის მოთხოვნილება და შესაბამისად უნდა ამაღლდეს თარგმნილი ლიტერატურის ხარისხიც.

ამ საქმეში დიდი პრაქტიკული სარგებლობის მოტანა შეუძლია თარგმანებში შემჩნეულ შეცდომათა ტიპური მიზეზების ძიებასა და ანალიზს. თარგმანებზე დაწერილი რეცენზიებიდან და გამოკვლევებიდან

აშკარაა, რომ მთარგმნელთა მიერ დაშვებული შეცდომები ძირითადად შემდეგი მიზეზებით არის განპირობებული: ხშირად ეს ენის (უცხოურის თუ მშობლიურის) არასრულყოფილი ცოდნის ბრალია, ზოგჯერ მთარგმნელის ზოგადი განათლების, ერუდიციის სისუსტისა, ხანაც სათარგმნი ავტორის მსოფლმხედველობის, სტილის, წერის მანერის უგულებელყოფისა. შეცდომათა გამომწვევი ეს ზოგად-ტიპური მიზეზები კარგა ხანია შემჩნეულია და მათზე ბევრი იწერება. რეცენზიებში, ცალკეულ ნაწარმოებებზე მსჯელობისას ისინი უფრო კონკრეტულია და კრიტიკოსი ხშირად ახერხებს მთარგმნელს საკმაოდ ზუსტად მიუთითოს ნაკლის გამოსწორების გზებსა და საშუალებებზეც, რასაც, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს მთარგმნელის დაოსტატებისა და, საერთოდ, მთარგმნელობითი კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის.

მაგრამ ისეთი შეცდომებიც გვხვდება, რომლებიც ამ „ბუნებრივი“ (ან მხოლოდ ამ „ბუნებრივი“) მიზეზებით ვერ აიხსნება, ოღონდ, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, მათ ვერც შემთხვევით ლაფსუსებად ჩავთვლით, რადგან სრულიად გარკვეული ტენ-

დენციის (თუ ინერციის) გამოხატულებას წარმოადგენენ.

მივმართოთ მაგალითს:

ერთ რომანში მოთხრობილია, როგორ გასცქერის მთავარი გმირი ოთახის ფანჯრიდან საღამოს ბინდში გახვეულ სასაფლაოს და გარკვევით ხედავს საფლავის ქვებსაც კი, რომელთა შესახებ ცოტა ქვემოთ ნათქვამია, რომ «они были безмолвны и во все не страшны».

იმის აღნიშვნა, რომ პერსონაჟს საფლავის ქვები არ აშინებს, მის დასახასიათებლად მეტად მნიშვნელოვანი დეტალია; ამ ადამიანს ფრონტზე და, საერთოდ, ცხოვრებაში იმდენი უბედურება გადაუტანია, რომ ახლა საფლავის ქვები ვეღარ აკრთობენ.

ქართულ თარგმანში კი ვკითხულობთ: „ისინი (საფლავის ქვები — ლ. ბ.) დუმდნენ და ამ დუმილით შიშს გვირიდნენ ადამიანს“.

რა თქმა უნდა, უაზრობაა ვამტკიცოთ, რომ მთარგმნელმა, რომელმაც სწორად გაიგო ამ წინადადების თითქმის ყველა სიტყვა, არ იცის „не“ ნაწილაკის მნიშვნელობა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ სრულიად საწინააღმდეგოდ თარგმნა.

საქმე ისაა, რომ ჩვეულებრივ სასაფლაო, მართლაც, შიშსა ჰგვირის ადამიანს და სწორედ ამ ჩვეულებრივობის მძლავრ ტყვეობაში იმყოფება მთარგმნელი. აქ იმდენად ძლიერია საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების, შტამბის, სტერეოტიპის ჰიპნოზური ძალა, რომ მთარგმნელი ვეღარ აღიქვამს უარყოფით ნაწილაკს მაშინაც კი, როცა იგი გაძლიერებულია სიტყვით «Всё».

მსჯელობის არსი რომ უფრო ნათელი იყოს, შემდეგშიც მხოლოდ ისეთ მაგალითებს მოვიყვან, სადაც თარგმანში ზუსტად დედნის საწინააღმდეგოდ წერია, ორიგინალის აზრი შებრუნებით არის გადმოტანილი. ყველა მაგალითი უკანასკნელ წლებში გამოცემული თარგმანებიდანაა ამოღებული, მაგრამ ამჯერად საჭიროდ არ მიგვაჩნია არც მთარგმნელთა და არც ორიგინალის ავტორთა დასახელება.

ერთ უცხოურ რომანში ერთ-ერთ გმირს ეკამათებიან; თუ ღვთის მიმართ ასე სკეპტიკურად ხარ განწყობილი, მაშინ რატომღა ისწრაფვი სიბრძნისკენ, რა სარგებლობა აქვს სიბრძნესო? ხოლო ამ სკეპტიკოსის პასუხი ასე უღერს: „დიდი სარგებლობა მართლაც არ მოაქვს მოვლენათა

ორაზროვნებისა და მათი შინაგანი წინააღმდეგობის შეცნობას, მაგრამ მე თავად ეს შეცნობა მენახისებაო“, ესე იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მე მხოლოდ ცოდნის შეძენის სპორტული ინტერესი მაქვსო.

თარგმანში კი იგი ამბობს, რომ ცოდნას მოაქვს „უდიდესი სარგებლობა, რადგან იგი საოცრად ეხმარება ადამიანს, არსებული მდგომარეობის ორაზროვნება და მისი შინაგანი წინააღმდეგობანი დაინახოსო“.

ღიან, ეს ასეა ობიექტურად. ასე ფიქრობს ჩვეულებრივ ყველა, ვინც ცოდნის შეძენას ესწრაფვის. მაგრამ ეს გმირი ორიგინალურად მოაზროვნეა, იგი, როგორც ითქვა, სკეპტიკოსია, პარადოქსების მოყვარული ადამიანი და ის სიტყვები, რასაც მას მთარგმნელები მიაწერენ — სიბრძნის სარგებლიანობის ამგვარი აღიარება — მეტად ყალბად უღერს მისი პირიდან. ასე დაარღვია სტერეოტიპმა გმირის ხასიათის მთლიანობა.

იმავე რომანში ერთ საეკლესიო მოღვაწეზე ნათქვამია: „nicht eben gelehrte Erzbischof...“ (...არც ისე განსწავლულმა არქიეპისკოპოსმა...). თარგმანში კი არას: „...ესოდენ განსწავლულმა არქიეპისკოპოსმა..“ (მთელი კონტექსტი ასეთია: „იგი კიდევ უფრო დაამწუხრა იმ ამბავმა, რომ ესოდენ განსწავლულმა არქიეპისკოპოსმა ბერძნული დედნიდან მხოლოდ და მხოლოდ ეს სიტყვები დაიმახსოვრა“).

არქიეპისკოპოსის თანამდებობა მეტად მაღალი საეკლესიო თანამდებობაა და იგი ჩვეულებრივ განათლებულ მოღვაწეებს უჭირავთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ასე არ არის: ის არქიეპისკოპოსი, რომანში რომ არის გამოყვანილი, უფრო მეტ დროს და ყურადღებას სარაინდო, საომარ საქმეებს უთმობს, ვიდრე წიგნსა და განათლებას. სწორედ ეს არის ხაზგასმული ორიგინალში. თარგმანში კი ამის საწინააღმდეგოს ვკითხულობთ. მოყვანილი წინადადება ასე უნდა გასწორდეს: „...ეწყინა, რომ არც ისე განსწავლულმა არქიეპისკოპოსმა ორიგინალიდან მაინცდამაინც ეს სიტყვები გაიხსენა“.

ამ უკანასკნელ მაგალითში, გარდა იმისა, რომ აზრი უკუღმავა გადმოტანილი, არასწორადაა თარგმნილი წინადადების რამდენიმე სიტყვაც, მაგრამ ადვილი შესამჩნევია, რომ ეს უზუსტობები უმთავრესმა შეცდომამ (უარყოფითი ნაწილაკის გამოტოვება) მო-

იყოლა. ეს იმიტომ, რომ წინადადების (ან მისი რომელიმე ნაწილის) აზრის რადიკალური შეცვლა ყოველთვის არ ხერხდება მხოლოდ უარყოფის ჩამატებით ან ამოღებით. ბოლო მაგალითში საჭირო გახდა ორიგინალის „მაინცდამაინც“ შეცვლილიყო გამოთქმით „მხოლოდ და მხოლოდ“, „გაიხსენა“ — „დაიმახსოვრათი“ და ამ „უმნიშვნელო“ მოდიფიკაციის შემდეგ ფრაზა უკვე ადაპტირებულია ორიგინალის საწინააღმდეგო აზრის გადმოსაცემად.

ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: «Закупки животноводческой продукции ожидаютс я выше плана на 1974 год» ამის შემდეგ კი თვითკრიტიკული წესით ნათქვამია: Вместе с тем нам не удалось полностью выполнить задания по сбору сахарной свеклы...»

ქართულ თარგმანში კი არის: „მეცხოველეობის პროდუქციის შესყიდვა გადააჭარბებს 1974 წლის გეგმას. ამასთან ჩვენ მთლიანად შევასრულეთ შაქრის ჭარხლის... ადების დავალებანი“.

აქ მთარგმნელზე ძლიერ გავლენას ახდენს ის ამბავი, რომ ჩვენი სახელმწიფო გეგმები როგორც წესი წარმატებით სრულდება ხოლმე.

ერთი გერმანელი მწერალი თავის პატარა მოთხრობაში გვიყვება ინკვიზიციის მიერ ჯორდანო ბრუნოს გასამართლებაზე. ჯორდანო ბრუნოს დაპატიმრების შემდეგ ეჭვით დაუწყეს ყურება ყველას, ვისაც რაიმე, თუნდაც სრულიად შემთხვევითი, ურთიერთობა ჰქონდა ერეტიკოსთან, მათ შორის ერთ სავსებით უდანაშაულო თერძსაც, ვინც მოსასხამი შეუკერა ჯორდანო ბრუნოს. ბრუნო რომ დაპატიმრეს, მოსასხამის ფასი გადახდილი არ ჰქონდა. ბუნებრივია, თერძი სასამართლოში გამოცხადდა და კუთვნილი გასამრჯელო მოითხოვა. ცივი უარით გამოისტუმრეს, არავის არ უნდოდა მასთან საქმის დაჭერა. ხელოსანმა იმ სახლის პატრონსაც მიაკითხა, ვისთანაც ბრუნო ცხოვრობდა. იქედანაც კინწისკვრით გამოაგდეს. ხალხმა გაიგო, რომ მას რაღაც საერთო ჰქონია ერეტიკოსთან. ქუჩის ბიჭებმაც შეურაცხყოფა მიაყენეს, ერთმა ლაწირაკმა ქვაც კი ესროლაო, გვეუბნება მწერალი, და შემდეგ განაგრძობს:

„თუმცა (zwar) ერთი კარიდან ლარიბულად ჩაცმული ქალი გამოვიდა და სილა გააწნა მას, მაგრამ (aber) მოხუცმა ცუნტომ (ასე ჰქვია თერძს — ლ. ბ.) იგრძნო რა სახიფათო ყოფილა, როცა მწვალებლად შე-

რაცხულ ადამიანთან რაღაცა გაკავშირებს“.

ორიგინალში ის, ვისაც სილა გააწნეს, ნაცვალსახელით არის მოხსენიებული, მაგრამ სიტყვები „თუმცა“ და „მაგრამ“ არავითარ ეჭვს არ ტოვებს ვინ იყო იგი: ცხადია, ქალმა ხელი ბავშვს გაართვა, ესე იგი თერძს გამოეჭო მაგა, დაიცვა იგი ქუჩის ბიჭებისაგან, მაგრამ ამ გამოქომაგების მიუხედავად თერძმა იგრძნო ცუდად არის ჩემი საქმეო.

თარგმანში კი ვკითხულობთ:

„ერთმა ზღმურდლიანმა, ჩამოკონკილმა ლაწირაკმა თერძს ქვაც კი ესროლა, ხოლო რომელიღაც კარიდან ლარიბულად ჩაცმული ქალი გამოვიდა და სილა გააწნა თერძს, მოხუცი ცუნტო აშკარად მიხვდა, თუ რაოდენ საშიში იყო მწვალებლებთან ურთიერთობა“.

რასაკვირველია, ინკვიზიციის ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ადვილად ახერხებდა უბირი ბრბოს მხარდაჭერის მოპოვებას. ცხადია, შუა საუკუნეებისათვის ტიპური და ჩვეულებრივია ის ამბავი, რომ მასის ამა თუ იმ წარმომადგენელს, რომელიმე გულუბრყვილო მდაბიოს თავისი უანგარო წვლილი შეაქვს მწვალებლად შერაცხული პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში (გავიხსენოთ თუნდაც „სანკტა სიმპლიციტას“ ამბავი, რაც ალბათ მთარგმნელსაც აგონდებოდა ამ ეპიზოდის თარგმნისას!), მაგრამ არც ის შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკლებლივ ყველანი ასეთები იყვნენ. ერთ-ერთი ამგვარი „არატიპური“, ტოლერანტულად განწყობილი, უბრალო, ლარიბი, კეთილი ქალია გამოყვანილი ამ მოთხრობაშიც, მაგრამ იგი, როგორც ვნახეთ, იმდროინდელ ადამიანებზე მთარგმნელის სტერეოტიპულმა წარმოდგენამ იმსხვერპლა.

რაც მთავარია სიტუაცია, რომელიც თარგმანშია დახატული — ამ ქალის აგრესიული გამოხდომა, თერძთან გაბედული მისვლა და სახეში გალაწუნება — მეტად ყალბია, ფსიქოლოგიურად გაუმართლებელია. იგი სუსტი მწერლის ნაკალმარს მოგვაგონებს, მაშინ, როცა ამ ნაწარმოების ავტორი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსია.

ერთი გერმანელი პოეტის ლექსის შინაარსი ასეთია: „ცუდია, მაგრამ ხშირად კი ხდება, რომ სიმართლე სიცრუისაკენ მიილტვის, ზოგჯერ მას სიამოვნებს სიცრუესთან დაკავშირება. ასეთ მშვენიერ ქალბატონს (როგორიც სიმართლეა) ვინ მოთხოვს ამისთვის პასუხს, მაგრამ თუ ბატონი სიცრუე,

თვითონ, საკუთარი ინიციატივით მონღოლებს სიმართლესთან დაკავშირებას, ამას ქალბატონი სიმართლე ძალიან უკადრისობს ხოლმე“.

თარგმანში კი ვკითხულობთ: „ცუდია, როცა ბატონი ბრალი/ქალწულ სამართალს შეაცდენს, მყრალი/ვნებით დაათრობს, დაფარავს კვალსა, ვინ რას მოჰკითხავს მშვენიერ ქალსა?/აეტმასნება ბრალი სიმართლეს/და გამოუღვევს ბრაზით სინათლეს“.

ამჟერად თავი ვანებოთ იმას, რომ ორიგინალის „სიმართლე“ შეცვლილია „სამართლით“, ხოლო „სიცრუე“ — „ბრალით“; მთავარი ის არის, რომ მთარგმნელი სავსებით უკულმა გადმოგვცემს დედნის აზრს: იგი ელემენტარულ ჭეშმარიტებას გვაუწყებს — ცუდია, როცა ბრალი სამართალზე იმარჯვებს. ორიგინალში კი პირიქით: დაჩაგრული, „დისკრიმინირებული“ სიცრუე გამოდის, სიმართლე თვითონ ახვევს მას თავზე ცოდვას. მთარგმნელმა ვერ შეამჩნია ამ ლექსის ირონია, რადგან წინასწარ აკვირებული, სტანდარტული აზრი უტრიალებ-

და თავში: სიმართლე მუდამ უმწიკვლოა, ბრალი (ან სიცრუე) — ვერაგი!

მაგრამ ამჟერად რომ პოეტმა ორიგინალურად, სულ სხვა კუთხით, თუ გნებავთ, დიალექტიკურად შეხედა ამ საკითხს? ყურადღება მივაქციოთ ერთ დეტალს: მთარგმნელი „სამართლის“ ეპითეტად ხმარობს ხიტყვა „ქალწულს“, ორიგინალში კი სიმართლე მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონად არის გამოყვანილი!

როგორც ვთქვით, ჩვენ აქ მხოლოდ ისეთი მაგალითები მოვიყვანეთ, სადაც თარგმანში ორიგინალისაგან რადიკალურად განსხვავებული აზრებია გატარებული, მაგრამ სათარგმნი მასალისადმი სტერეოტიპულმა მიდგომამ შეიძლება დედნის მრავალგვარი დამახინჯება გამოიწვიოს. ესენი ალბათ მთარგმნელის „ინდივიდუალობის“ გამოვლენის ყველაზე არასასურველი შემთხვევებია. მთარგმნელი ვალდებულია ერთი წუთითაც არ დაივიწყოს, რომ დიდი მწერლები ამავე დროს ორიგინალური მოაზროვნეებიც არიან, რომ ჭეშმარიტ ხელოვანს ერთნაირად აინტერესებს წესიც და წესიდან გამონაკლისიც.

□

ნატალია ორლოვსკაია

იბერია XVII საუკუნის ფრანგულ რომანში

♥ არსული საუკუნეების ლიტერატურაში არსებულ ნაწარმოებთა უმრავლესობა ფორმით იმდენად მოძველდა, რომ მათ თარგმნას აზრი არა აქვს, თუნდაც შიგ მოთავსებული მასალა საგულისხმო იყოს. სწორედ ასეთი განსაკუთრებით XVII საუკუნის ფრანგული რომანი „ბერენიკა“. რომანი ძირითადად აგებულია ძველი იბერიისა და სომხეთის ისტორიის შესახებ არსებულ ცნობებზე. ეს ნაწარმოები გამოიცა პარიზში 1648—1651 წლებში; წიგნის ავტორია ჟან რენო სეგრე. დღეს წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ჟან სეგრემ რამდენიმე ორიგინალური ნაწარმოები შექმნა, თარგმნიდა „ენეიდას“. მოგვიანებით ფრანგულ აკადემიაში აირჩიეს.

„ბერენიკაში“ გამოყენებული ცნობები ძველი საქართველოს შესახებ სეგრემ რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის „ანალებიდან“ აიღო. ნაწარმოებში მიმდინარე მოვლენები ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეს განეკუთვნება და უკავშირდება სომხეთში ძალაუფლებისათვის ბრძოლის ამბებს. იმუამად რომის იმპერია აქტიურად ერეოდა აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეებში. იმპე-

რატორ ტიბერიუსს არ სურდა პართელების გაძლიერება, რომელთაც სომხეთის ტახტის ხელში ჩაგდება განეზრახათ; ამიტომაც მან სომხეთის მეფედ იბერიის მეფის ფარსმან I ძმა მითრიდატე ალიარა. ისტორიულ მოვლენებს ტაციტუსი ოჯახურ დრამას უკავშირებს: ფარსმან I თავგამოდებული ეხმარებოდა თავის ძმას სომხეთში ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის წარმოებულ ბრძოლაში, მაგრამ მოგვიანებით მდგომარეობა იცვლება. თავისი შვილის რადამისტის პატივმოყვარე მისწრაფებებით შეშფოთებული ფარსმანი მის მშვერას სომხეთზე მიაპყრობს — რადამისტი მიდის სომხეთში ბიძასთან და მის ქალიშვილს ზენობიას ირთავს ცოლად. ამავე მიზეზითვე ფარსმანი ომს უცხადებს თავის ძმას, რადამისტმა ამოხოცა მითრიდატე და მისი ოჯახი და თავი სომხეთის ხელმწიფედ გამოაცხადა. მაგრამ ახლა პართელთა მეფემ ისარგებლა არეულობით და სომხეთისაკენ დასძრა თავისი ჯარი. სომხები აჯანყდნენ და რადამისტი იძულებული გახდა ქვეყნიდან გაქცეულიყო. სამეფო ტახტი პართელთა უფლისწულს ტიროდატს დარჩა. ასეთი თვითნებობა რომაელებს არ მოეწონათ და სომხეთში გაგზავნეს ჯარი კორბულონის სარ-

დღობით. ამავე დროს ჩრდილოეთიდან სომხეთს იბერები შემოესივნენ, ხოლო მეფე ფარსმანმა გულის მოსაგებად რომაელებს საკუთარი შვილი რადამისტი სიკვდილით დაასჯევინა. 60 წლის ზაფხულისათვის სომხეთი რომაელებმა დაიპყრეს, ფარსმან მეფემ კი მისი სასაზღვრო რაიონები დაიშკვიდრა.

რასაკვირველია, ტაციტუსის მიერ მოთხრობილი ფაქტების მიღმა იმალება რთული ისტორიული ვითარებისა და პოლიტიკური ინტერესების მთელი კვანძი. მის მიერ დახატული სახეები და მოვლენები ძალზე ნათელი და შთამბეჭდავია. ტაციტუსის გზით რადამისტისა და ზენობიას ისტორია ევროპაში გავრცელდა და სხვადასხვა უანრში მრავალ ენაზე აუღერდა.

ყველაზე უფრო დაწვრილებით ტაციტუსის მასალები გამოიყენა ჟან რენო სეგრემ თავის რომანში „ბერენიკა“, რაზედაც გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

რომანში მოთხრობილი სხვადასხვა ამბავი ერთ გამაერთიანებელ ჩარჩოშია მოქცეული. ნაწარმოები იწყება იმით, რომ ტიტუსი — რომის იმპერატორ ვესპასიანის ვაჟი — სამშობლოში ბრუნდება მას შემდეგ, რაც აიღო და მიწასთან გაასწორა იერუსალიმი. მას თან ახლავს იუდეველთა მეფის ასული ბერენიკა, მისი ძმა — მეფე აგრება და სხვა დიდგვაროვანნი: ტიტუსს ძალიან უყვარს ბერენიკა, თუმცა ქალი არ თანაუგრძნობს მას. ტიტუსი მაინც რაინდული წესის ერთგულია. გზად ისინი გააფთრებული საზღვაო ბრძოლის მოწმენი ხდებიან. ბრძოლა მიმდინარეობს მზეთუნახავი ზენობიას გამო. ტიტუსი ქალს დაეხმარება და შესთავაზებს მას, დაემგზავროს რომში.

რომანის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ჩართული ისტორიები, მათ შორის ყველაზე გრძელია ზენობიას ამბავი, რასაც ორი წიგნი უჭირავს.

ზუსტი ცნობების გვერდით რომანში ჩართულია გამოგონილი ეპიზოდებიც. ასე მაგალითად, სეგრე აღწერს ფარსმანის თვითმკვლელობას. ტაციტუსთან კი რომაელთა სომხეთში შესვლისას ფარსმანი არა თუ ცოცხალია, არამედ აქტიურადაც მონაწილეობს ომში.

მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვალი გავადევნოთ არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ იმ თავისებურ თვალსაზ-

რისს, რითაც აფასებს ავტორი ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას.

ამ თვალსაზრისსა და რომანის მთელ ჩანაფიქრს ატყვია გავლენა ე. წ. პრეციოზული ლიტერატურისა, იმუამად მოდაში რომ იყო საფრანგეთის მაღალ საზოგადოებაში. კერძოდ, XVII საუკუნის პრეციოზულ რომანში მწერლები ხშირად იყენებდნენ ისტორიულ ცნობებს, მაგრამ მათ ძალზე თავისუფლად ეპყრობოდნენ; წარსულის მოღვაწეთ თანამედროვეობის ქცევის ნორმებისა და რაინდული წესების მიხედვით ხატავდნენ.

ამგვარად არის გადამუშავებული ისტორიული ცნობები სეგრეს რომანშიც. ამასთან თხრობის გადატვირთვის მიზნით ავტორი მაქსიმალურად იყენებს ტაციტუსის ცნობებს, თუმცა, როგორც ვთქვით, ერთდროულად სახეთა და მოვლენათა საკუთარ ინტერპრეტაციასაც გვაძლევს.

რომანის წამყვანი ხაზი სიყვარულია, ეს თემა დაკავშირებულია მთხრობელის — ზენობიას ბედ-იღბალთან. ტაციტუსი მას თავისი „ანალები“ მხოლოდ ერთ თავში ასახელებს, მაგრამ ეს ეპიზოდი რომანტიკითაა აღსავსე და ლიტერატურული დამუშავების დიდ შესაძლებლობას იძლევა. სომხეთიდან გაქცევისას სწრაფი ჭენებით ღონემიხდილი ზენობია შესთხოვს თავის ქმარს სიკვდილით მოუღოს ბოლო მის ტანჯვას, რათა აცდეს შერცხვენასა და ტყვეობას. რადამისტი უოყმანობს, მაგრამ ბოლოს ეჭვიანობით შეპყრობილი ხმაღს აძგერებს ქალს და არაქსში გადაადგებს. ზენობიას მებაღურები გადაარჩენენ, ქალი გამოჯანმრთელდება და მოხვდება ტიროდატთან, რომელმაც, როგორც გვაუწყებს ტაციტუსი „პატივისცემით მიიღო იგი და ისე ეპყრობოდა ვითარცა დედოფალს“.

ალბათ ეს ფრაზა აძლევდა საშუალებას ყველა ლიტერატორს, რომ ზენობიას ბედ-იღბალი დაეკავშირებინა არა მხოლოდ რადამისტისათვის, არამედ პართელთა უფლისწულის ტიროდატისთვისაც. მაგრამ სეგრე ამით არ კმაყოფილდება.

ნაწარმოების მიხედვით ზენობიას ხუთი თავყვანისმცემელი ჰყავს. მათ შორისაა რომაელი პოლიონი, დიდგვაროვანი იბერიელი ოროსმანი და თვით იბერიის მეფე ფარსმანი. ყველას მგზნებარედ უყვარს ზენობია. მაგრამ ისინი იყოფიან კეთილშობილ მიჯნურებად და ვერაგ ბოროტმოქმედებად.

ტიროდატი სამაგალითო ლირიული გმირია, ვისაც ყმაწვილობიდანვე უყვარს ზენობია. მათ ბედნიერებას ხელს უშლის ზენობიას ერთ-ერთი თაყვანისმცემელი რომელი პოლიონი. პოლიონი უარყოფითი გმირია. იგი მთელი ნაწარმოების მანძილზე მოქმედებს, როგორც ბოროტი სული — შეთქმულებას უწყობს რადამისტს, შემდეგ ტიროდატს, იტაცებს ზენობიას და მხოლოდ ნაწარმოების ბოლოს იღუპება.

ისტორიულ პირთაგან ზოგიერთს სეგრე განსაკუთრებით ნათელი ფერებით ხატავს, სხვებს მკვეთრად აბნელებს. ასე მაგალითად, ფარსმანი რომანში დახასიათებულია როგორც „ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოლიტიკოსი, ვისაც ოდესმე უმეფია“; ნაწარმოებში აღწერილია ფარსმანის სამხედრო წარმატებები, მაგრამ პირველ პლანზე წამოწეულია მისი ვერაგობა და სისასტიკე. ამავე დროს ავტორს შეაქვს რომანში სრულიად ახალი სიუჟეტი, რაც უცხოა ტაციტუსისათვის. კერძოდ, მოხუც ფარსმანს შეუყვარდება ზენობია, რომელიც მისი ძმისწულია და რძალი. ვნებათაღელვით შეპყრობილი ფარსმანი ჯერ საკუთარი ვაჟის მოწამვლას ცდილობს, ეომება კიდევ მას, ხოლო შემდეგ მისი მოსყიდული კაცი რადამისტს სიცოცხლეს გამოასალმებს.

რადამისტის მკვლელობა ისტორიული ფაქტია, მაგრამ რომანში ამის გამომწვევი მიზეზი პოლიტიკური მოტივი კი არა, არამედ პირადი გრძნობებია.

ბოროტი ფარსმანის სახეს უპირისპირდება კეთილშობილი იბერი ოროსმანი. ოროსმანსაც უყვარს ზენობია. ოროსმანი ავტორმა გამოიგონა. ტაციტუსი არ ახსენებს მას თავის „ანალებში“. ოროსმანი ერთგულები-სა და კეთილშობილების განსახიერებაა. მას სურს ემსახუროს სათაყვანო არსებას, სიცოცხლეს კი არ დაიშუროს მისთვის. ოროსმანი ტყვეობიდან დაიხსნის ზენობიას, მაგრამ ბოროტი პოლიონის მოკვლის შემდეგ თვითონაც იღუპება.

ნაწარმოებში ყველაზე წინააღმდეგობრივია რადამისტის სახე. ტაციტუსის დახასიათებით, რადამისტი „წარმოსადეგი, იშვიათი ფიზიკური ძალის პატრონია, იგი კარგად ფლობს მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგს, რაც კი მის სამშობლოში ისწავლება“. მაგრამ ამასთან ერთად ის უსაზღვროდ პატივმოყვარეცაა, რასაც რადამისტი მითრიდატეს მკვლელობამდე მიჰყავს. თუმცა ავტორი ცდილობს, შეარბილოს რადამისტის დანაშაული და სის-

ხლისღვრის მთავარ მიზეზად ფარსმანს ასახელებს. მომდევნო ეპიზოდებში რადამისტის სახე უფრო მიმზიდველი ხდება. აქ ხაზგასმულია მისი დაღებიანი თვისებები. რადამისტი შეუღარბელი მეომარია და ამავე დროს ჭეშმარიტი მიჯნური, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგული თავისი შეყვარებულისა.

ავტორმა არ დაიშურა საღებავები, რათა რაც შეიძლება უფრო გაერთულებინა რომანის ინტრიგა: რთული სასიყვარულო თავგადასავლები, ომები, მოტაცება, გაქცევა, ყალბი წერილები, მეკობრეები — ყოველივე ეს ქმნის ფათერაკებით უკიდურესობამდე გადატვირთულ ფაბულას. ასეთი გართულება და ინტრიგის ჩახლართულობა ნიშანდობლივია პრეციოზული რომანისა და საერთოდ ბაროკოს ლიტერატურისათვის. ამ თვისებებით პრეციოზული რომანი მკვეთრად განსხვავდება კლასიციზმის თეორიისაგან, ნათელი და კომპოზიციურად დახვეწილი ნაწარმოების შექმნას რომ ქადაგებდა თავის დროზე.

ზენობიას მონათხრობში მოქმედების ადგილი ძირითადად იბერია და სომხეთია. ავტორი ასახელებს მთავარ ქალაქებს, მდინარეებს — არაქსსა და სირუსს (მტკვრის ძველი სახელია). ნაწარმოების გეოგრაფიული საზღვრები ძალზე ფართოა: ლაპარაკია პართელებსა და სკვითებზე, კოლხიდასა და ალბანეთზე (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია). XVII საუკუნის საფრანგეთში აღმოსავლეთისადმი გულისყური იზრდება და ლიტერატურაში ჩნდება აღმოსავლური თემები — რასინი წერს ტრაგედიას „ბაიაზეტი“, ხოლო მოლიერს კომედია „გააზნაურებულ მდაბიოში“ შეაქვს თურქული დივერტისმენტი. მაგრამ ნაწარმოებები ძველი აღმოსავლეთის შესახებ არ შეიცავენ აღმოსავლური კოლორიტი-სა ან ეგზოტიკის ელემენტებს.

ძველი აღმოსავლეთი, როგორც სხვა იმ დროინდელი მწერლებისთვის, ასევე სეგრესთვისაც რომის იმპერიასთან განუყოფელ კავშირში იმყოფება. რომანის III და IV წიგნში აღწერილია გმირების თავგადასავალი რომში 69 წლის სამოქალაქო ომის დროს, ტახტზე იმპერატორ ვესპასიანეს ასვლამდე. თვით რომანის წარმმართველი ხაზი დაკავშირებულია ვესპასიანეს ვაჟთან ტიტუსთან. ეს არჩევანი შემთხვევითი არაა: რომის იმპერატორმა ტიტუსმა და მისმა სიყვარულმა ბერენიკასადმი ბევრი ფრანგი მწერლის ყურადღება მიიპყრო, კორნელია

და რასინმა ამ თემაზე ტრაგედიები შექმნეს. თუმცა ზენობიას თავგადასავლის დაკავშირება ტიტუსის ისტორიასთან ხელოვნური და ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს, განსაკუთრებით ქრონოლოგიის თვალსაზრისით. ტიტუსმა იერუსალიმი დაარბია 70 წელს. 52 წელს, — მითრიდატესა და ფარსმანს შორის ომის დროს — ზენობია უკვე გათხოვილი იყო. როდესაც გამარჯვებული ტიტუსი შინ ბრუნდება, ზენობია ოცდაათ წელს იქნებოდა გადაცილებული. ამრიგად, ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი მოტაცებისა და მძლეთამძლე რაინდების ქიშპობისა და მიჯნურობის საგანი გამხდარიყო.

რომანის თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. მასში ჩართულია გრძელი დიალოგები და წერილები. და საერთოდ მთელი რომანი კომპოზიციურად შესრულებულია იმ დროს მიღებული ენის ნორმების მიხედვით.

პრეციოზული რომანის უანრს დიდხანს არ უარსებია, მას კრიტიკულად გამოეხმაურნენ ისეთი ცნობილი მწერლები, როგორც იყვნენ ბუალო და მოლიერი.

სეგრეს რომანის მიმართ მკითხველს განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუჩენია, ამიტომაც იგი ხელახლა არ გამოცემულა. მაგრამ მომდევნო საუკუნის დასაწყისში ნაწარმოებმა მიიქცია ცნობილი დრამატურგის კრებილიონ უფროსის ყურადღება. ამის შედეგი გახლდათ რადამისტისა და ზენობიას თემის ყველაზე ცნობილი ლიტერატურული გადამუშავება.


კრებილიონის პიესა „რადამისტი და ზენობია“ თავისი ფაბულით შორსა დგას ტიტუსის „ანალებიდან“, რადგან აგებულია უკვე გადამუშავებულ ლიტერატურულ წყაროზე. სეგრეს მსგავსად, კრებილიონი აღწერს ფარსმანის სიყვარულის ამბავს, მაგრამ პიესაში აძლიერებს ოჯახური დრამის ხაზს, მოქმედება მიმდინარეობს იბერიაში, სადაც სხვისი სახელით ცხოვრობს ზენობია. იგი უყვარს ფარსმანს და მის უმცროს ვაჟს არზამს. პიესაში ფარსმანი ეჭვიანობის გამო ჰკლავს რადამისტს, მანამდე კი, სეგრესაგან განსხვავებით, რადამისტი ჩამოდის იბერიაში როგორც რომაელთა ელჩი და უცნობ ქალში საკუთარ ცოლს შეიცნობს. ზენობიას უყვარს არზამი, მაგრამ თავს ვალდებულად თვლის ქმარს დაუბრუნდეს. ისინი გაიქცევიან, მაგრამ დაეწევათ ფარსმანი, რომელიც კლავს რადამისტს ისე, რომ არ იცის, თუ ეს მისი შვილია.

სეგრესგან განსხვავებით, კრებილიონს ფარსმანის სახე განსხვავებულად ჰყავს წარმოდგენილი. თუმცა იგი ძნელად იოკებს თავის ვნებათაღელვას, მაგრამ ამასთან პიესაში ისიცაა ხაზგასმული, რომ ფარსმანი ძლიერი და უშიშარი მეომარია.

კრებილიონის ტრაგედია დაიდგა პარიზში 1711 წელს და დიდი წარმატებაც მოიპოვა. იგი იდგმებოდა XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლომდე, ითარგმნა მრავალ ენაზე. 1810 წელს პიესა დაიდგა რუსეთში და მას საგანგებო წერილით გამოეხმაურა ჟუკოვსკი.



შეხვედრა თბილისში



დიდი ქართველი მწერლის მოსაზრება

1975 წლის 7 აგვისტოს ნომერში, კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, უნგრულმა გაზეთმა „ნებსაბადშაგმა“ გამოაქვეყნა ცნობილი ქართველოლოგის ლაიოშ ტარდის წერილი. გთავაზობთ ამ წერილს.

მდებარე ეგზოტიკურ ქვეყნად ითვლებოდა საქართველო და ასეთივე იყო თვით ქალაქი თბილისიც. მაგრამ მოხდა ისე, რომ გარდასულ საუკუნეებში ჩვენი თანამემამულე მოგზაურები რატომღაც გვერდს უვლიდნენ ამ ქვეყანას. პირველი ცნობები აზიის განაპირას მდებარე ამ პატარა ქვეყანაზე მხოლოდ იანოშ ბეშემ და იენე ზიჩიმ მოგვაწოდეს, პირველ სამშობლოსა და სისხლით ნათესავებს რომ ეძებდნენ საქართველოში. მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ მოხდა. ახლა უკვე სათვალავი აღარ აქვთ იმ უნგრელებს, ვინც მივლინებითა თუ ტურისტული საგზურებით კიდით-კიდემდე შემოიარეს ეს აყვავებული ქვეყანა.

ქვაში ამეტყველებული ისტორიული ძეგლების, ეკლესიების, ციხის ნანგრევების გვერდით დაკვირვებული ტურისტი საქართველოს დედაქალაქში აუცილებლად შეამჩნევდა ერთ ცოცხალ ძეგლსაც. მხიარულ, კარგად ჩაცმულ ქართველთა შორის, თეატრის ფოიესა თუ რუსთაველის გამზირზე, ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე არწივისებური გამომეტყველების მქონე კაცი. მოხუცს თანამედროვე ტანსაცმელი კი არ ეცვა, არამედ სადა, მაგრამ მაინც სადღესასწაულო ჩოხა, წელზე კი ძველებური ქართული ხანჯალი ეკიდა.

თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი იყო იგი, დიდი ქართველი მწერალი — კონსტანტინე გამსახურდია. თუშცა გარეგნობა, ჩაცმულობა ძველებური ჰქონდა, თვითონ არასოდეს ყოფილა დღევანდელი დღის უარყოფელი. რაც პროგრესული იყო ქართველი ერის წარსულში, ყველაფერს აღმერთებდა იგი, მაგრამ ამასთან ერთად მტკიცედ შეისისხლხორცა სოციალისტური ლიტერატურის ჭეშმარიტი და დიდი მიზნები. იგი თავისი ხალხის ერთგული შვილი იყო.

მთელი მისი ბიოგრაფია ეროვნული და სოციალისტური კულტურის შერწყმა-შეისისხლხორცებას ემსახურებოდა და ეს ყველაფერი თვით მწერლის ბუნებიდან გამომდინარეობდა. იგი იყო ქართველი მწერალი, შეუბღალავი ერთგულებითა და აღმაფრთოვანებელი სტილით რომ გადმოსცემდა ისტორიულ მოვლენებს. ამასთან იგი დაუღალავი მომღერალი იყო თავისი სამშობლოს ყოველდღიური ცხოვრებისა, სოციალიზმის მშენებლობისა და აყვავებული საბჭოთა საქართველოს სინამდვილისა.

ეს პირქუში გამომეტყველების, შუასაუკუნეების რაინდების მსგავსი გარეგნობის კაცი იყო მრავალ ენაზე ამეტყველებული დანტესა და გოეთეს ქართულ ენაზე მთარგმნელი, წლების მანძილზე თომას მანისა და მრავალი სხვა მოწინავე მწერლის მეგობარი. განათლება პეტერბურგსა და ბერლინში მიიღო, შემოვლილი ჰქონდა მთელი ევროპა. ამ სტრიქონების ავტორს დიდი სიყვარულით ესაუბრა უნგრეთში მიღებული შთაბეჭდილებების თაობაზე.

დიდი ქართველი მწერლის შემოქმედება არცთუ მთლად უცნობია უნგრელი მკითხველისათვის. ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც უნგრულ ენაზე ითარგმნა მისი მოთხრობა „ამბავი ხუთასი ბოლნისელისა“. ეს პატარა ლიტერატურული შედევრი მხოლოდ გაკვრით გვაცნობს აქამდე ცოცხალ კლასიკოსად წოდებული ქართველი საბჭოთა მწერლის შემოქმედებას, მწერლისა, ვისი ნაწარმოებებიც საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზეა თარგმნილი. ჩვენს მკითხველს, ვისაც აგრერიგად იზიდავს ისტორიულ-ბიოგრაფიული თხზულებანი, დიდ სიამოვნებას განაცდევინებდა კონსტანტინე გამსახურდიას რომანების: „დავით აღმაშენებლისა“ და „დიდოსტატის მარჯვენის“ წაკითხვა.

უნგრულიდან თარგმნა მანანა სალაძემ

76132

0189/235



ერეკლეტი
სიბუღეტი

